

# **მეექვნიდ ჩეოზიტი სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2016, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №4

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2016, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. უღირს მემკვიდრედ ცნობა

## გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახელმწიფო

№ას-1048-988-2015

9 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უღირს მემკვიდრედ აღიარება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ნ. და გ. კ-ების ვ. კ-ის უღირს მემკვიდრეებად აღიარება.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხეები არიან მისი დე-ბი. 2010 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა მათი მამა – ვ. კ-ი, რომელმაც სიკვდილამდე დაწერა ანდერძი და მიუთითა, რომ იგი შვილების მხრიდან განიცდიდა დამცირებას, სიტყვიერ და ფი-ზიკურ შეურაცხყოფას. მას უვლიდა გ. რ-ი.

3. მოსარჩელის განმარტებით, მამა ათი წელი ცხოვრობდა მასთან, მხოლოდ იგი უვლიდა მას, რაშიც მოპასუხეები ხელს უშლიდნენ. ნ. და გ. კ-ებს მამკვიდრებელი სიცოცხლეშივე უღირს მემკვიდრეებად თვლიდა, რაც ანდერძშიც ასახა. მოსარ-ჩელემ მამის მიერ დაწერილ ანდერძს ჩაუტარა ექსპერტიზა და დადასტურდა, რომ ხელნაწერი ეკუთვნის ვ. კ-ს.

4. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

5. ნ. კ-მა განმარტა, რომ გ. რ-ი წლებია დავობს დაბა ზ-ში მდებარე ქონებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადან-ყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ნ. კ-ის ოჯახის გამოსახ-ლების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. წარმოდგენი-ლი ანდერძით ნათლად ჩანს, რომ გ. რ-ს მამამ უანდერძა მხო-ლოდ საცხოვრებელი სახლის ნახევარი და არა მთელი სახლი. ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ 2005 წლის 5 ივნისით დათარიღებული ანდერძი ვ. კ-ის მიერ არის დაწერილი. ვ. კ-ი გარდაიცვალა 2010 წლის 27 ივლისს, მანამდე შვილებთან ჰქონდა ურთიერთობა და მსგავსი საკითხი არ წამოჭრილა.

6. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ვერ ადასტურებს

ვერც ერთ გარემოებას, რომელიც შეიძლება მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის 5 ოქტომბრის ანდერძით ვ. კ-მა გ. რ-ს უანდერძა ქონების ნახევარი, ამის შემდგომაც მოპასუხესა და მამამისს შორის ურთიერთობა მაინც არ დაძაბულა.

7. გ. კ-ის მოსაზრებით, გაურკვეველია რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ვ. კ-ი ანდერძზე ხელმოწერის დროს, ვისი კარნახით იყო შეადგინა ანდერძი, განიცდიდა თუ არა ზენოლას, რადგან თვითონ მოსარჩელე აღიარებს, რომ 10 წელი მამა მასთან ცხოვრობდა და სხვასთან არ ჰქონია ურთიერთობა. თუ ვ. კ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა გ. კ-ის უღირს მემკვიდრედ გამოცხადება, მას აღნიშნულის განხორციელება შეეძლო 5 წლის განმავლობაში, რადგან იმყოფებოდა საღ გონებაზე. მისივე განმარტებით, გ. რ-ი ვერ ადასტურებს გ. კ-ის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს. გ. რ-მა ყველაზე ბოლოს მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად.

8. მოპასუხის მოსაზრებით, არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ გ. კ-ი სცემდა, აგინებდა და ამორალურად ექცეოდა მამას. მოპასუხემ მამას დაუთმო საცხოვრებელი სახლი, რომელიც ვ. კ-მა 1967 წელს აჩუქა. ვ. კ-ი აღნიშნული სახლიდან გაასვენეს. დაკრძალვის ხარჯებიც გაიღო გ. კ-ის ან გარდაცვლილმა შვილმა – გ. კ-მა, რომელიც ბაბუსი გვერდით დაკრძალეს. იმ დროისთვის მოსარჩელეს არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა. ამჟამად გ. რ-ი ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს დანარჩენ მემკვიდრეებს სამკვიდროს მიღებაში.

9. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილდა, ნ. კ-სა და გ. კ-ს ჩამოერთვათ კანონით მემკვიდრეობის უფლება შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 27 ივლისს ქალაქ მ-ში გარდაიცვალა ვ. კ-ი. გარდაცვალებამდე 7 წლის განმავლობაში მამკვიდრებელი ცხოვრობდა მ-ში მოსარჩელე გ. რ-ის სახლში.

12. ვ. კ-ს დარჩა სამი 1-ლი რიგის მემკვიდრე, შვილები – გ. რ-

ი, ნ. კ-ი და გ. კ-ი. მისი სამკვიდრო ქონება შეადგენს დაბა ზ-ში, თავისუფლების ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონების – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1 ნაწილს. აღნიშნული ქონების 1/2 წილის მესაკუთრეა გ. რ-ი.

13. საქმეში წარმოდგენილია 1994 წლის 5 ოქტომბერს შედგენილი სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი, რომლის შესაბამისად, ვ. კ-მა დაბა ზ-ში, თავისუფლების ქ. №...-ში მდებარე მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილი უანდერძა მის შვილ გ. რ-ს.

14. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2005 წლის 3 ივნისს შედგენილი ანდერძი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 13 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ ხელნაწერი ტექსტი და ხელმოწერა ტექსტის სახით (ვ-ი ე-ს ძე კ-ი), 2005 წლის 3 ივნისის ანდერძზე შესრულებულია ვ. კ-ის მიერ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძში გამოვლენილია ვ. კ-ის ნება. აღნიშნული ანდერძის შესაბამისად, ვ. კ-ი გამოთქვამს უკმაყოფილებას გ. და ნ. კ-ების მიმართ, არასათანადო მოპყრობის გამო, და აღნიშნულით აღიარებს უღირს მემკვიდრეებად. ასევე ანდერძის შესაბამისად, ვ. კ-ი მოსარჩელე გ. რ-ს უანდერძებს მის ქონებას.

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სამართლოს დასკვნა, რომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი არ იყო შედგენილი კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, რის საფუძველზეც მიჩნეულ იქნა ბათილ გარიგებად.

16. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სამართლოს დასკვნა ვ. კ-ის მიერ 2005 წლის 3 ივნისს შედგენილი ანდერძის ბათილობასთან დაკავშირებით და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის დანაწესზე, რომელიც შინაურული ანდერძის ფორმას განსაზღვრავს. განსახილველ შემთხვევაში, 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი წარმოადგენს შინაურული ანდერძს, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ იგი შედგენილია და ხელმოწერილია უშუალოდ მოანდერძე ვ. კ-ის მიერ. ამდენად, ანდერძი შედგენილია სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

17. სააპელაციო სამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმა არ აწესებს შინაურულ ანდერძზე მოწმეთა ხელმოწერის აუცილებლობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ანდერძზე მოწმეთა ხელმოწერების სინამ-

დვილე ვერ დადგინდა, სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად, გავლენას ვერ მოახდენს 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის ნამდვილობაზე და, შესაბამისად, ვერ იქნება მიჩნეული სადავო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძვლად.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის შეფასებისას არამართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1366-ე მუხლის მოთხოვნებზე, ვინაიდან, აღნიშნული ნორმა ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს ტექნიკური საშუალებებით (ფაქსი, კომპიუტერი და სხვ.) შედგენილი ანდერძისათვის და არა შინაურული ანდერძისათვის, კერძოდ, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით. მოცემულ ნორმაში იგულისხმება ორი მოწმის დასწრების ვალდებულება ტექნიკური საშუალებებით ანდერძის გადმოცემისა და მოანდერძის მიერ ხელმოწერის დროს. 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი არ არის შედგენილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული შინაურული ანდერძი, კერძოდ, უდავოა, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილია მოანდერძის მიერ. აღნიშნული ნორმით გარანტირებულია პირის უფლება, საკუთარი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად, განკარგოს ქონება და საამისოდ გამოავლინოს ნება. ანდერძი სწორედ ამგვარი თავისუფალი ნების გამოვლენი განკარგულებაა. ანდერძი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა სრული იურიდიული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსის მიერ დადასტურებული არ არის.

19. სამოქალაქო კოდექსის 1365-ე მუხლის თანახმად, შინაურული ანდერძი, როგორც წესი, ინახება მოანდერძესთან და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომა უკავშირდება მის გარდაცვალებას. მოანდერძეს შეუძლია და არ არის ვალდებული

ლი, რომ ანდერძი შესანახად გადასცეს ნოტარიუსს, რომლის მიზანია იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რაც უკავშირდება ანდერძის დაკარგვას, დოკუმენტის გაფუჭებას და ა.შ.

20. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. კ-ის მიერ 1994 წელს შედგენილია სანოტარო წესით დამონმებული ანდერძი, რომლის თანახმადაც მოანდერძე თავისი კუთვნილი ქონებიდან საცხოვრებელი სახლის S ნილს, (მდებარე, დაბა ზ-ი, თავისუფლების ქ. №..) უანდერძებს მის შვილ გ. რ-ს.

21. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არსებობს ვ. კ-ის მიერ შედგენილი ორი ანდერძი – 1994 წელს სანოტარო წესით დამონმებული და 2005 წელს შედგენილი შინაურული ანდერძი. ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე გ. რ-ი. ამასთან, 2005 წლის შინაურული ანდერძით მოანდერძე სხვა მემკვიდრეებს მოიხსენიებს უღირს მემკვიდრეებად. 1-ლი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლზე მითითებით, უპირატესობა მიანიჭა სანოტარო წესით შედგენილ ანდერძს და აღნიშნული გარემოება მიჩნეული იქნა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად.

22. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა საქმის განმხილველი სასამართლოს ზემოაღნიშნულ შეფასებას და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არასწორად იქნა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის მოთხოვნები.

23. სამოქალაქო კოდექსის 1400-ე, 1401-ე მუხლების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის დანაწესი სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძის სხვა ფორმით შედგენილ ანდერძთან მიმართებით უპირატესობას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ფორმით შედგენილი ანდერძი აუქმებს ან ცვლის ნოტარიულად დადასტურებული ანდერძის შინაარსს.

24. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე გ. რ-ი. ამასთან, 2005 წლის შინაურულ ანდერძში დამატებით გამოვლენილია მამკვიდრებლის ნება ნ. კ-ისა და გ. კ-ი უღირს მემკვიდრეებად აღიარების შესახებ, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ ეწინააღმდეგება და არ ცვლის 1994 წელს სანოტარო წესით დამონმებული ანდერძის შინაარსს, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის მოთხოვნებზე მითითება ვერ გამოდგება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად.

25. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 3 ივნისის შინაურულ ანდერძში გამოხატული ნების ნამდვილობის საწინააღმდეგო გარემოებები საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

26. რაც შეეხება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს მოანდერძის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა მ-ის საავადმყოფოს ექიმ-ფსიქიატრ ა.გ-ის მიერ 1998 წლის 17 ივნისს გაცემულ №.. ცნობაზე და მიიჩნია, რომ ცნობა შეიცავს მონაცემებს პიროვნების (მოანდერძის) ისეთი უნარების შესახებ როგორცაა „მეტყველება – გასაგები, ორიენტირებული ადგილში, დროში და სიტუაციაში; ალქმა – საგნობრივი სწორი; მეხსიერება – ახალი მასალის ათვისების უნარი ნორმის ფარგლებში; აზროვნება – სალი, ინტელექტი – ნორმის ფარგლებში“, ამდენად, ამ ვითარებაში მხოლოდ მეხსიერების შენახვის კოეფიციენტის დაქვეითება არ შეიძლება, განხილულ იქნას გარემოებად, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობაზე.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ მხარე ხდის სადავოდ მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხს, შესაბამისად, აღნიშნული მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ უტყუარად ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2005 წლის ანდერძში მოანდერძის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილი არ არის.

28. სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეებად მოწვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურ-



ვილის საინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი დადასტურებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოპასუხეების მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები მოპასუხეთა უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე დადასტურებული არ არის.

29. სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებელს უფლება აქვს, ანდერძის პირდაპირი მითითებით მემკვიდრეობა ჩამოართვას კანონით მემკვიდრეებს, რის გამოც ეს პირები სამკვიდროს ვერ მიიღებენ ვერც კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე და ვერც ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

30. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას, ამასთან, ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტ ტექსტთან მჭიდრო კავშირში.

31. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძში მონადერძის მიერ გამოვლენილი ნება, სადაც ის მოპასუხეებს მოიხსენიებს უღირს მემკვიდრეებად, უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მონადერძეს სურდა ნ. კ-ისა და გ. კ-ისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

32. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, ასევე, 2005 წლის ანდერძში მონადერძის მიერ გამოვლენილი ნების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა მოპასუხეებისათვის კანონით მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ. მოსარჩელის მოთხოვნაა მოპასუხეების აღიარება უღირს მემკვიდრეებად, რომლის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოპასუხეებისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. შესაბამისად, მათთვის მითითებული უფლების ჩამორთმევა არ სცილდება მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლებს.

33. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. კ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით:

34. კასატორის მითითებით, 2015 წლის 15 მაისს მომხსენებელმა მოსამართლე ნატალია ნაზლაიძემ დაასრულა საქმის ზეპირი განხილვა, სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში გა-

დანყვეტილები გამოსატანად, ხოლო დაბრუნების შემდეგ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება საქმის სირთულის გამო, რაც უნდა განეხორციელებინა სხდომის დასრულებისთანავე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით დადგენილი დანაწესი.

35. მხარის მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის 5 ოქტომბრის ანდერძით ვ. კ-მა გ. რ-ს უანდერძა ქონების ნახევარი, ამის შემდგომაც მოპასუხესა და მამამის შორის ურთიერთობა არ დაძაბულა.

36. გ. კ-ის მოსაზრებით, გაურკვეველია რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ვ. კ-ი ანდერძზე ხელმოწერის დროს, ვისი კარნახით იყო შეადგინა ანდერძი, განიცდიდა თუ არა ზეწოლას, რადგან თვითონ მოსარჩელე აღიარებს, რომ 7 წელი მამა მასთან ცხოვრობდა და სხვასთან არ ჰქონია ურთიერთობა. თუ ვ. კ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა გ. კ-ის უღირს მემკვიდრედ გამოცხადება, მას აღნიშნულის განხორციელება შეეძლო 5 წლის განმავლობაში, რადგან იმყოფებოდა საღ გონებაზე.

37. კასატორმა აღნიშნა, რომ არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, გ. კ-ის მხრიდან მამის ცემა, გინება და ამორალური ქცევა. მეტიც, კასატორმა მამას დაუთმო თავისი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ვ. კ-მა 1967 წელს აჩუქა. ვ. კ-ი აღნიშნული სახლიდან გაასვენეს. დაკრძალვის ხარჯებიც გაიღო გ. კ-ის ან გარდაცვლილმა შვილმა – გ. კ-მა, რომელიც ბაბუის გვერდით დაკრძალეს. იმ დროისთვის მოსარჩელეს არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა.

38. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. კ-მაც და მოითხოვა მისი გაუქმება.

39. მხარემ, გ. კ-ის მსგავსად მიიჩნია, რომ მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის ფაქტობრივ წინაპირობებზე მოსარჩელეს არ მიუთითებია.

40. არც ერთი მტკიცებულებითა თუ მონმის ჩვენებით არ დასტურდება, რომ ნ. და გ. კ-ები მამას სცემდნენ, აგინებდნენ და ამორალურად ექცეოდნენ. გ. კ-ი-რი ყველანაირად ხელს უშლიდა 5 წლის განმავლობაში დებს, რომ მათ კანონიერად მიეღოთ ქონებიდან თავისი წილი.

41. ვ. კ-მა 1994 წლის 5 ოქტომბერს სანოტარო წესით დამტკიცებული ანდერძით სადავო საცხოვრებელი სახლის S ნაწილი უანდერძა გ. რ-ს. მან აღნიშნული ანდერძით ნოტარიუსს მოსთხოვა ანდერძისმიერი სამკვიდროს მონმობის გაცემა, რასაც თვით გ. რ-ი უარყოფს. მან ახსნა-განმარტების დროს სასამარ-

თლოში განმარტა, რომ 1994 წლის 5 ოქტომბრის ანდერძით არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის, არადა საქმეზე დართული მტკიცებულებების გამოკვლევის დროს საქმეში არსებობს ნოტარიუსის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ ანდერძის საფუძველზე მოითხოვა ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილის გაცემა, მას ნოტარიუსისათვის სხვა ანდერძი არ წარუდგენია (მათ შორის უღირს მემკვიდრეებად ცნობის შესახებ).

42. სამოქალაქო კოდექსის 1364-ე, 1365-ე, 1366-ე მუხლების დარღვევით 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის ხელმოწერას მონაწილეები არ ესწრებოდნენ. მეტიც ანდერძზე შემდგომშია სხვა ფერის კალმით მოწერილი, რომ „მონაწილეები“ ესწრებოდნენ. ამ საკითხზე ექსპერტიზის დასკვნაში არც მსჯელობა და არც რა თქმა უნდა კითხვა არ დასმულა, რათა ექსპერტს პასუხი გაეცა, თუ როდის არის ჩანაწერი მიმატებული.

43. კასატორის მითითებით, მოსარჩელემ სასამართლო პროცესზე ვერც მონაწილეები წარადგინა იმის დასტურად, რომ მითითებული მონაწილეები ესწრებოდნენ ანდერძის დაწერას. გ. რ-მა მთელი სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტებები მისცა ანდერძის დაწერასა და მონაწილეების თაობაზე. მხოლოდ და მხოლოდ ძირითად სხდომაზე განაცხადა, რომ ამ ანდერძის დაწერას მისი შვილიც ესწრებოდა, თუმცა არც მისი შვილის ხელმოწერაა ანდერძზე. კასატორმა მოითხოვა იმ მონაწილეების დაკითხვა, რომლებიც ესწრებოდნენ ანდერძის დაწერას, რომ მოსარჩელემ არ წარმოადგინა პროცესზე, იმ მოტივით რომ ისინი არ იმყოფებოდნენ საქართველოში.

44. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს წარედგინა არა ერთი მტკიცებულება ვ. კ-ის ავადმყოფობის შესახებ. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა 1998 წლის 17 ივნისის №... ცნობაზე, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ვ. კ-ს აღენიშნებოდა მეხსიერების დაქვეითება.

45. ნ. კ-ი წლების განმავლობაში თვითონ უვლის მშობლებს, ისინი ცხოვრობდნენ ერთად. მას ვ. კ-ისათვის ხელი არასდროს შეუშლია, თუნდაც ანდერძის დაწერაში და ჩუქების ხელშეკრულების შედგენაში. ვ. კ-მა ქონების ნახევარი თავისი ნებით გადასცა გ. რ-ს. ნ. კ-ს არ ჩაუდენია განზრახ დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიმართ ანდერძის დაწერის დროს.

46. მხარემ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით ზუსტად განსაზღვრულია, რა შემთხვევაში არის მემკვიდ-

რე უღირსი. მოცემულ შემთხვევაში კი სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1364-ე, 1365-ე, 1366-ე, 1345-ე, 59-ე, 68-ე მუხლების თანახმად სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით – გ. კ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით – ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ცნობილი იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. 2016 წლის 17 თებერვალს საქმეზე გაიმართა ზეპირი მოსმენა დავის მორიგებით დასრულების მიზნით. მხარეებს 2016 წლის 1-ელ მარტამდე მიეცათ შესაძლებლობა საკასაციო სასამართლოსათვის წარმოედგინათ მორიგების აქტი, თუმცა მხარეებმა მომართეს საკასაციო სასამართლოს განცხადებით, რომ მათ შორის ვერ მოხერხდა დავის მორიგებით დასრულების მიზნით შეთანხმების მიღწევა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

48. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

49. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

50. 2010 წლის 27 ივლისს ქალაქ მ-ში გარდაიცვალა ვ. კ-ი. გარდაცვალებამდე 7 წლის განმავლობაში მამკვიდრებელი ცხოვრობდა მ-ში მოსარჩელე გ. რ-ის სახლში.

51. ვ. კ-ს დარჩა სამი 1-ლი რიგის მემკვიდრე, შვილები – გ. რ-ი, ნ. კ-ი და გ. კ-ი. მისი სამკვიდრო ქონება შეადგენს დაბა ზ-ში, თავისუფლების ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონების – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილს. აღნიშნული ქონების 1/2 წილის მესაკუთრეა გ. რ-ი.

52. საქმეში წარმოდგენილია 1994 წლის 5 ოქტომბერს შედგენილი სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი, რომლის შესაბამისად, ვ. კ-მა დაბა ზ-ში, თავისუფლების ქ. №...-ში მდებარე მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილი უანდერ-

და მის შვილ გ. რ-ს.

53. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2005 წლის 3 ივნისს შედგენილი ანდერძი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 13 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ ხელნაწერი ტექსტი და ხელმოწერა ტექსტის სახით (ვ. ე-ს ძე კ-ი), 2005 წლის 3 ივნისის ანდერძზე შესრულებულია ვ. კ-ის მიერ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძში გამოვლენილია ვ. კ-ის ნება. აღნიშნული ანდერძის შესაბამისად, ვ. კ-ი გამოთქვამს უკმაყოფილებას გ. და ნ. კ-ების მიმართ, არასათანადო მოპყრობის გამო, და აღნიშნულით აღიარებს უღირს მემკვიდრეებად. ასევე, ანდერძის შესაბამისად, ვ. კ-ი მოსარჩელე გ. რ-ს უანდერძებს მის ქონებას.

54. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. კ-ის მიერ 1994 წელს შედგენილია სანოტარო წესით დამონმებული ანდერძი, რომლის თანახმადაც მოანდერძე თავისი კუთვნილი ქონებიდან საცხოვრებელი სახლის 1/2 წილს (მდებარე დაბა ზ-ში, თავისუფლების ქ. №...-ში), უანდერძებს მის შვილ გ. რ-ს. ანუ არსებობს ვ. კ-ის მიერ შედგენილი ორი ანდერძი – 1994 წელს სანოტარო წესით დამონმებული და 2005 წელს შედგენილი შინაურული ანდერძი. ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე გ. რ-ი. ამასთან, 2005 წლის შინაურული ანდერძით მოანდერძე სხვა მემკვიდრეებს მოიხსენიებს უღირს მემკვიდრეებად.

55. კასატორებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

56. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემონიშნავაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრა-

ქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

57. გ. კ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, (მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლის არსებობა), რომელმაც მოცემულ საქმეზე გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

58. ნ. კ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის ფაქტობრივი წინაპირობები მოსარჩელემ ვერ დაადასტურა.

59. კასატორების ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორებმა წარმოადგინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებუ-ლი) საკასაციო პრეტენზია.

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავოა უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლების არსებობა, რომელიც, კასატორების განმარტებით, არ გამომდინარეობს მამკვიდრებლის ანდერძიდან. შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის მომწესრიგებელი ნორმის (სკ-ის 1310-ე მუხლი) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

61. ამ თვალსაზრისით, ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ გ. რ-ის მოთხოვნა ნ. კ-ისა და გ. კ-ის უღირს მემკვიდრეებად ცნობის შესახებ ეფუძნება 2005 წლის 3 ივნისის ანდერძში გამოვლენილი ვ. კ-ის ნებას, კერძოდ, აღნიშნული ანდერძის შესაბამისად, ვ. კ-ი გამოთქვამს უკმაყოფილებას გ. და ნ. კ-ების მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო, და აღნიშნულით აღიარებს უღირს მემკვიდრეებად, რასაც კასატორები სადავოდ ხდიან. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად კი (სსკ-ის მე-4 მუხ.), სადავო

ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.).

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

63. საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს უღირს მემკვიდრედ ცნობის თავისებურებებზე:

64. სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეობად მოწვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მონდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი დადასტურებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. (სუსგ 2014 წლის 2 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-125-119-2014; სუსგ 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-347-330-2013; სუსგ 2012 წლის 25 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-786-739-2012; სუსგ 2010 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-266-251-2010;)

65. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი იყო შედგენილი კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, რის საფუძველზეც არ შეიძლება, რომ მიჩნეულ იქნეს ბათილ გარიგებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი, განსაზღვრავს შინაურული ანდერძის ფორმას. 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი წარმოადგენს შინაურულ ანდერძს, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ იგი შედგენილია და ხელმოწერილია უშუალოდ მოანდერძე ვ. კის მიერ. ამდენად, ანდერძი შედგენილია სამოქალაქო კოდექ-

სის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

66. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი არ აწესებს შინაურულ ანდერძზე მოწმეთა ხელმოწერის აუცილებლობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ანდერძზე მოწმეთა ხელმოწერების სინამდვილე ვერ დადგინდა, გავლენას ვერ მოახდენს 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის ნამდვილობაზე და, შესაბამისად, ვერ იქნება მიჩნეული სადავო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძველად.

67. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან მიმართებით, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის შეფასებისას არამართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1366-ე მუხლის მოთხოვნებზე, ვინაიდან, აღნიშნული ნორმა ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს ტექნიკური საშუალებებით (ფაქსი, კომპიუტერი და სხვ.) შედგენილი ანდერძისათვის და არა შინაურული ანდერძისათვის, კერძოდ, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით. მოცემულ ნორმაში იგულისხმება ორი მოწმის დასწრების ვალდებულება ტექნიკური საშუალებებით ანდერძის გადმოცემისა და მოანდერძის მიერ ხელმოწერის დროს.

68. 2005 წლის 3 ივნისის ანდერძი არ არის შედგენილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული შინაურული ანდერძი, კერძოდ, უდავოა, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილია მოანდერძის მიერ. აღნიშნული ნორმით გარანტირებულია პირის უფლება, საკუთარი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად, განკარგოს ქონება და საამისოდ გამოავლინოს ნება. ანდერძი სწორედ ამგვარი თავისუფალი ნების გამომვლენი განკარგულებაა. ანდერძი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა,



სრული იურიდიული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსის მიერ დადასტურებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 1365-ე მუხლის თანახმად, შინაურული ანდერძი, როგორც წესი, ინახება მოანდერძესთან და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომა უკავშირდება მის გარდაცვალებას. მოანდერძეს შეუძლია და არ არის ვალდებული, რომ ანდერძი შესანახად გადასცეს ნოტარიუსს, რომლის მიზანია იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რაც უკავშირდება ანდერძის დაკარგვას, დოკუმენტის გაფუჭებას და ა.შ. ვ. კ-ის მიერ 1994 წელს შედგენილია სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი, რომლის თანახმადაც მოანდერძე თავისი კუთვნილი ქონებიდან საცხოვრებელი სახლის 1/2 ნილს, (მდებარე დაბა ზ-ში, თავისუფლების ქ. №.-ში) უანდერძებს მის შვილს – გ. რ-ს. განსახილველ შემთხვევაში არსებობს ვ. კ-ის მიერ შედგენილი ორი ანდერძი – 1994 წელს სანოტარო წესით დამოწმებული და 2005 წელს შედგენილი შინაურული ანდერძი. ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე გ. რ-ი. ამასთან, 2005 წლის შინაურული ანდერძით მოანდერძე სხვა მემკვიდრეებს მოიხსენიებს უღირს მემკვიდრეებად.

69. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის მოთხოვნები.

70. სამოქალაქო კოდექსის 1400-ე, 1401-ე მუხლების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის დანაწესი სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძის სხვა ფორმით შედგენილ ანდერძთან მიმართებით უპირატესობას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ფორმით შედგენილი ანდერძი აუქმებს ან ცვლის ნოტარიულად დადასტურებული ანდერძის შინაარსს.

71. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ორივე ანდერძში ანდერძისმიერ მემკვიდრედ დასახელებულია მოსარჩელე გ. რ-ი. ამასთან, 2005 წლის შინაურულ ანდერძში დამატებით გამოვლენილია მამკვიდრებლის ნება ნ. კ-ისა და გ. კ-ის უღირს მემკვიდრეებად აღიარების შესახებ, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ ეწინააღმდეგება და არ ცვლის 1994 წელს სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძის შინაარსს, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის მოთხოვნებზე მითითება ვერ გამოდგება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად.

72. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ვ. კ-ის მიერ 2005 წლის 3 ივნისს შედგენილ შინაურულ ანდერძში გამოხატული ნების ნამდვილობის საწინააღმდეგო გარემოებები საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

73. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლების თანახმად, დავის სასამართლიანი და ობიექტური გადანყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე სადავოდ ხდის მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხს, შესაბამისად, აღნიშნული მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ (კასატორმა) უტყუარად ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2005 წლის ანდერძში მოანდერძის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილი არ არის.

74. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ანდერძით მემკვიდრეობას. სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის და უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს წარმოადგენს ანდერძით ან კანონით მემკვიდრე პირის მხრიდან მამკვიდრებლისათვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში განზრახ ხელის შეშლა თავისი ან მისი ახლობელი პირების მემკვიდრეობად მონვევის ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდის მიზნით, ანდა განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში მითითებული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებანი დადასტურებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებს და მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები კასატორების (მოპასუხეთა) უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე დადასტურებული არ არის.

75. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულე-

ბებს, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლის 2-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი – არასწორად განმარტა კანონი.) აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

76. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

77. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს სარჩელის დაკმაყოფილების მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს (სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნებს).

78. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე გ. რ-მა ვერ დაადასტურა გ. და ნ. კ-ების უღირს მემკვიდრეებად ცნობის საფუძველების არსებობა, ეს გარემოება წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილები-სა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

79. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებელს უფლება აქვს, ანდერძის პირდაპირი მითითებით მემკვიდრეობა ჩამოართვას კანონით მემკვიდრეებს, რის გამოც ეს პირები სამკვიდროს ვერ მიიღებენ ვერც კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე და ვერც ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1381-ე მუხლების დანაწესების გათვალისწინებით, კასატორებს შესაძლოა ჰქონდეთ მხოლოდ სავალდებულო წილის მიღების მოთხოვნის უფლება შესაბამისი წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში.

80. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-

დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

81. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს მოპასუხეების მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, გ. რ-ს ნ. კ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 300 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. გ. და ნ. კ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. რ-ს დაეკისროს ნ. კ-ის სასარგებლოდ 300 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. კანონით მემკვიდრეობა

### კანონით მემკვიდრეები და რიგითობა კანონით მემკვიდრეობისას

#### სამკვიდროს მიღება

#### ბანჩინება

№ას-186-178-2016

13 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა, სამ-  
კვიდრო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### სასარჩელო მოთხოვნა:

1. გ. გ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მონინალმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა ჯ. გ-ის (კ-ის) (შემდგომში – მამკვიდრებელი) სამკვიდრო ქონებაზე ნ-ი გ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 11 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა და სამკვიდრო ქონების – ქ.-ში, რ-ის ქ. №...-ში მდებარე №... ბინის (სკ ..) მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

##### სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ ან გარდაცვლილი მამკვიდრებელი იყო მისი ძმა, რომლის სამკვიდროს მისაღებად მიმართა ნოტარიუსს, თუმცა უარი ეთქვა დაბადების მონუმობაში არსებული შეუსაბამო ჩანაწერისა და 1-ლი რიგის მემკვიდრის – მოპასუხის არსებობის გამო, რომელზეც უკვე გაიცა სამკვიდრო მონუმობა.

3. მოსარჩელის მითითებით, მის ძმას სიცოცხლეში არასოდეს უთქვამს, რომ ჰყავდა შვილი, პირიქით, სწორედ აღნიშნული გახდა მეუღლე ბ. ი-ასთან განქორწინების მიზეზი.

4. მამკვიდრებელი გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საავადმყოფოში, სადაც მასზე მხოლოდ მოსარჩე-

ლე ზრუნავდა. გარდაცვალებამდე მამკვიდრებელმა საავად-  
მყოფოში დაწერა წერილი, რომლითაც მთელ თავის ქონებას  
უტოვებდა მოსარჩელეს. ძმის დაკრძალვასთან დაკავშირებუ-  
ლი ყველა სარიტუალო ხარჯი გასწია მოსარჩელემ, დაეუფლა  
სამკვიდრო ქონებას და ნოტარიუსს მიმართა კანონით დადგე-  
ნილ ვადაში.

5. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1-ლი რიგის მემკვიდრის არსე-  
ბობის შემთხვევაშიც მას მაინც ეკუთვნოდა წილი სამკვიდრო-  
დან, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო  
სამკვიდრო მოწმობა მიიღო კანონის მოთხოვნების შესაბამი-  
სად. ის იყო მამკვიდრებლის შვილი, რაც ცნობილი იყო მოსარ-  
ჩელისთვისაც, რომელიც მონაწილეობდა მოპასუხის ქორწილ-  
ში თავის ძმასთან, იგივე მოპასუხის მამასთან ერთად. რაც შეე-  
ხება ხელწერილს, იგი სავარაუდოდ ყალბია და შედგენილია თა-  
ვად მოსარჩელის მიერ, ვინაიდან მამკვიდრებელი, მძიმე ავად-  
მყოფობის გამო, 2014 წლის მაისიდან იმყოფებოდა რენიმაცი-  
ულ განყოფილებაში, შესაბამისად, 2014 წლის 3 ივნისს ხელწე-  
რილს ვერ დაწერდა და თავის ნებას ვერ გამოხატავდა.

#### **1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:**

7. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 ივლი-  
სის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მო-  
სარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-  
ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის განჩინებით სააპელაციო  
საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვე-  
ტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებე-  
ლი გარდაიცვალა 2014 წლის 8 ივნისს. სამკვიდრო მოიცავს ქ-  
ში, რ-ის ქ. №....-ში მდებარე №..... ბინას.

10. 1979 წლის 16 აგვისტოდან 2007 წლის 14 თებერვლამდე  
მამკვიდრებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა  
ბ. ი-ასთან.

11. მოპასუხე დაიბადა 1983 წლის 10 აგვისტოს. მისი დაბა-  
დების რეგისტრაცია განხორციელდა მამის – ან გარდაცვლილი  
მამკვიდრებლის განცხადების საფუძველზე 1983 წლის 12 აგ-  
ვისტოს.

12. 2014 წლის 1 აგვისტოს მოპასუხემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს მამის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის მოთხოვნით. 2014 წლის 11 დეკემბერს მოპასუხის სასარგებლოდ გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის საფუძველზეც სამკვიდრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად.

13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არის სამკვიდრების და. 2014 წლის 13 ივნისს მან განცხადებით მიმართა ნოტარიუსს გარდაცვლილი ძმის სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონაწილეობის გაცემის შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 1-ლი რიგის მემკვიდრეები არ არსებობენ.

14. 2015 წლის 9 იანვრის დადგენილებით ნოტარიუსმა მოსარჩელეს უარი უთხრა სამკვიდრო მონაწილეობის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ მისა და სამკვიდრების დაბადების მონაწილეობაში იყო შეუსაბამობა. ამასთან, გაირკვა, რომ არსებობს გარდაცვლილის 1-ლი რიგის მემკვიდრე, შვილი, რომლის სასარგებლოდც 2014 წლის 11 დეკემბერს სამკვიდრო მონაწილეობა უკვე გაიცა.

15. ჯ. გ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება შევიდა ნ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში და მისი გვარი შეიცვალა „გ-ზე“.

16. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ძირითადად ეფუძნება იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე არ არის სამკვიდრების ბიოლოგიური შვილი, შესაბამისად, მემკვიდრეობის 1-ლი რიგის მემკვიდრე არ ჰყოლია, მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა უნდა გაუქმდეს და მოსარჩელე ცნობილ იქნეს მთელი სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, როგორც მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე.

17. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომელთა შეუსრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებით.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას,

ხოლო მოპასუხებე კი – ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება.

19. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან გამოთხოვილი დაბადების სააქტო ჩანაწერის ასლით დგინდება, რომ დაბადების მონმობა გაცემულია სააქტო ჩანაწერის საფუძველზე და მათში მითითებული მონაცემები ურთიერთშესაბამისია, ასევე, დგინდება, რომ დაბადების რეგისტრაცია განხორციელდა მამის განცხადების საფუძველზე, დაბადებიდან რამდენიმე დღეში – 1983 წლის 12 აგვისტოს, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელსაც რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

20. 1-ლი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ ფაქტზე და მიუთითა, რომ დღეისათვის მოპასუხის დაბადების სააქტო ჩანაწერი ძალაშია და იგი სადავოდ გამხდარი არ არის.

21. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ იგი წარმოადგენს მამკვიდრებლის ანდერძისმიერ მემკვიდრეს. აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია ხელწერილი, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, წარმოადგენს მამკვიდრებლის კარნახით მის მიერ ჩაწერილ ტექსტს.

22. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს აღნიშნული საფუძველით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან დასტურდება, რომ საავადმყოფოში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში მამკვიდრებელს საუბარი აღარ შეეძლო. დადგენილია, რომ გარდაცვალებამდე მამკვიდრებელი მძიმედ ავადმყოფობდა და მოთავსებული იყო აკად. ზ. კ-ის სახელობის კლინიკა „რ-ში“. საქმეში წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დოკუმენტებით დასტურდება, რომ მამკვიდრებელს აღენიშნებოდა დიაფრაგმის დაზიანება, ელენთის დაზიანება, კუჭის ანტრალური ნაწილის წყლული სისხლდენით, მწვავე პნევმონია, არტერიული ჰიპერტენზია, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, გულის უკმარისობა და სხვა. მას ჩაუტარდა შესაბამისი კვლევა და მკურნალობა. სადავო გარემოებასთან დაკავშირებით მონმის სახით დაიკითხა ასევე ქირურგი, რომელმაც მას გაუკეთა ოპერაცია. მისი ჩვენებით ასევე დასტურდება ის ფაქტი, რომ ავადმყოფს საუბარი არ შეეძლო, შესაბამისად, საფუძველიანია 1-ლი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხელწერილი არ წარმოადგენს მამკვიდრებლის კარნახით მის მიერ ჩაწერილ ტექსტს.



23. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში 1-ლი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და მართებულად შეაფასა მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც სასამართლო მივიდა სწორ გადაწყვეტილებამდე.

24. სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 1189-ე მუხლის და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე არ წარმოადგენს მამკვიდრებლის ბიოლოგიურ შვილს და მის 1-ლი რიგის მემკვიდრედ ვერ ჩაითვლება.

25. სსკ-ის 1344-ე, 1408-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით არ დასტურდება მამკვიდრებლის ნების გამოვლენა და აღნიშნული ხელწერილი ვერ ჩაითვლება ანდერძად.

26. სსკ-ის 1306-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 1336-ე, 1337-ე, 1421-ე და 1424-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებელს დარჩა 1-ლი რიგის მემკვიდრე, შვილი მოპასუხის სახით, რომელმაც 2014 წლის 1 აგვისტოს განცხადებით მიმართა ნოტარიუსს მამის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის მოთხოვნით. 2014 წლის 11 დეკემბერს მოპასუხის სასარგებლოდ გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის საფუძველზეც მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად.

27. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებაზე მოპასუხის სასარგებლოდ 2014 წლის 11 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონაწილის ბათილობისა და სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელს სწორად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

#### **საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძველები:**

28. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი

გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

29. კასატორის განმარტებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს უნდა გამოეკვლიათ, იყო თუ არა სინამდვილეში ან გარდაცვლილი მამკვიდრებელი მოპასუხის ბიოლოგიური მამა და დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა „დნმ-ის“ გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

30. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე მამკვიდრებლის 1-ლი რიგის მემკვიდრედ არასწორად ჩათვალა და აღნიშნულის საფუძვლად მიუთითა დაბადების საექტო ჩანაწერში მამის გრაფაში მამკვიდრებლის დაფიქსირების ფაქტზე. ფაქტობრივად, იმ გარემოების შესახებ, რომ მოპასუხე მისი ბიოლოგიური შვილი არ იყო მამკვიდრებელმა შეიტყო გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, როცა ის მის სანახავადაც კი არ მისულა, თუმცა მამკვიდრებელმა თავისი მამობაზე შედავება ვერ მოასწრო გარდაცვალების გამო. მთელი ცხოვრება მას ბ. ი-ასთან ჰქონდა უკმაყოფილება, ერთმანეთს დაშორდნენ კიდეც და ბოლოს შეიტყო რომ მოპასუხე მისი შვილი არ იყო.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

32. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

33. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2014 წლის 8 ივნისს. სამკვიდრო მოიცავს ქ-ში, რ-ის ქ. №...-ში მდებარე №... ბინას.

34. 1979 წლის 16 აგვისტოდან 2007 წლის 14 თებერვლამდე მამკვიდრებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბ. ი-ასთან.

35. მოპასუხე დაიბადა 1983 წლის 10 აგვისტოს. მისი დაბადების რეგისტრაცია განხორციელდა მამის – ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის განცხადების საფუძველზე 1983 წლის 12 აგვისტოს.

36. 2014 წლის 1 აგვისტოს მოპასუხემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს მამის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის მოთხოვნით. 2014 წლის 11 დეკემბერს მოპასუხის სა-

სარგებლოდ გაიცა სამკვიდრო მონმობა, რომლის საფუძველზეც მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად.

37. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არის მამკვიდრებლის და. 2014 წლის 13 ივნისს მან განცხადებით მიმართა ნოტარიუსს გარდაცვლილი ძმის სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონმობის გაცემის შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 1-ლი რიგის მემკვიდრეები არ არსებობენ.

38. 2015 წლის 9 იანვრის დადგენილებით ნოტარიუსმა მოსარჩელეს უარი უთხრა სამკვიდრო მონმობის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ მისა და მამკვიდრებლის დაბადების მონმობებში იყო შეუსაბამობა. ამასთან, გაირკვა, რომ არსებობს გარდაცვლილის 1-ლი რიგის მემკვიდრე, შვილი, რომლის სასარგებლოდაც 2014 წლის 11 დეკემბერს სამკვიდრო მონმობა უკვე გაიცა.

39. ჯ. გ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება შევიდა ნ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში და მისი გვარი შეიცვალა „გ-ზე“.

40. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ისევე, როგორც მოსარჩელის თავდაპირველი სასარჩელო პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოპასუხე არ არის მამკვიდრებლის ბიოლოგიური შვილი, შესაბამისად, მამკვიდრებელს 1-ლი რიგის მემკვიდრე არ ჰყოლია, მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონმობა უნდა გაუქმდეს და მოსარჩელე ცნობილ იქნეს მთელი სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, როგორც მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელ-

თაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

42. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

43. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზე და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

44. მოხმობილი ნორმების ანალიზით დასტურდება, რომ სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს. დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს, ხოლო ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებულ მხარეებს ეკისრებათ. გამოჩაკლის წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულია და მოწესრიგებული.

45. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

46. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა და კასატორს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების უარსაყოფად, რომ სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან გამოთხოვილი მოპასუხის დაბადების სააქტო ჩანაწერის ასლის შესაბამისად, დაბადების რეგისტრაცია განხორციელდა მამის განცხადების საფუძველზე, დაბადებიდან რამდენიმე დღეში – 1983 წლის 12 აგვისტოს.

47. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გაამახვილეს ყურადღება, რომ დღეისათვის მოპასუხის დაბადების სააქტო ჩანაწერი ძალაშია და იგი სადავოდ არ გამხდარა.

სწორედ აღნიშნული საფუძვლით მოსარჩელეს უარი ეთქვა გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებაზე. ფაქტობრივად, მხარემ მისთვის სასურველი გარემოების დადასტურების კანონით დადგენილი სამართლებრივი საშუალებები არ გამოიყენა და მოპასუხის დაბადების სააქტო ჩანაწერი სათანადო წესით არ გაასაჩივრა.

48. ამასთან, დაბადების მონმოზა გაცემულია სააქტო ჩანაწერის საფუძველზე და მათში მითითებული მონაცემები ურთიერთშესაბამისია. სადავო ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულების ზემოთ მოხმობილი წესით გადანაწილებისას საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელსაც რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

49. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის არგუმენტს, რომ მამკვიდრებელმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შეიტყო, რომ მოპასუხე მისი შვილი არ იყო, რაც, კასატორის განმარტებით, უკავშირდება იმ გარემოებას, რომ მამკვიდრებლის ავადმყოფობის პერიოდში მოპასუხე მას არ აკითხავდა და არ უვლიდა.

50. უპირველესად, მხარის აღნიშნული პოზიცია რაიმე სახის მტკიცებულებით გამყარებული არ არის, თუმცა მითითებული არგუმენტის უპირობოდ გაზიარების შემთხვევაშიც, შვილის მიერ მშობლისათვის სათანადო ყურადღების გამოუჩენლობა არ წარმოადგენს მათ შორის ბიოლოგიური ნათესაური კავშირის არარსებობის დადასტურების საფუძველს.

51. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

52. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

54. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თელის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2016 წლის 9 მარტს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 1105,25 ლარის 70% – 773,675 ლარი.

55. რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საკასაციო სამართლოში „დნმ-ის“ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, საკასაციო სასამართლო მხარის ამ მოთხოვნას ვერ გაიზიარებს ვინაიდან სსკ-ის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.

56. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. გამონაკლის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც (სსკ-ის 380-ე მუხლი), თუმცა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. ცხადია, აღნიშნული წესი ვრცელდება ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვაზეც, რადგან მითითებული დოკუმენტი საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ გ. გ-ას (პირადი №.....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმ-

ლების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2016 წლის 9 მარტს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 1105,25 ლარის 70% – 773,675 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-402-379-2014

25 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობა, საკუთრების უფლების აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

პ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. გ-ისა და ნოტარიუს ქ. ხ-ის მიმართ ქ.თბილისის ნოტარიუს ქ.ხ-ის მიერ 2012 წლის 17 თებერვალს გაცემული №... სამკვიდრო მონუმობისა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.03.2012 წ. გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შესრულებული ჩანაწერის) ბათილად ცნობის, ასევე, ქ.თბილისში, ხ-ს ქ. №...-ში მდებარე №... ბინაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით პ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით პ. ა-ის სა-  
აპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 ივ-  
ლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გა-  
დაწყვეტილება, რომლითაც პ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა,  
ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ქ. ხ-ის მიერ 17.02.2012წ. ქ.  
გ-ის სახელზე გაცემული №... სამკვიდრო მონუმბა და მის სა-  
ფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი,  
ქ.თბილისში, ხ-ს ქ. №...-ში მდებარე №... ბინაზე აღიარებული  
იქნა პ. ა-ის საკუთრების უფლება შემდეგი საფუძველებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელი თ. კ-ი  
(დაბ., 11.10.1928წ.) გარდაიცვალა 2008 წლის 7 ნოემბერს;

თ. კ-ის გარდაცვალების მომენტისთვის მის სახელზე ირიც-  
ხებოდა ქ.თბილისში, ხ-ს ქ. №...-ში მდებარე №... ბინა;

ი. გ-ი იყო თ. კ-ის ბიძაშვილი (დედის ძმისშვილი), ანუ მეხუ-  
თე რიგის მემკვიდრე, რომელიც გარდაიცვალა 2011 წლის 26  
მაისს;

2011 წლის 9 დეკემბრის №... სამკვიდრო მონუმბის თანახ-  
მად, მ. გ-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდრო  
ქონება მიიღო პ. ა-იმ (მოსარჩელე), რომელიც არის მამკვიდ-  
რებლის კანონისმიერი მემკვიდრე – მეუღლე პირველი რიგის  
მემკვიდრეთა წრიდან;

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 ოქტომბრის საოქ-  
მო განჩინებით გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მა-  
სალებით დადგენილი იყო, რომ თ. კ-ის გარდაცვალებიდან ექ-  
ვსი თვის ვადაში, 2009 წლის 9 მარტს ი. გ-ის წარმომადგენელმა  
ო. კ-მა განცხადებით მიმართა ნოტარიუს ქ. ხ-ს და მოითხოვა  
გარდაცვლილის ქონებაზე სამემკვიდრეო მონუმბის გაცემა ი.  
გ-ზე, როგორც თ. კ-ის ერთადერთ კანონისმიერ მემკვიდრეზე;

ნოტარიუს ქ. ხ-ის 2009 წლის 13 მარტის წერილით განმცხა-  
დებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან  
თ. კ-ის სამკვიდროს მისაღებად განცხადება შეტანილი ჰქონდა  
პირველი რიგის მემკვიდრეს;

არ იქნა გაზიარებული ქ. გ-ის განმარტება, რომ მოცემულ  
სამართალურთიერთობაში თ. კ-ი მოქმედებდა თავისი სახელით  
და არა როგორც ი. გ-ის წარმომადგენელი. სააპელაციო სასა-  
მართლოს 2014 წლის 5 თებერვლის საოქმო განჩინებით, სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის სა-  
ფუძველზე, მართალია, არ დაკმაყოფილდა აპელანტის წარმო-  
მადგენლის შუამდგომლობა და სამოქალაქო საქმეზე მტკიცე-  
ბულების სახით მიღებულ არ იქნა ი. გ-ის მიერ თ. კ-ის სახელზე



საფრანგეთში გაცემული მინდობილობა სადავო სამკვიდროს მი-  
ღებასთან დაკავშირებით, მაგრამ თვით ო. კ-ს, ზემოთ მითითე-  
ბულ სისხლის სამართლის საქმეზე მონმის სახით დაკითხვისას,  
პირდაპირ ჰქონდა მითითებული, რომ ი. გ-ი იყო თ. კ-ის ერთა-  
დერთი მემკვიდრე, რომელიც ამ უკანასკნელის დაკრძალვიდან  
რამდენიმე დღეში გაემგზავრა პარიზში, ხოლო გარდაცვლილის  
ბინის გასაღები დაუტოვა მას. ამასთან, რადგან, ჯანმრთელო-  
ბის მდგომარეობის გამო, ი. გ-ი ვერ ახერხებდა თბილისში ჩა-  
მოსვლას სამკვიდროს გასაფორმებლად, პარიზიდან გამოუგ-  
ზავნა მინდობილობა და ყველა საჭირო საბუთი. სწორედ ამ მინ-  
დობილობის საფუძველზე მიმართა მან ნოტარიუს ქ. ხ-ს 2009  
წლის 9 მარტს. ის ფაქტი, რომ ო. კ-ი მოქმედებდა სწორედ ი. გ-  
ის მინდობილობითა და მისი სახელით, დასტურდებოდა ო. კ-ის  
2009 წლის 13 აგვისტოს განცხადებითაც, რომლის ადრესატი  
საქართველოს მთავარი პროკურორი იყო.

იმ გარემოებას, რომ მოცემულ სამართალურთიერთობებში  
ო. კ-ი მოქმედებდა, როგორც ი. გ-ის წარმომადგენელი, პალა-  
ტის შეფასებით, ადასტურებდა ან გარდაცვლილი წარმოდგე-  
ნილი პირის უფლებამონაცვლე, მისი მეუღლე, მოსარჩელე პ. ა-  
იც.

2012 წლის 17 თებერვლის №... სამკვიდრო მონმობის თანახ-  
მად, თ. კ-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდრო  
ქონება მიიღო ქ. გ-ემ, როგორც მამკვიდრებლის კანონისმიერ-  
მა მემკვიდრემ – მეუღლემ I რიგის მემკვიდრეთა წრიდან. სამ-  
კვიდრო მონმობის გაცემის საფუძველი გახდა 2005 წლის 10 ნო-  
ემბერს, ოჩამჩირის რაიონის სარ განყოფილების მიერ გაცემუ-  
ლი №მნ ... ქორწინების მონმობა. სისხლის სამართლის საქმეში  
არსებული №მნ ... სააქტო ჩანაწერით დასტურდებოდა, რომ ქ.  
გ-ე (დაბ. 29.09.1963წ.) და თ. კ-ი (დაბ. 11.10.1928წ.) რეგისტრი-  
რებულ ქორწინებაში გატარდნენ 2005 წლის 10 ნოემბერს, ოჩამ-  
ჩირის რაიონის სარ განყოფილებაში;

ქ.თბილისში, ხ-ს ქ№...-ში მდებარე უძრავი ქონება ამჟამად  
აღრიცხული იყო ქ. გ-ის სახელზე.

პ. ა-ი სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა ქ.თბილისის ნო-  
ტარიუსის ქ. ხ-ის 2012 წლის 17 თებერვლის №... სამკვიდრო მონ-  
მობის და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელე-  
ბული რეგისტრაციის ბათილად ცნობას და სადავო უძრავ ქო-  
ნებაზე მისი საკუთრების უფლების აღიარებას.

პალატის შეფასებით, სარჩელის ეს მოთხოვნა სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულ აღიარე-  
ბით მოთხოვნას წარმოადგენდა, რომლის იურიდიული ინტერე-

სი (სარჩელის მიხედვით) მდგომარეობდა პ. ა-ის სანივთო უფლების (საკუთრების უფლება) მოპოვებაში სადავო უძრავ ქონებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა და რაც ყველაზე მთავარია, აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადანყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებელი უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის. აღიარებითი მოთხოვნის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, ანუ სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს დაინტერესებულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება (მოცემულ შემთხვევაში სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა) გაუმართლებელია. იმისათვის, რომ დადასტურდეს პ. ა-ის ნამდვილი იურიდიული ინტერესი განსახილველი აღიარებითი სარჩელის მიმართ, გარდა იმისა, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სამკვიდრო მონუმობის ბათილობის საფუძვლები (სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები), საქმეზე უწინარესად დადგენილი უნდა იქნას შემდეგი:

1. ამჟამად გარდაცვლილი ი. გ-ის (პ. ა-ის გარდაცვლილი მეუღლის) და გარდაცვლილი თ. კ-ის ნათესაური კავშირის ფაქტი;
2. ან გარდაცვლილი ი. გ-ის მიერ, კანონით დადგენილი წესით, თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი.

საქმის მასალებით დასტურდებოდა და პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებლით არც მოპასუხე მხარეს გაუხდია სადავოდ ის ფაქტი, რომ ი. გ-ი იყო თ. კ-ის ბიძაშვილი (დედის ძმისშვილი), ანუ მეხუთე რიგის მემკვიდრე. რაც შეეხება ი. გ-ის მიერ, კანონით დადგენილი წესით, თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტს, როგორც აღინიშნა, თ. კ-ის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში ი. გ-ის წარმომადგენელ თ. კ-ს მიმართული ჰქონდა ნოტარიუსისთვის სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. საქმის მასალებით დასტურდებოდა ასევე სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობისა და მართვის გზითაც.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 1424-ე მუხლზე და განმარტა შემდეგი: სამკვიდროს მიღება არის ცალმხრივი გარიგება, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. უნდა არსებობდეს მემკვიდრის მი-

ერ სამკვიდროს მიღების ნება და სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებები, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას. ასეთად კი მიიჩნევა სამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში, სამკვიდრებლის კუთვნილი მოძრავი ნივთებით სარგებლობა და სხვა. სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მემკვიდრე არ ფლობს სამკვიდრებლის ნივთებს, მაგრამ მისი მოქმედებიდან დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გადასახადების გადახდაში, დამქირავებლისათვის ქირის გადახდევინებაში, თხოვებაში და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის 1320-ე და 1424-ე მუხლების მიხედვით, სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა (მოსარჩელემ) უნდა დაადასტუროს სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან (სამკვიდროს გახსნის დრო) – 2008 წლის 7 ნოემბრიდან ექვსი თვის განმავლობაში – 2009 წლის 7 მაისამდე ქონების დაუფლების ან მისი მართვის ან/და ამ ვადაში სანოტარო ორგანოსათვის სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით მიმართვის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში დასტურდებოდა ი. გ-ის მიერ სადავო სამკვიდროს მიღება, როგორც სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით, ისე ფაქტობრივი ფლობითა და მართვით.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვით მიღების ფაქტთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა შემდეგი: საქმის მასალებით ასევე დასტურდებოდა ან გარდაცვლილი ი. მ. გ-ის მიერ სამკვიდრებელ თ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში, მისი დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით დაუფლება. სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული მონმე თ. კ-ის ჩვენებით დგინდებოდა, რომ ი. გ-ი, რომლის ხარჯებითაც მოხდა, ძირითადად, თ. კ-ის დაკრძალვა, დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში გაემგზავრა პარიზში, ხოლო გარდაცვლილის ბინის გასაღები დაუტოვა მას. იმავეს ადასტურებენ სისხლის სამართლის საქმეზე მონმედ დაკითხული თ. კ-ის მეგობრები და მეზობლები. ამასთან, საქმის მასალებში წარმოდგენილი 2012 წლის 1 ივნისის №377 ბრძანებით ისიც დასტურდებოდა, რომ 2012 წლის 12 აპრილს ქ. გ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებას და მოითხოვა მისი საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა სადავო ბინაზე და ხელმყოფი პირების გამოსახლება. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის 2012 წლის 19 ოქტომბრის

№471732 ოქმის თანახმად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება აღსრულდა. შესაგებელში ქ. გ-ე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ბინას დაეუფლა პოლიციის მეშვეობით, მხოლოდ პ. ა-ის გამოსახლების შემდეგ 2012 წლის მაისი-ივნისში. ქ. გ-ის განცხადების საფუძველზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სწორედ პ. ა-ი იქნა მიჩნეული დაინტერესებულ პირად.

პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების შედეგად, დადგენილად მიიჩნია თ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მისი სამკვიდროს ი. გ-ის მიერ მიღების ფაქტი. ამ უკანასკნელის სამკვიდრო კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მიღებული ჰქონდა მოსარჩელე პ. ა-ის, რის გამოც, პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არსებობდა. ამ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ თ. კ-ი და ქ. გ-ე არ ყოფილან დაქორწინებული და სამკვიდრო მონუმობა არ იყო ნამდვილი. ამ გარემოების დასადასტურებლად, მოსარჩელე შუამდგომლობდა საქართველოს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებიდან იმ სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვაზე, რომელიც დაწყებული იყო ქ. გ-ის მიერ, თ. კ-ის ქონების დაუფლების მიზნით, ყალბი ქორწინების მონუმობის წარდგენის ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმის მასალები გამოთხოვილ იქნა სააპელაციო სამართლოს 2013 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით, რომლითაც გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის საოქმო განჩინება და მითითებულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების შედეგად, პალატამ მიიჩნია, რომ თ. კ-ი და ქ. გ-ე არ ყოფილან ქორწინებაში, რის გამოც ეს უკანასკნელი არ შეიძლებოდა, ჩათვლილიყო თ. კ-ის პირველი რიგის მემკვიდრედ. ამ კუთხით პალატამ მიუთითა საქართველოს შსს საქე-სპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2009 წლის 9 ივლისის ექსპერტიზის, ასევე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 27 დეკემბრის №027165-2... დასკვნაზე და აღნიშნა, რომ პირველი დასკვნა კატეგორიული იყო იმ საკითხში, რომ თ. კ-ის სახელით არსებული გამოსაკვლევი ხელმოწერა შესრულებუ-

ლი იყო არა თ. კ-ის, არამედ, სხვა პირის მიერ, ხოლო, მეორე დასკვნა იძლეოდა სავარაუდო პასუხს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო არა თ. კ-ის, არამედ სხვა პირის მიერ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი შემთხვევა შეესაბამებოდა ისეთ ორმხრივ გარიგებას, რომელზეც არ დასტურდება ერთ-ერთი კონტრაპენტის ხელმოწერა. ასეთი გარიგება ვერ ჩაითვლებოდა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების წარმომშობად, რადგან იგი, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, უცილოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, აღნიშნა შემდეგი: იმისათვის, რომ ქორწინება მიჩნეულ იქნეს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმომშობ აქტად, იგი რეგისტრირებულ უნდა იქნეს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში; ასეთი რეგისტრაციის აუცილებელი პირობაა დასაქორწინებელ პირთა ნების გამოვლენა – თანხმობა ქორწინებაზე, რომელიც გამოხატული უნდა იყოს მათი ხელმოწერებით. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა კანონით განსაზღვრული მტკიცებულება – თ. კ-ის მიერ ხელმოწერილი ქორწინების სააქტო ჩანაწერი, რაც უდავოდ დაადასტურებდა მის ნებას ქ. გ-ესთან ქორწინების შესახებ. ამასთან, საქმეში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ იძლეოდა აღნიშნულის საწინააღმდეგო დასკვნის საშუალებას. სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მონმეები (ლ. შ-ე (თ.კ-ის მეზობელი); ნ. ა-ი (ბავშვობის მეგობარი); ბ. ი-ე (ბავშვობის მეგობარი); ც. ო-ე (ნათესავი); ე. ხ-ი (ნათესავი); ც. ჯ-ი (მეზობელი); თ. კ-ი (ნათესავი); ო. კ-ი (ნათესავი)) ერთხმად ადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ ან გარდაცვლილი თ. კ-ი ქორწინებაში არ ყოფილა და იგი სიცოცხლის ბოლომდე სადავო მისამართზე ცხოვრობდა მარტო. ამასთან, მონმე ლ. შ-ის ჩვენებით, ირკვეოდა, რომ მან თ-ის გარდაცვალებამდე დაახლოებით სამი წლით ადრე გაიცნო ახალგაზრდა ქალბატონი სახელად ქ., რომელიც თ-თან ცხოვრობდა დაახლოებით ორი კვირა, თავის ქალიშვილთან ერთად. ორი კვირის შემდეგ, გაბრაზებულმა თ. კ-მა მათი ნივთები გაიტანა ბინიდან. თ. კ-ის ბავშვობის მეგობრის, ნ. ა-ის ჩვენებით პალატამ დაადგინა, რომ გარდაცვლილს ხშირად მიჰყავდა ქალები სახლში და, მიუხედავად მოხუცებულობისა, მათთან „ერთობოდა“. საქმეში არსებული, ო. კ-ის მიერ გამოძიებისთვის წარდგენილი, კალენდრის ფურცლებზე თვით თ. კ-ის მიერ გაკეთებული ჩანაწერები სრულ შესაბამისობაში იყო ამ მონმეთა ჩვენებებთან და ადასტურებდა თ. კ-ისა და ქ. გ-ის ურთი-

ერთობის დროებით ხასიათს.

სისხლის სამართლის საქმეზე მონმის სახით დაკითხული ი. ნ-იას ჩვენების თანახმად, რომელიც, ქორწინების სადავო სა-აქტო ჩანაწერის მიხედვით, წარმოადგენდა ქორწინების მონ-მეს, დგინდებოდა, რომ იგი მეგობართან – მ. ა-ასთან ერთად, 2005 წლის ნოემბერში იმყოფებოდა თბილისში, გ-ის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, აფხაზეთის საპასპორტოში, რა დროსაც მ. ა-ასთან მოვიდა ორი პირი – ქალბატონი და ბატონი. ქალბატონი იქნებოდა დაახლოებით 40 წლის ასაკამდე, ხოლო, მამაკაცი – 70 წლის ასაკამდე. ქალბატონმა მ. ა-ას სთხოვა, რომ გაჰყოლოდნენ და ყოფილიყვნენ მათი ქორწინების მონმეები. როგორც შემდგომში გაარკვიეს, ეს ქალბატონი და ბატონი აწერ-დნენ ხელს და სურდათ მონმეების ხელმონერები, რომლებიც დაადასტურებდნენ ქორწინების ფაქტს. ის და მ. დაეთანხმნენ ქორწინების რეგისტრაციას და მოაწერეს ხელი, როგორც მონ-მეებმა. მას შემდეგ მათ შორის არანაირი ურთიერთობა არ ყო-ფილა.

პალატის მტკიცებით, მითითებულ მონმეთა ჩვენებებთან სრულ შეუსაბამობაში იყო ქ. გ-ის დის, ნ. გ-ის გამოკითხვის ოქ-მში მითითებული ფაქტები მისი დისა და თ. კ-ის საქორწინო თა-ნაცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შესახებ, ასევე, იმის შესახებ, რომ ქორწინების რეგისტრაციას მასთან ერთად ესწრებოდნენ, როგორც მისი დის, ასევე, თ. კ-ის ახლობ-ლები. პალატის მოსაზრებით, ასეთ პირობებში გაუგებარია, რა-ტომ მოიწვიეს მონმეებად უცხო პირები. ამავე საფუძვლით არ იქნა გაზიარებული სისხლის სამართლის საქმეზე მონმედ და-კითხული ქ. გ-ის ახლობლის – ლ. ჭ-ის ჩვენება.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა თ. კ-ისა და ქ. გ-ის ქორწინება, ერთმანეთზე ზრუნვა, საერთო მეურნეობის წარმოება, მათ შორის ისეთი ნებაყოფლობითი კავ-შირი, რომლის მიზანი ოჯახის შექმნაა. 2006 წლის 30 ნოემბერს ქ. გ-ემ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და 2011 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით უკან არც ერთხელ არ დაბრუნებულა, არ დასწრებია თ. კ-ის დაკრძალვას, არ მიუ-ღია რაიმე მონაწილეობა მისი მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯებში, საქმის მასალებით არ დგინდებოდა მხარეთა ოჯა-ხური თანაცხოვრების დამადასტურებელი რაიმე დეტალიც კი, შესაბამისად, არ არსებობდა არც ქორწინების უმთავრესი კრი-ტერიუმის – ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარ-მოების ფაქტი. ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა სამოქალა-ქო კოდექსის 1106-ე და 1107-ე მუხლების დისპოზიციასზე და

აღნიშნა, რომ ქ. გ-ე ვერ ჩაითვლებოდა თ.კ-ის პირველი რიგის მემკვიდრედ, ხოლო სადავო სამკვიდრო მონაწილე იყო ბათილი.

სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1320-ე მუხლების, 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1306-ე, 1336-ე მუხლების თანახმად, ან გარდაცვლილ თ. კ-ს პირველი ოთხი რიგის მემკვიდრეები არ ჰყავდა, ან გარდაცვლილი ი. გ-ი კი, იყო თ. კ-ის V რიგის მემკვიდრე, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის, 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1424-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის მემკვიდრეს წარმოადგენდა ან გარდაცვლილი ი. გ-ი, რომელმაც მიიღო სამკვიდრო, ხოლო მოსარჩელე პ. ა-ი ან გარდაცვლილი ი. გ-ის მეუღლესა და მისი პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა, რომელსაც ასევე, კანონით დადგენილი წესით, მიღებული ჰქონდა ამ უკანასკნელის დანაშთი ქონება.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვინაიდან სამკვიდრო მონაწილე გაიცა იმ პირზე, რომელსაც არ გააჩნდა მემკვიდრის სტატუსი, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ნოტარიუს ქ. ხ-ის მიერ 17.02.2012 წ. ქ. გ-ის სახელზე გაცემული №... სამკვიდრო მონაწილე და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი და ქ.თბილისში, ხ-იას ქ. №...-ში მდებარე №... ბინაზე აღიარებული უნდა ყოფილიყო პ. ა-ის საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებს, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. გადაწყვეტილების გამოტანისას პალატამ დაარღვია საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების დარღვევით პალატამ დადგენილად მიიჩნია ან გარდაცვლილი ი. გ-ისა და თ. კ-ის ნათესაობის, ასევე, ი. გ-ის მიერ თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1424-ე, 1320-ე და 1423-ე მუხლები, სამკვიდროს გახსნის დროს მოქმედი „სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის“ 85-ე მუხლი, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლით განსაზღვრული წარმომადგენლობის უფლებამოსილება. საპროცესო

კოდექსის 127-ე მუხლის დარღვევით შეფასება არ მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ნოტარიუსის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, რომ მისთვის არც ი. გ-სა და არც სხვა პირს ამ უკანასკნელის სახელით არ მიუმართავს, ეს გარემოება დაადასტურა მოსარჩელის წარმომადგენელმაც. საგულისხმოა, რომ მოსარჩელეს ამ გარემოების დადასტურების მიზნით არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში არ წარმოუდგენია მინდობილობა, რაც წარმომადგენლის მეშვეობით სამკვიდროს მიღების ფაქტს დაამტკიცებდა.

პალატამ არასწორად განმარტა, რომ ი. გ-ის რწმუნებულმა ო. კ-მა მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების შესახებ, ო. კ-მა კი, აღმოაჩინა, რომ იმავე ნოტარიუსთან განცხადება ჰქონდა შეტანილი გარდაცვლილი თ. კ-ის მეუღლეს. მოსარჩელემ სარჩელს დაურთო ნოტარიუს ქ. ხ-ის 2011 წლის 2 მარტის №1/... პასუხი, 2011 წლის 24 თებერვლის განცხადებაზე, რომლის ადრესატია ო. კ-ი და არა ი. გ-ი, ხოლო სააპელაციო პალატა გადანყვეტილებაში უთითებს, თითქოს 2009 წლის 9 მარტს ი. გ-ის წარმომადგენელმა ო. კ-მა განცხადებით მიმართა ნოტარიუს ქ. ხ-ს და მოითხოვა გარდაცვლილის ქონებაზე სამემკვიდრეო მონიშნობის ვაცემა ი. გ-ზე, როგორც თ. კ-ის ერთადერთ კანონისმიერ მემკვიდრეზე. ამგვარი მტკიცებულება არც სარჩელზე და არც სააპელაციო საჩივარზე დართული არ არის, ამასთან არც სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება განცხადება, რომლითაც დადასტურდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება. სისხლის სამართლის საქმეშია მხოლოდ ნოტარიუს ქ. ხ-ის 2009 წლის 12 მარტის პასუხი განცხადებაზე, რომლის ადრესატია მოქალაქე ო. კ-ი და არა ი. გ-ი.

აპელანტმა სააპელაციო საჩივარში განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამართლის ნორმები. აპელანტის მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებაში სამოქალაქო კოდექსის მითითებულ ნორმებს საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს. დავის საგანს არ წარმოადგენს სამკვიდროს მიღების ვადები და პროცედურები, არამედ სადავო იყო თვით სამკვიდროს მიღების ფაქტი, როგორც კანონდარღვევით მიღებული.

მოსარჩელეს წარმოდგენილი სარჩელითა და თანდართული დოკუმენტებით არ დაუდასტურებია ი. გ-ის მიერ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული სამკვიდროს მიღების ფაქტი. არც შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შეუძლებლობაზე მიუთითებია, უფრო მეტიც, სარჩელში მი-



თითებული ფაქტობრივი გარემოებები არ დაუდასტურებია შესაბამისი მტკიცებულებებით, სადავოდ არ გაუხდია ნოტარიუსის ახსნა-განმარტება, სადაც მოპასუხემ განმარტა, რომ ი. გ-ს არ მიუმართავს მისთვის არც პირადად და არც წარმომადგენლის მეშვეობით, ამასთან არც ი. გ-ის მიერ გაცემული მინდობილობა ყოფილა წარდგენილი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არაობიექტურად დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები ისე, რომ არ შეისწავლა პირველ ინსტანციაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, როგორცაა: ნოტარიუსის ახსნა-განმარტება; მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ იმ ფაქტის დადასტურება, რომ ი. გ-ს თ. კ-ის სამკვიდრო არ მიუღია; მოსარჩელის აღიარება, რომ ქ. გ-ე და თ. კ-ი იცნობდნენ ერთმანეთს, ქ. გ-ე ხშირად მიდიოდა მასთან, პირადი ურთიერთობა ჰქონდა და საოჯახო საყოფაცხოვრებო საქმეებში ეხმარებოდა; მართალია, მოსარჩელემ დაამახინჯა ფაქტები, მაგრამ გვერდი ვერ აუარა იმ გარემოებას, რომ სადავო ბინაში ქ. გ-ეს მიტანილი ჰქონდა ტანსაცმელი, მზითევი, საოჯახო ნივთები, რომლებიც გ. ხ-ის გამოსახლების დროს დაიბრუნა ქ. გ-ემ; თავად მოსარჩელემ დაადასტურა ქ. გ-ისა და თ. კ-ის თანაცხოვრება და მათი ერთობლივი საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, ასევე, მათთან ერთად ქ. გ-ის შვილის ცხოვრების ფაქტი.

პალატამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არ განმარტა და არ დაასაბუთა, თუ რატომ იყენებდა აღნიშნულ ნორმას, მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი შემთხვევა შეადარა ორმხრივ გარიგებას და თავისი მოსაზრების დასტურად მოიყვანა ექსპერტის დასკვნები, რომელთაგან პირველი ჩატარებული იყო 2009 წლის ივლისში შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ. ექსპერტს კვლევისათვის წარედგინა მოქალაქე ო. კ-ის მიერ გამოძიებაში წარდგენილი დოკუმენტები, რომლის ნამდვილობა და თ. კ-ისათვის კუთვნილება არავის დაუდგენია. ამიტომ, გამოძიების ინიციატივითა და შესაბამისი დადგენილებით, ჩატარდა განმეორებით ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და უკვე ოფიციალური ორგანოებიდან გამოთხოვილი თ. კ-ის მიერ შესრულებული ხელნაწერი დოკუმენტები შედარდა ქორწინების სააქტო ჩანაწერთან. ექსპერტის მიერ ვერ იქნა გაცემული კატეგორიული დასკვნა ხელმოწერის ნიმუშების სიმცირის გამო. თავად ექსპერტი უთითებდა, რომ წარმოდგენილი ექსპერ-

ტის დასკვნები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დოკუმენტი ყალბად მიჩნეულიყო, ხოლო სანინაალმდეგო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ქორწინების სააქტო ჩანაწერის სიყალბეს, წარმოდგენილი არ ყოფილა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით და თავადვე გამოორიცხა გადაწყვეტილებაში განვითარებული მოსაზრება. ქ. გ. ე და თ. კ-ი კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, კანონით დადგენილი წესით დარეგისტრირდნენ და კანონით დადგენილი წესითვე მიიღო ქ. გ-ემ მემკვიდრეობა. სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა იმ გარემოებას რომ ქ. გ-ის მიერ იქნა გასტუმრებული მამკვიდრებლის კრედიტორები, რაც, პირველ ინსტანციაში მოსარჩელეს სადაოდ არ გაუხდია. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალებითაც ირკვევა, რომ უძრავი ქონება დაყალბებული იყო მამკვიდრებლის კრედიტორების სასარგებლოდ და, სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის თანახმად, ქ. გ-ემ შეასრულა ფულადი ვალდებულება კრედიტორების წინაშე. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება კასატორისა და ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახის შექმნის ნება, რაც, ამავე კოდექსის 1107-ე მუხლის თანახმად, ასევე დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრატორ გ. პ-აის ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა 2005 წლის 10 ნოემბრის ქორწინების სააქტო ჩანაწერის ნამდვილობა.

სააპელაციო პალატამ, მართალია, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1106-ე და 1107-ე მუხლები, თუმცა არასწორი შეფასება მისცა ქორწინებისას გამოვლენილ ნებას, რომელიც დადასტურებულია ქორწინების სააქტო ჩანაწერით, ეს ჩანაწერი კი, დამონდა და რეგისტრაციაში გატარდა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრატორ გ. პ-აიას მიერ. ქორწინების ნამდვილობა დაადასტურეს ასევე მოწმეებმა: ი. ნ-იამ და მ. ა-მ ქორწინების აქტზე ხელმოწერით. გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით კი, შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე და 21-ე მუხლების მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მი-

თითებული იურიდიული ინტერესი უნდა ყოფილიყო ნამდვილი და მიღწევადი. კონკრეტულ საქმეზე პ. ა-ის იურიდიული ინტერესი არ დადგენილა, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ი. გ-მა რაიმე ფორმით გამოხატა სამემკვიდრეო უფლების რეალიზების ინტერესი, რაც მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ნოტარიუსმა განმარტა, რომ ი. გ-ს ნოტარიუსისათვის არც პირადად და არც წარმომადგენლის მეშვეობით არ მიუმართავს, ამასთანავე, საქმეში არ მოიპოვება არც ფაქტობრივი მფლობელობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, პალატამ გადაწყვეტილება დაამყარა იმგვარ მტკიცებულებებზე, რომლებიც საქმეში არაა წარმოდგენილი და სასამართლოს არ გამოუკვლევია. სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ო. კ-ი მოქმედებდა ი. გ-ის მინდობილობითა და მისი სახელით, არ ემყარება საქმეში არსებულ დოკუმენტს. აღნიშნულით პალატამ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 5 თებერვლის საოქმო განჩინებით მართებულად არ მიიღო აპელანტის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებები, თუმცა განჩინებაში არასწორად აღნიშნა: „ქ. ხ-ის სახელზე შედგენილი ო. კ-ის განცხადება, მინდობილობა და ნოტარიუსის პასუხი, დათარიღებული 2009 წლის 12 მარტით“. პალატას არ ჰქონდა უფლება ემსჯელა ამ დოკუმენტების დასახელებაზე, რადგანაც მას თავად მტკიცებულებები არ შეუფასებია. შესაბამისად, კასატორმა მოითხოვა განჩინებაში ციტირებული ზემოაღნიშნული ფრაზის შეცვლა, ამასთანავე, საკასაციო საჩივარს დაურთო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი პასუხი და იშუამდგომლა მისი, როგორც საპატიო მიზეზით მოგვიანებით წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულების შეფასების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და თვლის, რომ ქ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთანავე, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ან გარდაცვლილი ი. გ-ს მიღებული ჰქონდა თ. კ-ის სამკვიდრო, რაც საფუძვლიანს ხდიდა აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესს. გარდა აღნიშნულისა, ქ. გ-ე სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის დასკვნას ქორწინების სააქტო ჩანაწერზე თ. კ-ის ხელმოწერასთან დაკავშირებით.

კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ქ.თბილისის ნოტარიუს ქ. ხ-ის მიერ 2012 წლის 17 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მონუმობისა და მის შესაბამისად საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა; ქ.თბილისში, ხ-იას ქ. №...-ში მდებარე №... ბინაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება;

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მართებულად გააკეთა აქცენტი პირველ რიგში იმ საკითხზე, დგინდებოდა თუ არა მოსარჩელის მეუღლის (ი. გ-ი) მიერ თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი. ამ კუთხით სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ პ. ა-ი წარმოადგენს ან გარდაცვლილი ი. გ-ის უფლებამონაცვლეს. ი. გ-ი გარდაცვლილი თ. კ-ის მე-5 რიგის მემკვიდრეა. სხვა წინა რიგის მემკვიდრე თ. კ-ს არ ჰყოლია. მოსარჩელეს სამკვიდრო მონუმობის მიღებაზე უარი ნოტარიუსმა იმ საფუძველით განუცხადა, რომ ნოტარიუსისათვის ასევე მიმართული ჰქონდა მამკვიდრების პირველი რიგის მემკვიდრეს, მეუღლე – ქ. გ-ეს, რაც გამო-

რიცხავდა შემდეგი რიგის მემკვიდრის სასარგებლოდ სამკვიდრო მონუმობის გაცემას. მოსარჩელის მტკიცებით, მამკვიდრებელი ქორწინებაში არ ყოფილა ქ. გ-ესთან და სამკვიდრო მონუმობის მიღებისათვის მოპასუხე ქ. გ-ის მიერ წარდგენილი ქორწინების სააქტო ჩანაწერი ყალბია;

საკასაციო პალატისათვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს არც სარჩელში და არც საქმის განსახილველად მომზადების ეტაპზე არ მიუთითებია იმ გარემოების შესახებ, რომ ი. გ-მა თ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში განახორციელა იმგვარი იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები, რაც სამკვიდროს მიღებად განიხილება, უფრო მეტიც, 2013 წლის 14 ივნისის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნის გადაწყვეტისათვის სადავო არ იყო დროულად მიმართა თუ არა ნოტარიუსს ი. გ-მა, ამ მიზნით არ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები, სარჩელის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოპასუხე ქ. გ-ის დანაშაულებრივი ქმედებით (ნოტარიუსისათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენით) შეილახა მოსარჩელის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები (იხ. 14.06.2013 წ. სხდომის ოქმი, 13:24:23 სთ.). ამავე სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ ი. გ-ის სახელით თ. კ-ის მიმართვის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არაა, ეს დოკუმენტი გვიან მოიპოვა მხარემ და საქმეს არ დაურთო, რადგანაც დროულად მიიღო თუ არა ი. გ-მა სამკვიდრო, საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვს (იხ. 14.06.2013 წ. სხდომის ოქმი, 13:07:12 სთ). გარდა ამისა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ასევე პ. ა-ის სააპელაციო საჩივარს, სადაც აპელანტი არ ეთანხმება საქალაქო სამართლოს შეფასებას სამკვიდროს მიღების თაობაზე და განმარტავს, რომ სასამართლო არასწორად მსჯელობს სამკვიდროს მიღების პროცედურებსა და ვადებზე, რაც დავის საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან მოსარჩელე სამკვიდროს მიღების ვადებს, პროცედურებს კი არ ხდის სადავოდ, არამედ, სადავოა სამკვიდროს მიღების ფაქტი, რაც კანონდარღვევით, ყალბი დოკუმენტის წარდგენით განხორციელდა.

მოსარჩელე არც ნოტარიუსის იმ განმარტებას შეედავებია, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ გარდაცვლილი თ. კ-ის სამკვიდროს მისაღებად მას მიმართა თ. კ-მა საკუთარი სახელით და არა როგორც ი. გ-ის წარმომადგენელმა (იხ. 29.05.2013 წ. სხდომის ოქმი 17:39:23; 17:41:35 სთ).

რაც შეეხება ქ. გ-ის პოზიციას, ი. გ-ის მიერ სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით, შესაგებლით მან სადავო გახადა მო-

სარჩელის მტკიცება ნოტარიუსისათვის მიმართვის თაობაზე და აღნიშნა, რომ ი. გ-ს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია, ხოლო წარმომადგენლის მეშვეობით ნოტარიუსისათვის მიმართვა არ დასტურდება, რადგანაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა, რომ ო. კ-მა ნოტარიუსს არა, როგორც ი. გ-ის წარმომადგენელმა, არამედ საკუთარი სახელით მიმართა.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მამკვიდრებელი თ. კ-ი გარდაიცვალა 2008 წლის 7 ნოემბერს და სამოქალაქო კოდექსის 1319-ე და 1320-ე მუხლების შესაბამისად, სწორედ ამ დროს გაიხსნა სამკვიდრო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება პ. ა-ის მოთხოვნის უფლება სადავო სამკვიდროზე. საქმის მასალებით დადასტურებულია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ თ. კ-ის მშობლები იყვნენ ე. გ-ი და ს.კ-ი. ე. გ-ი კი, ი. გ-ის მამის – ა. გ-ის დაა. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობისას მე-5 რიგის მემკვიდრედ მიიჩნევიან გარდაცვლილი პირის ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები. ამდენად, ი. გ-ი წარმოადგენდა თ. კ-ის მე-5 რიგის მემკვიდრეს.

საქმეში წარმოდგენილი ქორწინების მოწმობით ასევე დადასტურებულია, რომ 1959 წლის 17 ივლისიდან პ. ა-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ან გარდაცვლილ ი. გ-თან. ი. გ-ი გარდაიცვალა 2011 წლის 26 მაისს და მისი სამკვიდრო მიიღო მეუღლემ – პ. ა-მა (იხ. სამკვიდრო მოწმობა, ასევე მ., ე. ა-ი კომის ნერილობითი უარი მამის სასარგებლოდ დედის სამკვიდროს მიღებაზე, დამონმებული საფრანგეთში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის მიერ), რაც მოწმობს თ. კ-ის მეხუთე რიგის მემკვიდრის, ბიძაშვილ ი. გ-ის უფლება-მონაცვლედ მოსარჩელის მიჩნევის კანონიერებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლით განსაზღვრულია ის იურიდიული მოქმედებები, რაც, სამართლებრივად სამკვიდროს მიღებად განიხილება, კერძოდ, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდ-

რე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამასთანავე, იმისათვის, რათა მემკვიდრემ გარდაცვლილი პირის ქონებაზე საკუთრება მოიპოვოს, დაცული უნდა იყოს ამავე კოდექსის 1424-ე მუხლის წინაპირობა – სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ასეთ შემთხვევაში, პირი, რომელმაც ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნათა დაცვით განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ მიიჩნევა სამკვიდროს გახსნის დღიდან (სკ 1433-ე მუხლი).

როგორც უკვე აღინიშნა, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მისი მეუღლის მიერ თ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში სამკვიდროს მიღების ფაქტზე არ მიუთითებია, იგი თვლიდა, რომ ამ ფაქტს მოცემული დავის გადწყვეტისათვის იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და დადგინდა ცნო ან გარდაცვლილი ი. გ-ის მიერ თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანია კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლო გასცდა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს და მტკიცების საგანში შეიყვანა ის ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე არ უთითებდა, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 377-ე და 380-ე მუხლების მოთხოვნები.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ასევე კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, კერძოდ, 105.2 მუხლი თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მტკიცებულებათა გამოკვლევის ამ საპროცესო სტანდარტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, საქმეში არსებული მასალები შეაფასოს ინდივიდუალურად და ერთობლიობაში და ამ გზით დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი იმ სადავო ფაქტების ნამდვილობა, რომლებზეც მხარეები მიუთითებენ.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 ოქტომბრის საოქ-

მო განჩინებით გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ თ. კ-ის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში, 2009 წლის 9 მარტს, ი. გ-ის წარმომადგენელმა თ. კ-მა განცხადებით მიმართა ნოტარიუს ქ. ხ-ს და მოითხოვა გარდაცვლილის ქონებაზე სამემკვიდრეო მოწმობის გაცემა ი. გ-ის, როგორც თ. კ-ის ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრის სახელზე. ნოტარიუს ქ. ხ-ის 2009 წლის 13 მარტის წერილით განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან თ. კ-ის სამკვიდროს მისაღებად განცხადება შეტანილი ჰქონდა პირველი რიგის მემკვიდრეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი, ასევე სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული ქ. ხ-ის წერილობითი პასუხის თანახმად, რომელიც 2011 წლის 2 მარტითაა დათარიღებული, ნოტარიუსი მიმართავს ფიზიკურ პირ თ. კ-ს მისი 2011 წლის 24 თებერვლის №01/... განცხადების პასუხად იმგვარად, რომ ნოტარიუსი არც მოთხოვნის აღრესადაც და არც სხვა რაიმე უფლების მქონედ ი. მ. გ-ს არ მოიხსენიებს, ამასთანავე, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოიპოვება თ. კ-ის განცხადება, ასევე გამოკითხვის ოქმი, სადაც თ. კ-ი ადასტურებს, რომ მან თავად, როგორც თ. კ-ის ნათესავმა, მიმართა ნოტარიუსს, სამკვიდროს მისაღებად (იხ. სისხლის სამართლის საქმის მასალები), ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას იმის შესახებ, რომ დაუსაბუთებელი იყო ქ. გ-ის მოსაზრება თ. კ-ის მიერ საკუთარი და არა ი. გ-ის სახელით ნოტარიუსისათვის მიმართვის თაობაზე. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ 2014 წლის 5 თებერვლის საოქმო განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა და საქმეზე მტკიცებულების სახით არ იქნა მიღებული ი. გ-ის მიერ თ. კ-ის სახელზე საფრანგეთში გაცემული მინდობილობა სადავო სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა პალატა დაეყრდნო ამავე სისხლის სამართლის საქმეზე თვით თ. კ-ს მოწმის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას, რაც არასწორია, რადგანაც თ. კ-ი რწმუნებულის სტატუსით ნოტარიუსისათვის მიმართვის თაობაზე აღნიშნავს საქართველოს მთავარი პროკურორისადმი მიმართვაში, თუმცა, საქმის მასალებით იგივე თ. კ-ი ამ მტკიცებულების საწინააღმდეგოდ, უარყოფს თ. კ-ის სხვა ნათესავის (ი. მ. გ-ის) არსებობას (იხ. სისხლის სამართლის მასალები).

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას თ. კ-ის ჩვენების იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ი.



გ-ი იყო თ. კ-ის ერთადერთი მემკვიდრე, რომელიც ამ უკანასკნელის დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში გაემგზავრა პარიზში, ხოლო გარდაცვლილის ბინის გასაღები დაუტოვა მას; დაკრძალვის ხარჯები ძირითადად ი. გ-ის გაღებულია; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ი. გ-ი ვერ ახერხებდა თბილისში ჩამოსვლას სამკვიდროს გასაფორმებლად და პარიზიდან გამოუგზავნა მას მინდობილობა და ყველა საჭირო საბუთი, რის საფუძველზეც მიმართა თ. კ-მა ნოტარიუს ქ. ხ-ს 2009 წლის 9 მარტს, ეს გარემოებები მოსარჩელეს არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში არ მიუთითებია. ამასთან, როგორც მოსარჩელე საქალაქო სასამართლოში განმარტავდა, სახლის გასაღები თ. კ-ს გადაცემული ჰქონდა როგორც თ. კ-ის, ისე გ. ხ-ისა და სხვა პირებისათვის (იხ. 29.05.2013 წლის სხდომის ოქმი 17:50:33 სთ).

ზემოაღნიშნული მსჯელობა იძლევა იმ ცალსახა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ი. გ-ის მიერ თ. კ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტთან დაკავშირებით კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), უფრო მეტიც, მოსარჩელე არ მიიჩნევდა, რომ ამ ფაქტის მითითება-დადგენას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის გადაწყვეტისათვის, რაც იურიდიულ ინტერესს აცლის სხვა მოთხოვნების საფუძვლიანობის შემოწმებას. ასეც რომ არ იყოს, გასაჩივრებული ვადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში, 2008 წლის 10 დეკემბერს, ქ. გ-ემ წარმომადგენლის მეშვეობით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო სამკვიდროს გახსნის დღიდან; სამკვიდრო მოწმობის გაცემის საფუძველი გახდა ქორწინების სააქტო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ქ. გ-ე და თ. კ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2005 წლის 10 ნოემბრიდან. ქორწინება რეგისტრირებულია ოჩამჩირის რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური). 1107-ე მუხლი კი, ქორწინების ნამდვილობას უკავშირებს დასაქორწინებელ პირთა ასაკსა და მათ თანხმობას, ანუ გამოვლენილი ნების ნამდვილობას.

მოსარჩელე ქ. გ-ისა და თ. კ-ის ქორწინებას მიიჩნევს უცილოდ ბათილად იმ საფუძვლით, რომ გარდაცვლილ თ. კ-ს მეუღლეს არ ჰყოლია და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქორწინების სააქტო ჩანაწერზე არსებული ხელმოწერა არ შეიძლება მამკვიდრებელს ეკუთვნოდეს, ამასთანავე, უთითებს, რომ ქორწინების ნამდვილობას ეჭვქვეშ აყენებს ოჩამჩირის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მისი რეგისტრაციის ფაქტი.

სააპელაციო პალატამ ქორწინების არარსებობის ფაქტი დაამყარა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებსა და სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა პირთა თანაცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილი წერილობით გამოვლენილი ნების ნამდვილობას უკავშირებს დოკუმენტზე ხელმოწერის არსებობის ფაქტს, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა. ამდენად, ჰიპოთეტური მტკიცება იმისა, რომ ხელმოწერა არ ეკუთვნის ხელმომწერ პირს ნების სადავობაზე მეტყველებს და არა მის უცილოდ ბათილობაზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქორწინების მოწმობის ბათილად ცნობა სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს, ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნებს არაანორი შეფასება მისცა, რადგანაც დასკვნებიდან (განსაკუთრებით 27.12.2011წ. დასკვნა) ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება თ.კ-ის ხელმოწერის არარსებობა, სხვა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ შეწყდებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად), რაც, მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც არ დასტურდება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი, პალატა მიიჩნევს, რომ უფლება-

მოსილია თავად გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ქორწინების მოწმობის ძალაში ყოფნის პირობებში ქ. გ-ე განიხილება მამკვიდრებელ თ. კ-ის პირველი რიგის მემკვიდრედ, რომელმაც უდავოა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით მიიღო სამკვიდრო. მოსარჩელე პ. ა-ი, წარმოადგენს თ. კ-ის მე-5 რიგის მემკვიდრის უფლებამონაცვლეს, რაც გამორიცხავს სამკვიდრო ქონებაზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლის თანახმად, წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს მის წარმომადგენს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა, რაც მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკასაციო საჩივრის გა-

მო ქ. გ-ემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 2 720 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ქ.გ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, პალატა მიიჩნევს, რომ პ. ა-ს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2 720 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. პ. ა-ის სარჩელი ქ. გ-ისა და ნოტარიუს ქ. ხ-ის მიმართ ნოტარიუს ქ. ხ-ის მიერ 2012 წლის 17 თებერვალს გაცემული №... სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის, სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობისა და ქ.თბილისში, ხ-ს ქ. №...-ში მდებარე №... ბინაზე პ. ა-ის საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. ქ. გ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი 1 (ერთი) ფურცლად.
5. პ. ა-ს (პ/№...) ქ. გ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 720 ლარის ანაზღაურება.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მიმკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

### გადანყვებითიება საქართველოს სახელით

№ას-187-174-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუური,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** მიმკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-მა სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ნ. ა-ის მიმართ და მოითხოვა 05.08.2013წ-ს გარდაცვლილ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის ქორწინების სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარება და მოპასუხისათვის 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის კანონით მიმკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 1998 წელს დაქორწინდნენ ვ. ა-ი და მოპასუხე ნ. ა-ე. ფაქტობრივად, ბოლო 11 წლის განმავლობაში ისინი ერთად აღარ ცხოვრობდნენ, სახელდობრ დაქორწინებიდან დროის მცირე მონაკვეთში მოპასუხე საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე, 05.08.2013წ-ს კი, გარდაიცვალა ვ. ა-ი, რომელსაც დარჩა ერთი 1-ლი რიგის მიმკვიდრე – დედა (მოსარჩელე მ. ა-ი). გარდაცვალების დროისათვის ვ. ა-ის საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ქ. ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინა (ს/კ:...), რომელზედაც ვ. ა-მა საკუთრების უფლება მოიპოვა პრივატიზების გზით. პრივატიზაციისას აღნიშნულ ბინაში ვ. ა-თან ერთად ჩანერილები იყვნენ დედა – მ. ა-ი და მისი შვილი – მ. ა-ი. მოპასუხე ნ. ა-ე ვ. ა-ის დაკრძალვას არ დასწრებია, იგი ასევე არ ყოფილა სამოქალაქო პანაშვიდებზე, მას არც სამგლოვიარო განცხადებები გაუზრცვლებია საინფორმაციო საშუალებებით. ვ. ა-ის გარდაცვალების შემდეგ მ. ა-მა მიმართა ნოტარიუსს სამკვიდრო მონაწილის მისაღებად, რა დროსაც ნოტარიუსისაგან შეიტყო, რომ სამკვიდროზე პრეტენზიას აცხადებდა მოპასუხეც.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში

იმყოფებოდა ვ. ა-თან. მეუღლეები წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ვ. ა-ის გარდაცვალებამდე 20 დღით ადრე ისინი ერთად იმყოფებოდნენ სტუმრად საერთო მეგობრებთან. მოპასუხემ მიუთითა, რომ ქმრის დაკრძალვას არ დასწრებია დედამთილთან ცუდი ურთიერთობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ა-ეს ჩამოერთვა კანონით მემკვიდრეობის უფლება 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის სამკვიდრო ქონებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ნ. ა-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი ვარემოება იმის თაობაზე, რომ 05.08.2013წ-ს გარდაიცვალა ვ. ა-ი, რომელიც დასაფლავებულია ქალაქ ბათუმში, ა-ების საგვარეულო სასაფლაოზე 12.07.1983წ-ს გარდაცვლილი მამის – ო. ვ.ის ძე ა-ის გვერდით.

ვ. ა-ის საკუთრებაში ირიცხება ქ.ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინაში მდებარე უძრავი ქონება, რომელზეც ვ. ა-ს საკუთრების უფლება მოპოვებული ჰქონდა 23.05.1995წ-ის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ოჯახის სხვა წევრებიც, კერძოდ: ვ. ა-ის დედა – მ. ა-ი და და – მ. ა-ი.

დადგენილია, რომ ვ. ა-ის გარდაცვალებიდან, ანუ 05.08.2013წ-დან ექვსი თვის ვადაში მოპასუხე ნ. ა-ემ ან გარდაცვლილი ვ. ა-ის დანაშთი სამკვიდროს მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა ნოტარიუს ნ. ფ-ას. ვ. ა-ის დანაშთი სამკვიდროს სრულად მიღების მოთხოვნით ნოტარიუს ნ. ფ-ას კანონით დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართა მ. ა-მაც.

10.01.1996წ-ს ვ. ა-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა მოპასუხე ნ. ა-ესთან და რეგისტრირებულია დღემდე, არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მეუღლეთა განქორწინების ან/და ქორწინების შეწყვეტის შესახებ. სააპელაციო პალატამ გამოარკვია, რომ ქორწინების რეგისტრაცია ნ. ა-ესა და

ვ. ა-ს შორის არ გაუქმებულა, აღნიშნული სურვილი მეუღლეებს არასდროს არ ჰქონიათ.

1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ნ. ა-ის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა მ. თ-მ, რ.ჯ-ამ, ნ. ჩ-ამ, მ. ჭ-ამ, ნ. -მა, მ. ხ-ემ და მ. მ-ემ დაადასტურეს, რომ მეუღლის სახლიდან წასვლის მიუხედავად, მათი ქორწინება არ შეწყვეტილა, ისინი ყოველთვის ერთ ოჯახად იყვნენ, თითქმის ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მოპასუხის როგორც წერილმანი ნივთები, ისე ავეჯის ნაწილი, წიგნები, ჭურჭელი, მაცივარი და სხვა დღესაც ვ. ა-ის ბინაშია. აღნიშნული დაადასტურეს სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის მიერ მოწვეულმა მოწმეებმაც.

სააპელაციო პალატის მითითებით, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების მიერ დაადასტურდა, რომ 2007 წელს ნ. ა-ის მამის დაკრძალვაზე ვ. ა-ი სამძიმარს იღებდა, როგორც სიძე, ამავე დაკრძალვაზე მეუღლეებისათვის სამძიმრისა და თანაგრძნობის გამოსახატად მისული იყო ვ. ა-ის და – მ. ა-ი, ბიძაშვილი – ნ. ა-ი და მათი ახლობლები. მეტიც, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა ვ. ა-ის ბიძა, რომელიც მოსარჩელეების გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა. მის დაკრძალვას დაესწრო ნ. ა-ე და ახლობლებისგან იღებდა სამძიმარს, ხოლო 2010 წელს გარდაიცვალა ბიცოლა (ბიძის მეუღლე), სადაც ნ. ა-ე ასევე მის ახლობლებთან ერთად ესწრებოდა დაკრძალვას და სამძიმარსაც იღებდა ახლობლებისგან.

ვ. ა-ი და ნ. ა-ე თავდაპირველად ცხოვრობდნენ ქ.ბათუმში, გ-ს ქუჩაზე მდებარე ნ. ა-ის საკუთრებაში რიცხულ ერთოთახიან ბინაში, რომელიც შემდგომში ნ. ა-ემ გაყიდა და ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ ქ.ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე ვ. ა-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ №27 ბინაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ვ. ა-ის დედასთან – მ. ა-თან და დასთან – მ. ა-თან ერთად, ეწეოდნენ საერთო საოჯახო საქმიანობას 2003 წლამდე. 2003 წელს ნ. ა-ე წამოვიდა ოჯახიდან, მაგრამ მას და ვ. ა-ს ერთად ცხოვრება არ შეუწყვეტიათ.

სააპელაციო პალატის მითითებით, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ნ. ა-ის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ 2003 წლის შემდეგ მოპასუხე სახლიდან წავიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ყოველთვის ერთ ოჯახად იყვნენ, ნ. ა-ის შექმნილი ავტომანქანა – სამარშრუტო ტაქსი გაქირავებული ჰქონდათ და შემოსავალს თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ვ. ა-ი იღებდა, ერთად დადიოდნენ მეგობრების დაბადების დღეებზე, დაკრძალვაზე, ისინი, რო-

გორც მეუღლეები, თითქმის ყოველ დღე იყვნენ მეგობრის – რ. ჯ-ს ბინაში, რომლის გასაღები თითქმის 30 წელია ნ. ა-ეს აქვს და სარგებლობს როგორც საკუთარით, რადგან თავად რ. ჯ-ა თბილისში ცხოვრობს და ბათუმში ბინა დაკეტილი აქვს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზეც და სააპელაციო საჩივარშიც ნ. ა-ემ კონკრეტულად მიუთითა, თუ რატომ არ მივიდა მისი გარდაცვლილი მეუღლის ოჯახში, კერძოდ, მოსარჩელემ ნ. ა-ე შეიღის სიცოცხლეში რძლად არ მიიღო, მოსარჩელის მიზეზით მოპასუხე წავიდა ოჯახიდან (და არა ვ-სგან), დედამთილის გამო, მეუღლეები ერთმანეთს ხვდებოდნენ მეგობრის ბინაში, მოსალოდნელი იყო, რომ იქ მისული ნ. ა-ისათვის დედამთილს სახალხოდ მიეყენებინა შეურაცხყოფა და, ბუნებრივია, ასეთ დედამთილთან სამძიმარის გამოსახატავად და თანაგრძნობის გასაზიარებლად არავინ მივიდოდა. ასეთივე რჩევა მისცეს მოპასუხეებს მისმა მეგობრებმაც, ამიტომ იგი სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და იმ პერიოდში ქალაქიდანაც კი წავიდა. აღნიშნულის მიუხედავად, ვ. ა-ის დაკრძალვას დაესწრნენ ნ. ა-ის ახლობლები, რითაც პატივისცემა გამოსატყეს მოპასუხის მიმართ. მითითებული ფაქტები სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს მოსარჩელის მიერ მონვეულმა მონიშვნებმაც.

სააპელაციო პალატამ მხარეთა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე განმარტა, რომ ვ. ა-ის დაკრძალვის ხარჯი მოსარჩელეს არ გაუღია, რადგან დაკრძალვის ყველა ხარჯი დაფარა საერთო მეგობარმა – მ. ზ-მა (ვ. ა-ის უახლოესმა მეგობარმა), სასაფლაო კი, ძველი იყო და მოსარჩელეს, გარდაცვლილის სურათის გარდა, ახალი არაფერი არ მიუმატებია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1320-ე მუხლებით, 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1306-ე, 1307-ე მუხლებით, 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1421-ე მუხლის მეორე ნაწილით, 1424-ე, 1433-ე მუხლებით და დაადგინა, რომ ვ. ა-ის გარდაცვალებით 2013 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა სამკვიდრო.

სამკვიდროში შედის ქ. ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინა.

ვ. ა-ის სამკვიდრო ქონების მიღების მიზნით, სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ვ. ა-ის დედამ – მ. ა-მა, ასევე – რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა ნ. ა-ემ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის კომენტარზე და აღნიშნა, რომ ნორმა ითვალისწინებს



ისეთ შემთხვევას, როცა მეუღლეები განქორწინებული არ იყვნენ, მაგრამ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მაინც ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე, და ეს მაშინ, როცა სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მემკვიდრეობის უფლება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის დროს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კანონმდებელი უშვებს ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას მაშინ, თუ მეუღლეები განქორწინებულები იყვნენ სასამართლოს წესით. ასევე მიუთითა რომ ვ. ა-ი 10.01.1996წ-ს რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა მოპასუხე ნ. ა-ესთან. იგი ასეთად არის რეგისტრირებული დღემდე, არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მეუღლეთა განქორწინების ანდა ქორწინების შეწყვეტის შესახებ. ქორწინების რეგისტრაცია ნ. ა-ესა და ვ. ა-ს შორის არ გაუქმებულა, აღნიშნული სურვილი მეუღლეებს არასდროს არ ჰქონიათ.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია კანონის მოთხოვნა, როდესაც ნ. ა-ეს ისე ჩამოართვა მემკვიდრეობა ვ. ა-ის სამკვიდროზე, რომ არ დაუდგენია, სასამართლოს წესით მეუღლეთა განქორწინების ფაქტი და ვერც დაადგენდა ასეთი გარემოების არარსებობის გამო.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის, მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლისა, ქორწინება ფაქტობრივად და სამართლებრივად არ შეწყვეტილა და ისინი ცალ-ცალკე არ ცხოვრობდნენ.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნ. ა-ის მხრიდან მონეტა ჩვენების გაზიარებით უდავოდ დგინდებოდა შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ნ. მეუღლის სახლიდან წამოვიდა, მათი ქორწინება არასდროს არ შეწყვეტილა, ისინი ყოველთვის ერთ ოჯახად იყვნენ, თითქმის ყველადღე ერთმანეთს ხვდებოდნენ, ნ-ს ნივთები დღესაც ვ-ეს ბინაში ალავია, /დანყებულები წვრილმანი საოჯახო ნივთებიდან დამთავრებული ავეჯის ნაწილით, წიგნები, ჭურჭელი, მაცივარი და სხვა საოჯახო ნივთები/, რაც სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის მიერ მოწვეულმა მონიშნულმა დადასტურეს .... ნ-ს შეძენილ ა/მანქანა – სამარშრუ-

ტო ტაქსი გაქირავებული ჰქონდათ და შემოსავალს თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ვ-ე იღებდა, ერთად დადიოდნენ მეგობრების დაბადების დღეებზე, დაკრძალვაზე, ისინი როგორც მეუღლეები თითქმის ყველადღე იყვნენ მეგობრის რ. ჯ-ას ბინაში, რომლის გასაღები თითქმის 30 წელია ნ-ს აქვს და სარგებლობს როგორც საკუთარით, რადგან თავად რ. თბილისში ცხოვრობს და ბათუმში ბინა დაკეტილი აქვს“.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „ოჯახი, როგორც სამართლებრივი კავშირი, მაშინაც ინარჩუნებს თავის სახეს, როცა პირველი გაგებით (როგორც სოციოლოგიური) იგი უკვე აღარ არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია, მეუღლეები ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ ერთად, არც ოჯახის აღდგენა შედის მათ მიზნებში, მაგრამ ვიდრე განქორწინება არ მომხდარა, სამართლებრივი კავშირი ერთმანეთთან კვლავ შენარჩუნებულია. მათ შეუძლიათ ერთმანეთს მოსთხოვონ მატერიალური დახმარება, მოითხოვონ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფა და სხვა“. (რ.შენგელია, ე.შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011,14).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ ნ. ა-ესა და ვ. ა-ს შორის ქორწინება კვლავ რეგისტრირებულია და იგი გაუქმებული არ არის. მოწმეთა ჩვენებებით კი უდავოდ დასტურდება, რომ ნ. ა-ე და ვ. ა-ი ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, როგორც ცოლ-ქმარი და მათ შორის ამგვარი ურთიერთობა ვ. ა-ის გარდაცვალებამდე არ განწყვეტილა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არ დადასტურდა ერთ-ერთი მეუღლისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის კანონით განსაზღვრული მეორე აუცილებელი გარემოება, – მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლისა, ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტა და მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ა-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკმარისად დასაბუთებული არ არის, იგი არასრულია და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მხარემ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში არასწორად განმარტა

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე და 1341-ე მუხლები, შესაბამისად, წარმოიშვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა და სამართლებრივად დაასაბუთა ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიცოცხლეში მეუღლეები განქორწინებული იყვნენ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის კომენტარების საფუძველზე არასწორად დაასაბუთა ოჯახის, როგორც სამართლებრივი კავშირის ცნება მაშინ, როდესაც, „ოჯახი“ არსებობს როგორც „საზოგადოებრივი, მცირე სოციალური უჯრედი“, შემდგარი ორი ძირითადი კომპონენტისგან – სოციალური და ბიოლოგიური ერთობისაგან, ოჯახური კავშირის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით.

კასატორის განმარტებით, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ვ. ა-ს განქორწინება არ სურდა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის ქორწინება არასდროს შეწყვეტილა და აღნიშნული დააფუძნა მხოლოდ მონინალმდეგე მხარის მიერ მოწვეულ მონმეთა ჩვენებებს, რომელთა თანახმად ვ. ა-ი და ნ. ა-ე თითქმის ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მოპასუხის საოჯახო ნივთები დღემდე ვ. ა-ის სახლში ინახება. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მიერ მოწვეული მონმეთა ჩვენებები, საიდანაც აშკარად დგინდება, რომ მეუღლეებს შორის ქორწინება შეწყდა ჯერ კიდევ 2003 წლიდან, რასაც თავად სასამართლოც იზიარებს.

მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მოპასუხის განმარტება მისი სახლიდან წასვლასთან დაკავშირებით. პალატამ არასწორად შეაფასა ის ფაქტი, რომ მეუღლის სახლიდან წამოსვლით ნ. ა-ემ უარი თქვა საოჯახო ურთიერთობაზე, გამოვიდა მეუღლესთან შექმნილი სოციალური კავშირიდან.

რაც შეეხება ვ. ა-ის სახლში დარჩენილ მოპასუხის ნივთებს, კასატორმა ჩათვალა, რომ საუბარია ნივთებზე, რომლებიც მოპასუხეს არ სჭირდებოდა, არ იყო ღირებული. ამდენად, ნ. ა-ემ მიატოვა მითითებული ნივთები (უფლების მიტოვება), მნიშვნელობა არ ჰქონდა მათი მიტოვების ადგილს, არამედ ნიშანდობ-

ლივია დრო, კერძოდ, ნ. ა-ემ თავად აღიარა ნივთების დატოვების თარიღი – 2003 წელი, ანუ სახლიდან წამოსვლის პერიოდი. სასამართლომ არასწორად დაადგინა მოცემული ნივთების დანიშნულება, მაცივარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ოჯახში, ისე – საზოგადოებრივი დანიშნულების ნებისმიერ ობიექტში, ხოლო წიგნი შეიძლება, იყოს ინფორმაციის მიღების საშუალება, მაგრამ მისი საოჯახო ბუნება ვერ დადგინდება, მით უფრო, მონინალმდევე მხარის მონმეთა ჩვენებებით.

მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ქორწინების ფაქტობრივად არსებობის კვლევის დროს არასწორად დაადგინა ის გარემოება, რომ 2007 წელს, ნ. ა-ის მამის გარდაცვალებისას ვ. ა-ი იღებდა სამძიმარს. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ნ. ა-ე და ვ. ა-ი იყვნენ თანაკურსელები, შესაბამისად, გასვენებაში თანაკურსელის (მეგობრის) მისვლა არ უნდა იქნეს ალკმული ვ. ა-ის ჭირისუფლის რანგში ყოფნად. ასევე, ნ. ა-ის ბიცოლის გასვენებაში ვ. ა-ის მისვლა არ ადასტურებს მათ შორის ფაქტობრივ ქორწინებას, ვინაიდან მოპასუხის ბიცოლასა და ვ. ა-ს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს ერთად ცხოვრება არ შეუწყვეტიათ. სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია ვ. ა-ისა და ნ. ა-ის ცხოვრება არა საზოგადოდ, რაც გამოიხატებოდა მეგობრებთან ერთად ჭირისა თუ ლხინის სუფრებზე ერთად ყოფნაში, არამედ როგორც ოჯახის წევრების, ცოლ-ქმრის თანაცხოვრება, რაც არ გამოუკვლევია.

მ. ა-მა მიუთითა, რომ ვ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ნ. ა-ეს იგი ერთხელაც არ მოუხანხულებია, არ უკითხავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არაფერი გაუკეთებია მისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და არც ფინანსურად დახმარებია მას.

კასატორის განმარტებით, რეალობას არ შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. ა-ი და ნ. ა-ე, ამ უკანასკნელის სახლიდან წამოსვლის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს მეგობრის – რ. ჯ-ს ბინაში, რომლის გასაღებსაც მოპასუხე მხარე უკვე 30 წელზე მეტია ფლობს და იყენებს. ამდენად, ნ. ა-ე მეგობრის ბინით სარგებლობს 1996 წლიდან, შესაბამისად, აღნიშნული ბინის გამოყენება არ იყო გამოწვეული დედამთილთან არარეალური კონფლიქტით. ამასთან, ნ. ა-ეს მეუღლესთან ურთიერთობის გაგრძელების სურვილი რომ ჰქონოდა მაშინ, ვ. ა-სა და ნ. ა-ეს რ. ჯ-ს ბინაში ერთ ოჯახად უნდა ეცხოვრათ,

ისინი კი აღნიშნულ ბინას იყენებდნენ მხოლოდ შეხვედრებისთვის, ისიც მეგობრების თანდასწრებით.

მოპასუხე მიუთითებდა, რომ ნ. ა-ე დედამთილთან კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მოერიდა ვ. ა-ის გასვენებაში მისვლას. კასატორმა მიიჩნია, რომ აღნიშნული არგუმენტის უარსაყოფად საკმარისია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თავად ნ. ა-ის განმარტებით, იგი დაუბრკოლებლად მიდიოდა მეუღლის ბინაში და მიჰქონდა ნივთები. შესაბამისად, მისთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. მის მიერ მოწვეულ მოწმეებსაც კი არ დაუდასტურებიათ დედამთილის მხრიდან რაიმე შეურაცხყოფის ფაქტი.

მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ არც მოსარჩელეს ვ. ა-ის დაკრძალვის ხარჯები არ გაუღია მაშინ, როდესაც ვ. ა-ი დასვენებული იყო მშობლიურ საცხოვრებელ სახლში და დაასაფლავეს საგვარეულო სასაფლაოზე, რომელსაც დღემდე პატრონობს დედა – მ. ა-ი და და – მ. ა-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით მ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 29 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის დანაშთ სამკვიდროზე ნ. ა-ის მემკვიდრეობის უფლების კანონიერება.

საკასაციო საჩივრის ძირითადი საფუძვლები (კასაციის მიზეზები) იმაში მდგომარეობს, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო, რაც წარმოშობს კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველებს.

საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის კვლევისათვის, პირველ რიგში, უნდა შემოწ-

მდეს ნ. ა-ის, როგორც 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის უფლებრივი მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

დადგენილია, რომ ვ. ა-ი და ნ. ა-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ 10.01.1996წ-ს (სააქტო ჩანაწერი №...).

05.08.2013წ-ს გარდაიცვალა ვ. ა-ი, რომელიც დასაფლავებულია ქ.ბათუმში, ა-ების საგვარეულო სასაფლაოზე 12.07.1983წ-ს გარდაცვლილი მამის – ო. ა-ის გვერდით.

დადგენილია, რომ ვ. ა-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო, რომელსაც შეადგენდა გარდაცვალების დროისათვის მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინა, რომელზედაც ვ. ა-ს საკუთრების უფლება მოპოვებული ჰქონდა 23.05.1995წ-ის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. დადგენილია ისიც, რომ პრივატიზაციის დროს ბინაში ვ. ა-თან ერთად ცხოვრობდნენ და ჩანერილები იყვნენ ვ. ა-ის დედა – მ. ა-ი (მოსარჩელე) და და – მ. ა-ი. მ. ა-ი რეგისტრირებულია და დღემდე ცხოვრობს ამავე მისამართზე.

უდავო გარემოებაა, რომ ნ. ა-ე არ ცხოვრობდა ქ.ბათუმში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინაში, რადგან იგი დაქორწინებულიდან მალევე გადავიდა საცხოვრებლად სხვა მისამართზე. უდავოა ისიც, რომ მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება დღემდე გაუქმებული არ არის.

დადგენილია, რომ ვ. ა-ის გარდაცვალებიდან ანუ, 05.08.2013წ-დან ექვსი თვის ვადაში მოპასუხე ნ. ა-ემ ან გარდაცვლილი ვ. ა-ის დანაშთი სამკვიდროს მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა ნოტარიუს ნ. ფ-ას. ვ. ა-ის დანაშთი სამკვიდროს სრულად მიღების მოთხოვნით ნოტარიუს ნ. ფ-ას კანონით დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართა მ. ა-მაც.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატი-სათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

კასატორი სადავოდ ხდის 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის დანაშთ სამკვიდროზე ნ. ა-ის მემკვიდრეობის უფლების კანონიერებას, რასაც პალატა იზიარებს და მიაჩნია, რომ მოცე-

მულ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქორწინება ოჯახის საფუძველია. მასში, პირველ ყოვლისა, ასახვას პოულობს სულიერი, ზნეობრივი, ასევე, პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება. ქორწინებისთვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით, კანონმდებელს საშუალება მიეცა შემოეთავაზებინა ქორწინების შემდგენილი განსაზღვრება: ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მყარდება კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით, წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს (სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხ.).

ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ, პირად და ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სწორედ ამიტომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია შევხვით იმ საკითხის გადაწყვეტას, რაც შეეხება ქორწინებიდან გამომდინარე მემკვიდრეობის ურთიერთობებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პირადი ქონებრივი ხასიათის უფლებას, ერთ-ერთი ან თუნდაც რამოდენიმე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება, არ ნიშნავს სხვა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებას. სწორედ ამ უფლების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რასთანაც დაკავშირებულია და რაც განსაზღვრავს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს მიღებას.

როგორც აღინიშნა კანონმდებელი ქორწინებად მიიჩნევს ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. თეორიულად, ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა იმით შემოიფარგლება, რომ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ წარმოემოხათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხ.). ამდენად, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული მიზანი, რაც მეუღლეთა მიერ ოჯახის შექმნაში უნდა გამოიხატოს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტით არ მიიღწევა. ამის კონკრეტული გამოვლინებაა ფიქციური ქორწინებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგე-

ბი. როგორც კანონმდებელი განმარტავს ქორწინების ერთ-ერთი საფუძველია „ოჯახის შექმნის მიზანი“. სწორედაც თუ ქორწინებას არ ახლავს ოჯახის შექმნის მიზანი და მისი განხორციელება, იგი ფიქტიური ურთიერთობაა. მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი დავაც სწორედ ამგვარი მიზნის არმქონე რეგისტრირებული კავშირიდან გამომდინარე უფლების შეზღუდვას შეეხება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომლის შეუსრულებლობას უკავშირდება ამავე მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით. ასევე კოდექსის 102-ე მუხლით, რომლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განხორციელდეს.

ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მოცემულია მატერიალური სამართლის ნორმებში, ეს ის ნორმებია რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებენ. საოჯახო სამართალში, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, პრეზუმფცია მოქმედებს მოპასუხის სასარგებლოდ, რაც ნიშნავს სწორედ იმას, რომ ვიდრე მოსარჩელე არ დაადასტურებს ზემოთ დასახელებული ფაქტორივი გარემოებების არსებობას, მიიჩნევა, რომ მეუღლე (ამ შემთხვევაში, ნ. ა-ე) წარმოადგენს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეს. იურიდიული თვალსაზრისით, ფაქტი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე წარმოშობს ქორწინებასთან დაკავშირებულ კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის 10.01.1996წ-ს რეგისტრირებული ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო, მოსარჩელემ მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ ნ. ა-ე არ ცხოვრობდა ქ.ბათუმ-



ში, რ-ის ქ. №41-ში მდებარე №27 ბინაში, რადგან დაქორწინებიდან დროის მცირე მონაკვეთში, ნ. ა-ე საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე. იგი დღემდე რეგისტრირებულია ქ.ბათუმში, ლ-ს ქ.№1/9, ბინა №61-62-ში, რომელიც ირიცხება მისი შვილის – ი. ა-ის სახელზე, ხოლო ვ. ა-ი მუდმივად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე დედასთან და დასთან ერთად.

05.08.2013წ-ს კი, გარდაიცვალა ვ. ა-ი და მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ვ. ა-ის დაკრძალვას რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე – ნ. ა-ე არ დასწრებია; იგი ასევე არ ყოფილა სამოქალაქო პანაშვიდებზე, მას არც სამგლოვიარო განცხადებები გაუვრცელებია საინფორმაციო საშუალებებით.

ნ. ა-ის განმარტებით, ვ. ა-ის დაკრძალვაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო მოსარჩელესთან, რომელიც წარმოადგენს ვ. ა-ის დედას, უთანხმოებით, რითაც ნ. ა-ე მოერიდა მათ შორის ურთიერთობის გამწვავებას და დაკრძალვის დროისათვის, მიზანმიმართულად გავიდა ქალაქიდან (იხ., შესაგებელი).

დადგენილია ისიც, რომ ნ. ა-ეს არც მატერიალური კუთხით მიუღია მონაწილეობა ვ. ა-ის დაკრძალვაში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში კი, ძნელი იმისი ვარაუდი, რომ ნ. ა-ე თავს მიიჩნევდა გარდაცვლილი ვ. ა-ის მეუღლედ და მათ შორის, არსებობდა ის ურთიერთობა, რასაც კანონმდებელი ოჯახის ცნების მიღმა მოიაზრებს.

ამ ვითარებაში, კი მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ნ. ა-ესა და ვ. ა-ს შორის არსებობდა ცოლ-ქმრული ურთიერთობა და იგი არ იყო მხოლოდ იურიდიული შინაარსის მქონე, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მასსა და ვ. ა-ს შორის არ იყო ფაქტობრივად შეწყვეტილი ქორწინება მიუთითა ვ. ა-ის გარდაცვალებამდე 20 დღით ადრე მეგობრებთან ერთად ყოფნის ფაქტზე. მოპასუხის მითითებული პოზიცია კი, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნების დასადასტურებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტზე, როგორც გარდაცვლილი მეუღლის დანაშთი სამკვიდროს მიღების უფლებამოსილებაზე, სააპელაციო სასამართლოს მითითებას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებას (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმე-

ბის აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

საკვანძო საკითხი მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, დამოკიდებულია სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც უკავშირდება მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას მამკვიდრებელთან ქორწინების ფაქტობრივად და არა იურიდიულად შეწყვეტის გამო.

თავის მხრივ, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის რეგულირება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლში. ნორმის დანაწესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

კანონმდებლის მიზანს ამ შემთხვევაში, წარმოადგენს იმგვარი სამართალურთიერთობის მოწესრიგება, რომლის დროსაც გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით (სკ-ის 1306-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.) და რომლის დროსაც დასაზუსტებელია კანონით მემკვიდრეთა წრე. იმ თვალსაზრისით, რომ თუნდაც, იურიდიული მიზნებისათვის, მეუღლედ რეგისტრირე-

ბული პირის ხელში არ აღმოჩნდეს მამკვიდრებლის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის (სამკვიდრო მასა) და ამით, გაუმართლებლად არ შეილახოს დანარჩენ მემკვიდრეთათვის კანონით მინიჭებული უფლებები.

საკასაციო პალატის მითითებული განმარტებიდან გამომდინარე უსაფუძვლოა საქმის სააპელაციო წესით განმხილველი სასამართლო შემადგენლობის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა დაუშვებელი იყო სასამართლოს წესით, მეუღლეთა განქორწინების ფაქტის დადგენამდე და პირიქით, ვინაიდან ნ. ა-ე და ვ. ა-ი არ იყვნენ სასამართლო წესით განქორწინებულები, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ჩამორთვა ნ. ა-ისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლება (იხ., გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი).

საკასაციო პალატისათვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების როლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, ამავე ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, განმსაზღვრელია არა ის გარემოება არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე (საკასაციო პალატის მსჯელობა შეესაბამება მოცემული კატეგორიის დავაზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას).

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ყველა ზემოთ დადგენილი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, სახეზეა ის აუცილებელი ფაქტობრივი საფუძველი, რაც საკმარისია 05.08.2013წ-ს გარდაცვლილ ვ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის ფაქტობრივად ქორწინების შეწყვეტილად მიჩნევისათვის. შესაბამისად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე არსებობს იმისი სამართლებრივი საფუძველიც, რომ ნ. ა-ეს ჩამოერთვას ფაქტობრივად შეწყვეტილ ქორწინებაში მყოფი პირისაგან მემკვიდრეობის მიღების უფლება.

სამართლებრივი წესრიგის მიზანიც ხომ იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეილახოს ვინმეს უფლება და პირიქით, სამართლებრი-

ვი საფუძვლის გარეშე არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე ან რაიმე უფლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მ. ა-ის სარჩელი ნ. ა-ისათვის 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის სამკვიდრო ქონებაზე კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განიღბებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განიღბებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. ა-ეს მ. ა-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასა და საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით, 550 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტი-

ლება;

3. მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ნ. ა-ეს ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება 05.08.2013წ-ს გარდაცვლილი ვ. ა-ის სამკვიდრო ქონებაზე;

5. ნ. ა-ეს დაეკისროს მ. ა-ის სასარგებლოდ 550 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ანდერძის ფორმა

#### ანდერძის ნამდვილობის აღიარება

##### ბანჩინება

№ას-138-130-2014

16 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ანდერძის ნამდვილობის აღიარება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

ნ. და თ. ხ-ებმა (შემდგომში – მოსარჩელები) სარჩელი აღ-ძრეს სასამართლოში თ. და გ. ხ-ების (შემდგომში – მოპასუხე-ბი) მიმართ და მოითხოვეს ნამდვილად იქნეს აღიარებული 2012 წლის 21 თებერვალს ქ.თელავში გარდაცვლილი რ. ა-ის მიერ მო-სარჩელების სასარგებლოდ 1996 წლის 21 თებერვალს გაცე-მული და ქ.თელავის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მი-ერ დადასტურებული ანდერძი.

**2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. გ. ხ-მა სარჩელი ცნო და განმარტა, რომ მას ანდერძის ნამდვილობის თაობაზე დოკუმენტის დედნის ნახვისა და რ. ჩ-ის დაკითხვის შემდეგ მოსარჩელეთა საწინააღმდეგო არგუმენ-ტები არ აქვს.

2.2. თ. ხ-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ანდერძი კა-ნონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და დადასტურებული არ არის, რის გამოც ნოტარიუსმა კანონიერად უთხრა უარი მო-სარჩელებს სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ნამდვილად იქნა აღიარებული 2012 წლის 21 თებერვალს ქ.თელავში გარდაცვლილი რ. ა-ის მიერ მოსარ-ჩელების სასარგებლოდ 1996 წლის 21 თებერვალს გაცემული და ქ.თელავის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუს რ. ჩ-ის მიერ დადასტურებული ანდერძი.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მშობლები: ე. ნ-ი და თ. ხ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1985 წლიდან და ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 1985 წლის 23 სექტემბერს – ნ. ხ-ი, ხოლო 1988 წლის 25 ოქტომბერს – თ. ხ-ი.

5.1.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2012 წლის 21 თებერვალს. მოსარჩელები მშობლების დაცილებამდე ცხოვრობდნენ ქ.თელავში, იმ დროისათვის ჯერ ლ-ის, შემდეგ კ-ას ქუჩაზე, დღეის მდგომარეობით ე. მ-ის ქუჩა №8-ში მდებარე მოპასუხეთა მამის, რ. ა-ის სახელზე რიცხულ კორპუსში.

5.1.3. მოსარჩელებმა ნოტარიუსთან წარადგინეს ანდერძი, რომლითაც მამკვიდრებელი მთელ თავის ქონებას უანდერძებდა მოსარჩელებს. ნოტარიუსის მიერ მოთხოვილ იქნა ინფორმაცია ანდერძის ძალაში ყოფნის თაობაზე.

5.1.4. 2012 წლის 21 თებერვალს ქ.თელავში გარდაცვლილი რ. ა-ის მიერ მოსარჩელების სასარგებლოდ 1996 წლის 21 თებერვალს გაცემული და ქ.თელავის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი ნოტარიუსთა პალატის არქივში არ მოიძებნა.

5.1.5. სამკვიდროს მიღების თაობაზე ნოტარიუსს განცხადებით მიმართეს მამკვიდრებლის 1-ლი რიგის მემკვიდრეებმა – მოპასუხეებმაც.

5.1.6. მოსარჩელები მოითხოვდნენ 2012 წლის 21 თებერვალს ქ.თელავში გარდაცვლილი მამკვიდრებლის მიერ მათ სასარგებლოდ 1996 წლის 21 თებერვალს გაცემული და ქ.თელავის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძის ნამდვილობის აღიარებას. აპელანტმა (მოპასუხე) სადავოდ გახადა მოთხოვნის იურიდიული ინტერესის არსებობა, რასაც სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის განმარტების

შედეგად აღნიშნა, რომ მოსარჩელები გარდაცვლილი რ. ა-ის შვილიშვილები იყვნენ, რომელთაც სადავო ანდერძით მამკვიდრებელმა დაუტოვა მთელი მისი ქონება, რომელიც აღმოჩნდებოდა სამკვიდროში მისი გარდაცვალების მომენტისათვის. აპელანტების იურიდიულ ინტერესს თელავში, კ-ას ქუჩა №8-ში მდებარე ქონება წარმოადგენდა, რომლის მოსარგებლედ იყო მამკვიდრებელი საკუთრების უფლების მოპოვებაში საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის №73 ბრძანებულების დამტკიცებული კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების მოპოვების უფლებაში მდგომარეობდა.

5.1.7. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ სადავო ანდერძი ნოტარიუსთა პალატის არქივში ვერ იქნა მოძიებული, თუმცა დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ რ. ჩ-ი თელავის რაიონის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის თანამდებობაზე დაინიშნა 1996 წლის 15 მაისიდან და მოვალეობას ასრულებდა 1996 წლის 3 ივნისამდე (თ. ფ-ის დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებამდე). სასამართლოს სხდომაზე მონმედ დაკითხულმა ყოფილმა ნოტარიუსმა დაადასტურა, რომ ანდერძი დამონმებული და შედგენილი იყო მის მიერ, გატარდა სარეგისტრაციო წიგნში, რაც შემდგომ ჩააბარა არქივში. ამასთან, სადავო ანდერძზე მამის, რ. ა-ის ხელმოწერა მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

5.1.8. არ იქნა გაზიარებული აპელანტის პრეტენზია, რომ, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებს არ წარუდგენიათ სამკვიდრო მონმობის გაცემაზე უარის თქმის დადგენილება, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ შედიოდა სასამართლოს კომპეტენციაში. პალატის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას ანდერძის ნამდვილობის აღიარება წარმოადგენდა, რომლის აღძვრის წინაპირობად ან დამაბრკოლებელ გარემოებად სამკვიდრო მონმობის გაცემაზე ნოტარიუსის მხრიდან უარის თქმის დადგენილების არარსებობა ვერ იქნებოდა მიჩნეული.



## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. კასატორის განმარტებით, ორივე სასამართლომ უგულებელყო, რომ ანდერძში მითითებული ქონების მიღების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ ნაანდერძევი ქონება აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული მოანდერძის სახელზე. თუ აღმოჩნდება, რომ ის ქონება, რომელიც მითითებულია ანდერძში, საჯარო რეესტრის ან ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული მონაცემებით არ არის მოანდერძის სახელზე, ამ შემთხვევაში, ანდერძისმიერი მემკვიდრე ვერ მიიღებს სამკვიდრო მონაწილას ანდერძში მითითებულ ქონებაზე. ანდერძის პირველ პუნქტში ნათლად ჩანს, რომ მამკვიდრებელი არ აკონკრეტებს, რა ქონება აქვს მხედველობაში, შესაბამისად, რაიმე საფუძველი იმისა, რომ ამგვარი ანდერძი დაუკავშირდეს ქ.თელავში, კ-ას ქ. №8-ში მდებარე საცხოვრებელ ბინას, არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნულ ბინაში მამკვიდრებლის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც, თ. ხ-ი თავის ოჯახთან – ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ ნ. ო-თან და საერთო შვილთან ერთად ცხოვრობს. ამდენად, ამ მისამართზე მოსარჩელეების ცხოვრების მითითება შეცდომაა, რადგან ყოფილ მეუღლესთან, ე. ნ-თან, ფაქტობრივი ქორწინების შეწყვეტისა და მათი თბილისში გადასვლის გამო, 1991 წლიდან მოსარჩელეები აღარ ცხოვრობენ, რასაც არც თავად უარყოფენ. ასეც რომ არ იყოს, სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. მეტიც, თვითონ მამკვიდრებელი ამ მისამართზე არ ცხოვრობდა 1989 წლიდან და ის ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე ქ.თელავში, ა-ის გამზირის №34-ში მდებარე კასატორის ბინაში იმყოფებოდა, საიდანაც გაასვენეს. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, მათი განხილვა-შემოწმება და სამართლებრივი შეფასება აუცილებელი იყო, მაგრამ განჩინებიდან ჩანს, რომ პალატამ უგულებელყო და არ შეაფასა ისინი.

1.6.2. ორივე ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმაზე, რომ სადავო ანდერძში მამკვიდრებლის ხელმოწერა მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ, არასწორია, რადგან ხელმოწერის დადგენა შედავებით კი არა, კალიგრაფიული ექსპერტიზით უნდა დადგინდეს. ასევე, არასწორია ორივე სასამართლოს მოტი-

ვაცია, რომ მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი, თითქოსდა ამგვარი ანდერძის აღიარებით მოსარჩელეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ყოფილა და არა სამართლის ნორმა, რომელიც კანონდარღვევით შედგენილი ანდერძის კანონიერად აღიარების უფლებას მისცემდა. სასამართლომ სხვა დარღვევის ნახვა არ მოისურვა. ის გარემოება, რომ „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 52-ე მუხლები, ნოტარიუსს იმპერატიულად ავალდებულებს ანდერძის საგანზე უფლების დამდგენი დოკუმენტით დაინტერესებასა და ტექნიკური საშუალებით შედგენილი ანდერძის წაკითხვას, პალატის მოსაზრებით, არაფერს ნიშნავს, არამედ სასამართლოს ვარაუდი ყოფილა მთავარი.

1.6.3. სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნები, რადგან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, არასწორად შეაფასა საქმის მასალები, რის გამოც განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან მოცემული დავის განხილვისას უგულებელყო ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის კანონისმიერი ვალდებულება, კერძოდ, არ გამოიწვნა უდავო და სადავო ფაქტები და ყოველგვარი შეფასების გარეშე, მთლიანად დაეყრდნო 1-ლი ინსტანციის სასამართლოს არასრულყოფილ და აშკარა ცალმხრივად, მოსარჩელეთა სასარგებლოდ გაკეთებულ, ზერელე და კანონდარღვევით ჩატარებულ მტკიცებულებათა გამოკვლევას.

1.6.4. სადავო ანდერძი ნოტარიუსს არ წაუკითხავს, რის გამოც მთლიანად ეჭვქვეშ დგება მასში გადმოცემული ნების ნამდვილობა, ორივე სასამართლომ გაიზიარა მხოლოდ დაინტერესებული მონმის (ყოფილი ნოტარიუსის) ჩვენება და უგულებელყო მტკიცებულებათა ერთობლიობით შეფასების წესი (სსკ-ის მუხლი 102-105).

1.6.5. საქმეში არსებობს კანონიერ ძალაში შესული თელავის რაიონული სასამართლოს 1978 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება №..... საქმეზე, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ მამკვიდრებელი, რ. ა-ი, სადავო ბინის მოსარგებლე იყო და არა მესაკუთრე, ასევე, არსებობს ნოტარიუსთა პალატის წერილი, რაც უტყუარად ადასტურებს, რომ რ. ჩ-ის ჩატარებული ყველა სანოტარო მოქმედება არქივშია, ხოლო სადავო ანდერძი არა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულის თაობაზე არა-

ფერია მითითებული, რაც ადასტურებს იმას, რომ ისინი შეფასების გარეშეა დატოვებული, შესაბამისად, დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

1.6.6. პალატა არსებით შეცდომას უშვებს, როდესაც სარჩელის იურიდიული ინტერესის სფეროდ თელავში, კ-ას ქუჩა №8-ში მდებარე ქონებაზე მიუთითებს, რომლის მოსარგებლეს წარმოადგენდა მამკვიდრებელი. სასამართლო უთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის №73 ბრძანებულებაზე, რაც არასწორია, რადგანაც საჩივარი მხოლოდ კასატორმა წარადგინა და, შესაბამისად, აპელანტების იურიდიული ინტერესი ვერ იარსებებს, ამასთან, 2013 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე აპელანტის დამატებითი მოსაზრება, სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებული პრაქტიკა იყო მითითებული (№ას-1115-1361-05) არ იქნა გამოკვლეული სასამართლოს მიერ. სასამართლოს არ უმსჯელია საქმეში არსებულ დოკუმენტებზე: ქირავნობის ხელშეკრულებასა და ორდერზე. სასამართლომ არ შეაფასა აპელანტის შუამდგომლობა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მესამე პირად ჩაბმის თაობაზე, ამგვარი მოქმედებით პალატამ შეგნებულად უგულვებელყო მესამე პირის ინსტიტუტი, მაშინ, როდესაც, მესამე პირთა ინსტიტუტი წარმოადგენს სუბიექტივიზმის დამკვიდრების შედეგს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პირთა „სუბიექტურ საჯარო უფლებას“ (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

1.6.7. სააპელაციო პალატამ უგულვებელყო სააპელაციო საჩივარში მითითებული და დავის გადაწყვეტისათვის აუცილებელი მატერიალური სამართლებრივი მოთხოვნები და თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე, რომელიც, მხოლოდ პროცედურულ შესაძლებლობას – აღიარებითი სარჩელის საფუძვლებს განსაზღვრავს, მაშინ, როდესაც, როგორც ყველა დავაში, ამ შემთხვევაშიც მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საფუძვლებს, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებთან.

1.6.8. ორივე სასამართლომ არასწორად განსაზღვრა კასატორის სტატუსი, რადგანაც მოპასუხე არის პირი, ვინც არღვევს მოსარჩელის კანონიერ უფლებას. იგი მოანდერძის შვილი, ანუ 1-ლი რიგის კანონიერი მემკვიდრეა. სადავო ანდერძზე არაფერი იცოდა, მისი კანონიერების შემოწმება მისი საქმე არ იყო, შესაბამისად, იგი ვერ დაარღვევდა მოსარჩელეთა უფლებებს. ანდერძი ნოტარიუს რ. ჩ-ის შედგენილია და თუ ვინმემ დაარ-

ღვია მოსარჩელეთა უფლებები, დაარღვია სწორედ მან. კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ, მიუხედავად მისი წერილობითი შუამდგომლობისა, საქმეში მოპასუხედ არ ჩართო, სადავო ანდერძის ავტორი, ნოტარიუსი რ. ჩი-ი, რომელმაც ნებსით თუ უნებლიედ, ანდერძი შეადგინა აშკარა კანონდარღვევით, ის, როგორც ნოტარიუსი, ვალდებული იყო ტექნიკური საშუალებით შედგენილი ანდერძი მამკვიდრებლისათვის წაეკითხა, მაგრამ არ წაუკითხა. ეს ანდერძის ტექსტიდან უტყუარად დასტურდება, ამიტომ მამკვიდრებლის ნებაზე საუბარი და იმის მტკიცება, რომ მან ვინმეს რაიმე უანდერძა, აშკარად არასწორია.

1.6.9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 1403-ე მუხლები, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები, რაც მოწმობს, რომ სადავო ანდერძი ბათილია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. განსახილველ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენს 1996 წლის 21 მაისს შედგენილი ანდერძის ნამდვილობის აღიარება, შესაბამისად, სარჩელის ფარგლებში უნდა შემოწმდეს როგორც მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი სასამართლოს მიერ დოკუმენტის ნამდვილობის აღიარებასთან მიმართებით, ისე სადავო ანდერძში გადმოცემული მამკვიდრებლის ცალმხრივი ნების შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნ-

და ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.3. იურიდიული ინტერესის ნამდვილობის განსაზღვრის თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

1.3.1. მოსარჩელეთა მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1985 წლიდან და ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 1985 წლის 23 სექტემბერს – ნ. ხ-ი, 1988 წლის 25 ოქტომბერს – თ. ხ-ი;

1.3.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2012 წლის 21 თებერვალს;

1.3.3. მოსარჩელებმა ნოტარიუსთან წარადგინეს ანდერძი, რომლითაც მამკვიდრებელი მთელ თავის ქონებას უანდერძებდა მოსარჩელებს. ნოტარიუსის მიერ მოთხოვილ იქნა ინფორმაცია ანდერძის ძალაში ყოფნის თაობაზე;

1.3.4. 2012 წლის 21 თებერვალს ქ.თელავში გარდაცვლილი რ. ა-ის მიერ მოსარჩელების სასარგებლოდ 1996 წლის 21 თებერვალს გაცემული და ქ.თელავის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი ნოტარიუსთა პალატის არქივში არ მოიძებნა;

1.3.5. სამკვიდროს მიღების თაობაზე ნოტარიუსს განცხადებით მიმართეს მამკვიდრებლის 1-ლი რიგის მემკვიდრეებმა – მოპასუხეებმაც.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემო-

ებების თაობაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, წინამდებარე განჩინების მიმართ ამ გარემოებებს სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

1.5. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სასამართლომ არასრულად გამოიკვლია მტკიცებულებები: საქმეში წარმოდგენილი ორდერი, ქირავნობის ხელშეკრულება და სხვა, ასევე არასწორად არ იმსჯელა სადავო ბინის დამქირავებელთა რაოდენობაზე. პალატა განმარტავს, რომ ანდერძის ნამდვილობის აღიარების შესახებ სარჩელის ფარგლებში კონკრეტული ქონების პირისათვის მიკუთვნების, წილის განსაზღვრისა და სხვა საკითხები არ განიხილება, წინამდებარე დავის საგანს მემკვიდრის უფლებადამდგენი დოკუმენტის ნამდვილობა წარმოადგენს და ამ დოკუმენტის ნამდვილობის სასამართლოს მხრიდან აღიარება გამოიწვევს უფლების მქონე პირის მოთხოვნის უფლების წარმოშობას, რაც წინამდებარე დავის ფარგლებს სცილდება, შესაბამისად, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის №73 ბრძანებულების ფარგლებში შეესწავლა და შეეფასებინა სადავო ბინაზე უფლების მქონე პირთა წრე და განესაზღვრა მათთვის წილის მიკუთვნების საკითხი, თუმცა, ის გარემოება, რომ მამკვიდრებელი ქონების დამქირავებელი და, შესაბამისად, მასზე კანონიერი უფლების მქონე სუბიექტს წარმოადგენდა, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია აღიარებითი სარჩელის ნამდვილი ინტერესის არსებობად, თავის მხრივ, სავსებით მართებულად იქნა განსაზღვრული მოპასუხეთა წრეც, რამდენადაც ანდერძის არსებობა-არარსებობის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ მოსარჩელებისა და მოპასუხეების ქონებრივ უფლებებზე გავლენის მქონე სამართლებრივი აქტი იქნება და ამ თვალსაზრისით ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად არ იხელმძღვანელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით.

1.6. რაც შეეხება თავად ანდერძის ნამდვილობის ფაქტის აღიარებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არც ამ ნაწილში წარმოუდგენია დასაშვები შედავება. პალატა განმარტავს, რომ, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ფარგლებით, თუმცა, გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მატერიალური სამართლის ნორმის გამოყენება/განმარტე-

ბის თაობაზე მხარის მითითებით, არამედ, უფლებამოსილია, შე-  
საბამისი წინაპირობების არსებობისას შეამონმოს ქვემდგომი  
სასამართლოს გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრი-  
ვი საფუძვლიანობა (სსსკ 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტე-  
ბი).

1.7. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ  
გარემოებაზე, რომ სადავო ანდერძი შედგენილია 1996 წლის 21  
თებერვალს და დამონმებულია ქ.თელავის №1 სანოტარო კან-  
ტორის ნოტარიუს რ. ჩ-ის მიერ. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე  
მუხლით განსაზღვრულია ამ კოდექსის ნორმათა დროში მოქ-  
მედების პრინციპი და მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ქცევის შემ-  
დეგ წესს: სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადა-  
კარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი  
ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტე-  
ბი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილე-  
ებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოა-  
წესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შე-  
სახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში,  
მართალია, მხარეებს 1960 წლის სამოქალაქო სამართლის კო-  
დექსის ნორმათა შესაბამისად სადავო საკითხის მონესრიგება  
არ უთხოვიათ, თუმცა, უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ წი-  
ნამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში სამემკვიდრეო ურ-  
თიერთობებიდან გამომდინარე მხარეთა ქონებრივი უფლებე-  
ბი არ წყდება, არამედ გამოსაკვლევიან ანდერძის ნამდვილობის  
საკითხი. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, 1996 წლის  
ანდერძის ნამდვილობა ანდერძის შედგენის დროს მოქმედ კა-  
ნონის ნორმებთან შესაბამისობაში უნდა შემონმდეს.

1.8. სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1960წ. რედაქცია)  
551-ე მუხლი განსაზღვრავდა ანდერძის სანოტარო ფორმის  
ცნებას. ნორმის 1-ლი და მე-2 აბზაცების თანახმად, ანდერძი  
უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის  
აღნიშვნით და პირადად მოანდერძის მიერ წარედგინოს დასა-  
მონმებლად სანოტარო ორგანოს, ხოლო იქ, სადაც სანოტარო  
ორგანო არ არის – სახალხო დეპუტატების სასოფლო, სადაბო  
ან საქალაქო საბჭოს აღმასკომებს. მოანდერძემ ხელი უნდა მო-  
ანეროს ანდერძს აუცილებლად ნოტარიუსის ან სახალხო დე-  
პუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის  
თანდასწრებით.

1.8.1. პალატა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სსრ მი-  
ნისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 ივნისის №455 დადგენილებით  
დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კან-

ტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შე-  
სახებ ინსტრუქციის 77-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სა-  
ხელმწიფო ნოტარიუსები ადასტურებენ ქმედუნარიან მოქალა-  
ქეთა ანდერძს, რომელიც მათ პირადად წარუდგინეს სახელმწი-  
ფო ნოტარიუსს. ინსტრუქციის ამავე ნორმით ანდერძის შედგე-  
ნისას გათვალისწინებულია სსრ სამოქალაქო სამართლის კო-  
დექსის 551-ე მუხლის მოთხოვნების დაცვა და დამატებით დად-  
გენილია, რომ მოქალაქეს, რომელსაც უანდერძებენ ქონებას,  
უფლება არა აქვს დაესწროს ანდერძის შედგენას და ხელი მოა-  
წეროს მას მოანდერძის მაგიერ. ამავე ინსტრუქციის 78-ე მუხ-  
ლის თანახმად, ანდერძის დადასტურებისას სახელმწიფო ნო-  
ტარიუსი განუმარტავს მოანდერძეს საქართველოს სსრ სამო-  
ქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის შინაარსს.

1.8.2. ამდენად, დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე,  
1996 წლისათვის ანდერძის ნამდვილობას კანონი უკავშირებ-  
და: ა) მოანდერძის მიერ ანდერძის წერილობითი ფორმის დაც-  
ვას; ბ) ანდერძში მისი შედგენის დროისა და ადგილის აღნიშ-  
ვნას; გ) ანდერძის პირადად მოანდერძის მიერ შედგენას; დ) მო-  
ანდერძის მიერ ხელმოწერის უშუალოდ ნოტარიუსის (ან სხვა  
უფლებამოსილი პირის) თანდასწრებით შესრულებას; ე) ამ მოთ-  
ხოვნათა დაცვით წარდგენილი ანდერძის სანოტარო წესით და-  
დასტურებას; ვ) ანდერძისმიერი მემკვიდრის ანდერძის შედ-  
გენის პროცესში მონაწილეობის, მისი დასწრებისა და ხელმო-  
წერის აკრძალვას.

1.9. საქმეში წარმოდგენილი სადავო ანდერძის შესწავლით  
ირკვევა, რომ იგი შეიცავს შედგენის დროს მოქმედი კანონით  
განსაზღვრულ რეკვიზიტებს: შედგენის დროსა და ადგილს; სა-  
ანდერძო განკარგულებას; ნოტარიუსის მიერ სსრ სამოქალაქო  
სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის განმარტებას; მოანდერ-  
ძის ხელმოწერას; ნოტარიუსის მხრიდან მოანდერძის ქმედუ-  
ნარიანობისა და ვინაობის შემოწმებასა და ხელმოწერის სანო-  
ტარო დამოწმებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე  
ანდერძის დამოწმებელი ყოფილი ნოტარიუსის რ. ჩ-ის მიერ  
სასამართლოში მიცემულ ჩვენებაზე, სადაც მოწმემ თავისუ-  
ფალი თხრობით გადმოსცა, რომ საქმეში წარმოდგენილი ანდერ-  
ძი შესრულებულია მის მიერ გარდა ნაბეჭდისა (ანდერძის ტექ-  
სტი) და ა-ის (მოანდერძის) ხელმოწერისა. მოწმის განმარტე-  
ბით, მამკვიდრებელმა ანდერძი მერის (თელავის სასამართლოს  
მბეჭდავს) დააბეჭდინა და დასამოწმებლად წარუდგინა ნოტა-  
რიუსს (იხ. რაიონული სასამართლოს 23.01.2013წ. სხდომის ოქ-  
მი 17:12:51სთ.). საკასაციო პალატა დამატებით მოიხმობს სა-



ქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე არ იქნა გაზიარებული მხარის არგუმენტი, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლი არ ითვალისწინებდა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ანდერძის შედგენას. საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა „მიუთითებს რა ანდერძის წერილობით შედგენის აუცილებლობაზე, არ გულისხმობს, რომ ანდერძი მხოლოდ ხელნაწერის სახით უნდა იყოს შესრულებული. სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმები, ისევე როგორც ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ არ კრძალავს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ანდერძის შედგენას (იხ. სუსგ №ას-1407-1505-04, 5 ივლისი, 2005 წელი). დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის, მოწმის ჩვენების, ასევე, საქმეში წარმოდგენილი ანდერძის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო დოკუმენტი სრულად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის მოთხოვნებს და კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი მოქმედი კანონმდებლობის დანაწესების დარღვევაზე მითითება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ანდერძის შედგენის დროისათვის, შესაბამისად, ის გარემოება, რომ ნოტარიუსმა არ წაუკითხა მოანდერძეს ანდერძის შინაარსი და სხვა არ შეიძლება დოკუმენტის ბათილობის საფუძველი გახდეს.

1.10. პალატა მხედველობაში იღებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ გარემოებას (რომელიც კასატორს სადავოდ არ გაუხდია) იმის შესახებ, რომ რ. ჩ-ი თელავის რაიონის №1 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის თანამდებობაზე დაინიშნა 1996 წლის 15 მაისიდან და მოვალეობას ასრულებდა 1996 წლის 3 ივნისამდე (თ. ფ-ის დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებამდე). მოცემულ შემთხვევაში, კასატორი, მართალია, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომლის თანახმადც, მას ხელმოწერის ნამდვილობა სადავო არ გაუხდია, თუმცა შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ ნამდვილობა მხოლოდ ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე შეიძლება გახდეს სადავო, რაც, ბუნებრივია, დასაბუთებულ შედავებად ვერ იქნება მიჩნეული.

1.11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 ივნისის №455 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხ-

ლის თანახმად, ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები, რეგისტრირდება სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში. ყველა სანოტარო მოქმედებას ეძლევა ცალკეული რიგითი ნომერი. ის ნომერი, რომლითაც სანოტარო მოქმედება რეგისტრირებულია რეესტრში, აღინიშნება სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში. ამავე ინსტრუქციის მე-80 მუხლის თანახმად კი, სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შემოღებულია სახელმწიფო ნოტარიუსების მიერ დადასტურებულ, აგრეთვე სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ შესანახად გადაცემული ანდერძის აღრიცხვის ანბანური დავთარი. საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ მიმართვაზე, რომელშიც საუბარია საარქივო მონაცემებში რ. ა-ის ანდერძის მოუძიებლობაზე. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცულია კერძო ნოტარიუს რ.ჩ-ის მიერ 1994-1996 წ.წ. ნაწარმოები სანოტარო საქმეები, თუმცა სადავო ანდერძი არ მოიძებნა, ამასთან, პალატაში არ ინახება რ. ჩ-ის, როგორც თელავის 1-ლი სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მიერ გადაცემული სანოტარო საქმეების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული რ. ჩ-ის ჩვენებასაც, სადაც მოწმემ განმარტა, რომ მისი გათავისუფლების დროისათვის ნოტარიატი სრულად ექვემდებარებოდა იუსტიციის სამინისტროს და სანოტარო მოქმედებათა რეესტრი, ასევე, მის მიერ ნაწარმოები საქმეები ჩააბარა მას, თუმცა ორ-სამ დღეში გაჩნდა ხანძარი და დოკუმენტების ნაწილი განადგურდა. მოწმის განმარტებით, დღემდე იძებნება მისი დამონმებული დოკუმენტები (იხ. რაიონული სასამართლოს 23.01.2003წ. სხდომის ოქმი. 17:13:13 სთ.). საკასაციო პალატა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წერილობით განმარტებისა და მოწმის ჩვენების ერთობლიობაში შეფასებით იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ სადავო ანდერძი ხანძრის დროს განადგურდა, თუმცა საპირისპირო ვითარებაშიც კი, თუკი უტყუარად დადგინდებოდა ნოტარიუსის მიერ ინსტრუქციის დარღვევის ფაქტი, პალატა მიიჩნევს, რომ ეს გავლენას ვერ იქონიებდა ანდერძის ნამდვილობაზე, რადგანაც ანდერძში გადმოცემული ნების ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს კანონის მხოლოდ ისეთი დარღვევა,

რომელიც საექვოს ხდის მოანდერძის ნების ნამდვილობას და არა ნოტარიუსის მიერ სანოტარო დოკუმენტების უსწორო გაფორმება და სამსახურებრივი საქმიანობის არაჯეროვანი შესრულება (იხ. სუსგ №ას-632-929-04, 10 ნოემბერი, 2004 წელი). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ სადავო ანდერძის მეორე ეგზემპლარის უფლებამოსილ პირთან მოუძიებლობამ განაპირობა დოკუმენტის ნამდვილობის სასამართლო წესით აღიარების შესახებ სარჩელის წარდგენა.

1.12. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისაგან არ განსხვავდება, კასატორის მიერ მითითებული გადაწყვეტილებებიდან უმრავლესი არ შეეხება მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელ ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებს, ხოლო გადაწყვეტილებათა ის ნაწილი, რომლებიც სამკვიდრო დავების თაობაზე გამოტანილი, მათი ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავდება წინამდებარე საქმეზე სადავოდ გამხდარი გარემოებებისაგან.

1.13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობები, ამასთანავე, კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **შინაურული ანდერძი**

### **განჩინება**

№ას-685-655-2014

2 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური**

**დავის საგანი:** ანდერძის ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

გ. მ-მა (უფლებამონაცვლე ბ. მ-ი, შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა გ. მ-ის მიერ მ. ს-იას (შემდგომში – მოპასუხე) სახელზე შედგენილი შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა და შპს „ხ-ის“ სანესდებო კაპიტალის 50%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობა.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოთხოვნა არ ცნო და არსებითი ხასიათის შედაგების ფარგლებში აღნიშნა, რომ სადავო შინაურული ანდერძი სრულად შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს.

**3. 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-  
რეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები:**

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

5.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად

#### **6. გასაჩივრებული განჩინებების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

##### **6.1. საოქმო განჩინების დასაბუთება:**

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 380-ე მუხლების შესაბამისად, განმარტა, რომ აპელანტს გააჩნდა შესაძლებლობა, 1-ლი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას წარედგინა მტკიცებულებები (ექსპერტის დასკვნა), ამასთან, შუამდგომლობის ავტორი ვერ მიუთითებდა საქალაქო სასამართლოში ამ მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზზე.

##### **6.2. შემაჯამებელი განჩინების დასაბუთება:**

6.2.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით დავის სწორად გადაწყვეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია სრულყოფილად და სასამართლომ მათ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. პალატამ დამატებით განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი, მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომელთა შეუსრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებდა მოთხოვნას, ხოლო მოპასუხეს – გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება.

6.2.2. მამკვირდებლის მიერ ხელმოწერილი, 2007 წლის 19 დეკემბრის შინაურული ანდერძის არსებობის პირობებში, მოქმედებს აღნიშნულ დოკუმენტში მამკვიდრდებლის მიერ გამოხა-

ტული ნების ნამდვილობის პრეზუმფიცია, ხოლო სანინაალმდე-გოს დადასტურება კი, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, სწორედ, მას უნდა დაედასტურებინა, რომ მამკვიდრებელი იყო ქმედუუნარო, რომელსაც არ შეეძლო გაეკონტროლებინა თავისი ქმედებები, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი დასკვნა ცალსახად აბათილებდა მოსარჩელის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას მამკვიდრებლის ქმედუუნარობასთან დაკავშირებით.

6.2.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოწმეების მიერ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა მათ და სწორად დაასკვნა, რომ ანდერძის შედგენის დროს მამკვიდრებელი იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. ამ თვალსაზრისით სასამართლომ მიუთითა მამკვიდრებლის მკურნალი ექიმების ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ თავად მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე, გ. მ-ის ავადმყოფობის ისტორიაში, პაციენტის არაადეკვატურობაზე მითითების არარსებობა, ადასტურებდა საპირისპიროს, ეს გარემოება დასტურდებოდა იმითაც, რომ პაციენტი სწორად აღიქვამდა ექიმების მიერ დასმულ შეკითხვებს, მისი ტკივილის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მოწმის განმარტებით, დასმული შეკითხვების სწორად აღქმა, გ. მ-ს გამოარჩევდა კიდევ სხვა, მსგავსი ავადმყოფობის მატარებელი პაციენტებისაგან. ექიმის განმარტებით, იმ ტიპის პაციენტს, როგორც იყო მამკვიდრებელი, თავისუფლად შეეძლო წერა, ვინაიდან, როგორც წესი, ასეთი პაციენტები სამედიცინო დოკუმენტაციაზე თავად აწერენ ხელს.

6.2.4. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ მოწმეთა ჩვენებებზეც, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მამკვიდრებელთან (თ. პ-ი, ლ. ქ-ე). მათი ჩვენებების თანახმად, ავადმყოფობის პერიოდში, მამკვიდრებლის პიროვნულ თვისებებსა და ხასიათში, ასევე მეხსიერებაში არანაირი ცვლილება არ შეუნიშნავთ. რაც შეეხებოდა ანდერძის შედგენას, მოწმეები ადასტურებენ, რომ სადავო ანდერძი უშუალოდ შეადგინა გ.მ-მა და ელოდებოდა ნოტარიუსს, რათა დაემოწმებინა იგი. მოწმეთა განმარტებით, ამ პერიოდში გ.მ-ის ფსიქიკური მდგომარეობა იყო ნორმალური და არ არსებობდა მასში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაიზიარა 2012 წლის 5 დეკემბრის №... სიკვდილის შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც კითხვაზე – შეეძლო

თუ არა გ. მ-ს ანდერძის შედგენის დროისათვის, ავადმყოფობის ისტორიისა და დიაგნოზის გათვალისწინებით, შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი, გაცემული იყო ერთმნიშვნელოვანი პასუხი, რომ გ. მ-ი (მამკვიდრებელი) 2007 წლის 19 დეკემბერს, ანდერძის შედგენისას, არ იყო ფსიქიკურად დაავადებული, რაიმე ფსიქიკური დაავადება არ აღენიშნებოდა და მას შეეძლო, შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი.

6.2.5. სასამართლოს განმარტებით, აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გ. მ-ს, უკიდურესად გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამოორიცხულია, სადავო ანდერძის შედგენისას გამოვევლინა ნამდვილი ნება, საჭიროებდა უტყუარი მტკიცებულებებით დადასტურებას. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება, თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი პირის ქმედუუნაროდ მიჩნევისათვის, მეტიც, თუ კი პირის ქმედუუნარობა უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება, ყოველგვარი ეჭვი უნდა განიმარტოს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. განსახილველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ გ.მ-ი არ იყო დაავადებული ფსიქიკურად და რომ მას შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი, დადასტურებული იყო ექსპერტიზის 2012 წლის 5 დეკემბრის დასკვნით. ამ დასკვნის საპირწონედ და მის გასაბათილებლად ვერ გამოდგებოდა 2012 წლის 27 ნოემბრის №..... ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ გ. მ-ი იმყოფებოდა ნარკოტიკული პრეპარატის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ. ამ თვალსაზრისით პალატამ კვლავ მიუთითა ექსპერტის მონაწილეობით დაკითხულ გ.მ-ის მკურნალი ექიმების ჩვენებებზე, რომლითაც დადასტურდა, რომ, მიუხედავად პაციენტის მძიმე ავადმყოფობისა და მნიშვნელოვანი მკურნალობისა (მკურნალი ექიმების ჩვენებით გ.მ-ისათვის დანიშნული მორფინის დოზა 6 მლ-ით 24 საათში /ერთი ამბულა ყოველ 4 საათში/ კეთდებოდა ტკივილგამაყუჩებლად და ჩატარებული მკურნალობა მიზნად ისახავდა, რომ პაციენტი ყოფილიყო ადეკვატური და მომხდარიყო ტკივილის მართვა), პაციენტი იყო ადეკვატური და კონტაქტური, რაც ასევე იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი სწორად აღიქვამდა ექიმების მიერ დასმულ შეკითხვებს, მისი ტკივილის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც ხაზგასმით აღინიშნა ექიმის მიერ და მისივე განმარტებით, აღნიშნული ადეკვატურობა – ექიმების მიერ დასმული შეკითხვების სწორად აღქმა, გ. მ-ს გამოარჩევდა კიდევ სხვა, მსგავსი ავადმყოფობის

მატარებელი პაციენტებისაგან. სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ (პაციენტისათვის სამკურნალოდ) დანიშნული პრეპარატების კვალობაზე გაკეთებული დასკვნა, რაც ასახული იყო 2012 წლის 27 ნოემბრის №..... ექსპერტიზის დასკვნაში, სათანადოდ დასაბუთებულად არ იქნა მიჩნეული.

6.2.6. სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეასრულა ანდერძზე ხელმოწერა, რის თაობაზეც ასევე ჩატარდა კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომლის (№... დასკვნა) თანახმად, ხელმოწერა, რომელიც 19.12.2007 წლის შინაურულ ანდერძზეა წარმოდგენილი სავარაუდოდ ეკუთვნის გ. მ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აღნიშნულ საკითხს, რომლის დადასტურების ვალდებულებაც მასვე ეკისრებოდა, შესაძლებლობა მიეცა, კიდევ ერთხელ წარედგინა სასამართლოსათვის თავისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში (იხ. 6.11.2013წ. სხდომის ოქმი, განხილულ იქნა აპელანტის შეუამდგომლობა, რომელიც დაკმაყოფილდა და გამოთხოვილ იქნა სისხლის სამართლის №... საქმიდან ხელწერილის ექსპერტიზის დასკვნა), აპელანტი ცდილობდა, დაყრდნობოდა ექსპერტიზის №... დასკვნას. ამ დასკვნის თანახმად კი, ხელმოწერა (ტექსტის სახით), ასევე, სახელი და გვარი – „გ. მ-ი“ შესრულებული იყო გ. მ-ის მიერ, რაც შეეხებოდა ხელწერილის ტექსტს, შესრულებული იყო თუ არა ის გ. მ-ის მიერ, დასკვნის გაცემა შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან არ იყო წარდგენილი გ. მ-ის ხელწერის ნიმუშები. ამ დასკვნის თანახმად, ცალსახად იყო დადასტურებული ის ფაქტი, რომ 2007 წლის 19 დეკემბრის შინაურულ ანდერძზე განლაგებული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნოდა მამკვიდრებელს და გამორიცხავდა ყოველგვარ ვარაუდს და ბუნდოვანებას, ხოლო ანდერძის ტექსტი შესრულებული იყო თუ არა გ. მ-ის მიერ, პალატის მოსაზრებით, ამ საკითხზე ექსპერტიზის მიერ პასუხის გაუცემლობა არ იძლეოდა საფუძველს, იმ დასკვნისათვის, რომ ანდერძი არ იყო შედგენილი გ.მ-ის მიერ (მით უმეტეს, რომ მოწმეების: თ. პ-ისა და ლ. ქ-ის ჩვენების თანახმად, გ. მ-მა პირადად შეადგინა ანდერძი). სადავო ანდერძზე თავად გ.მ-ის ხელმოწერით, რომელიც დადგენილი იყო ექსპერტიზის დასკვნით, დასტურდებოდა მამკვიდრებლის მიერ ნების გამოვლენა ანდერძის შედგენასთან დაკავშირებით.

6.2.7. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1344-ე, 1345-ე, 1364-ე მუხლებით და განმარტა, რომ მითითებული ნორმებით გარანტირებუ-



ლი იყო პირის უფლება, საკუთარი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად განეკარგა ქონება და საამისოდ გამოეველინა ნება. ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა და მისი სამართლებრივი შედეგების დადგომა უკავშირდება მონდერძის გარდაცვალებას. ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ანდერძის ბათილობისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მამკვიდრებლის ნების ნამდვილობას. ანდერძის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა წესი, რომელიც დადგენილია ნორმატიული აქტებით, ემსახურება ერთადერთ მიზანს, მონდერძის ნების სწორად დაფიქსირებას. აქედან გამომდინარე, ანდერძის ბათილობას საფუძვლად შეიძლება დაედოს ისეთი დარღვევა, რომელიც საექვოს გახდის მონდერძის ნების ნამდვილობას. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ მონდერძის ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა, რაც გამორიცხავდა სადავო ანდერძის ბათილად ცნობას. ამასთან, რამდენადაც არ არსებობდა სადავო ანდერძის ბათილობის ფაქტობრივი საფუძველი, გამოირიცხებოდა სადავო სამკვიდროს მიმართ მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველიც.

#### **7. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

##### **7.1. საკასაციო საჩივრის საფუძველები:**

7.1.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რაც ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს, ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნები. თავად სადავო ანდერძი საექვო ვითარებაში მოპოვებული ხელნაწერია, რომელიც არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 52-ე მუხლების მოთხოვნებს, იგი მიახლოებულიც კი არ არის ანდერძისათვის დადგენილ ფორმასთან, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის შესაბამისად, სადავო დოკუმენტით არ დგინდება არც ის გარემოება, რომ ანდერძი მოსარჩელის მიერაა დაწერილი და არც ის, რომ ნება თავისუფალ მდგომარეობაშია გამოვლენილი. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს დაუკანონა სამართლებრივი შინაარსის არმქონე დოკუმენტით მემკვიდრეობის უფლება.

7.1.2. საქმეში წარმოდგენილი ანდერძი არ შეესაბამება 1368-ე მუხლს, რადგანაც თარიღი ანდერძში უნდა იყოს მითითებული და არა ანდერძის ქვეშ, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, ამასთანავე, დასტურდება, რომ ანდერძის შედგენის დროისათვის მამკვიდრებელი იყო ქმედუნარო, რამდენადაც 2007 წლის 20 დეკემბრის ბოლო ამბულატორიული ფურცლის თანახმად, მას დადგენილი ჰქონდა სიმსივნური კახექსია, გარდა აღნიშნულისა, პაციენტი მუდმივად იმყოფებოდა მორფინის ზემოქმედების ქვეშ, იღებდა დიმედროლს, გაბაგამას, ანტიკონვესტანტებს, ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშნულია, რომ მას ჰქონდა ძლიერი ტკივილები. ის გარემოება, რომ ანდერძის შედგენიდან ხუთ დღეში მოანდერძე გარდაიცვალა, ლოგიკას მოკლებულს ხდის სასამართლოს დასკვნას, რომ გ. მ-ი იყო ქმედუნარიანი.

7.1.3. სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოწმედ მიიწვია არა მამკვიდრებლის ბოლო ექიმი, არამედ, ონკოცენტრის ექიმები, სადაც პაციენტი საკაცით მოათავსეს და მკურნალობდა 2007 წლის 16 ნოემბრამდე, ამასთანავე, არასწორად იქნა გაზიარებული მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ავადმყოფობის ისტორიაში ასახულისაგან განსხვავებულ გარემოებებს ადასტურებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ავადმყოფი გადაადგილებოდა დამოუკიდებლად. სასამართლოში წარმოდგენილი მოწმეები იყვნენ მოწინააღმდეგე მხარის ახლობლები. ამ თვალსაზრისით სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა აპელანტის მითითება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაზე.

7.1.4. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ანდერძი არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1365-ე და 1367-ე მუხლების მოთხოვნებს, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოწმედ დაკითხული პირი – თ. პ-ი, რომელიც ადასტურებს ანდერძის მამკვიდრებლის მიერ შედგენას, იურისტია. სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ანდერძის ბათილად ცნობის ამავე კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 53-ე და 54-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობები.

7.1.5. კასატორმა მიუთითა ამავე საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ 2012 წლის 14 თებერვლის განჩინებებზე, რომლითაც არ იქნა გაზიარებული სამოსწავლო უჯრიან რეე-

ულში არსებული ჩანაწერების გ. მ-ისადმი კუთვნილების ფაქტი და განმარტა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ სადავო ანდერძზე ხელმოწერის მამკვიდრებლისადმი კუთვნილება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიჩნია დადგენილად. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია განჩინება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული მ. ს-იას განცხადება სადავო ანდერძის კანონიერებაზე, ეს განჩინება კანონიერ ძალაშია შესული და მისი განახლება ახალი გარემოების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, განჩინებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით განსაზღვრული ძალა გააჩნია, რაც არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ. სამკვიდრო ქონება გ. მ-ს საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ ჰქონია, რაც მოწმობს, რომ გ. მ-ი იყო ქონების არა მესაკუთრე, არამედ მოსარგებლე, სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად კი, ამგვარი უფლების მიღების სუბიექტი მხოლოდ კანონისმიერი და არა ანდერძისმიერი მემკვიდრე შეიძლება იყოს.

7.1.6. სასამართლომ განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 244-ე, 249-ე, 225-ე, 377-ე, მე-4 და 102-ე მუხლები. სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და არასწორად განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოქმედებდა ანდერძის ნამდვილობის პრეზუმფცია, რის გამოც ამ ნამდვილობის გაქარწყლება მოსარჩელეს ევალებოდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა აპელანტის მიერ წარდგენილი დასაბუთებული არგუმენტები და მტკიცებულებები მამკვიდრებლის ქმედუუნარობის თაობაზე. ამ საპროცესო დარღვევის ფონზე სასამართლო სრულიად უსაფუძვლოდ დაეყრდნო მიკერძოებული მოწმეების ჩვენებებს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის დარღვევით, აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გაიზიარა სიკვდილის შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2012 წლის 5 დეკემბრის დასკვნა.

7.1.7. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ ანდერძზე ხელმოწერის მონანდერძისადმი კუთვნილების ფაქტი დადგენილად მიიჩნია ექსპერტიზის სავარაუდო დასკვნაზე, თუმცა მას არ მიუთითებია, თუ რა საფუძვლით არ იზიარებდა საქმეში წარმოდგენილ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 16 ოქტომბრის დასკვნას, სადაც დადგენილია, რომ ანდერძზე ხელმოწერისა და ანდერძის ტექსტის მამკვიდრებლის მიერ შედგენის ფაქტის დადგენა შეუძლებელია დასკვნაში მითითებული მიზე-

ზების გამო. ეს გარემოება მოწმობს, რომ შინაურული ანდერძი სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ სრულიად არაადეკვატურად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 1344-ე, 1345-ე და 1364-ე მუხლებზე და არ გაიზიარა ის გარემოება, რომ სადავო ანდერძი არ არის შედგენილი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

7.1.8. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასაც (კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგ გადაწყვეტილებებზე: №ას-198-620-06; №ას-923-1157-05; №ას-595-822-08; №ას-1412-1629-05; №ას-177-167-2011; №ას-633-699-07).

7.1.9. 2014 წლის 20 თებერვალს აპელანტმა მოტივირებული შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს „გ-ის“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე, თუმცა სასამართლომ საოქმო განჩინებით არასწორად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევით, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რადგანაც მხარეს საპატიო მიზეზი გააჩნდა მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში წარდგენისა, რადგანაც საქმის ქვემდგომ სასამართლოში განხილვისას ექსპერტს დასკვნა არ დაუდია, ამასთანავე, დასკვნაში მითითებული გარემოებები სარჩელის საფუძვლიანობას ადასტურებდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა, ასევე სამკვიდრო მასაში შემავალი ქონების (სამეწარმეო საზოგადოების 50%-იანი წილის) მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობა. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.1.1. მამკვიდრებელი გ. მ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 24 დეკემბერს.

1.1.2. გ. მ-მა შინაურული ანდერძით მთელი თავის უძრავ- მოძრავი ქონება, ასევე 50%-იანი წილი შპს „ხ-ში“ უანდერძა მო- პასუხეს.

1.1.3. სამენარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ხ- ის“ 50%-იანი წილის მფლობელი იყო გ. მ-ი.

1.1.4. გ. მ-ი გ. მ-ის მეორე რიგის მემკვიდრე, ძმისშვილია, რომელიც 2008 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა.

1.1.5. 2009 წლის 17 ივნისს გაცემული სამკვიდრო მონაბობის შესაბამისად, ბ. მ-მა მიიღო შვილის – გ. მ-ის სამკვიდრო, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო- ლეგიის 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით ბ. მ-ი ცნობილ იქნა გ. მ-ის უფლებამონაცველად.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკი- ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და- საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთე- ბულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასა- მართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მა- ტერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომლის თანახმადაც, საქმეში წარმოდგენილი შინა- ურული ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილია მამკვიდრებელ გ. მ-ის მიერ, რომელსაც ანდერძის შედგენის დროისათვის შე- ეძლო შეეგნო საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი. თავის მხრივ, კასატორი მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძ- ვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ ანდერძის შედგენის დრო- ისათვის გ. მ-ი იყო დაავადებული, უტარდებოდა იმგვარი მკურ- ნალობა, რაც მის ქმედუნარიანობას გამორიცხავდა, ამასთანა- ვე, ეჭვქვეშ აყენებს, როგორც ანდერძის ტექსტის, ისე მასზე არსებული ხელმოწერის მამკვიდრებლის მიერ შესრულების ფაქტს და აღნიშნავს, რომ დარღვეულია ანდერძის ნამდვილო- ბისათვის კანონით დადგენილი ფორმა. საკასაციო პრეტენზიე- ბის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, პალატა მიიჩნევს, რომ უპირველესად უნდა დადგინდეს შინაურული ანდერძის შე- საბამისობა კანონის მოთხოვნებთან.

1.4. სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის თანახმად, მონ- დერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რო-

მელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ამავე კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად კი, მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას (შინაურული ანდერძი). მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, შინაურული ანდერძის ნამდვილობისათვის კანონი ადგენს მარტივი წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობას, რომელიც შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ, ხოლო ანდერძში გადმოცემული ნება ქმედუნარიანი პირის გონივრული განსჯის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებში მოცემული ანდერძის ფორმისა, რომელთა მიმართაც კანონმდებლობით გაცილებით მეტი მოთხოვნებია დადგენილი, შინაურული ანდერძის მოანდერძის მიერ მხოლოდ დაწერა და ხელის მოწერა მას სრულ იურიდიულ ძალას აძლევს.

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებას ანდერძის ნამდვილობის პრეზუმფციის თაობაზე და განმარტავს, რომ პრეზუმფცია, როგორც ვარაუდი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, მტკიცებას არ ექვემდებარება და თუ იგი არ იქნა უარყოფილი, სასამართლომ უნდა გამოიყენოს პრეზუმირებული ფაქტი. თავის მხრივ, პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური ბუნება აისახება იმაში, რომ ამგვარი ვარაუდის გაქარწყლება ეკისრება პირს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული იგი. ამდენად, ის გარემოება, რომ სადავო ანდერძი არ წარმოადგენდა ნამდვილს, მოსარჩელის სამტკიცებელი გარემოება იყო, გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ მოცემული კატეგორიის დავაში მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელიც მას უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა.

1.6. საქმეში წარმოდგენილია გ.მ-ის სამედიცინო ისტორიები სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებიდან, მათ შორის კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი შპს „თ-ის მ. №2-ის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ავადმყოფს ჰქონდა გამოხატული კახექსია. სამედიცინო დოკუმენტაციაში ასახულია, როგორც პაციენტის გამოკვლევები, ისე დიაგნოზი და ჩატარებული მკურნალობა. მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შპს „ფ. ჯ-სა და ნ-ის პ-ის ც-ის“ 2012 წლის 27 ნოემბრის დასკვნა, რომლითაც შეკითხვებს: შეეძლო თუ არა ან გარდაცვლილ გ. მ-ს 19.12.2007 წელს, შინაურული ანდერძის შედ-

გენის დროს თავისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ანგარიში გაენია თავის ქმედებისათვის და ეხელმძღვანელა მათთვის, ასევე – ითვლება თუ არა გ. მ-ი ქმედუნარიანად, ექსპერტმა უარყოფითი პასუხის გასცა. დასკვნის თანახმად, 2007 წლის 19 დეკემბერს ავადმყოფი გ.მ-ი იმყოფებოდა ნარკოტიკული პრეპარატის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ, რა დროსაც თავისი ფსიქიკური მდგომარეობით არ შეეძლო შეეგნო თავის მოქმედება და განეგო იგი. დასკვნის კვლევითი ნაწილის შესწავლით დასტურდება, რომ ანამნეზური მონაცემები მიწოდებულ იქნა გარდაცვლილი პირის ძმის ცოლის, რძლის მიერ (მოსარჩელე), ამასთან, საქსპერტო კვლევა მთლიანად ემყარება შპს „თ-ის №2 მ-ის“ მიერ გაცემულ №... ცნობას. გარდა აღნიშნულისა, საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.05.2012წ. განჩინების საფუძველზე დანიშნული სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.12.2012წ. დასკვნა. ექსპერტს საკვლევად დაესვა კითხვა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა გ. მ-ს ანდერძის შედგენის დროისათვის შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. დასკვნის თანახმად, ან გარდაცვლილი გ. მ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ იყო. 2007 წლის 19 დეკემბერს, ანდერძის შედგენისას, გ. მ-ს რაიმე ფსიქიკური დაავადება არ აღენიშნებოდა და მას შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი. დასკვნის კვლევითი ნაწილიდან ირკვევა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს ბ. მ-ის მიერ წარდგენილი შპს „ფ-ი ჯ-სა და ნ-ის პ-ის ც-ის“ 27.11.2012წ. დასკვნა; ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მრავალმრიანი სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტის ექიმ-რადიოლოგის მიერ 16.11.2007წ. ჩატარებული გულ-მკერდის კომპიუტერული ტომოგრაფიის დასკვნა; კავშირ „ო-ის ცენტრის“ 16.08.2010წ. წერილი; „პროფესორ ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის“ №... ავადმყოფობის ისტორია; მორიგე ექიმის 2007 წლის 17-25 ნოემბრის ჩანაწერები; განერის ეპიკრიზი (29.11.2007წ.); შპს „თ-ის №2 მ-ის“ 05.05.2010წ. №... წერილი; ექსპერტის მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხული მამკვიდრებლის მკურნალი ექიმების, ასევე იმ ადამიანების ჩვენებები, რომლებსაც უკანასკნელ დღეებში ჰქონდათ ურთიერთობა გ.მ-თან.

1.7. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებზეც, კერძოდ, პალეატიური მზრუნველობის ცენტრის ექიმ მ. შ-ას განმარტებით, ცენტრის მიზანი პაციენ-

ტის ტკივილის მართვაა და არა მისი გათიშვა, რათა პაციენტი იყოს ადეკვატური, სამედიცინო ისტორიის თანახმად, გ. მ-ი იყო ადეკვატური, პასუხობდა კითხვებს და შედიოდა კონტაქტში, მას არ ჰქონდა დელერიუმის სინდრომი, დეპრესია და ალგზნება, მის მიმართ მკურნალობისას არ ყოფილა გამოყენებული ნეიროლეფტიკები და ანტიფსიქოზური საშუალებები; მოანდერძის მკურნალი ექიმის – გ. მ-ის ჩვენების თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ავადმყოფობის ისტორიაში მაქსიმალურად აისახება მკურნალობის პროცედურები. პაციენტი იყო ადეკვატური, კონტაქტური და სწორად აღიქვა ტკივილის სისტემის შეფასების თაობაზე დასმული შეკითხვა. ექიმის განმარტებით, პაციენტის ადეკვატურობა – ექიმის მიერ დასმული შეკითხვების სწორად აღქმა, გ. მ-ს გამოარჩევდა კიდევაც სხვა, მსგავსი ავადმყოფობის მატარებელი პაციენტებისაგან. შეკითხვაზე – შეეძლო თუ არა გ. მ-ს წერა, მკურნალმა ექიმმა აღნიშნა, რომ პაციენტთა უმრავლესობას აქვს წერის უნარი და ისინი ხშირად თავად აწერენ ხელს სამედიცინო დოკუმენტაციაზე; გარდაცვლილის მეგობრის თ. მ-ის ჩვენებით, ბოლო დღეებში იგი თითქმის ყოველდღე ნახულობდა გ. მ-ს, საუბრისას რაიმე არაადეკვატური პასუხები არ შეუმჩნევია. ანდერძის შედგენის დღეს, 19 დეკემბერს, ტკივილები არ ჰქონდა, ასევე არ ჰქონია პარალიზებული კიდურები; მამკვიდრებლის მამიდაშვილის – თ. პ-ის ჩვენებით, ის ასევე ხშირად სტუმრობდა გ. მ-ს, რომელსაც ხასიათის რაიმე ცვლილება არ ემჩნეოდა, 19 დეკემბერს თავად შეეცნრო ანდერძის დაწერას, მოწმის განმარტებით, ელოდნენ ნოტარიუსს, რადროსაც გ-მ მოამზადა ანდერძი; რაც შეეხება მოპასუხის მეგობრის, ლ. ქ-ის ჩვენებას, მან ასევე დაადასტურა გ. მ-ის ადეკვატურობა და ანდერძის მის მიერ შედგენის ფაქტი.

1.8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის დადგენილია 105-ე მუხლით და ნორმის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, არამედ, სასამართლო დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებს აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც ხდება მათი როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში შესწავლა, სწორედ ამ გზით არკვევს სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების დამაჯერებლობას, მის იურიდიულ სარწმუნოობას. რაიმე გამონაკლისი ამა თუ იმ მტკიცებულების, მათ შორის ექსპერტის დასკვნის მიმართ, დადგენილი არ არის. საპროცესო



კოდექსის 172-ე მუხლის თანხმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

1.9. მოცემულ შემთხვევაში, პალატა თვლის, რომ მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით ქვემდგომმა სასამართლოებმა კანონის ზემოაღნიშნული სტანდარტის დაცვით გამოიკვლიეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სწორად მიანიჭეს უპირატესობა სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.12.2012წ. დასკვნას, რომლის საფუძვლიანობას ამტკიცებს ასევე მოწმეთა ჩვენებებიც, ამასთანავე, დასკვნაში გადმოცემულ გარემოებებს ვერ გააქარწყლებს კასატორის მტკიცება, რომ არ იქნა დაკითხული გარდაცვალების დროისათვის მამკვიდრებლის მკურნალი ექიმი, არ შეფასდა შპს „თ-ის №2 მ-ის“ ანკეტა და სასამართლომ არ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების მე-9 მუხლით (დაავადებები, ანატომიური და გონებრივი დეფექტები, რომლებიც წარმოადგენენ მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს გადამონმების გარეშე (უვადოდ)), რამდენადაც ზემოაღნიშნული დასკვნა მოიცავს მსჯელობას შპს „თ-ის №2 მ-ის“ წერილზე, სადაც გადმოცემულია პალეატიური მზრუნველობის ცენტრიდან განერის შემდგომ გ.მ-ისათვის ჩატარებული მკურნალობის კურსი და გამოყენებული სამედიცინო საშუალებები, ხოლო ექსპერტებს ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ დაუდგენიათ გამოსაკვლევი პირის გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვა, ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.11.2012წ. სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მკურნალი ექიმის ადგილსამყოფელი ვერ დაადგინა (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი 16:20:43სთ.).

1.10. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ არგუმენტსაც, რომ სასამართლო არასწორად დაეყრდნო მოწმეთა ჩვენებებს. პალატა მიიჩნევს, რომ მოწმეთა ჩვენებები ქვემდგომმა სასამართლოებმა შეაფასეს იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთანავე,

მხედველობაშია უდავოდ მისაღები ის ფაქტიც, რომ მოწმეთა ჩვენებების თაობაზე ვ. მ-ს სააპელაციო საჩივრით დასაბუთებული შედაგება არ წარუდგენია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარში ამ კუთხით მითითებული პრეტენზიები მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

1.11. რაც შეეხება სადავო ანდერძის მოანდერძის მიერ დაწერისა და ხელმოწერის დადგენის ფაქტს, ამ თვალსაზრისით საქმეში თავდაპირველად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის – „ა-ე-ის“ 23.06.2009წ. დასკვნა, რომლის თანახმადაც, სადავო ანდერძი შესრულებულია ვ. მ-ის მიერ. ეს მტკიცებულება საქმის განხილვისას უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ საკვლევი მასალის (სამოსწავლო უჯრიან რვეულში არსებული ჩანაწერის) ვ. მ-ისადმი კუთვნილების ფაქტი ვერ დადასტურდა, შესაბამისად, ქვემდგომმა სასამართლოებმაც მართებულად არ გაიზიარეს იგი. საქალაქო სასამართლოს 30.05.2012წ. განჩინების საფუძველზე ჩატარებული სსიპ „ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 07.07.2012წ. დასკვნის თანახმად, სადავო ანდერძზე ხელმოწერა: ვ. მ-ი, სავარაუდოა, რომ შესრულებულია ვ. მ-ის მიერ. კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა წარდგენილი ნიმუშების სიმციროს გამო, ექსპერტმა ანდერძის ტექსტის მოანდერძის მიერ შესრულების ფაქტი ვერ დაადგინა ხელნაწერის ნიმუშების არარსებობის გამო. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს აპელანტის შუამდგომლობით სააპელაციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილ ექსპერტიზის დასკვნებსაც, კერძოდ, სსიპ „ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 26.07.2013წ. დასკვნის თანახმად, ანდერძზე არსებული ხელმოწერა, ასევე ტექსტის სახით მითითებული „ვ. მ-ი“ მამკვიდრებლის მიერაა შესრულებული, ხოლო ანდერძის ტექსტის მის მიერ შესრულების დადგენა კვლავ ვერ მოხერხდა ხელწერის ნიმუშების არარსებობის გამო; შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნით დადგენილია, რომ 19.12.2007წ. დათარიღებულ ანდერძზე არსებული ხელნაწერი და ხელმოწერა გადატანილია არა რაიმე ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან გადახატვით, არამედ შესრულებულია სანერი საშუალების უშუალოდ დოკუმენტზე შეხებით, ხოლო დადგენა საკითხისა, ანდერძი და მასზე არსებული ხელმოწერა შესრულებული იყო თუ არა ვ. მ-ის მიერ ვერ მოხერხდა რადგან არ იყო წარდგენილი

ხელნაწერის თავისუფალი ნიმუშები. ექსპერტის განმარტებით, დადგენა საკითხისა ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფი შეძლებდა თუ არა დაენერა თანდართული ტექსტით ანდერძი, არ შედიოდა ექსპერტ გრაფიკოსის კომპეტენციაში.

1.12. ამდენად, ანდერძის უშუალოდ მოანდერძის მიერ შედგენისა და მასზე ხელმოწერის შესრულების ნამდვილობა ვერ იქნა გაქარწყლებული საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით, უფრო მეტიც, წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5. და 1.8. პუნქტებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს, რომ 2007 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული ანდერძი შესრულებულია უშუალოდ გ. მ-ის მიერ. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მართებულად დაადგინა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები.

1.13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს იმ საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც მისი შუამდგომლობა ექსპერტიზის ახალი დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შუალედური განჩინების გაუქმების საფუძვლად მხარე უთითებს მტკიცებულების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შეუძლებლობაზე, რადგანაც ექსპერტმა დასკვნა დროულად არ მოამზადა, ამასთანავე, განმარტავს, რომ დასკვნაში ასახულია ობიექტური ჭეშმარიტება. საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის ამ არგუმენტს და აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის „ვექტორის“ დასკვნის თანახმად, მოქალაქე ბ. მ-მა მას 2014 წლის 14 თებერვალს მიმართა, ხოლო დასკვნა 2014 წლის 17 თებერვალსაა გაცემული, რაც გამორიცხავს კასატორის პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას, ამასთანავე, პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით (სსსკ-ის მე-4 მუხლი), რაც მიანიშნებს მხარის ვალდებულებაზე, საკუთარი პოზიციის დადასტურებისათვის მტკიცებულებები წარადგინოს საპროცესო წესების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს

განაცხადებს მათ მიღებაზე. პალატის მოსაზრებით, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შეზღუდული აპელაციის პრინციპს (სსსკ-ის 377.1 მუხლი), ხოლო აპელანტმა მტკიცებულების საპატიო მიზეზით პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობა ვერ დაადასტურა, სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მართებულად არ დაურთო საქმეს ახალი მტკიცებულება.

1.14. სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია, სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მამკვიდრებელს აქვს მემკვიდრის თავისუფლად არჩევის უფლება. ანდერძში მონაწილეს ნებაა გამოხატული. მას შეუძლია, გარდაცვალების შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ მემკვიდრეთა წრიდან რომელიმეს, არამედ გარეშე პირებსაც. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან გ. მ-მა საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლენით განსაზღვრა მემკვიდრე და განკარგა მთელი სამკვიდრო, ხოლო მოსარჩელე არ წარმოადგენს საავტორიტეტო წილის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს (სკ-ის 1371-ე მუხლი), სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. გასაჩივრებული განჩინება არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისაგან არ განსხვავდება, კასატორის მიერ მითითებული გადაწყვეტილებებიდან უმრავლესი არ შეეხება მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელ ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებს, ხოლო გადანყვეტილებათა ის ნაწილი, რომლებიც სამკვიდრო დავების თაობაზეა გამოტანილი, მათი ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავდება წინამდებარე საქმეზე სადავოდ გამხდარი გარემოებებისაგან. უფრო მეტიც, წინამდებარე განჩინება სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-1563-1563-2011, 28 თებერვალი, 2011 წელი).

1.15. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებები მატერიალური და საპროცესო ნორმების სწორ გამოყენება-განმარტებას ემყარება, ხოლო კასატორს არ მიუთითებია იმგვარ დასაბუთებულ შედავებაზე, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილე-

ბას გამოიწვევდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სხვადასხვა დროს კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების (რომელთა დიდი ნაწილი ისედაცაა განთავსებული წინამდებარე საქმეში) საქმისათვის დართვის სამართლებრივი წინაპირობა არ არსებობს, შესაბამისად, ვ. მ-ს უნდა დაუბრუნდეს 2015 წლის 4 თებერვლის №ვ-91-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 33 ფურცლად, 2015 წლის 20 მაისის №ა-1879-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 25 ფურცლად, 2015 წლის 15 სექტემბრის №ა-3484-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა ვ.მ-ის საკასაციო საჩივარი, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობები, ამასთანავე, ვ.მ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ბ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინება, ასევე მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის შესახებ 2014 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორს დაუბრუნდეს 2015 წლის 4 თებერვლის №ვ-91-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 33 ფურცლად, 2015 წლის 20 მაისის №ა-1879-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 25 ფურცლად, 2015 წლის 15 სექტემბრის №ა-3484-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. სავალდებულო წილი

### სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტი

#### თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-571-542-2014

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძე

**დავის საგანი:** თანამესაკუთრედ აღიარება, ანდერძისმიერ  
რი სამკვიდრო მონაწილის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სავალ-  
დებულო წილის მიკუთვნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ო. დ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ას მიმართ და  
მოითხოვა ქ.ბათუმი, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების  
თანამესაკუთრედ გარდაცვლილი დედის – ე. (ლ.) დ-ას ცნობა;  
ნ. დ-ას მიერ 1995 წლის 17 ივლისს გაცემული ანდერძის 1/2 ნა-  
წილში ბათილად ცნობა; 2000 წლის 4 თებერვალს მოპასუხე გ.  
დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწი-  
ლის ნაწილობრივ ბათილად ცნობა; მშობლების დანაშთი სამ-  
კვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების  
ფაქტის დადგენა; მამის – ნ. დ-ას დანაშთი სამკვიდროს ქონე-  
ბიდან (1/2 ნაწილი) სავალდებულო წილის მისთვის და ან გარ-  
დაცვლილი დედისათვის მიკუთვნება, დედის კუთვნილი სავალ-  
დებულო, ასევე მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე  
S წილიდან ნახევრის მესაკუთრედ ცნობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის, ასევე ხანდაზ-  
მულობის გამო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხო-  
ვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის  
გადაწყვეტილებით ო. დ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-  
და, დადგენილ იქნა ო. დ-ას მიერ ან გარდაცვლილ მამის ნ. დ-ას

დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების ფაქტი, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2000 წლის 4 თებერვალს გ. დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამემკვიდრეო უფლების მონმობა, ო. დ-ა ცნობილ იქნა ნ. დ-ას დანაშთი სამკვიდროს ქონების, 1/2 ნაწილის 1/6-ის მემკვიდრედ, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ო. დ. გ. დ-ების სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ახალი გადაწყვეტილებით ო. დ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ (1/2 ნაწილში) ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 4 თებერვალს ნ. დ-ას მიერ გ. დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონმობა და ო. დ-ა ცნობილი იქნა ქ. ბათუმში, ბ-ის ქუჩა № 11-ში მდებარე, გ. დ-ას სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/4-ის მესაკუთრედ, შესაბამისი ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო მონმობაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე და მოპასუხე არიან და – ძმა;

მხარეთა დედა იყო ე. დ-ა, ხოლო მამა ნ. დ-ა;

ქორწინების მონმობის თანახმად, ე. დ-ა და ნ. დ-ა დაქორწინდნენ 1954 წლის 12 დეკემბერს;

ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროს უფროსის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ბ-ის ქ. № 11-ში მდებარე სადავო სახლი აღირიცხა ნ. დ-ას სახელზე (აღმასკომის 1956 წლის 29 ივნისის №..... გადაწყვეტილება);

დასახელებული ქონება შეძენილია მეუღლეთა ე. დ-ასა და ნ. დ-ას თანაცხოვრების დროს და, როგორც მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი, წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას;

ნ. დ-ა გარდაიცვალა 1997 წლის 26 აგვისტოს;

ნ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო გაიხსნა ამ უკანასკნელის წილ ქონებაზე, (სადავო სახლის S ნაწილზე);

ნ. დ-ამ ანდერძით საკუთარ სახელზე აღრიცხული მთელი ქონება უანდერძა შვილს – გ. დ-ას;

ე. დ-ა გარდაიცვალა 2011 წლის 8 თებერვალს;



ე. დ-ას, გარდა თანასაკუთრებაში არსებული სახლისა, საკუთრებაში გააჩნდა ქ.ბათუმი, შ-ს ქ. №10-ში მდებარე სახლი, რომელიც სრულად უანდერძა ქალიშვილს ო. დ-ას;

გარდაცვალების შემდეგ ე. დ-ას დარჩა 1-ლი რიგის ორი მემკვიდრე: ქალიშვილი – ო. დ-ა და ვაჟიშვილი – გ. დ-ა;

2012 წლის 1 მარტის სამკვიდრო მონუმობის მეშვეობით ო. დ-ამ მიიღო ქ.ბათუმი, შ-ს ქ. №10-ში მდებარე დედის დანაშთი სამკვიდრო ქონება, რომელიც მას დედამ უანდერძა, ხოლო სავალდებულო წილის სახით, გ. დ-ამ მიიღო ამავე ქონების 1/4;

პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხული მონუმების ჩვენებებით საპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. დ-ა ცხოვრობდა ქ.ბათუმი, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე მშობლების სახლში, სადაც გაზარდა შვილები, ის ასევე პერიოდულად ცხოვრობდა ქ.ბათუმი, შ-ს ქ. №10-ში, ასევე სხვადასხვა მისამართზე.

პალატამ აღნიშნა, რომ ო. დ-ას სარჩელთან დაკავშირებით დავის საგანი ნ. და ე. დ-ების სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნება იყო.

ნ. დ-ას გარდაცვალების დროისათვის მოქმედებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი (1964 წლის რედაქცია). 1997 წლის 26 აგვისტოს, ანუ ანდერძის შედგენისას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი), ო. დ-ა (მიუხედავად იმ ფაქტისა ის დაეუფლა თუ არა მამის სამკვიდროს) არ წარმოადგენდა მამის, ნ. დ-ას სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიმღებ სუბიექტს, რის გამოც მისი მოთხოვნა, მამის სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების თაობაზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული, ხოლო დედის – ე. დ-ას სამკვიდროდან წილის მიკუთვნების ნაწილში პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები, რადგანაც სადავო ქონება, იყო ე. დ-ასა და ნ. დ-ას თანასაკუთრება, ამასთან, ო. დ-ა დაეუფლა დედის სამკვიდროს, რაც მოწმობდა, რომ მოსარჩელეს ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე მშობლების თანასაკუთრებაში არსებული ბინიდან უნდა მიკუთვნებოდა დედის კუთვნილი S წილიდან S ნაწილი, ანუ მთლიანი სახლთმფლობელობის j ნაწილი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილი გარემოებების სასამართლებრივი შეფასების მიზნით იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლით და რადგანაც მხარეთა შორის ურთიერთობები წარმომობილი იყო როგორც 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ისე, მას შემდეგ, მიიჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას გამოყენებული უნდა ყო-

ფილიყო, როგორც 1964 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ისე 1997 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო კოდექსი.

პალატამ მიუთითა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-19, 21-ე, 22-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სადავო ქონება, როგორც მეუღლეთა – ე. და ნ. დ-ების ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი, წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 539-ე, 540-ე, 542-ე, 547-ე მუხლების შესაბამისად, ო. დ-ა და ე. დ-ა (მიუხედავად იმ ფაქტისა ის დაეუფლა თუ არა მამის სამკვიდროს) არ წარმოადგენდნენ, ნ. დ-ას სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიმღებ სუბიექტებს, (რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლის დათქმას სავალდებულო წილის მიმღებ სუბიექტებთან დაკავშირებით) აღნიშნულის გამო ო. დ-ას მოთხოვნა, მამის სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების თაობაზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

რაც შეეხება დედის სამკვიდროს მიღებას, პალატამ მიიჩნია, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არსებობდა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1433-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. დ-ამ, მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ო. დ-ა და ე. დ-ები არ წარმოადგენდნენ ნ. დ-ას სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიმღებ სუბიექტებს, თანახმად სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლისა, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ქორწინებისა და გარდაცვალების მოწმობების თანახმად, ნ. დ-ას გარდაცვალების დროისათვის ე. დ-ა იყო 66 წელს გადაცილებული, პენსიონერი და შრომისუუნარო, მართალია ამ დროისათვის ო. დ-ა არ აკმაყოფილებდა კანონის ამავე მოთხოვნებს, მაგრამ აღნიშნული ურთიერთობები გრძელდებოდა 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგაც და ახალი სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით მემკვიდრეობის გზით უძრავი ნივთის სავალდებულო წილის მიღების ახალი წესი იქნა შემოღებული და ძველი კოდექსისაგან განსხვავებით, სავალდებულო წილი მიეკუთვნა ყველა მემკვიდრეს, მიუხედავად მათი შრო-

მისუნარიანობისა, რაც ამავე კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე ურთიერთობის ახალი კოდექსით მოწესრიგებას განაპირობებდა.

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი და არასწორად გამოიყენა იგი სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, გარდა აღნიშნულისა, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის გამოყენების აუცილებლობას ადასტურებს ამავე კოდექსის მე-6 მუხლი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა, ო. დ-ას საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაადგინა და კასატორი სადავოდ არ ხდის, რომ:

მოსარჩელე და მოპასუხე არიან და-ძმა;

მხარეთა დედა იყო ე. დ-ა, ხოლო მამა – ნ. დ-ა;

ე. დ-ა და ნ. დ-ა დაქორწინდნენ 1954 წლის 12 დეკემბერს, შესაბამისად, ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლი შექმნილია მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში და როგორც მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი, ეს ქონება წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას, თუმცა, აღმასკომის 1956 წლის 29 ივნისის №..... გადაწყვეტილების საფუძველზე, იგი აღირიცხა ნ. დ-ას სახელზე;

ნ. დ-ა გარდაიცვალა 1997 წლის 26 აგვისტოს, რის გამოც სამკვიდრო გაიხსნა ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მხოლოდ S ნაწილზე, ანუ იმ წილ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნოდა მამკვიდრებელს;

ნ. დ-ამ, თავის სახელზე აღრიცხული მთელი ქონება უანდერძა შვილს – გ. დ-ას;

ე. დ-ა გარდაიცვალა 2011 წლის 8 თებერვალს;

ე. დ-ას, გარდა ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის S

ნაწილისა, გააჩნდა ქ.ბათუმში, შ-ს ქ. №10-ში მდებარე სახლი, რომელიც სრულად უანდერძა ო. დ-ას;

ე. დ-ას გარდაცვალების შემდეგ დარჩა 1-ლი რიგის ორი მემკვიდრე: ქალიშვილი – ო. დ-ა და ვაჟიშვილი – გ. დ-ა;

ო. დ-ამ, 2012 წლის 1 მარტის სამკვიდრო მოწმობით, მიიღო ქ.ბათუმში, შ-ს ქ. №10-ში მდებარე დედის დანაშთი სამკვიდროს 3/4, ხოლო სავალდებულო წილის სახით, გ. დ-ამ მიიღო ამავე სამკვიდროს 1/4;

ო. დ-ა ცხოვრობდა ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე მშობლების სახლში, სადაც გაზარდა შვილები, ის ასევე პერიოდულად ცხოვრობდა ქ.ბათუმში, შ-ს ქ. №10-ში, ასევე სხვადასხვა მისამართზე.

წინამდებარე საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე ქონებაზე (საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილზე) ნ. დ-ას თანამესაკუთრედ ე. დ-ას ცნობა; ნ. დ-ას ანდერძისა და, შესაბამისად, გ. დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამემკვიდრეო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა; მამის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის ო. დ-ა ე. დ-ებისათვის მიკუთვნება და ე. დ-ას სავალდებულო, ასევე მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე S წილიდან ნახევრის მოსარჩელისათვის მიკუთვნება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ ო. დ-ას სარჩელი ნ. დ-ას სახელზე რიცხული ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ე. დ-ას ცნობისა და ამ ქონების 1/2-ის ანუ მოპასუხის სახელზე რიცხული ქონების 1/4-ის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის ნაწილში დააკმაყოფილა, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, ნ. დ-ას სამკვიდროდან (სახლთმფლობელობის 1/2-დან) ო. დ-ა ე. დ-ებისათვის სავალდებულო წილის მიკუთვნების, ასევე ე. დ-ასათვის მისაკუთვნებელი სავალდებულო წილის 1/2-ის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის თაობაზე, პალატამ იგი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ო. დ-ა ე. დ-ები არ წარმოადგენდნენ ნ. დ-ას სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიმღებ სუბიექტებს, რადგანაც ნ. დ-ას ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) მოქმედების ფარგლებში და მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ურთიერთობაც სწორედ იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით უნდა დარეგულირებულიყო. 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის შესაბამისად კი, სამკვიდროდან სავალდებულო წილი ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან არაშრომისუნარიან შვილებს, აგრეთვე

გარდაცვლილის არაშრომისუნარიან მეუღლეს. რადგანაც ო. და ე. დ-ები ნორმაში მითითებულ სავალდებულო წილის მიღების წინაპირობებს არ აკმაყოფილებდნენ, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის დათქმიდან გამომდინარე, მათ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ წარმოშობიათ.

კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მისთვის, ასევე გარდაცვლილი ე. დ-ასათვის სავალდებულო წილის მიკუთვნებაზე და ე. დ-ასათვის მისაკუთვნებელი სავალდებულო წილიდან ნახევრის კასატორისათვის მიკუთვნებაზე. თავის მხრივ, ო. დ-ა მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი, ასევე არ გაითვალისწინა, რომ ნ. დ-ას გარდაცვალების დროისათვის ე. დ-ა იყო 66 წელს გადაცილებული პენსიონერი და შრომისუუნარო, რაც დასტურდება საქმეში არსებული ქორწინებისა და გარდაცვალების მოწმობებით, ამასთანავე, საკასაციო საჩივარს დაურთო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის ცნობა, რომ ლ. (ე.) დ-ას 1986 წლის 24 თებერვლიდან დანიშნული ჰქონდა ასაკის პენსია.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას მამის სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიკუთვნებაზე უარის არასწორად თქმის შესახებ და თვლის, რომ ამ ნაწილში გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კანონის დროში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ მათი წარმოშობის დროს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებას ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მსჯელობას, რომ ო. დ-ას კუთვნილი სავალდებულო წილის თაობაზე სამემკვიდრეო ურთიერთობების ახალი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების ფარგლებში გაგრძელების გამო დავა ახალი კოდექსის ნორმებით უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, პალატა თვლის, რომ სამართლის ნორმის არასწორად გამოყენების თვალსაზრისით კასატორის პრეტენზია სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შედავებას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალა-

ქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის დებულება, რომლითაც კანონმდებელი ძველი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების ფარგლებში წარმოშობილი ურთიერთობების ახალი კოდექსით რეგულირების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ მოდავე სუბიექტებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოანესრიგონ.

ო. დ-ას სარჩელის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების შესწავლით უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელე მოთხოვნას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე ამყარებდა. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით ნ. დ-ამ არა თუ სადავო გახადა ურთიერთობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციით დარეგულირება, არამედ, თავადაც ამ კოდექსის ნორმაზე დაყრდნობით უარყო სასარჩელო მოთხოვნები და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ ო. დ-ას მოთხოვნები სწორედ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით უნდა მოწესრიგებულიყო.

როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო პალატამ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დადგენილად ცნო, რომ ნ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ ო. დ-ა ცხოვრობდა მშობლების სახლში და აქ გაზარდა შვილები, ანუ იგი ფაქტობრივად დაეუფლა მამის სამკვიდროს, რაც მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებად განიხილება (ო. დ-ას მიერ მამის, ნ. დ-ას სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი ასევე დადგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რის თაობაზეც მოპასუხეს დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენია). ამავე კოდექსის 1371-ე მუხლით, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამდენად, უდავოა, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსის რეგულაციის ფარგლებში, ო. დ-ა, როგორც ნ. დ-ას 1-ლი რიგის მემკვიდრე – შვილი, წარმოადგენს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მოთხოვნა მისთვის სავალდებულო წილის სახით 1/6-ის მიკუთვნებაა.

სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მონვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ან-

დერძი რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. დ-ას დარჩა 1-ლი რიგის 3 მემკვიდრე: მეუღლე – ე. დ-ა და შვილები: გ. და ო. დ-ები;

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია, რომ ნ. დ-ას დანაშთი ქონება ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილი იყო და კანონით მემკვიდრეობის ფარგლებში თითოეული მემკვიდრე მიიღებდა ამ ქონების (1/2-ის) 1/3 ნაწილს, სავალდებულო წილის თვალსაზრისით კი, მისაღები სამკვიდრო ამ წილის ნახევარია, რაც შეადგენს დანაშთი ქონების 1/6-ს, ხოლო მთელი საცხოვრებელი სახლის 1/12-ს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც სახეზე არ არის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, პალატა უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მამის სამკვიდროდან ო. დ-ას სავალდებულო წილი უნდა განისაზღვროს ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე სადავო ქონების 1/12-ით და კასატორს სულ უნდა მიეკუთვნოს მოპასუხის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/3 ( $1/4+1/12$ ), სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად კი, ამ ნაწილში უნდა იქნას ბათილად ცნობილი გ. დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა.

რაც შეეხება ნ. დ-ას სამკვიდრო ქონებიდან ე. დ-ს მიერ სავალდებულო წილის მიღებისა და ამ წილის S-ის მოსარჩელისათვის მიკუთვნების მოთხოვნას, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. მართალია, სააპელაციო პალატამ, სამართლის ნორმის არასწორად გამოყენების გამო, მსგავსად მოსარჩელისა, ე. დ-ა არასწორად მიიჩნია სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების არმქონედ, თუმცა, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ო. დ-ას ან გარდაცვლილი დედა ნ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად დაეუფლა ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე მეუღლის სამკვიდროს პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია, უფრო მეტიც, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების

თანახმად, ლ. (ე.) დ-ას ნ. დ-ას დანაშთი ქონების მიღების სურვილი არ გამოუხატავს, არ სარგებლობდა ამ ქონებით და მას თავისად არ მიიჩნევდა (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 6.3 პუნქტი). ამ ფაქტობრივი გარემოების თაობაზე ო.დ-ას სააპელაციო საჩივარში დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენია. ე. დ-ას მიერ მეუღლის სამკვიდრო ქონების მიღების შესახებ ფაქტობრივი გარემოება არც გასაჩივრებული გადანყვეტილებით დაუდგენია სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო საჩივარში კასატორი შემოიფარგლა იმის მტკიცებით, რომ ე. დ-ა იყო 66 წლის ასაკს გადაშორებული შრომისუუნარო პენსიონერი, რაც მის სავალდებულო წილის მიმღებ მემკვიდრედ მიჩნევას განაპირობებდა.

საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, გაიზიაროს ეს არგუმენტი, რადგანაც ე. დ-ას ასაკისა და მის შრომისუუნარობის თაობაზე მხარემ პირველად მხოლოდ საკასაციო საჩივარში მიუთითა. ამ ფაქტზე თუნდაც ირიბ მითითებას არ შეიცავს არც სარჩელი და არც მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე კი, საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება დაუშვებელია და ამ ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა შემოიფარგლება მხოლოდ ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში არსებული განმარტებებით. საპირისპირო ვითარებაშიც კი, საგულისხმოა, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წილის მიმღებად პირის მიჩნევას მის შრომისუუნარობას არ უკავშირებს, არამედ გადამწყვეტია 1371-ე მუხლის სუბიექტმა დადგენილი წესით გამოსხატოს სამკვიდროს მიღების ნება.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე დართულ ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის ცნობას, იგი, როგორც საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულება, ვერ იქნება შეფასებული პალატის მიერ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს აღნიშნული მტკიცებულება 1 ფურცლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთა-



ვისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ო. დ-ამ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 130 ლარი, სააპელაციო საჩივრის გამო – 200 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივრის გამო – 570 ლარი, სულ მოსარჩელის მიერ გადახდილია 900 ლარი. სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ( $1/3(0.333) \times 900:3/8(0.375)$ ), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. დ-ას ო. დ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯიდან 799.20 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე, მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ო. დ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

2.1. ო. დ-ას სარჩელი მამის – ნ. დ-ას სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2.2. ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი გ. დ-ას სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაშთი.

2.3. ო. დ-ა ცნობილ იქნას ქ.ბათუმში, ბ-ის ქ. №11-ში მდებარე გ. დ-ას სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის (ს/კ №...) 1/3-ის ( $1/12+1/4$ ) მესაკუთრედ.

2.4. ო. დ-ას სარჩელი ე. დ-ას მიერ ნ. დ-ას სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღებისა და ამ წილის 1/2-ის მესაკუთრედ ო. დ-ას ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

3. გ. დ-ას (პ/...) ო. დ-ას (პ/...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯებიდან – 799.20 ლარის ანაზღაურება.

4. ო. დ-ას დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის ცნობა 1 ფურცლად.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

### სამკვიდროს მიღება; კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა

#### სამკვიდროს მიღება

##### ბანრინება

№ას-909-867-2013

10 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო მონწილბის ბათილად ცნობა, სანოტარო აქტის ბათილად ცნობა

##### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 13 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. ტ-ემ მოპასუხეების შ. ტ-ის, რ. ტ-ე-ტ-ის, დ. ტ-ე-ზ-სა და ნოტარიუს ბ. დ-ას მიმართ კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობის, სამკვიდრო მონწილბისა და სანოტარო აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით ქ. ქუთაისში მ. ყ-ას ქ. №26-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა მამის – კ. ტ-ის საკუთრებას. 2002 წლის 3 სექტემბერს გარდაიცვალა კ. ტ-ე, რის შემდეგაც მამის დანაშთ ქონებაში ცხოვრობდა მისი ძმის დ. ტ-ის ოჯახთან ერთად და ფაქტობრივი მფლობელობის გზით დაეუფლა მამის დანაშთ ქონებას. მისი ძმა დ. ტ-ე გარდაიცვალა 2011 წლის 11 სექტემბერს. 2012 წლის აპრილში მიმართა ნოტარიუს ბ. დ-ას და მოითხოვა კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონწილბის გაცემა. ნოტარიუსმა მისი განცხადება არ დააკმაყოფილა და სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი უთხრა. ნოტარუსმა უარის თქმის საფუძვლად მიუთითა 2002 წლის 24 სექტემბრის სამკვიდრო მონწილბაზე. კერძოდ აქტში მითითებულია, რომ ნ. ტ-ემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. მოსარჩელის განმარტებით მას სამკვიდროზე უარი არასოდეს არ უთქვამს და სამკვიდრო მონწილბაში მსგავსი მითითება ეწინააღმდეგება რეალობას. 2012 წლის 10 დეკემბერს ნოტარიუსმა

სამკვიდრო მონუმობა გასცა შ. ტ-ის სასარგებლოდ და მიიჩნევს, რომ ნოტარიუსს არ ჰქონდა უფლება შ. ტ-ის სახელზე გაეცა სამკვიდრო მონუმობა, რადგანაც მათ შორის არსებობდა სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული დავა, გარდა ამისა ერთ-ერთმემკვიდრეს თვითონაც წარმოადგენს და მასაც აქვს მიღებული სამკვიდრო ქონება. ნოტარიუსმა კი არ გაითვალისწინა მისი კანონიერი ინტერესი და ქონება მთლიანად გადასცა შ. ტ-ეს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით მოითხოვს ბათილად იქნას ცნობილი სანოტარო აქტები: კერძოდ 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10138 სამკვიდრო მონუმობა, 2012 წლის 26 აპრილის №120429952 და 2012 წლის 27 აპრილის №120432146 სანოტარო აქტები, 2012 წლის 25 სექტემბრის სანოტარო აქტი და 2012 წლის 10 დეკემბრის სამკვიდრო მონუმობა №121309790. ასევე მოითხოვს ცნობილი იქნას მისი მამის კ. ტ-ის დანაშთი ქონების მემკვიდრედ და მასზე გაცემული იქნას სამკვიდრო მონუმობა.

მოპასუხე შ. ტ-ის წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ დ. ტ-ემ, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ კანონით დადგენილი წესით მიმართა ნოტარიუსს და სამკვიდრო ქონებაზე მიიღო სამკვიდრო მონუმობა. კ. ტ-ეს ჰყავდა 7 შვილი. დ. ტ-ის სასარგებლოდ დანარჩენმა მემკვიდრეებმა უარი განაცხადეს სამკვიდროს მიღებაზე. ასეთივე უარი განაცხადა ნ. ტ-აც, რის გამოც სამკვიდრო მონუმობა გაიცა მხოლოდ დ. ტ-ე. მოსარჩელემ უარი თქვა სამკვიდროზე, რის გამოც მან დაკარგა სამკვიდრო ქონებიდან მემკვიდრეობის მიღების უფლება. გარდა ამისა ნ. ტ-ე არ ცხოვრობდა კ. ტ-ის საკუთრებაში. ის კ. ტ-ის სიცოცხლეშიც და მას შემდეგაც ცხოვრობდა სხვადასხვა მისამართებზე მდგმურის სახით. მამის სახლში დადიოდა მხოლოდ სტუმრად, ამიტომ ის სამკვიდრო ქონებას მფლობელობის გზით დაუფლებული არაა. დ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ მის 1-ლი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა შ. ტ-ე და რ. ბ-ე. რ. ბ-ემ და შ. ტ-ემ ფაქტობრივი მფლობელობის გზით დაუფლენ დ. ტ-ის დანაშთ ქონებას. რ. ბ-ემ შ. ტ-ის სასარგებლოდ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. აღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 10 დეკემბერს შ. ტ-ემ მიიღო სამკვიდრო მონუმობა.

ნოტარიუსი ბ. დ-ამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის მიერ მიღებული სანოტარო აქტები კანონიერია და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი. მოსარჩელემ 2002 წელში უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, რის გამოც სამკვიდრო მონუმობა გაიცა მხოლოდ დ. ტ-ის სახელზე. დ. ტ-ეს გარდაცვალების

შემდეგ მემკვიდრედ დარჩა მისი ცოლი და შვილი. მეუღლემ სამკვიდროს მიღებაზე უარი განაცხადა შესაბამისად სამკვიდრო მონაწილეობა გაიცა შ. ტ-ზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ტ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 ივნისის განჩინებით ნ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები დაობენ სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში მ. ყ-ას ქ. №26-ში. სადაო ქონება 2003 წლამდე წარმოადგენდა კ. ტ-ის საკუთრებას.

კ. ტ-ე გარდაიცვალა 2002 წლის 3 სექტემბერს.

კ. ტ-ეს ჰყავდა 7 შვილი. მათგან ერთ-ერთია მოსარჩელე ნ. ტ-ე. მოპასუხე შ. ტ-ე კ. ტ-ის შვილიშვილია. მისი მამა დ. ტ-ე ნ. ტ-ის ძმა იყო.

კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ 2002 წლის 24 სექტემბერს დ. ტ-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა კ. ტ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობის გაცემა. სამკვიდრო ქონებას შეადგენდა სს „რ-ი“ კ. ტ-ის სახელფასო დავალიანება. ნოტარიუსმა განიხილა მისი განცხადება, დაადგინა, რომ დ. ტ-ე კ. ტ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრეა. მიიჩნია, რომ აკმაყოფილებდა სამკვიდრო მონაწილეობის გაცემის ყველა მოთხოვნას და 2002 წლის 24 სექტემბერს მიიღო №1-10198 სანოტარო აქტი სამკვიდრო მონაწილეობა, რომლითაც დ. ტ-ემ მემკვიდრეობით მიიღო კ. ტ-ის დანაშთი სახელფასო დავალიანება.

შ. ტ-ის მამა დ. ტ-ე გარდაიცვალა 2011 წლის 11 სექტემბერს.

2011 წლის 14 ოქტომბერს დ. ტ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრემ რ. ბ-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და უარი განაცხადა დ. ტ-ის სამკვიდრო ქონებაზე შვილის, შ. ტ-ის სასარგებლოდ.

2012 წლის 6 აპრილს ნ. ტ-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობის გაცემა მოითხოვა.

2012 წლის 26 და 27 აპრილს ელექტრონული კომუნიკაციის

საშუალებით ნოტარიუს ბ. დ-ას დაუკავშირდა კ. ტ-ის შვილები დ. ზ-ე და რ. ტ-ე. მათ ნოტარიუსს მიაწოდეს განცხადება მასთან დაკავშირებით, რომ უარს ამბობენ მამის კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე მათი ძმის შვილის შ. ტ-ის სასარგებლოდ.

2012 წლის 27 აპრილს ნოტარიუსმა განიხილა ნ. ტ-ის განცხადება სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე და მიიღო №120432139 დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ. დადგენილებაში განმარტა, რომ 2002 წლის 24 სექტემბერს დ. ტ-ის სასარგებლოდ ნოტარიუსის მიერ გაცემულია სამკვიდრო მონუმობა იმ ქონებაზე, რომლის სამკვიდრო მონუმობის გაცემასაც ამჟამად მოითხოვს ნ. ტ-ე. დ. ტ-ის სამკვიდრო მონუმობაში მითითებულია, რომ ნ. ტ-ეს უარი აქვს ნათქვამი სამკვიდრო ქონებაზე. ნოტარიუსმა მიიჩნია, რომ დასახელებული გარემოება გამორიცხავდა მის სასარგებლოდ სამკვიდრო მონუმობის გაცემას, რის გამოც მასზე არ გასცა სამკვიდრო მონუმობა.

2012 წლის 25 მაისს ნ. ტ-ემ სარჩელი აღძრა ნოტარიუს ბ. დ-ას მიმართ და 2012 წლის 27 აპრილს ნოტარიუს ბ. დ-ას მიერ გაცემული №120432139 დადგენილების გაუქმება და მამის კ. ტ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონუმობის გაცემა მოითხოვა. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა შემდეგი არგუმენტებით:

2002 წლის 3 სექტემბერს გარდაიცვალა მისი მამა კ. ტ-ე, რომლის საკუთრებაში იყო ქ.ქუთაისში მ. ყ-ას ქუჩა №26-ში მდებარე სახლი. აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა მამის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც შვილთან ე. კ-ან და ძმის დ. ტ-ის ოჯახთან ერთად. მამის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერც მან და ვერც მისმა ძმამ ვერ მიმართეს ნოტარიუსს და სამკვიდრო მონუმობა არ მიუღია, რის გამოც სახლი კვლავ გარდაცვლილი მამის კ. ტ-ის სახელზე ირიცხება. 2011 წლის 10 სექტემბერს გარდაიცვალა მისი ძმა დ. ტ-ე, რის შემდეგაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისმა რძალმა რ. ბ-ემ კ. ტ-ის სამკვიდროს მისაღებად მიმართა ნოტარიუს ბ. დ-ას. 2012 წლის 6 აპრილს მიმართა ნოტარიუს ბ. დ-ას სამკვიდრო მონუმობის მისაღებად, მაგრამ 2012 წლის 27 აპრილის დადგენილებით ნოტარიუსმა უარი უთხრა სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე, ვინაიდან 2002 წლის 24 სექტემბერს მას უარი აქვს ნათქვამი სამკვიდრო ქონების მიღებაზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აღნიშნული სანოტარო აქტით დადგენილია, რომ მან უარი თქვა მხოლოდ სს „რ-ი“ 2002 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მა-

მის კ. ტ-ის სახელფასო დავალიანების 4104 ლარის მიღებაზე. ამ აქტით მან უარი თქვა მხოლოდ ხელფასის მიღებაზე და არა მთელ სამკვიდრო ქონებაზე.

სასამართლო სხდომაზე ნ. ტ-ემ სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა. მან კ. ტ-ის სამკვიდრო ქონების მის მიერ მიღებულად მიჩნევის მოთხოვნა გაიხმო, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო დავის საგნად დარჩა ნოტარიუსის აქტის კანონიერება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის სხდომაზე ნოტარიუსი ბ. დ-ა არ გამოცხადდა, რის გამოც საქმეზე მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ბ. დ-ას 2012 წლის 27 აპრილის №120432139 დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნოტარიუსმა განაახლა ნ. ტ-ის 2012 წლის 6 აპრილის განცხადების განხილვა და 2012 წლის 24 სექტემბერს მიიღო სანოტარო აქტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც ნ. ტ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. დადგენილებაში მითითებულია, რომ სამკვიდრო ქონებაზე ნოტარიუს თ. მ-ის მიერ დ. ტ-ის სასარგებლოდ 2002 წლის 24 სექტემბერს გაცემულია სამკვიდრო მონაწილეობა. საქმის შესწავლის მიზნით არქივიდან გამოთხოვილი იქნა სამკვიდრო საქმე, მაგრამ მისი მიღება ვერ მოხერხდა, რადგანაც ნოტარიუს თ. მ-ის სანოტარო ბიუროს არქივი დამწვარია, რის გამოც ვერ შეძლო დოკუმენტების მიღება და გაცნობა. თ. მ-ის მიერ გაცემულ სამკვიდრო მონაწილეობაში მითითებულია, რომ საქმეში არსებობს ნ. ტ-ის თანხმობა დ. ტ-ის მიერ სამკვიდროს მიღებაზე. ნოტარიუსმა ჩათვალა, რომ ადგილი ქონდა სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, რომლის მიხედვითაც თუ მემკვიდრე უარს ამბობს ნაწილზე, ითვლება, რომ უარს ამბობს მთლიან სამკვიდროზე. ნოტარიუსმა ჩათვალა, რომ ნ. ტ-ეს უარი აქვს ნათქვამი თავის სამკვიდრო წილზე, ამიტომ დადგენილებით მისი განცხადება არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო პალატამ მხარეთა განმარტებების მოსმენის შემდეგ უდავოდ დაადგინა, რომ ნ. ტ-ემ 2002 წელში უარი თქვა კ. ტ-ის სამკვიდროზე. აპელანტმა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოშიც განმარტა, რომ მან თანხმობა განაცხადა მის ძმას დ. ტ-ეს მიეღო მამის

ხელფასი. დასახელებული თანხა ოჯახს სჭირდებოდა გასვენების ხარჯების დასაფარავად და სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე უნდა აეღოთ, ამიტომ მან თანხმობა განაცხადა ხელფასის დ. ტ-ის მიერ განკარგვაზე. მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ მითითებულია 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10138 სამკვიდრო მონმობაში.

ნ. ტ-ის განცხადების განხილვის პროცესში 2012 წლის 8 ივნისს ნოტარიუსს ბ. დ-ას იტალიიდან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დაუკავშირდა შ. ტ-ის კანონიერი წარმომადგენელი რ. ბ-ე და მოითხოვა კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე შ. ტ-ის, როგორც დ. ტ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრეზე სამკვიდრო მონმობის გაცემა.

2012 წლის 10 დეკემბერს ნოტარიუსმა ბ. დ-ამ შ. ტ-ის სასარგებლოდ გასცა სამკვიდრო მონმობა №121309790, რომლითაც შ. ტ-ემ მიიღო ქ. ქუთაისში მ. ყ-ას ქ. №26-ში მდებარე კ. ტ-ის დანაშთი ქონება.

შ. ტ-ე და მისი დედა რ. ბ-ე იმყოფებიან იტალიაში. მათ მ. ყ-ას ქ. №26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საპატრონოდ დატოვებული აქვთ მათი ახლობლისათვის მ. ღ-ის. 2012 წლის 17 ივნისს ნ. ტ-ე მივიდა მ. ღ-ის ჩაბარებულ სახლში და ძალის გამოყენებით შევიდა სახლის მეორე სართულზე და დაიკავა იგი, რის გამოც მ. ღ-ის მიერ გამოძახებული იქნა პოლიცია.

2012 წლის 13 დეკემბერს პოლიციას განცხადებით მიმართა შ. ტ-ის წარმომადგენელმა და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. ქუთაისში მ. ყ-ას №26-ში უკანონო ხელშეშლის აღკვეთა.

ქუთაისის საქალაქო პოლიციის მეორე განყოფილების მიერ შ. ტ-ის განცხადების საფუძველზე დაინიშნა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის აღკვეთის ღონისძიების განხორციელება. ამ მიზნით 2013 წლის 11 იანვარს მიღებული იქნა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილების აქტი, რომლითაც ნ. ტ-ე გაფრთხილდა შეწყვიტოს სხვისი საკუთრების ხელყოფა. 2013 წლის 30 იანვარს ხელყოფის აღკვეთის ღონისძიება დასრულდა ნ. ტ-ის გამოსახლებით.

ნ. ტ-ემ ჩათვალა, რომ მასზე სამკვიდრო მონმობის გაუცემლობითა და შ. ტ-ის სასარგებლოდ სამკვიდრო მონმობის გაცემით დაირღვა მისი სამკვიდროს მიღების უფლება, რის გამოც სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ბათილად იქნას ცნობილი 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10138 სამკვიდრო მონ-



მოზა, რომლითაც დ. ტ-ემ მიიღო მისი – მამის კ. ტ-ის სახელფასო დავალიანება, 2012 წლის 26 აპრილის №120429952 სანოტარო აქტი, რომლითაც კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე უარი თქვა დ. ზ-ემ, 2012 წლის 27 აპრილის №120432146 სანოტარო აქტი, რომლითაც კუკური ტ-ის დანაშთ ქონებაზე უარი თქვა რ. ტ-ემ, 2012 წლის 25 სექტემბრის სანოტარო აქტი, რომლითაც ნ. ტ-ეს უარი თქვა მის სასარგებლოდ სანოტარო აქტის გაცემაზე, 2012 წლის 10 დეკემბრის სამკვიდრო მონაშობა №121309790, რომლითაც სამკვიდრო მონაშობა გაიცა შ. ტ-ის სახელზე. მოსარჩელე ასევე მოითხოვს ცნობილი იქნას მისი მამის კ. ტ-ის დანაშთი ქონების მემკვიდრედ და მასზე გაცემული იქნას სამკვიდრო მონაშობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მონაშთის სახით დაკითხა მოპასუხეთა მონაშთები, კერძოდ: მ. ტ-ე, შ. ს-ე, ნ. დ-ე და მ. ლ-ე. მ. ტ-ე ნ. ტ-ის დაა. მან განმარტა, რომ მის დას ნ. ტ-ეს, მამის – კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებაში არ უცხოვრია. მან ასევე განმარტა, რომ ნ. ტ-ე მამის გარდაცვალებამდეც ცხოვრობდა მდგმურად ქ. ქუთაისში გ-ის ქუჩაზე, მ.ყ-ას №12-ში და სხვა მისამართებზე. ასევე სხვადასხვა მისამართებზე ცხოვრობდა მამის გარდაცვალების შემდეგაც. განმარტა, რომ 2004 წლის 15 ოქტომბრიდან სამუშაოდ იყო საბერძნეთში, საიდანაც დაბრუნდა 2010 წელში. ნ. ტ-ე ამ პერიოდში ცხოვრობდა მის სახლში და მას შემდეგაც 2012 წლის აპრილამდე ნ. ტ-ე ცხოვრობდა მის სახლში ქ. ქუთაისში ტ. ტ-ის ქ. №7-ში. ანალოგიური ჩვენება მისცა სასამართლოს შ. ს-ემ, რომელიც სადაო სამკვიდრო სახლის მეზობლად ცხოვრობს. ასევე ნ. დ-ემ, რომელიც კ. ტ-ის ნათლულია. მათ განმარტეს, რომ ნ. ტ-ეს კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ მამის დანაშთ ქონებაში არ უცხოვრია.

ნ. ტ-ის საცხოვრებელ მისამართთან მიმართებაში საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსისათვის 2005 წლის 6 ნოემბრის ნ. ტ-ის მიერ მიწერილ წერილში, ნ. ტ-ე უთითებს, რომ ცხოვრობს ქ. ქუთაისში ტ. ტ-ის ქ. №7-ში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადების მიღების ბარათით, ნ. ტ-ის მისამართად მითითებულია ტ. ტ-ის ქ. №7. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 17 ივნისის მიმართვაში, ნ. ტ-ის მისამართად მისი განცხადების შესაბამისად მითითებულია ტ. ტ-ის ქ. №7. მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 11 ივნისის მიმართვით, რომლითაც ნ. ტ-ეს პასუხი გაეცა მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, ნ. ტ-ის მისამართად მისივე განცხადების მიხედვით მითითებულია ტ. ტ-ის ქ. №7. ამ მისამართზე გაეგ-

ზავნა და ჩაბარდა ნ. ტ-ეს მიმართვა. შს „ქ-ის“ 2007 წლის 6 და 10 აგვისტოს მიმართვით დგინდება, რომ ნ. ტ-ეს პასუხი გაეცა მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე. დასახელებულ მიმართვაში ნ. ტ-ის მისამართად მისივე განცხადების მიხედვით მითითებულია ტ. ტ-ის ქ. №7. იმერეთის რეგიონალური არქიმენინსპექციის 2005 წლის 13 სექტემბრის მიმართვით, რომლითაც ნ. ტ-ეს პასუხი გაეცა მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე. ნ. ტ-ის მისამართად მისივე განცხადების მიხედვით მითითებულია ტ. ტ-ის ქ. №7.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაკითხა მოსარჩელის მოწმეები: ე. ს-ე, ლ. გ-ა და ლ. ა-ა მოსარჩელის მიერ დანაშთი სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელობით მიღების დასადასტურებლად, მაგრამ არ გაიზიარა მათი ჩვენებები შემდეგი გარემოებების გამო: კ. ტ-ე გარდაიცვალა 2002 წლის სექტემბერს. მოწმე ლ. გ-ა განმარტავს, რომ 2004 წლამდე ქ. ქუთაისში არ იმყოფებოდა. 2004 წელში დაბრუნდა ქუთაისში და მას შემდეგ მისთვის ცნობილია, რომ ნ. ტ-ე ცხოვრობდა მამის დანაშთ ქონებაში და სტუმრადაცაა მასთან ნამყოფი. ე. ს-ე ნ. ტ-ის მეგობარია და განმარტავს, რომ ნ. ტ-ეს სხვა საცხოვრებელი გარდა მამისეული ქონებისა, არ ჰქონდა და ამ სახლში ცხოვრობდა მუდამ. ასეთივე განმარტება მისცა სასამართლოს ლ. ა-ა ც. სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი ჩვენებები არაა სარწმუნო, ეწინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილ უფრო სარწმუნო მტკიცებულებებს (2.21. პუნქტში მითითებულია). ე. კ-ის გარდა სხვა მოწმეები ერთმნიშვნელოვნად ვერ ამტკიცებენ ნ. ტ-ის ცხოვრებას დანაშთ ქონებაში 2002 წლის 2 სექტემბრიდან 2004 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდში, რაც ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ზუსტად ამ პერიოდში უნდა დაუფლებოდა ნ. ტ-ე სამკვიდრო ქონებას. ამ პერიოდში მის მიერ ქონების დაუფლება წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება. ე. კ-ე მოსარჩელის შვილია და მისი ჩვენება უნდა შეფასდეს კრიტიკულად. მისი ჩვენება ეწინააღმდეგება წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. ე. კ-ე განმარტავს, რომ დედასთან ერთად ცხოვრობდა კ. ტ-ის დანაშთ ქონებაში და ამ მისამართზე ცხოვრობდნენ მუდმივად, კ. ტ-ის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც. წერილობითი მტკიცებულებებით კი დგინდება, რომ ნ. ტ-ე 2004-2008 წლებში ცხოვრობდა ტ. ტ-ის ქ. №7-ში. ამიტომ მისი ჩვენება ეწინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ კრიტიკული შეფასების თვალსაზრისით მისი ჩვენება არ იყო გასაზიარებელი სხვა

ნაწილშიც. გარდა ამისა ნ. ტ-ის მოწმეები არიან მეგობრები (გარდა ე. კ-სა), რომლებიც უფრო ნაკლებად უნდა იყვენ ინფორმირებულები კ. ტ-ის დანაშთი ქონების დაუფლების შესახებ, ვიდრე მოპასუხის მოწმეები, რომლებიც არიან მხარეთა ნათესავები და ახლო მეზობლები.

ნ. ტ-ის და შ. ტ-ის მიერ შეჯიბრებითობის დაცვით წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ ნ. ტ-ე არ ცხოვრობდა კ. ტ-ის ქონებაში, მას არ ფლობდა, ამ ქონებით არ სარგებლობდა და არ განკარგავდა.

სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება სამართლებრივად შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით“. ამავე კოდექსის 1319-ე მუხლით სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად, ხოლო 1320-ე მუხლით სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

დადგენილია, რომ ქ. ქუთაისი მ.ყ-ას ქუჩა №26-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე იყო კ. ტ-ე. იგი გარდაიცვალა 2002 წლის 3 სექტემბერს. მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო, რომლის მიღებაც მის მემკვიდრეებს შეეძლოთ, როგორც კანონით გათვალისწინებული საფუძვლით, ისე ანდერძით.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე“.

ამავე კოდექსის 1336-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: I. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები)“.

დადგენილია და მხარეები არ დაობენ, რომ ნ. ტ-ე კ. ტ-ის შვილია, ხოლო შ. ტ-ე ნ. ტ-ის გარდაცვლილი ძმის დ. ტ-ის შვილია. ნ. ტ-ე და დ. ტ-ე ორივე მათგანი 1-ლი რიგის მემკვიდრეები არიან. კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ ორივე მათგანი 1-ლი რიგის მემკვიდრეა და მათ თანაბრად ეკუთვნებოდათ სამკვიდრო ქონება.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილით მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექესი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მტკიცებულებათა გამოკვლევით 1-ლი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ კანონით დადგენილ 6 თვის ვადაში 2002 წლის 24 სექტემბერს დ. ტ-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა კ. ტ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემა. სამკვიდრო ქონებას შეადგენდა სს „რ-ი“ კ. ტ-ის სახელფასო დავალიანება. ნოტარიუსმა განიხილა მისი განცხადება, დაადგინა, რომ დ. ტ-ე კ. ტ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრეა. მიიჩნია, რომ აკმაყოფილება სამკვიდრო მონაწილის გაცემის ყველა მოთხოვნას და 2002 წლის 24 სექტემბერს მიიღო №1-10198 სანოტარო აქტი – სამკვიდრო მონაწილად, რომლითაც დ. ტ-ემ მემკვიდრეობით მიიღო კ. ტ-ის დანაშთი სახელფასო დავალიანება. ნ. ტ-ეს სანოტარო ორგანოსათვის არ მიუმართავს და მემკვიდრეობის მიღება და სამკვიდრო მონაწილის გაცემა არ მოუთხოვია. შ. ტ-ემ სამკვიდრო მონაწილის მისაღებად ნოტარიუსს მიმართა 2012 წლის 10 დეკემბერს. ნოტარიუსმა მიიჩნია, რომ შ. ტ-ე იყო დ. ტ-ის შვილი, რომელსაც მიღებული ჰქონდა სამკვიდრო და გასცა სამკვიდრო მონაწილად.

ნ. ტ-ეს სადაოდ არ გაუხდია დ. ტ-ის მიერ ქონების ფაქტობრივი მფლობელობა. საქმის მასალებითაც დადგინდა, რომ დ. ტ-ე კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა მ. ყ-ას ქ. №26-ში, მისი ცოლ-შვილის ერთად სარგებლობდა და ფლობდა მის სამკვიდრო ქონებას და ფაქტობრივი მფლობელობის გზით დაეუფლა მას. გარდა ამისა მან ნოტარიუსს სამკვიდრო მონაწილის მისაღებად მიმართა იმავე თვეში, როდესაც გარდაიცვალა მამკვიდრებელი და მიიღო სამკვიდრო მონაწილად.

სასამართლომ სწორად არ გაიზიარა ნ. ტ-ის მოსაზრება მასთან დაკავშირებით, რომ დ. ტ-ის სახელზე ნოტარიუსმა უკანონოდ გასცა მთლიან სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილად. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ნოტარიუსს უნდა გაერკვია კ. ტ-ეს ჰყავდა თუ არა სხვა მემკვიდრე. თუ დაადგენდა, რომ მას ჰყავდა

და სხვა მემკვიდრეც, მაშინ მას უნდა ეზრუნა დანარჩენი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებაზე. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ 2002 წელს ნოტარიუსს არ ჰქონდა უფლება სამკვიდრო მონაწილეობა გაეცა მხოლოდ დ. ტ-ის სახელზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2002 წლის 24 სექტემბრის სამკვიდრო მონაწილეობის გაცემასთან დაკავშირებით მოსარჩელის პრეტენზია მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ დადგინდებოდა, რომ მოსარჩელემ სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო მონაწილეობის გაცემა, ან კიდევ თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა სამკვიდრო ქონებას და ამ გზით მიიღო მემკვიდრეობა. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს გახსნის შემდეგ არ მიუმართავს და არ მოუთხოვია სამკვიდრო მონაწილეობა. ასევე მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ ის ქონებას დაეუფლა და მფლობელობის გზით მიიღო სამკვიდრო ქონება. მოსარჩელის და მოპასუხის მიერ შეჯიბრებითობის დაცვით წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით სასამართლომ დაადგინა, რომ კ. ტ-ის გარდაცვალების შემდეგ ნ. ტ-ე არ ცხოვრობდა კ. ტ-ის ქონებაში. მას არ ფლობდა, ამ ქონებით არ სარგებლობდა და არ განკარგავდა.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ნ. ტ-ე და ე. კ-ე რეგისტრირებულნი იყვნენ ქ. ქუთაისში მ. ყ-ას ქ. №26-ში. მაგრამ ამა თუ იმ მისამართზე პირთა რეგისტრაცია არ წარმოადგენს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლების მტკიცებულებას. ფაქტობრივი მფლობელობის გზით ქონების მიღებისათვის საერთოდ არაა აუცილებელი მემკვიდრე სამკვიდრო ქონების მისამართზე იყოს რეგისტრირებული. რეგისტრაციის პარალელურად მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს ქონების დაუფლების მტკიცებულებები.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში ამ ქონებასთან ზოგადი კავშირი არ იგულისხმება. სტუმრად ყოფნა და სამკვიდრო ქონებაში პერიოდულად ღამის გათენება არ ნიშნავს იმას, რომ მას სამკვიდრო ქონება მიღებული აქვს მფლობელობით. სამკვიდრო ქონების მფლობელობით მიღებაში იგულისხმება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი მფლობელობა და პყრობა, ნივთების განკარგვა და მათი ბედის გადაწყვეტა. მოსარჩელის მტკიცებულებები კი ასეთ რამეს არ შეიცავს. არ დგინდება, რომ მოსარჩელე ამ ნივთებს

ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა როგორც საკუთარს. შესაძლებელია ნ. ტ-ის კავშირი ჰქონდა სამკვიდრო ქონებასთან, დადიოდა სტუმრად და ღამესაც ათენებდა და პერიოდულად რჩებოდა სახლშიც, (მიუხედავად იმისა, რომ მისი პერიოდულად ცხოვრება არ დადგინდა), მაგრამ ეს არ ნიშნავს ფაქტობრივი მფლობელობით ქონების დაუფლებას. მოსარჩელე სამკვიდრო ქონებას დაუფლებული, რომ ყოფილიყო, მაშინ არ იცხოვრებდა მ. ტ-ის სახლში და თავშესაფარი არ ექნებოდა ამ სახლში, ასევე რ. ბ-ე სახლს არ ჩააბარებდა მ. ლ-ის და ნ. ტ-ის 2012 წლის ზაფხულში არ მოუხდებოდა საცხოვრებელ სახლში ძალის გამოყენებით შესვლა. მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ქონების ფაქტობრივი მფლობელობა არ დასტურდება.

პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ნ. ტ-ემ ნოტარიუსს მიმართა 2012 წლის 6 აპრილს, რა დროსაც მას უკვე გაშვებული ჰქონდა ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მონუმობის მისაღებად ნოტარიუსზე მიმართვისათვის დადგენილი 6-თვიანი ვადა. თუ მოსარჩელეს მიმართვისათვის დადგენილი 6-თვიანი ვადა და ქონებასაც მფლობელობის გზით არ დაუფლება, ასეთ შემთხვევაში მოპასუხე ნოტარიუსი სწორად მოიქცა თუ არა 2002 წლის 24 სექტემბერს, როდესაც სამკვიდრო მონუმობა გასცა დ. ტ-ის სახელზე, ამ გარემოების დადგენით მოსარჩელისათვის შედეგი არ შეიცვლება, რადგანაც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა არა ნოტარიუსის მართლზომიერი მოქმედების საკითხი, არამედ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი მფლობელობის გზით მიღების საკითხი. თუ მოსარჩელეს სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი მფლობელობის გზით დაუფლებული არ აქვს, ამ შემთხვევაში, რომც დადგინდეს ნოტარიუსის მიერ კანონის დარღვევა, ასეთ დროსაც კი ის ვერ მიიღებს სამკვიდრო მონუმობას, იმის გამო, რომ მას გაშვებული აქვს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი 6-თვიანი ვადა და სამკვიდრო ქონებაც მფლობელობის გზით არ აქვს მიღებული.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ 2002 წლის 24 სექტემბერს დ. ტ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონუმობისა და 2012 წლის 10 დეკემბერს შ. ტ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონუმობის წინააღმდეგ პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ მემკვიდრეს, ვისაც მემკვიდრეობა მიღებული აქვს. ამ შემთხვევაში დაინტერესებული მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველი იქნება მის მიერ უკვე მიღებული სამკვიდროს ქონე-

ბის ნაწილში იმ პროპორციით, რაც მას ერგება. ანუ მან უნდა დაასაბუთოს, რომ სამკვიდრო ქონება მფლობელობის გზით მიღებული აქვს არამართო დ. ტ-სა და შ. ტ-ეს, არამედ თვითონ მასაც.

პალატას სწორედ მიაჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ნ. ტ-ეს სამკვიდრო ქონების მისაღებად კ. ტ-ის გარდაცვალებიდან არც 6 თვის განმავლობაში და არც მას შემდეგ 2012 წლის 6 აპრილამდე ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს და არ მოუთხოვია სამკვიდრო მონუმობის გაცემა. აქედან გამომდინარე მოსარჩელემ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო მონუმობის გაცემა არ მოითხოვა. დასახელებული ვადის გასვლის შემდეგ მან დაკარგა უფლება სამკვიდრო მონუმობის მისაღებად ნოტარიუსს მიმართოს ამ ვადის აღდგენის გარეშე. მოსარჩელეს ნოტარიუსზე მიმართვის გარეშეც შეეძლო სამკვიდროს მიღება, მას მემკვიდრეობა მიღებულად ჩაეთვლებოდა თუ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივი მფლობელობით დაეუფლებოდა და შეუდგებოდა მის მართვას. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ სამკვიდრო ქონება მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი მფლობელობის გზით. მოსარჩელის არგუმენტები ქონების მფლობელობის შესახებ მთლიანად გაბათილებული იქნა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ (სამკვიდროს მფლობელობის გზით მიუღებლობის გამო) ნოტარიუსი არ იყო ვალდებული მოსარჩელის თანხმობის გარეშე არ გაეცა სამკვიდრო მონუმობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე 1-ლი რიგის მემკვიდრეა, კანონმა ის შეზღუდა სამკვიდროს მიღებისათვის გარკვეული ვადით. კერძოდ 6 თვეში უნდა მიემართა ნოტარიუსისათვის ან ქონება უნდა მიეღო მფლობელობით. მან არც 6 თვეში მიმართა ნოტარიუსს და არც მფლობელობით მიიღო ქონება, ხოლო მოპასუხემ მფლობელობით მიიღო და შეუდგა მის მართვას, რის გამოც სამკვიდროს მისაღებად მოსარჩელის თანხმობა არ იყო საჭირო. კანონი არ ითვალისწინებს სამკვიდროს მიღების უფლების მთელი ცხოვრების განმავლობაში შენახვას. სამკვიდროს მიღებისათვის დაინტერესებულმა პირმა უნდა განახორციელოს იურიდიული ქმედებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც 2002 წლის 24 სექტემბერს დ. ტ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობით, ისე 2012 წლის 10 დეკემბერს შ. ტ-ის სასარგებლოდ გაცე-

მული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობით მოსარჩელე ვერ მიიღებს სამკვიდრო ქონებას, რის გამოც დასახელებული აქტები მოსარჩელეს ზიანს არ აყენებს. დასახელებული აქტები ასახავს იმ პირთა მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს, ვინც რეალურად დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, სარგებლობდა ამ ქონებით და განკარგავდა მათ ბედს. შესაბამისად სარჩელი 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10138 სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის, 2012 წლის 25 სექტემბრის სანოტარო აქტის ბათილად ცნობისა და 2012 წლის 10 დეკემბრის სამკვიდრო მონუმობა №121309790-ის ბათილად ცნობის ნაწილში უსაფუძველოა. არ არსებობს იმ სანოტარო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რომლითაც სამკვიდრო მონუმობა გაიცა ჯერ დ. ტ-ზე, შემდეგ მ. ტ-ე. ასევე არარსებობს მოსარჩელის სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ აღიარებისა და სამკვიდრო მონუმობის გაცემის დავალაშქვების საფუძველი.

ნ. ტ-ის მამის კ. ტ-ის დანაშთი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებულად ჩათვლის შესახებ ნ. ტ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა შემდეგი:

სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის 1-ლის ნაწილის თანახმად არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დატქმით ან ვადით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დატქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. ამავე მუხლის კომენტარში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლადო ჭანტურია წიგნი მეხუთე გვ. 481) აღნიშნულია, რომ „მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უარი უნდა თქვას მასზე, თუ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას დაუკავშირებს რაიმე პირობას, მაშინ ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე“. უდავოდ დგინდება და აპელანტი ადასტურებს, რომ ნ. ტ-ემ 2002 წელში უარი თქვა კ. ტ-ის სამკვიდროზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მან თანხმობა განაცხადა მის ძმას დ. ტ-ეს მიელო მამის ხელფასი. დასახელებული თანხა ოჯახს სჭირდებოდა გასვენების ხარჯების დასაფარავად და სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე უნდა აედოთ, ამიტომ მან თანხმობა განაცხადა ხელფასის დ. ტ-ის მიერ განკარგვაზე.

აპელანტის ნ. ტ-ის მიერ (მოსარჩელის) სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ მითითებულია 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10138 სამკვიდრო მონუმობაში, ეს საკმარისი მტკიც-



ცებულება იმის დასადგენად, რომ აპელანტმა თავის დროზე უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირობაზე, რომლის მიხედვითაც სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ს მე-4 მუხლი წარმოადგენს დისპოზიციურობის გამოვლენის პრინციპის ამსახველს. ამ პრინციპის მიხედვით აღიარებულია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. მხარეები ვალდებული არიან თვითონ განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტობრივი გარემოება რა მტკიცებულებებით დაამტკიცონ. სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

საქართველოს სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები ადგენენ წესებს, რომლის მიხედვითაც მხარეები ვალდებული არიან არამარტო განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტობრივი გარემოება რა მტკიცებულებებით დაამტკიცონ, არამედ ვალდებული არიან თვითონ წარმოადგინონ იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომლითაც დაამტკიცებენ სარჩელში ან შესაგებელში მითითებულ გარემოებებს. სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოსარჩელის მოთხოვნები იყო ასევე: 2012 წლის 26 აპრილის №120429952 სანოტარო აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც კ.

ტ-ის დანაშთ ქონებაზე უარი თქვა დ. ზ-ემ. ასევე 2012 წლის 27 აპრილის №120432146 სანოტარო აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე უარი თქვა რ. ტ-ემ. სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის საამართლოს მსჯელობას მოსარჩელის ამ მოითხოვნებთან მიმართებაში და დამატებით განმარტა:

სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლის თანახმად მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. არ დაიშვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც ცნობილი არიან უღირს მემკვიდრეებად ან რომელთაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება. ასეთი უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სხვა მემკვიდრეების მიერ. უარის თქმა არის ერთჯერადი აქტი, ნების გამოხატვა, ცალმხრივი გარიგება, აქედან გამომდინარე კანონი არეგულირებს სამკვიდროს მიღებაზე მხოლოდ უარის თქმასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მათგან ყველაზე მთავარი მემკვიდრედ მიწვეული პირის განცხადებაა იმის თაობაზე, რომ მას არ სურს მიიღოს სამკვიდრო და ჩაებას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში. ასეთი განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს სანოტარო ორგანოში (მემკვიდრეობის სამართალი რ. შ-ა ე. შ-ია 2011 წ. გვ. 158-166).

დადგენილია, რომ 2012 წლის 26 და 27 აპრილს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნოტარიუს ბ. დ-ას დაუკავშირდა კ. ტ-ის შვილები (კანონიერი მემკვიდრეები) დ. ზ-ე და რ. ტ-ე. მათ ნოტარიუსს მიაწოდეს განცხადება მასთან დაკავშირებით, რომ უარს ამბობენ მამის კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე მათი ძმის შვილის შ. ტ-ის სასარგებლოდ, რისი უფლებაც მათ კანონით ქონდათ. ამასთან უდავოა, რომ შ. ტ-ე ან მისი მამა უღირსი მემკვიდრეები არ იყვნენ.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით „ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება“.

ამავე კანონის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს; ბ) გასცემს საკუთრების უფლების მონმობას; გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მონმობას; დ) გასცემს მეულ-

ლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მონაწილეობას; ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; ვ) ამონმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან; ზ) ამონმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას; თ) ამონმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს; ი) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს; კ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს; ლ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან; მ) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს; ნ) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს; ო) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქალაქებსა და ფასეულობებს; პ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს; ჟ) ასრულებს თამასუქის პროტესტს; რ) გასაანადგებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღებლობას; ს) შესაანახად იღებს დოკუმენტებს; ტ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.

დადგენილია, რომ 2012 წლის 26 და 27 აპრილს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნოტარიუსისათვის კ. ტ-ის შვილების დ. ზ-ის და რ. ტ-ის მიერ მიწოდებული განცხადებები (მასთან დაკავშირებით, რომ უარს ამბობენ მამის კ. ტ-ის დანაშთ ქონებაზე მათი ძმის შვილის შ. ტ-ის სასარგებლოდ) ნოტარიუსმა ბ. დ-ამ დაამონა.

სააპელაციო პალატის განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დ. ზ-ეს და რ. ტ-ეს ჰქონდათ უფლება გამოეხატათ ნება იმ საკითხებზე, რომელიც მხოლოდ მათ ეხებათ, თავის მხრივ ნოტარიუსის ვალდებულება იყო დაემონებინა წარდგენილი განცხადება, რაც ასე მოხდა კიდევ. დასახელებული აქტები (სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ) მოსარჩელეს არ აყენებდა ზიანს, მისი უფლებები ამ აქტებს არ შეუზღუდავს და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი. ამდენად, სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ ნ. ტ-ის მოთხოვნა ამ ნაწილშიც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ნ. ტ-ემ.

ნ. ტ-ე საკასაციო საჩივრით მოითხოვს გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მიღებულ იქნას ახალი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო საჩივარი არგუმენტირებულია შემდეგნაირად:

კასატორის განმარტებით მართალია ნ. ტ-ის ვადაში არ მიუმაართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მონაწილის მისაღებად, მაგრამ იგი ფაქტობრივად დაეუფლო ქონებას, ცხოვრობდა მ-

მის სახლში მის არასრულწლოვან შვილთან ერთად, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათებით, რაც ნოტარიუსს სადაოდ არ გაუხდია, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პირის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება სამოქალაქო რეესტრში დაცული მონაცემების მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ პირი არ არის რეგისტრირებული სამკვიდრო ქონებაზე ასეთ შემთხვევაში მან სხვა მტკიცებულებებით უნდა ადასტუროს სამკვიდრო ქონების ფლობა. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდნენ მის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტს. სასამართლომ მიუთითა, რომ დაკითხული მოწმეები არ იყვნენ მისი მეზობლები რისი დამადასტურებელი მტკიცებულება წარდგენილი იქნა მის მიერ და დადასტურდა, რომ მოწმეების საცხოვრებელი კ-ის ქუჩა მ.ყ-ის ქუჩის მომიჯნავე ქუჩაა.

კასატორის განმარტებით 2002 წლის 24 სექტემბრის №1-10198 სამკვიდრო მოწმობა უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლით განსაზღვრულია სამკვიდრო მოწმობის გაცემის ვადა, სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის შემდეგ, ნებისმიერ დროს. აქედან გამომდინარე 2002 წლის 24 სექტემბერს მამის გარდაცვალებიდან არ იყო გასული 6 თვე. დ. ტ-ის გარდა არსებობდა 1-ლი რიგის კიდევ ექვსი სხვა მემკვიდრე და ნოტარიუსმა განახორციელა კანონსაწინააღმდეგო ქმედება სამკვიდროს მოწმობის მხოლოდ დ. ტ-ე გაცემით. 1-ლი და სააპელაციო სასამართლოს ინსტანციებმა აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმით დაარღვიეს ამ მუხლის იმპერატიული მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეებმა რ. ტ-ემ და დ. ზ-ემ მამის გარდაცვალები შესახებ გაიგეს 2002 წელს. კანონით დადგენილ 6 თვის ვადაში მათ არ მიუმართავთ ნოტარიუსისათვის და არც დაუფლებიან სამკვიდრო ქონებას. ასევე მემკვიდრეების გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში არ განუცხადებიათ უარი სამკვიდროს მიღებაზე სხვა მემკვიდრეების სასარგებლოდ. 2012 წლის აპრილში მათ მიერ განცხადებული უარი სამკვიდროს მიღებაზე უკანონოა და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად არის 1-ლი რიგის მემკვიდრე და ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მის ძმასთან დ. ტ-ან ერთად მამის სიკვდილის შემდეგ დაუფლა სამკვიდროს და ფაქტობრივად შეუდგა მის

ფლობას, რითაც მიიღო სამკვიდრო ქონება. აქედან გამომდინარე ნოტარიუს ბ. დ-ას მისთვის უნდა მიეცა სამკვიდრო მონაწილეობა ქონების ნაწილზე. ნოტარიუსი დაეყრდნო 2002 წლის 24 სექტემბრის სანოტარო აქტს, რომელიც მას არ უნდა გაეზიარებინა, რადგან იგი კანონსაწინააღმდეგო და ბათილია. ნოტარიუსი უთითებს, რომ მან გადაწყვეტილების მიღების დროს სრულყოფილად ვერ გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები, დოკუმენტები და გაურკვეველი დარჩა 2002 წლის სამკვიდრო მონაწილის კანონიერება. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელმა მთლიანად გაიზიარა და მასზე დაყრდნობით უთხრა უარი კასატორს სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე.

კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ნოტარიუს ბ. დ-ას 2012 წლის 25 სექტემბრის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ არ ცნო ბათილად, რითაც უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები. 2012 წლის 25 სექტემბრის უარის თქმის დადგენილების საფუძველს წარმოადგენდა იგივე გარემოება, რაც მითითებული იყო 2012 წლის 27 აპრილის უარის თქმის დადგენილებაში. ეს დადგენილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი, რითაც ნოტარიუსს მოესპო სამართლებრივი უფლება იგივე საფუძველზე ეთქვა უარი სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე. რადგან სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ე.ი. დამტკიცებულად ჩაითვალა, რომ 2002 წლის 24 სექტემბრის სამკვიდრო მონაწილეობა კანონსაწინააღმდეგო იყო და აღნიშნული სანოტარო აქტით კასატორს უარი არ უთქვამს მამის კ. ტ-ის სამკვიდრო ქონების მიღებაზე. რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში პრედიციული ძალა გააჩნია. სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება სხვაგვარად ემსჯელა აღნიშნულ ფაქტებზე და სხვაგვარად შეეფასებინა. ტყუილია როდესაც სააპელაციო სასამართლო მითითებს რომ სასამართლო სხდომაზე ნ. ტ-ემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ტ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონგების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ტ-ის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრებს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო

სო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ნ. ტ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401.4 მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ტ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამკვიდროს მიღებულად აღიარება**  
**საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთიზე**

**გადაწყვეტილება**  
**საქართველოს სასჯელით**

№ას-271-255-2011

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამკვიდროს მიღებულად აღიარება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 17 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ტ-იმა მოპასუხეების – ნ. შ-ას, დ. შ-ას, ჯ. კ-ისა და კერძო არბიტრაჟის არბიტრ ლ. ფ-ს მიმართ და მოითხოვა:

1. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ლ. ფ-ს 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე №.....) ბათილად ცნობა;

2. ქ.ქუთაისში, .... №.....-ში მდებარე სახლის 3/6 ნაწილზე (ფართობით 38..... კვ.მ) მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ცხოვრობს ქ.ქუთაისში, ..... №....-ში. მითითებულ მისამართზე მდებარე სახლი 1940 წლიდან გაყოფილია ორ საცხოვრებელ ნაწილად, საიდანაც 3/6 ნაწილი ეკუთვნოდა მოსარჩელის დედას – ნ. ტ-ს, ხოლო მეორე 3/6 ნაწილის მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ გ. და ა. ლ-ი. 1958 წლის 7 იანვარს თანამესაკუთრეებმა ხელშეკრულების საფუძველზე გაიყვეს თანასაკუთრებაში არსებული მიწის ფართი და გაავლეს გამყოფი ღობე, რომელიც დღემდე არსებობს. მოსარჩელის დედა გარდაიცვალა 1994 წლის 5 მაისს. დედის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს ფლობას შეუდგა მოსარჩელე. იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი და არ გააჩნდა სახსრები, რომ მიღებული სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით დაერეგისტრირებინა



საჯარო რეესტრში. ამ გარემოებით ისარგებლა მოპასუხე ნ. შ-ამ და კერძო არბიტრაჟის სადავო გადაწყვეტილებით საკუთრებაში დაირეგისტრირა საცხოვრებელი სახლის 5/6 ნაწილი, მათ შორის, ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელის დედას ეკუთვნოდა. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხეებს არ ჰქონდათ უფლება არბიტრაჟში ედავათ იმ ქონებაზე (სახლის 2/6 წილზე), რომელიც მოსარჩელის დედამ 1940 წელს შეიძინა და მას ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული და ბათილია.

მოპასუხეებმა ჯ. კ-ემ, დ. შ-ამ და ნ. შ-ამ წარადგინეს შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელის დედას ეკუთვნოდა სადავო უძრავი ქონების 3/6 ნაწილი და, რომ 1958 წლიდან მოხდა მინის ნაკვეთის გამიჯვნა თანამესაკუთრეებს შორის. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს (შეთანხმების ფურცელს და ცნობას) შეუძლებელია მოჰყვეს რაიმე სამართლებრივი შედეგი. ტექ-ბიუროს მონაცემების მიხედვით, მოსარჩელის დედას – ნ. ტ-ის ეკუთვნოდა სადავო უძრავი ქონების მხოლოდ 1/6 ნაწილი, შესაბამისად, მოსარჩელეს მემკვიდრეობის უფლება გააჩნია სწორედ ამ ქონებაზე, ამიტომ მას არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული ინტერესი იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიმართ, რომლითაც ნ. შ-ა ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონების 5/6 ნაწილის მესაკუთრედ, თუნდაც არსებობდეს ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ტ-იმ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით:

1. ნ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
4. გაუქმდა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის

არბიტრის, ლ. ფ.ს 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №...);

5. ნ. ტ-ი ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №.....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილის – 14..... მ<sup>2</sup>-ის მემკვიდრედ;

6. ნ. შ-ას, ჯ. კ-ესა და დ. შ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ 160 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ტ-ი არის ნ. ტ-ის შვილი;

ნ. ტ-ი გარდაიცვალა 1994 წლის 5 მაისს;

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მასალებით, საინვენტარიზაციო გეგმით ირკვევა, რომ ქ.ქუთაისში, .....ქ. №.....-ში მდებარე უძრავი ქონება – 40..... კვ.მ მიწის ფართზე განთავსებული 83.... კვ.მ საერთო-სასარგებლო ფართის საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ: 3/6 ნაწილი – გ. და ა. ლ-ბს; 2/6 ნაწილი – ვ. ლ-ს, გ. ლ-ესა და შ. ჩ-ეს, ხოლო 1/6 ნაწილი – ნ. ტ-ი-ჭ-ეს;

დაბადების და ქორწინების მოწმობებით, პირადობის მოწმობის ასლითა და მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ დ. შ-ა არის ვ. ლ-ის მემკვიდრე, ჯ. კ-ე გ. ლ-ის მემკვიდრე, ხოლო შ. ჩ-ის მემკვიდრის ვინაობა საქმის მასალებით არ დგინდება;

საქმეში წარმოდგენილი ე.წ. „შეთანხმების ფურცლით“ ირკვევა, რომ 1958 წლის 5 იანვარს, ნ. ტ-ისა და გ. ლ-ეს შორის მოხდა შეთანხმება საერთო სარგებლობის მიწის გაყოფისა და გამყოფი ღობის აგების თაობაზე;

სადავო არაა, რომ მოსარჩელე ნ. ტ-ი დედის – ნ. ტ-ის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ცხოვრობდა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში და ფლობდა 38.... კვ.მ. ფართს, ხოლო მიწის ნაკვეთიდან ეზოს ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაყოფილია ღობით და ნ. ტ-ის ინდივიდუალურ მფლობელობაშია;

ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრმა ლ. ფ-მა განიხილა საარბიტრაჟო საქმე ნ. შ-ას სარჩელისა გამო ჯ. კ-ესთან და დ. შ-სთან, სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებულად ცნობის თაობაზე; არბიტრის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი: 1991 წლის საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ცნობილ იქნა დადებულად; ა. ლ-სა და გ. ლ-ის სახელზე რიცხული მთელი სახლის 3/6 წილის უფლება ცნობილ იქნა ნ. შ-ას საკუთრებად; გარდა ამისა, ნ. შ-ას საკუთრებად ცნობილ იქნა ვ. ლ-ის, გ. ლ-სა და შ. ჩ-შ-ის 2/6 წილის უფლება, რომელიც მდებარეობს

ქ.ქუთაისში, ..... ქ. №....-ში და რომელიც განლაგებულია საერთო საკუთრების 38.... კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „კერძო არბიტრაჟის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს (შემდგომ არბიტრაჟი). ამავე კანონის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას. მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ არბიტრაჟის მიერ სარჩელის განხილვისას აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს დავა, ამასთან, ქონებრივი და ეს გადაწყვეტილება არ უნდა შეეხებოდეს მესამე პირის უფლებებს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ირკვეოდა, არბიტრაჟმა განიხილა არა საარბიტრაჟო მხარეთა შორის ქონებრივი დავა, არამედ აღიარებითი სარჩელი უძრავ ქონებაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ. გარდა ამისა, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ნ. შ-ას საკუთრების უფლება ცნობილ იქნა ისეთ უძრავ ქონებაზე, რომელიც განთავსებული იყო საერთო საკუთრების 38... კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და რომლის ნაწილიც იმავდროულად ინდივიდუალურ მფლობელობაში გააჩნდა ნ. ტ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემომითითებული საარბიტრაჟო საქმის განხილვისას მიწვეული უნდა ყოფილიყო ნ. ტ-ი, რამდენადაც სადავო არ იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ტ-ი დედის – ნ. ტ-ის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ცხოვრობდა ქუთაისში, ... ქ.№....-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში და ფლობდა 38.....კვ.მ. ფართს, ხოლო მიწის ნაკვეთიდან ეზოს ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაყოფილი იყო ღობით და ნ. ტ-ის ინდივიდუალურ მფლობელობაში იმყოფებოდა, ამასთან, რამდენადაც 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი 1991 წლის საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებების დადებულად ცნობის თაობაზე და ამ გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ქ.ქუთაისში, .... ქ. №....-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, მათ შორის, 38.... კვ.მ. საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე ნ. შ-ას საკუთრების უფლება, სააპელაციო სასამართლომ რათვალა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეეხო ნ. ტ-ის უფ-

ლებებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „კერძო არბიტრაჟის“ შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ამ კანონით დადგენილი წესები.

იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრმა ლ. ფ-მა განიხილა არა საარბიტრაჟო მხარეთა შორის ქონებრივი დავა, არამედ აღიარებითი სარჩელი უძრავ ქონებაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ, ამასთან, ისე გადაწყვიტა საკითხი, რომ არც საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის შ. ჩ-ის უფლებამონაცვლე და არც ნ. ტ-ი საარბიტრაჟო საქმის განხილვისას მიწვეულნი არ ყოფილან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ისეთ პირთა მიწვევის გარეშე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელთა ინტერესებსაც იგი შეეხო, ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ წესებს. ყოველივე აღნიშნული, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მხარის უფლებას ქ.ქუთაისში, .... ქ. №.....-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრის შ. ჩ-ის სამკვიდროზე. ამიტომ, გაზიარებული უნდა ყოფილიყო აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟმა საარბიტრაჟო სარჩელის განხილვისას, რომლითაც იმავდროულად განიკარგა საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, დაარღვია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე წარდგენილი ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემებით ირკვეოდა, რომ ქ.ქუთაისში, .... ქ. №.....-ში მდებარე უძრავი ქონებიდან – 40... კვ.მ. მიწის ფართზე განთავსებული 83..... კვ.მ. საერთო სასარგებლო ფართის საცხოვრებელი სახლიდან, მხოლოდ 1/6 ნაწილი – 14.... კვ.მ. იყო ნ. ტ-ი-ჭ-ს საკუთრებაში რეგისტრირებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ტ-ი საცხოვრებელი სახლის მხოლოდ ამ ნაწილზე უნდა აღიარებულიყო მემკვიდრედ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. შ-ამ, დ. შ-ამ და ჯ. კ-ემ.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება მიღებულია მნიშვნელოვანი დარღვევით, ვინაიდან იგი შეეხო მოსარჩელის ინტერესებს. სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება არასწორია და არ უნდა იქნეს გაზიარებული. უნინარესად, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს უფლება სადავოდ გაეხადა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, თუ რა უფლება შეეღობა მოსარჩელეს მაშინ, როდესაც მისი ან გარდაცვლილი დედის სახელზე ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც მას დარჩა 1/6 ნაწილი. ის ფაქტი, რომ ნ. ტ-ის ეკუთვნოდა 1/6 ნაწილი, სადავოდ არავის გაუხდია. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, თუ როგორ შეიღობა მოსარჩელის უფლებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, რომელიც მოსარჩელის 1/6 წილს არ შეხებია და ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი საარბიტრაჟო საქმეში ჩაბმის პირობებშიც, იმაზე მეტ წილს ვერ მიიღობდა, რაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღო;

მხარეებს შორის არსებული დავა შეეხებოდა უძრავ ქონებას. ამდენად, ცალსახაა, რომ დავის საგანი იყო ქონებრივი. მხარეებმა გამოთქვეს თანხმობა არბიტრაჟში დავის განხილვაზე, რაც განახორციელეს კიდევ. შესაბამისად, არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში;

სააპელაციო სასამართლომ არსებითად დაარღვია კანონი, როდესაც გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ქუთაისში, .... ქ. №....-ში მდებარე სახლის 3/6 ნაწილზე, 38.... კვ.მ. ფართზე, სამკვიდროს მიღების ფაქტის აღიარებას. კასატორისათვის გაურკვეველია, თუ საიდან და რა გაანგარიშებით, რომელი მტკიცებულების საფუძველზე ცნო სააპელაციო სასამართლომ ნ. ტ-ი აღნიშნული სახლის 14.... კვ.მ-ის მემკვიდრედ. ასეთი გარემოება სასამართლო პროცესზე არ გამოორკვეულა და მით უფრო არ დადგენილა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო საჩივრით აპელანტი მოითხოვდა ქუთაისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განიხილა და დააკმა-

ყოფილა ის მოთხოვნა, რაც აპელანტს დადგენილი წესით არ მოუთხოვია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. შ-ას, დ. შ-ასა და ჯ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ტ-ი (მოსარჩელე) არის ნ. ტ-ის შვილი;

ნ. ტ-ი გარდაიცვალა 1994 წლის 5 მაისს;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მასალებით ირკვევა, რომ ქ.ქუთაისში, .....ქ. №.....-ში მდებარე უძრავი ქონება – 40... კვ.მ მიწის ფართზე განთავსებული 83... კვ.მ საერთო-სასარგებლო ფართის საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ: 3/6 ნაწილი – გ. და ა. ლ-ბს; 2/6 ნაწილი – ვ. ლ-ს, გ. ლ-სა და შ. ჩ-ეს, ხოლო 1/6 ნაწილი – ნ. ტ-ი-ჭ-ეს;

დაბადების და ქორწინების მოწმობებით, პირადობის მოწმობის ასლითა და მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ დ. შ. არის ვ. ლ-ის მემკვიდრე, ჯ. კ-ე გ. ლ-ის მემკვიდრე, ხოლო შ. ჩ-ის მემკვიდრის ვინაობა საქმის მასალებით არ დგინდება;

საქმეში წარმოდგენილი ე.წ. „შეთანხმების ფურცლით“ ირკვევა, რომ 1958 წლის 5 იანვარს, ნ. ტ-ისა და გ. ლ-ეს შორის მოხდა შეთანხმება საერთო სარგებლობის მიწის გაყოფისა და გამყოფი ღობის აგების თაობაზე;

ნ. ტ-ი დედის – ნ. ტ-ის გარდაცვალებამდე და მის შემდეგაც ცხოვრობდა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №.....-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში და ფლობდა 38... კვ.მ. ფართს, ხოლო მიწის ნაკვეთიდან ეზოს ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაყოფილია ღობით და ნ. ტ-ის ინდივიდუალურ მფლობელობაში;

ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის (არბიტრი ლ. ფ-ი) 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით: დაკმაყოფილდა ნ. შ-ას სარჩელი; საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის 1991 წლის გარიგებები ცნობილ იქნა დადებულად; ნ. შ-ას საკუთრებად ცნობილ იქნა ა. ლ-ისა და გ. ლ-ის სახელზე რიცხული – მთელი სახლის 3/6 წილი, ასევე ვ. ლ-ის, გ. ლ-სა და შ. ჩ-ის სახელზე რიცხული – მთელი სახლის 2/6 წილი, რომელიც მდებარეობს ქ.ქუთაისში, ..... ქ. №.....-ში და რომელიც განლაგებუ-

ლია საერთო საკუთრების 38.... კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

მოსარჩელე ნ. ტ-ის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ლ. ფ-ის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე №.....) ბათილად ცნობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ზემოხსენებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი, ასევე დღეს მოქმედი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესაძლებლობას გარკვეული წინაპირობების არსებობისას. ამასთან, მითითებული ნორმების მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სარჩელის (საჩივრის) შეტანის უფლება აქვს მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თუნდაც არსებობდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, ამ გადაწყვეტილების გაუქმების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია ეს გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით მოპასუხეს მიეკუთვნა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №.....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ის ნაწილი (2/... ნაწილი), რომელიც 1940 წელს შეიძინა დედამისმა, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, ეს ქონება თავად მიიღო მემკვიდრეობით. მოსარჩელის მოსაზრებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეხება მის კანონიერ ინტერესს ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ ხსენებულ გადაწყვეტილება-

ში მითითებული საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთი 1958 წლის 5 იანვრის შეთანხმებით გამიჯნულია საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრებს შორის და მოსარჩელე დღემდე ფლობს გამიჯვნის შედეგად დედამისის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთს.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის დედის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №....-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის მხოლოდ 1/6 ნაწილი (და არა 3/6 ნაწილი, როგორც ამას მოსარჩელე უთითებდა), შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების სწორედ ეს ნაწილი ჰქონდა მიღებული მოსარჩელეს მემკვიდრეობით დედისგან. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ..... ქ. №....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილის მემკვიდრედ, რაც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეხებია სადავო საცხოვრებელი სახლის მოსარჩელის კუთვნილ 1/6 ნაწილს, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით მოპასუხე ნ. შ-ას საკუთრებად ცნობილ იქნა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის 5/6 ნაწილი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია სადავო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების იურიდიული ინტერესი იმ საფუძვლით, რომ ეს გადაწყვეტილება შეეხო ქ.ქუთაისში, .... ქ. №....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის კუთვნილ წილს.

აღნიშნული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არც სააპელაციო სასამართლოს გაუუქმებია, მაგრამ სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეეხო მოსარჩელის კანონიერ ინტერესს, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით ნ. შ-ა ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 5/6 ნაწილის მესაკუთრედ, რომელიც განთავსებულია საერთო საკუთრების 385 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და რომლის ნაწილსაც 1958 წლის 5 იანვრის შეთანხმებით ინდივიდუალურად ფლობდა მოსარჩელე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის დედა – ნ. ტ-ი და ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/6 ნაწილის მესაკუთრე – გ. ლ-ე 1958 წლის 5 იანვარს წერილობით შეთანხმდნენ საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის გაყოფისა და გამყოფი ღობის აგების თაო-



ბაზე, ანუ საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს შორის დაიდო შეთანხმება იმ მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე, რომელზეც ეს სახლი იყო განთავსებული.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს რა სა- მოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქ.ქუთაისში, ...ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს სა- კუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კო- დექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მიწის ნაკვეთზე. ამ მო- საზრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ზემოხსე- ნებული საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები წარმოად- გენენ ფაქტობრივად მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკ- ვეთის მესაკუთრეებს, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ შეესა- ბამება საჯარო რეესტრის ჩანაწერებს, ვინაიდან ამ ჩანაწერე- ბის მიხედვით სადავო მიწის ნაკვეთი მხარეთა თანასაკუთრე- ბას წარმოადგენს.

მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია გაიორკვეს, თუ რა უფლებები წარმოეშვა მოსარჩელის დედას სა- დავო მიწის ნაკვეთზე 1958 წლის 5 იანვრის წერილობითი შე- თანხმებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებუ- ლი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი ურ- თიერთობების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქ- მედი ნორმატიული აქტები (სკ-ის 1507-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს 1923 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (ცვლი- ლებებითა და დამატებებით 1965 წლის 1 ივლისამდე) 21-ე მუხ- ლზე, რომლის მიხედვით, მიწა არის სახელმწიფოს საკუთრება და არ შეიძლება იყოს კერძო ბრუნვის საგანი. მიწის ფლობა შე- იძლება მხოლოდ სარგებლობის უფლების საფუძველზე. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, მიწა, ტყე, წიაღი, წყალი შე- იძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვე- თი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში. ამასთან ერთად, საკა- საციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ დროს მოქმედი მიწის შესა- ხებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა ან მისი ნაწი- ლის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კა- ნონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღ-

მდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები 1958 წლის 5 იანვარს შეთანხმდნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე, ზემოხსენებული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას. მიწა არაგასხვისებადი იყო, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივ გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი.

განსახილველი ნორმის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვ-

ლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შე-საბამისად, კანონის საწინააღმდეგოდ (იმ დროს მოქმედი, ზე-მთო განხილული) მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებ-ლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვე-თებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკ-რულებების დადება, ბათილი იყო (იხ. სუსგ, 30.10.2013წ., საქმე №...).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემო-ებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 1958 წლის 5 იანვრის შეთანხმების საფუძველზე ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრემ – გ. ლ-ემ სამუდამოდ დათმო მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ გ. ლ-ის უფ-ლებამონაცვლე ვეღარ იქნება ცნობილი ამ მიწის ნაკვეთის მე-საკუთრედ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში, უფლებათა შორის კონფლიქტზე მიგვიითიებს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის თანახმად, კასატორი რჩება მთლიანი მიწის ნაკვეთის (385 კვ.მ) თანამესა-კუთრედ, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის მიხედვით, მას ეს უფლება აღარ გააჩნია მოსარჩელის ფაქ-ტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზე-მოსხენებულ მსჯელობას, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელი იყო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა ან ერთი ფი-ზიკური პირის მიერ მეორისათვის სარგებლობის სამუდამოდ დათმობა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესი, რაც გათვალისწინებული იყო 1958 წლის 5 იანვრის შეთანხმებით, გრძელდება დღემდე, ანუ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირობებში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაშიც, მოქ-მედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რა დროსაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთ-რების უფლება. ამასთან, საყურადღებოა საკუთრების სოცია-ლური ფუნქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს სა-

კუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელმეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ი. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. ამ მხრივ საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (A.S.L.C.S.E), რომლის თანახმად, საკუთრების უფლების შეზღუდვებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი საკუთრების უფლების არსი. ამით საკუთრების უფლება ხდება პირობითი და გაუქმებადი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკუთრებაში (თანასაკუთრებაში) არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლობით სახელმეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების უფლება, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მხოლოდ მოსარჩელე ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. ეს მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქ.ქუთაისში, ... ქ. №....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეთა თანასაკუთრებას და არა მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებას. აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არც ამ შემთხვევაში ლახავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთი მიჩნეულია ქ.ქუთაისში, ... ქ. №.....4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეთა თანასაკუთრებად, რაც შეესაბამება ამ უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არც ამ საფუძვლით გააჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების იურიდიული ინტერესი, რაც მისი სარჩელის უსაფუძვლობაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში, რაც ამ ნაწილში ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

კასატორი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გა-

უქმებას მოითხოვს ასევე იმ ნაწილშიც, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ. ტ-ის სარჩელი და იგი ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილის – 14.59 მ<sup>2</sup>-ის მემკვიდრედ. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს ეკუთვნის ქ.ქუთაისში, ..... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილი, თუმცა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენის თაობაზე სასამართლოს უნდა განეხილა უდავოდ და არა სასარჩელო წარმოების წესით. კასატორი აღნიშნავს ასევე, რომ მოსარჩელე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის ის ნაწილიც, რაც გასაჩივრებული არ ყოფილა. გარდა ამისა, კასატორისათვის გაუგებარია, თუ რა განგარიშებით მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე 14.59 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართის მემკვიდრედ.

საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილზე მოსარჩელის მიერ დედის მემკვიდრეობის მიღების ფაქტს, შესაბამისად გამოსარკვევია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილის გაუქმების მიმართ კასატორის იურიდიული ინტერესი. თავად კასატორი აღიარებს იმას, რომ მოსარჩელეს ეკუთვნის ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქონებაზე მას პრეტენზია არ გააჩნია. ასეთ ვითარებაში, კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიები დასაბუთებულიც რომ იყოს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილის გაუქმება დაუშვებელია, ვინაიდან არ არის გამოკვეთილი კასატორის იურიდიული ინტერესი. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს განგარიშება საცხოვრებელი სახლის 14.59 მ<sup>2</sup>-ის მემკვიდრედ მოსარჩელის ცნობის თაობაზე, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას (რაც კასატორს სადავოდ არ გაუხდია) იმის შესახებ, რომ ქ.ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საერთო-სასარგებლო ფართია 83.... კვ.მ, რომლის 1/6 ნაწილის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოსარჩელის დედა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 83.... მ<sup>2</sup>-ის 1/6 ნაწილი შეადგენს დაახლოებით იმდენს, რამდენიც მოსარჩელეს მიე-

კუთვანა. კასატორი ვერც უთითებს და ვერც ასაბუთებს, რომ მოსარჩელის დედის კუთვნილ 1/6 წილს სადავო საცხოვრებელი სახლის უფრო ნაკლები ფართი შეესაბამება. აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება (სსკ-ის 410-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ ნ. შ-ას, დ. შ-სა და ჯ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის უფლებამონაცვლე ნ. ტ-ის სარჩელი ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ლ. ფ-ის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე №.....) ბათილად ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამარ-

თლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, მოსარჩელეს (ნ. ტ-ის უფლებამონაცვლე ნ. ტ-ის) კასატორების (ნ. შ-ას, დ. შ-სა და ჯ. კ-ის) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) ნახევრის – 150 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. შ-ას, დ. შ-სა და ჯ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

ა) გაუქმდა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრის, ლ. ფ-ის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №...);

ბ) ნ. შ-ას, ჯ. კ-სა და დ. შ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ 160 ლარის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება – ნ. ტ-ის უფლებამონაცვლე ნ. ტ-ის სარჩელი ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ლ.ფ-ის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე №.....) ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

5. ნ. ტ-ის უფლებამონაცვლე ნ. ტ-ის კასატორების – ნ. შ-ას, დ. შ-ას და ჯ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150.00 ლარის გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამკვიდროს მიღება; მამკვიდრედ ცნობა

## ბანჩინება

№ას-692-658-2015

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა, მე-  
საკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ჰ-ნ მ-ი (შემდეგში: მამკვიდრებელი) გარდაიცვალა 2010 წლის 21 ოქტომბერს.

2. ა-ლ მ-ი (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) და გ-ი მ-ი (შემდეგში: მოპასუხე ან მონინალმდევე მხარე) მამკვიდრებლის 1-ლი რიგის მემკვიდრეები (შვილები) არიან [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 1336-ე მუხლი].

3. მამკვიდრებლის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა 2010 წლის 21 ოქტომბერს [სსკ-ის 1320-ე მუხლი]. სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა სახლთმფლობელობა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში [სსკ-ის 1328-ე მუხლი].

4. არც მოსარჩელესა და არც მოპასუხეს სამკვიდროს გახსნიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არ შეუტანიათ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ სანოტარო ორგანოში [სსკ-ის 1421.2 და 1424-ე მუხლები].

5. მოპასუხე მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში. მას მემკვიდრეობა მიღებული აქვს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით [სსკ-ის 1421-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები და 1433-ე მუხლი].

6. 2011 წლის 13 ოქტომბერს მოპასუხემ მიმართა სანოტარო ორგანოს და მოითხოვა მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონუმობის გაცემა. მან განცხადებაში მიუთითა, რომ 1-ლი რიგის სხვა მემკვიდრეები არ არსებობდნენ.



7. 2011 წლის 13 ოქტომბერს მოპასუხის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონუმობა №111118252, რომლითაც მან საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში შემავალი აქტივები და პასივები. სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე მოპასუხის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 3170 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე 303,1 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და ამ ქონების მიმდებარედ, სოფელ გ-ში არსებული 4492 კვ.მ მიწის ნაკვეთი [სსკ-ის 1499.1-ე და 1500-ე მუხლები].

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ. მან მოითხოვა 2011 წლის 13 ოქტომბერს მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის (რეესტრში რეგისტრაციის №111118252) ნაწილობრივ ბათილად ცნობა და სამკვიდრო ქონებაში შემავალი 4492 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ ..., შემდეგში: „სადავო მიწის ნაკვეთი“) S ნაწილის მესაკუთრედ ცნობა იმ საფუძველზე, რომ მას ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს სამკვიდრო, რადგანაც იგი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ფლობდა და მის შემდეგაც ფლობს და სარგებლობს სამკვიდრო მასაში შემავალი სოფელ გ-ში მდებარე სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილით [სსკ-ის 1421-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები და 1433-ე მუხლი].

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე მამკვიდრებლის სამკვიდროთი მისი გახსნის დღიდან დღემდე სარგებლობს და უვლის როგორც საკუთარს, რაც უდავოდ მოწმობდა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 1306-ე, 1319-1320-ე, 1336-ე, 1433-ე, 1421-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები, 1424-ე და 1499-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

10. საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1990 წლის 30 აგვისტოს მამკვიდრებლის კომლს ცალკე კომლად გამოეყო მოსარჩელე. თუკი ამ გაყოფამდე კომლს ერიცხებოდა 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი, გამოყოფის შემდეგ რიცხული ნაკვეთის მოცულობა შემცირდა 0,3 ჰა-მდე, ე.. მანამდე კომლის სახელზე რიცხული

0,2 ჰა მიწის ნაკვეთი გადაეცა მოსარჩელის კომლს. ამასთან, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მოსარჩელეს სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს და სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებას ან მის ნაწილს არც ფაქტობრივად არ დაუფლებია. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 1421.2, 1424-ე, 1319-1320-ე, 1336-ე, 1328.1-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

13. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. საჩივარში მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, როდესაც დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ მიუღია სამკვიდრო. კასატორი მიიჩნევს, რომ სამკვიდროს მიღებისა და მართვის ფაქტი დასტურდებოდა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, მათ შორის საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასევე, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემომწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

16. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები [სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი], რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი დასკვნა სარჩელის სამართლებრივი საფუძვლიანობის თაობაზე, სახელდობრ:

16.1. წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ არის. სსკ-ის 1433-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი ანუ საკუთრების უფლების წარმოშობას კანონი უკავშირებს განსაზ-

ღვრული იურიდიული ქმედებების შესრულებას სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში [სსკ-ის 1424-ე და 1421-ე მუხლები], კერძოდ, მემკვიდრემ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო ან მისი ნაწილი, უნდა მიიღოს ფაქტობრივი ფლობით ან მართვით, ან სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით უნდა გამოავლინოს მისი მიღების ნება.

16.2. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელეს სანოტარო ორგანოში განცხადება არ შეუტანია, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ სამკვიდრო მან მისი ნაწილის ფლობითა და მართვით მიიღო. ამის დასადასტურებლად ის მიუთითებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ა) სამკვიდრო მასაში შემავალი სადავო 4492 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საგვარეულო (20 000 კვ.მ) მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილს. მასზე გაშენებულია მრავალწლიანი ნარგავები.

ბ) საკარმიდამო მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით 20.3-.0- და 20.3--.0- (სადავო ნაკვეთი) ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. კასატორის საცხოვრებელ სახლსა და სადავო მიწის ნაკვეთს შორის მიჯნა (ღობე) არ არსებობს.

გ) ორივე მემკვიდრე საერთო შესასვლელით სარგებლობს და, შესაბამისად, ფლობს სადავო ნაკვეთს.

ამ გარემოებების დასადასტურებლად კასატორი მიუთითებდა მიწის ნაკვეთის ტოპო-გადაღებაზე და მოწმეთა ჩვენებებზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა სამკვიდროს მიღების სამართლებრივი ბუნება. ამ დროს მემკვიდრე ისეთ მოქმედებებს უნდა ახორციელებდეს, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ მის მიერ სამკვიდროს მიღებასა და მესაკუთრის სტატუსის მოპოვების განზრახვას. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რა ის ფაქტი, რომ კასატორი მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს ფლობდა, შეფასების გარეშე დატოვა სადავო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და მისი გაუმიჯნავობა, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ ნაკვეთზე კასატორი პრეტენზიას მამის სიცოცხლეშივე აცხადებდა (იხ. მოწმე გ-ე მ-ის ჩვენება).

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დასკვნა, მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მისაღებად აუცილებელი იურიდიული ქმედებების კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში განუხორციელებლობის გამო, სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე დაუსაბუთებელია.

17. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, სწორად უნდა გაანალიზოს მტკიცების ტვირთი მხარეთა

შორის [სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი], სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელის ფაქტობრივი წინამძღვრები, ისე მოპასუხის შესაგებელი, გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების პ.16.1-16.2-ში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

18. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

19. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408.1-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა-ლ მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

დეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სამკვიდროს მიღების ვადა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-421-398-2014

5 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. ფ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. შ-ის, გ. მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ჯ. ტერიტორიული ორგანოსა და ნოტარიუს ნ. თ-ის მიმართ, შ. შ-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევის, ამ ვადის აღდგენისა და 2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. შ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე 2008 წლის სექტემბრიდან არ იმყოფებოდა საქართველოში, არაღეგალურად ცხოვრობდა იტალიაში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ შეძლო მამის სამკვიდროს მიღება. რაც შეეხება სამკვიდრო მონუმობას, მოპასუხემ იგი მიიღო 2010 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო სამკვიდრო მონუმობის თანახმად, ნ. შ-ი სამკვიდროს დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით, რაც არასწორია, ამასთანავე, სამკვიდრო მონუმობა ემყარება ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემულ საეჭვო ცნობას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის საპატიოდ მიჩნევისა და მისი აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე ადვოკატების მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. ფ-ს აღუდგა მამის – შ. შ-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, ხოლო სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ მამკვიდრებელი შ. შ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 22 მაისს;

ქ. ფ-ი და ნ. შ-ი არიან შ. შ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრეები – შვილები;

შ. შ-ის დედა – ქ. შ-ი გარდაიცვალა 2001 წლის 1 მაისს. ქ. შ-ის გარდაცვალების შემდეგ, მის დანაშთ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მისი შვილი შ. შ-ი;

კანონიერ ძალაში შესული განჩინების თანახმად, მამის სამკვიდრო მიღებული აქვს ნ. შ-ს და მას ბებუის სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა ჰქონდა მამის – შ. შ-ის მიერ დედამისის სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტიდან გამომდინარე;

2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. შ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონუმობა, რომლითაც ნ. შ-მა მემკვიდრეობით მიიღო ბებუის სამკვიდრო (გ. რაიონის სოფელ ჯ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ეზო, 0.17 ჰა მიწის ნაკვეთი „სახლთან სახნავი“, 0.27 ჰა „სახლთან ვენახი“, 1538,55 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი, 3599.25 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი);

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელე ქ.ფ. 2008 წლიდან არ იმყოფება საქართველოში და იგი სამკვიდრო ქონების მიღებისათვის დადგენილ ექვსი თვის ვადაში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია სამკვიდროს, უდავოა, რომ ამავე ვადაში ქ. ფ-ს სამკვიდროს მისაღებად არც სა-

ნოტარო ორგანოსთვის მიუმართავს;

პალატის შეფასებით, ქ.ფ-ის მიერ მამის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება გამოწვეული იყო საპატრიო მიზეზით, კერძოდ, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელე ქ. ფ-მა სამკვიდროს მიღების მიზნით 1-ლი ქმედება განახორციელა 18.02.2011წ., გასცა რა მინდობილობა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რომლითაც მინდობილ პირს მიანიჭა კონკრეტული უფლებამოსილება – ეწარმოებინა სამემკვიდრეო საქმე გარდაცვლილი ქ. შ-ისა და შ. შ-ის დანაშთ ქონებაზე. გათვალისწინებით იმისა, რომ მამკვიდრებელი შ. შ-ი გარდაიცვალა 22.05.2009წ., პალატის მოსაზრებით, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად უნდა დადგენილიყო ქ. ფ-ის მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილების საპატიოობა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან – 2009 წლის 22 მაისიდან, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მისაღებად 1-ლი ქმედების განხორციელებამდე – 2011 წლის 18 თებერვლამდე.

მოსარჩელე ამ პერიოდში არ იმყოფებოდა საქართველოში და იგი ობიექტურად ვერ შეძლებდა, ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას. რაც შეეხება სამკვიდრო მიღებას წარმომადგენლის მეშვეობით, პალატამ მიუთითა იმ უდავო გარემოებაზე, რომ მოსარჩელე არალეგალურად (სავიზო რეჟიმის დარღვევით) იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სასამართლოს შეფასებით, დასაბუთებული იყო ვარაუდი, რომ ქ. ფ-ი მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკონსულოს მეშვეობით ეწარმოებინა წარმომადგენლობის გაფორმების საკითხი. სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ მოსარჩელეს შეეძლო, სამკვიდრო მიეღო წარმომადგენლის მეშვეობითაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.08.2010წ. №... ბრძანების შესაბამისად გაცემული მინდობილობით (კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება არ წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს, იგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და დაუსაბუთებელია მსჯელობა კანონქვემდებარე აქტში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი მოქალაქის სავალდებულო ინფორმირების თაობაზე. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტისა და იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო რწმუნებულების დამონმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, მოსარჩელის-

თვის ცნობილი გახდა სწორედ ადვოკატთან კონსულტაციის შედეგად, რის შემდგომაც ქ. ფ-მა სამკვიდროს მისაღებად 1-ლი ქმედება განახორციელა 18.02.2011წ.

სააპელაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელემ დაადასტურა სადავო პერიოდის განმავლობაში სამკვიდრო მისაღებად დადგენილ ვადაში მემკვიდრის ნების გამოვლენის შეუძლებლობა, რის გამოც ქ. ფ-ის მიერ მამის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება გამონეუული იყო საპატიო მიზეზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1320-ე, 1336-ე, 1421-ე, 1424-ე, 1433-ე, 1500-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ 04.10.2010წ. ნ.შ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლითაც ნ. შ-მა მემკვიდრეობით მიიღო ბებიის – ქ. შ-ის სამკვიდრო. მოსარჩელე მოითხოვდა ნ. შ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონაწილეობის ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ ნ. შ-ს ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია მამის სამკვიდრო და სოფელ ჯ-ის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა, რომელსაც დაეყრდნო ნაოტარიუსი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობის საკითხის დადგენისას, უკანონო იყო. სასამართლოს განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითა და განჩინებებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქ. ფ-ისა და ნ. შ-ის მოთხოვნა სამკვიდრო მონაწილეობაში ცვლილებების შეტანისა და სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ, დადგენილი იყო, რომ მამის სამკვიდრო მიღებული ჰქონდა ნ. შ-ს და მას ბებიის სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა ჰქონდა მამის მიერ ქ. შ-ის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებიდან გამომდინარე, შესაბამისად, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მსჯელობა, რომ ნ. შ-ს ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო, რაც სამკვიდრო მონაწილეობის ბათილად ცნობის წინამძღვრების არსებობას გამოიწვევდა.

სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ სამკვიდროს მიღება, ცალმხრივი სამოქალაქო გარიგებაა და იგი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ პირის ნების ობიექტურად არსებობას გარკვეული სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, რომ აღნიშნული ნება გამოვლენილ იქნეს. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას, მიიღოს ან არ მიიღოს სამკვიდრო, თუმცა, ანესებს აღნიშნული ნების გამოვლე-



ნის ვადას. სამკვიდროს მიღების ნების არსებობის შემთხვევაში, ნება გამოვლენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებული ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ამ პერიოდის განმავლობაში მემკვიდრის ნების არსებობაზე აპელირება, არამედ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ფორმალური საფუძველი – ნების გამოვლენის შეუძლებლობის დადასტურება. სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი იძლევა სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის შესაძლებლობას, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოა. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, საუბარია 6-თვიანი ვადის სრულად გაშვების საპატიოობაზე და არა სამკვიდროს გახსნიდან 6-თვიან პერიოდში დროის გარკვეული მონაკვეთის საპატიოობაზე. ვადის გადაცილების საპატიოობა გულისხმობს ისეთი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობას, რომლებიც გამორიცხავს პირის მიერ სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენის შესაძლებლობას. ამასთან, ვადის გაშვების საპატიო საფუძველები უნდა არსებობდეს არა მხოლოდ სამკვიდროს გახსნიდან 6-თვის განმავლობაში, არამედ სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადის ამოწურვიდან სამკვიდროს მიღებისათვის ქმედების განხორციელების თარიღამდე, რაც სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული იყო, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ ქ. ფ-ს უნდა აღდგენოდა მამის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა.

სააკვეციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება მონმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების უკანონობის თაობაზე. ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მონმეთა დაკითხვასა და წერილობითი მტკიცებულებების დართვას შუამდგომლობდა, ერთი მხრივ, მოპასუხის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების საწინააღმდეგო ფაქტის და, მეორე მხრივ, თავად მოსარჩელის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტის დადასტურების მიზნით. პალატამ მიუთითა მხარეთა შორის არსებულ დავაზე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილი იყო ნ. შ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, ასევე ის, რომ ქ. ფ-ს სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ვადაში არ მიუღია სამკვიდრო, რაც გამორიცხავდა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმებას.

პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ქ. ფ-ის მოთხოვნას არ წარმოადგენდა სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა და შესაბამისი ცვლილების შეტანა სამკვიდრო მონუმბაში, სარჩელის მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით კი, სასამართლო ნ. შ-ის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მონუმბაში ცვლილებების განხორციელებაზე ვერ იმსჯელებდა, თუმცა, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის აღდგენის შემთხვევაში, მხარეს ჰქონდა უფლება, სამკვიდრო მონუმბაში ცვლილების მოთხოვნით მიემართა ნოტარიუსისათვის.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. შ-მა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და მოსარჩელისათვის სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლით, რადგანაც მოსარჩელეს არ მოუთხოვია სამკვიდროს მისაღებად დადგენილი 6-თვიანი ვადის გასვლის შემდგომი პერიოდის საპატიოდ მიჩნევა, ამასთანავე, ამ ვადის საპატიოდ გაშვება არც საქმის მასალებით დასტურდება, რადგანაც მოსარჩელისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალების თაობაზე მაშინვე გახდა ცნობილი, გარდა აღნიშნულისა, ჩამოსული იყო საქართველოში და უფლების რეალიზაცია არ განუხორციელებია, უფრო მეტიც, მას საზღვარგარეთ ყოფნისას შეეძლო საკონსულო დაწესებულებისა და ნოტარიუსისათვის მიმართვით გაეცა მინდობილობა საკუთარი უფლების გამოყენების მიზნით. არ შეიძლება გაზიარებულ იქნას მხარის მითითება, რომ ის იტალიაში არალეგალურად იმყოფებოდა, რადგანაც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. გ-ის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმით ირკვევა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა მხოლოდ სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის აღდგენას და მისი მიზანი იყო არა სამკვიდროს რეალურად მიღება, არამედ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის გაუარესება. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა და საპატიოდ მიიჩნია ასევე სამკვიდროს მიღების შემდგომ გასული ვადაც, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ მიუხედავად გამოძიებით იმ ფაქტის დადასტურებისა, რომ კასატორმა კანონიერად მიიღო სამკვიდრო და ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც საფუძვლად უდევს სამკვიდრო მონუმბას, ასევე კანონიერია, ქ.ფ. მაინც მოითხოვს ამ სამკვიდრო მონუმბის ბათილად ცნობას.

სამკვიდროს მიღების ფაქტი ასევე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას მოსარჩელის საზღვარგარეთ უკანონოდ ყოფნისა და მის მიერ სამკვიდროს მისაღებად 1-ლი მოქმედების 2011 წლის 18 თებერვალს განხორციელების თაობაზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-მაც, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის მოთხოვნა იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ მამის გარდაცვალებიდან 6 თვეში დაეუფლა სამკვიდროს. შ. შ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 22 მაისს, მოპასუხემ კი, სამკვიდრო მონუმობა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 1 წლისა და 4 თვის შემდეგ, სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის დარღვევით მიიღო.

სამკვიდრო მონუმობის მიღების საფუძველი სოფელ ჯ-ის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობაა, რომელიც სარჩელით სადავოდაა გამხდარი, ამასთან, ნ. შ-ის მუდმივი საცხოვრებელი არის ქ.რუსთავი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, კასატორმა წარადგინა სამკვიდროს გახსნის ვადაში მისი ოჯახის წევრების მიერ გადასახადების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამგვარი მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარუდგენია. ნ. შ-ის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტის გასაქარწყლებლად მოსარჩელე მოითხოვდა მონუმების დაკითხვას. სასამართლოს არ დაუსაბუთებია გადაწყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა, პროცესუალური თვალსაზრისით დაედასტურებინა მოთხოვნის კანონიერება, სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნ. შ-ისა და ქ. ფ-ის საკასაციო საჩივრები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. ფ-ს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნა-

წილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენიათ იმ გარემოებებზე, რომ:

მამკვიდრებელი შ. შ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 22 მაისს;

ქ. ფ-ი და ნ. შ-ი არიან შ. შ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრეები – შვილები;

შ. შ-ის დედა, ქ. შ-ი, გარდაიცვალა 2001 წლის 1 მაისს. ქ. შ-ის გარდაცვალების შემდეგ, მის დანაშთ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მისი შვილი შ. შ-ი;

შ. შ-ის სამკვიდრო მიღებული აქვს ნ. შ-ს და მას ბებუის სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა ჰქონდა მამის – შ. შ-ის მიერ დედამისის სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე;

2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. შ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონაშთი, რომლითაც ნ. შ-მა მემკვიდრეობით მიიღო ბებუის – ქ. შ-ის სამკვიდრო ქონება, კერძოდ, გ. რაიონის სოფელ ჯ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ეზო, 0.17 ჰა მიწის ნაკვეთი „სახლთან სახნავი“, 0.27 ჰა „სახლთან ვენახი“, და 1538,55 კვ.მ და 1596.45 კვ.მ (დაუზუსტებელი) 2 მიწის ნაკვეთი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ქ. ფ-ის მტკიცებას, რომ მოპასუხის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 აპრილის განჩინებაზე, რომლითაც ქ. ფ-სა და ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლადაა მიჩნეული. განჩინების თანახმად, ქ. ფ-მა და ნ. მ-ემ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ნ. შ-ის მიმართ, 2010 წლის 4 ოქტომბერს გაცემულ სამკვიდრო მონაშთში ცვლილების შეტანისა და ქ. შ-ის (ბებუის) დანაშთი სამკვიდრო ქონების  $1/4 - 1/4$  წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასახელებული

ნორმით რეგლამენტირებულია მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების სტანდარტი და დადგენილია, რომ სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნეული გარემოებები უნდა ემყარებოდეს ამ საპროცესო ნორმის შესაბამისად გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინების შესწავლით პალატა მიდის დასკვნამდე, რომ ნ. შ-ის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მონუმობაში ცვლილების შეტანისა და სამკვიდროს 1/4-ის მიკუთვნების თხოვნით სასამართლოსათვის მიმართვისას (საქმის მასალებით ირკვევა, რომ შ. შ-ს დარჩა ოთხი 1-ლი რიგის მემკვიდრე: მეუღლე და სამი შვილი) ქ. ფ-მა აღიარა მოპასუხის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. ამას მონუმობს ზემოხსენებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მამის, შ. შ-ის საკვიდრო მიღებული ჰქონდა მოპასუხე ნ. შ-ს, შესაბამისად, მას ბებიის სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა ჰქონდა მამის, შ. შ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტობრივი გარემოებიდან, ქ. ფ-ი და ნ. მ-ი კი, ვერ ადასტურებდნენ მამის, შ. შ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტობრივ გარემოებას.

საკასაციო პალატა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს საპროცესო დარღვევის კუთხით ქ. ფ-ის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიას, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, მას არასწორად ეთქვა უარი მონუმეთა დაკითხვაზე, რომლებიც დაადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ ნ. შ-ი სადავო სამკვიდროს ფაქტობრივად არ დაუფლებია.

ამ კუთხით პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომელიც ემყარება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ნ. შ-ი ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სადავო სამკვიდრო ქონებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო განადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობაზე, რადგანაც არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული 2010 წლის 4 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად

ცნობის საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა და იგი არსებითად სწორია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, ქ. ფ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ასევე დადგინდა ცნო, რომ მოსარჩელე ქ. ფ-ი 2008 წლიდან არ იმყოფებოდა საქართველოში და იგი სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ ექვსი თვის ვადაში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას, ასევე არ მიუმართავს სანოტარო ორგანოსთვის. პალატის შეფასებით, ქ. ფ-ის მიერ მამის – შ. შ-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება გამონეუული იყო საპატიო მიზეზით.

კასატორი ნ. შ-ი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ დასკვნას და განმარტავს, რომ თუნდაც საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მოსარჩელეს შეეძლო, გაეცა მინდობილობა და წარმომადგენლის მეშვეობით მიეღო სამკვიდრო.

სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ნორმაში მითითებული დათქმა საპატიო მიზეზის თაობაზე წარმოადგენს შეფასების საკითხს და მოსარჩელის ვალდებულებაა, მიუთითოს იმგვარ სარწმუნო გარემოებებზე, რომელთა ანალიზითაც სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მემკვიდრეს არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, დადგენილ ვადაში მიემართა ნოტარიუსისათვის ან უშუალოდ დაუფლებოდა სამკვიდროს, რამდენადაც სამკვიდროს მიღება, იურიდიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას და სამართლებრივი შედეგის მისაღწევად მხოლოდ ნების არსებობა არ არის საკმარისი, რამდენადაც ნება შინაგანი, სუბიექტური კომპონენტია და იურიდიული ძალის მატარებელი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც დასრულებულია მისი ობიექტურად შეცნობადად გამოხატვის პროცესი. სარჩელის თანახმად, სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვებას ქ. ფ-ი უკავშირებს საზღვარგარეთ არაღვალურად ყოფნის ფაქტს.

კასატორის პრეტენზიის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებაზე, რომ ქ. ფ-მა პირდაპირი ელექტრო-

ნული კომუნიკაციის საშუალებით 2011 წლის 18 თებერვალს გას-  
ცა მინდობილობა სხვა პირზე, რომელსაც მიანიჭა კონკრეტუ-  
ლი უფლებამოსილება – ენარმოებინა სამემკვიდრეო საქმე გარ-  
დაცვლილი ქ. შ-სა და შ. შ-ის დანაშთ ქონებაზე.

უდავოა, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1423-ე მუხ-  
ლი ითვალისწინებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას რო-  
გორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

სააპელაციო პალატამ საზღვარგარეთ მყოფი მოსარჩელის  
მიერ საკონსულოს მეშვეობით სამკვიდროს მიღების საკითხის  
წარმოების გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნია ის, რომ მოსარ-  
ჩელე არაღეგალურად (სავიზო რეჟიმის დარღვევით) იმყოფე-  
ბოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც, სააპელაციო პალატის  
შეფასებით, დასაბუთებულს ხდიდა ვარაუდს, რომ მოსარჩელე  
ამ წესით მინდობილობას ვერ გასცემდა. მართალია, ამ კუთხით  
კასატორმა ნ. შ-მა წარმოადგინა პრეტენზია და განაცხადა, რომ  
ქ. ფ-ი საქართველოში იყო ჩამოსული და შეეძლო მიეღო სამ-  
კვიდრო, თუმცა პალატა კასატორის ამ მსჯელობას დასაბუთე-  
ბულ შედავებად ვერ მიიჩნევს, რადგანაც საქმეში ამ გარემოე-  
ბის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები არ მოიპო-  
ვება, ამასთანავე, საზღვარგარეთ არაღეგალურად ყოფნის ფაქ-  
ტი თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამკვიდროს მი-  
ღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ იუს-  
ტიციის მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს №... ბრძანება (რომ-  
ლითაც დამატებები შევიდა „სანოტარო მოქმედებათა შესრუ-  
ლების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე სა-  
ქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №...  
ბრძანებაში და დასაშვებად იქნა მიჩნეული მინდობილობის/  
რწმუნებულების დამონმება კომუნიკაციის ელექტრონული სა-  
შუალების გამოყენებით) არ წარმოადგენს საკანონმდებლო  
ნორმატიულ აქტს და კანონქვემდებარე აქტში ამა თუ იმ ცვლი-  
ლების შეტანის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოქა-  
ლაქს არ ეცოდინებოდა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს  
და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით ნ. შ-მა წარმოადგინა სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნ-  
ქტით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი სასამართლოს  
ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის  
მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე, „ნორმატიული აქტების შე-  
სახებ“ საქართველოს კანონის სწორი განმარტებიდან, რადგა-  
ნაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

2 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა და დადგენილია, რომ სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი. ამავე კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო პალატის შეფასებით, რადგანაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, თავისთავად წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს, მის მიმართ სავსებით ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით განმტკიცებული კანონის ცოდნის პრეზუმფცია, რაც დაუსაბუთებელს ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ საზღვარგარეთ მყოფმა ქ. ფ-მა საპატიოდ გადააცილა სამკვიდროს მიღების ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც სახეზე არ არის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, პალატა უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ნ. შ-ის მიერ 2014 წლის 27 მაისის განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რომ ქ. ფ-ის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის გამო, მის საკასაციო საჩივარზე არ არის კასატორის ხელმოწერა, რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. მართალია, განმცხადებელმა ამ ფაქტის თაობაზე წარმოადინა საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა, ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმებისათვის იგი ვერ იქნება სათანადოდ მიჩნეული, ხოლო სიყალბის ფაქტის დამდგენი მტკიცებულება მხარის მიერ სასამართლოში არ წარმოდგენილა.

კასატორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმისათვის დართვისა თუ მათი შეფასების საკითხის თაობაზე პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-



ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა, რაც მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის საფუძველია, ხოლო საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების განმეორებით წარმოდგენა რაიმე განსხვავებული სამართლებრივი შედეგის მომტანად არ მიიჩნევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამ ნორმისა და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ნ. შ-ს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 25 (ოცდახუთი) ფურცლად, ასევე საკასაციო შესაგებელზე დართული მტკიცებულება 1 (ერთი) ფურცლად, ხოლო ქ. ფ-ს – 2014 წლის 23 ივლისის №ა-2457-14 განცხადებაზე (მოსაზრებაზე) დართული მტკიცებულებები 5 ფურცლად, ასევე 2 ფოტოსურათი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო ქ. ფ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ფ-ს ნ. შ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკა-

საცო საჩივარზე გადახდილი ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ქ. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
4. ქ. ფ-ის სარჩელი შ. შ-ის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევის, ამ ვადის აღდგენისა და 2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. შ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
5. ქ. ფ-ს (პ/№.....) ნ. შ-ის (პ/№.....) სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.
6. ნ. შ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 25 ფურცლად, ასევე საკასაციო შესაგებელზე დართული მტკიცებულება 1 ფურცლად, ხოლო ქ. ფ-ს – 2014 წლის 23 ივლისის №ა-2457-14 განცხადებაზე (მოსაზრებაზე) დართული მტკიცებულებები 5 ფურცლად, ასევე 2 ფოტოსურათი.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

## ბანრინება

№ას-655-621-2015

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამკვიდროს გაყოფა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ჭ-ის (შემდეგში: „მამკვიდრებელი“) საკუთრებაში ირიცხებოდა დაბა თ-ში, ა-ს ქ. №...-ის შესახვევ №-ში და დაბა თ-ში, 9-ს ქუჩაზე არსებული უძრავი ქონება (ს.კ ..., შემდეგში: „სამკვიდრო ქონება“).

2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 22 ივნისს და მის დანაშთ ქონებაზე გაიხსნა სამკვიდრო [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1319-1320-ე მუხლები].

3. მამკვიდრებელს დარჩა 1-ლი რიგის 4 მემკვიდრე: მეუღლე ლ. ჭ-ი (შემდეგში: 1-ლი მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე), მამა ი. ჭ-ი (შემდეგში: მეორე მოსარჩელე, ან მოწინააღმდეგე მხარე) შვილები: მ-ი (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) და ა-ე (შემდეგში: მოსარჩელეების წარმომადგენელი) [სსკ-ის 1336- მუხლი].

4. მოსარჩელეების წარმომადგენელმა სამკვიდროს მიღების ექსთოვიანი ვადის გასვლამდე [სსკ-ის 1424-ე მუხლი], 2013 წლის 18 ივლისს, განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონაწილის გაცემის თაობაზე [სსკ-ის 1421-ე მუხლის მეორე და 1499-ე მუხლის 1-ლი ნაწილები]. განცხადებაში მითითებული იყო სხვა მემკვიდრის, 1-ლი მოსარჩელის არსებობაზეც.

5. 2013 წლის 20 დეკემბერს, მოპასუხემაც კანონით დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონაწილის გაცემის თაობაზე [სსკ -ის 1424, 1421.2, 1499.1 მუხლები].

6. 1-ლი მოსარჩელე შრომით მიგრაციაში, საბერძნეთში იმ-

ყოფებოდა. ის 2008 წლის შემდეგ საქართველოში არ ჩამოსულა.

7. მეორე მოსარჩელე უსინათლოა, იგი დაავადებულია ორივე თვალის ტერმინალური გლაუკომით.

8. სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, 2014 წლის 17 იანვარს, მოსარჩელეთა წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ნოტარიუს ძ-ს სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მონუმობის გაცემის თაობაზე.

9. ნოტარიუსის 2014 წლის 5 თებერვლის დადგენილებით [სა-ნოტარო რეგისტრაციის №140094753] მოსარჩელებს უარი ეთქვათ მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე კანონის-მიერი სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე სამკვიდრო ქონებაზე ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენამდე.

10. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ, მათ მოითხოვეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება [სსკ-ის 1426.1 მუხლი] და მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/4-1/4 წილის მესაკუთრედ ცნობა [სსკ-ის 1433 მუხლი].

11. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლომ საპატიოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება, კერძოდ, მეორე მოსარჩელის შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის – სიბრმავის გათვალისწინებით, ხოლო 1-ლი მოსარჩელის შემთხვევაში, 2008 წლიდან დავის დაწყებამდე მისი საქართველოში არყოფნის მხედველობაში მიღებით.

მოსარჩელები ცნობილ იქნენ სამკვიდრო ქონების 1/4-1/4-ის მესაკუთრედ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 1336-ე, 1421-ე, 1423- 1424-ე, 1450-ე, 1478-1479-ე, 1328-ე, 1451-ე, 1433-ე, 1469-ე და 1426.1-ე მუხლები.

12. მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

14. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება კასაციის წესით

გაასაჩივრა. მან საკასაციო საჩივარი დააფუძნა იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელია, შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 394-ე „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები კერძოდ:

14.1. სასამართლომ ისე მიიჩნია მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება საპატიოდ, რომ არ გამოიყვლია და სათანადოდ არ შეაფასა, თუ რატომ არ გამოიყენეს მათ თავიანთი უფლება წარმომადგენლის მეშვეობით მიეღოთ სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში [სსკ-ის 1423-ე მუხლი];

14.2. სასამართლო პროცესში მხარედ არ იყო ჩაბმული მოსარჩელეთა წარმომადგენელი, რომელიც, ასევე, კანონისმიერი მემკვიდრეა.

14.3. სამკვიდრო მასაში მამკვიდრებლის ქონებად მიჩნეულ იქნა დაბა თ-ში, 9-ს ქუჩაზე არსებული უძრავი ქონება, მაშინ, როდესაც, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, ამ ქონების მესაკუთრეა თ. ჭ-ი და არა მამკვიდრებელი, შესაბამისად, ისე იქნა აღიარებული მოსარჩელების საკუთრების უფლება ამ ქონებაზე, რომ კანონით დადგენილი წესით არ დადგენილა თ. ჭ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის, საჯარო რეესტრის ამონაწერის მამკვიდრებლის კუთვნილების ფაქტი [სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქ/პუნქტი].

14.4. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1450-ე მუხლი. მან არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებმა გაუშვეს სამკვიდროს მიღებაზე უარის გასაჩივრების ორთვიანი ვადა. ნოტარიუსის 2014 წლის 17 იანვრის დადგენილებით, მათ უარი ეთქვათ მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე კანონისმიერი სამკვიდრო მონაშთის გაცემაზე, ხოლო სარჩელი მათ აღძრეს მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, 2014 წლის 23 აპრილს.

14.5. სასამართლომ ისე აღიარა 1-ლი მოსარჩელე მამკვიდრებლის მემკვიდრედ, რომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 1341-ე მუხლის დანაწესი [„განქორწინებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ“.]

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხ-

ლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასევე, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემონიშნება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, საქმის ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

17. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები [სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი], რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი დასკვნა სარჩელის სამართლებრივი საფუძვლიანობის თაობაზე, სახელდობრ:

17.1. წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ არის. სსკ-ის 1433-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი, ანუ საკუთრების უფლების წარმოშობას კანონი უკავშირებს განსაზღვრული იურიდიული ქმედებების შესრულებას სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში [სსკ-ის 1424-ე მუხლი]. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ სამკვიდროს დამტოვებლის 1-ლი რიგის მემკვიდრეებს, კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არ შეასრულეს სსკ-ის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული იურიდიული ქმედებები, რაც უდავოდ დაადასტურებდა მათ მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს, კერძოდ, ისინი არც ფაქტობრივად არ შედგომიან სამკვიდროს ფლობას ან მართვას და არც სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით არ გამოუვლენიათ სამკვიდროს მიღების ნება, ამიტომაც ისინი მოითხოვენ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას [სსკ-ის 1426.1 მუხლი] და სამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/4-1/4 წილის მესაკუთრედ ცნობას [სსკ-ის 1433 მუხლი].

17.2. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ოთხი კანონისმიერი მემკვიდრიდან ორმა მათგანმა, მოპასუხემ და მოსარჩელებმა წარმომადგენელმა, მიიღეს სამკვიდრო, ხოლო მოსარჩელებმა სამკვიდროს მიღების ვადა გაუშვეს. ამასთან, არ არსებობდა სსკ-ის 1426-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადების („ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღე-

ბულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე“) გამოყენების საფუძველი, რაც მოსარჩელებს მისცემდა საშუალებას, არ მიემართათ სასამართლოსათვის და ისე მიეღოთ სამკვიდრო. კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარად დაადგენს ვადის გადაცილების საპატიოობას. ამ უკანასკნელის განსაზღვრის კრიტერიუმები ყოველი შემთხვევის თავისებურებითა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, როგორც წესი, საპატიოობას ორი მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გააჩნდეს: ა) თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება ცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე და ბ) თუ მემკვიდრემ ვადა გაუშვა ისეთი გარემოების გამო, რომელიც მას ობიექტურად არ აძლევდა საშუალებას, მიეღო სამკვიდრო დადგენილ ვადაში და მხოლოდ ამ დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ შეძლო მან სასამართლოსათვის მიმართვა (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.02.11წ. განჩინება საქმეზე №ას-851-800-2010; 21.02.11წ. განჩინება საქმე №ას-89-79-2011; 01.03.11წ. განჩინება საქმე №ას-1294-1139-2011; 25.05.11წ. განჩინება საქმე №ას-392-372-2011; 06.06.11წ. განჩინება №ას-477-451-2011).

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ გაიზიარა საკასაციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: „მემკვიდრის უფლება სამკვიდრო ქონებაზე შეზღუდულია ნების გამოხატვის ფორმითა და წესით. აღნიშნული შეზღუდვა განაპირობებს სხვა მემკვიდრეთა ინტერესის დაცვას, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ სამკვიდროდან კუთვნილი უფლების დადგენა და რეალიზაცია, თუმცა, ყველა მემკვიდრის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე შეზღუდვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონი უშვებს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იქნება ცნობილი. საპატიოობის კრიტერიუმი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასების საგანია და მასთან დაკავშირებული დასკვნა უნდა იყოს მოტივირებული თითოეული მემკვიდრის მართლზომიერი ინტერესის დაცვის აუცილებლობით, ვადის გაშვების სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამოკვლევითა და იმგვარი მოსაზრებით, რომ ვადის გაშვება განპირობებულია არა სამკვიდროს მიღების ნების არარსებობით, არამედ ასეთი ნების

სათანადო წესით გამოხატვის შეუძლებლობით“. (იხ. №ას-480-454-2012 30 აპრილი 2012 წელი).

17.3. საკასაციო პალატა იზიარებს კასაციის მოტივს და მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელების მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოობის შესახებ დაუსაბუთებელია, კერძოდ, ორივე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. ის მიზეზი, რომ 1-ლი მოსარჩელე 2008 წლიდან დღემდე შრომით მიგრაციაშია, ხოლო მეორე მოსარჩელე უსინათლოა, არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და არცერთი ეს გარემოება დღემდე არ აღმოფხვრილა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც მათ 2013 წლის 25 დეკემბერსა და 2014 წლის 13 იანვარს (ამ დროისათვის ექვსთვიანი ვადა უკვე გასული იყო, რადგანაც მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 22 ივნისს) მიანიჭეს მათი სახელით მოქმედების უფლებამოსილება სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტები და წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა „მყარი შინაგანი რწმენის“ საფუძველზე იძლეოდა ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას [სსსკ-ის 105.2. მუხლი], რისი საფუძველიც ამ შემთხვევაში არ გვაქვს.

17.4. მემკვიდრეობის საქმეთა განხილვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც გულისხმობს იმას, რომ საქმის განხილვაში მხარედ ყველა იმ რიგის მემკვიდრე მოიწვევა, რომელსაც კანონის თანახმად გააჩნია მემკვიდრეობის უფლება [სსკ-ის 1336-ე მუხლი]. საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა ერთ-ერთი მემკვიდრე (მოსარჩელეთა წარმომადგენელი), რომელმაც სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში მიიღო და, აქედან გამომდინარე, მესაკუთრეც გახდა [სსკ-ის 1433-ე მუხლი]. შესაბამისად, სააპელაციო პალატის ყურადღების მიღმა დარჩა სავალდებულო თანამონაწილეობის საკითხი, რომელიც მოწესრიგებულია სსსკ-ის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, რომლის თანახმადაც, სავალდებულო თანამონაწილეობა სახეზეა თუ სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მემკვიდრეთა საერთო უფლება კანონიდან გამომ-



დინარე იყო [სსკ-ის 1336-ე მუხლის 1-ლი წინადადება], მოსარჩელეებმა კი, მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/4-1/4 წილის მესაკუთრედ ცნობა ისე მოითხოვეს, რომ მოთხოვნა წაუყენეს მხოლოდ მოპასუხეს და საქმეში არ ჩააბეს მეოთხე მემკვიდრე.

17.5. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასაციის მოტივს (იხ.პ.14.4) იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1450-ე მუხლი [„სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი“]. ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელები სადავოდ არ ხდიან ამ ფაქტს. ისინი მოითხოვენ მათ მიერ სამკვიდროს მიღების ვადაგადაცილების მიზეზების საპატიოდ აღიარებას და ამ ქონებიდან მათი კუთვნილი წილის მესაკუთრედ ცნობას. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა მითითებული ნორმა და სწორად დაადგინა, რომ არ არსებობდა ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საფუძველი.

17.6. ასევე არ არის გასაზიარებელი კასატორის მოსაზრება დაბა თ-ში, 9-ს ქუჩაზე არსებული უძრავი ქონების, რომლის მესაკუთრეც, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, თ. ჭ-ია, მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებად არასწორად მიჩნევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა იურიდიული ფაქტი იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ დოკუმენტში შეცდომით იყო მითითებული გარდაცვლილის შინაურული სახელი „თ-ზი“ და საჯარო რეესტრის ჩანაწერიც და მის საფუძველზე გაცემული ამონაწერიც ეკუთვნოდა თ. ჭ-ს [სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი]. შესაბამისად, ამ შემთხვევაში იურიდიული ფაქტი სასამართლოს არა უდავო წარმოებით უნდა დაედგინა, არამედ სასარჩელო წარმოების გზით, რადგანაც მხარეთა შორის უფლებაზე დავა უკვე მიმდინარეობდა. [სსსკ-ის 311.2 მუხლი].

17.7. ასევე არასწორია კასატორის მოტივი სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 1341-ე მუხლის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, კასატორს ამ გარემოებაზე არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას არ მიუთითებია, მეორეც, ასეთი მითითების შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელ სამარ-

თლებრივ წინაპირობებზე, რადგანაც მოპასუხეს შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით 1-ლი მოსაჩელისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა არ მოუთხოვია.

18. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, სწორად უნდა გაანალიზოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის [სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი], სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს, როგორც სარჩელის ფაქტობრივი წინამძღვრები, ისე მოპასუხის შესაგებელი, გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების პ.17.2-17.4-ში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.1-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სამკვიდროს მიღებაზე შედავევის ვადა**

### **განჩინება**

№ას-43-43-2016

23 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ნ. ბაქაქური**

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის 1/3 ნაწილის მემკვიდრედ და საჯარო რეესტრში მონაცემთა ცვლილების შეტანის გზით მის მესაკუთრედ ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. მ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. კ-ის, ნ., ს. და ა. ჯ-ეების მიმართ და მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი 1995 წლის 25 დეკემბერს დამონმებული №..... სამკვიდრო მონუმობა ხ-ში, სოფელ ს-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/3 ნაწილში და 2014 წლის 10 იანვარს ნ., ს. და ა. ჯ-ეებს შორის ამავე მისამართზე მდებარე უძრავ ნივთზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება 1/3 ნაწილში, მ. კ-ე ცნობილ იქნეს მამის – მ. კ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ხ-ის რაი-

ონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავ ქონების 1/3 ნაწილში, რაზეც საჯარო რეესტრში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

2. მოსარჩელის განმარტებით, მ. კ-ე დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში.

3. 1984 წელს მ. კ-ის მამა მ. კ-ემ იქორწინა მოპასუხე ნ. ჯ-ეზე. 1995 წელს კი, მ. კ-ე გარდაიცვალა.

4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პასუხისა და ამონაწერის საფუძველზე მოსარჩელემ შეიტყო, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ 1-ლი რიგის მემკვიდრეებმა – მ. კ-ის ძმა ჯ. კ-ემ და დედინაცვალმა ნ. ჯ-ემ განცხადებით მიმართეს ნოტარიუსს, მიიღეს სამკვიდრო მოწმობა და საკუთრებაში გადაეცათ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სახლი მასზედ მიმაგრებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთით.

5. საჯარო რეესტრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ მ. კ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ჯ-ე ჯ. კ-ის გვერდის ავლით ცდილობდა მამისეული სახლ-კარის გასხვისებას, რა მიზნითაც 2005 წელს ზემოაღნიშნული ქონება აღრიცხა საჯარო რეესტრში. რეგისტრაციის საფუძველად, სამკვიდრო მოწმობის ნაცვლად, მიეთითა 2000 წლის 7 მარტს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად მოპასუხეს მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდა 0,035 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო მიწის რეფორმის შედეგად გადაეცა 0,26 ჰა. ამავდროულად, ნ. ჯ-ისათვის ცნობილი იყო, რომ რეფორმამდე არსებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე 1995 წლიდან (სამკვიდრო მოწმობის გაცემის დღიდან), ჯ. კ-ესთან ერთად იყო მ. კ-ეც.

6. მოსარჩელის მითითებით, ნ. ჯ-ემ საჯარო რეესტრში მიღება-ჩაბარების აქტით ინდივიდუალურ საკუთრებად დაირეგისტრირა მხოლოდ სამკვიდრო მოწმობით თანასაკუთრებაში მიღებული 254,51 კვ.მ საცხოვრებელი სახლი (შენობა-ნაგებობა) და 351 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მ. კ-ე მ. კ-ის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მამისეულ სახლში, ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ ის, როგორც მ. კ-ის 1-ლი რიგის კანონიერი მემკვიდრე, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სამკვიდროს.

7. მოპასუხე ნ., ს. და ა. ჯ-ეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელეს მამის სამკვიდროდან გარკვეული ქონება გადაეცა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რისთვისაც მ. კ-ეს ფაქტობრივად თანხა არ გადაუხდია. შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლო და ხანდაზმულია.

8. მოპასუხე ჯ. კ-ემ სარჩელი ცნო და არ დაეთანხმა დანარჩენ მოპასუხეთა პოზიციას, რომ მოსარჩელეს სამკვიდროდან კონკრეტული ქონება გადაეცა, ვინაიდან აღნიშნული გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება.

9. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 1995 წლის 25 დეკემბერს დამონმებული სამკვიდრო მონაწილეობა (რეესტრში რეგისტრაციის №.....) ხ-ში, სოფელ ს-ში მდებარე უძრავ ნივთზე ს/კ .. ; ს/კ ... ; ს/კ ... 1/3 ნაწილში, ასევე, ნ., ს. და ა. ჯ-ის შორის 2014 წლის 10 იანვარს ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე (ს/კ ...) უძრავ ნივთზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება ქონების 1/3 ნაწილზე, მ. კ-ე ცნობილ იქნა მამის – მ. კ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ს/კ ...; ს/კ ...; ს/კ ... 1/3 ნაწილში, რაზედაც საჯარო რეესტრში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.

10. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ., ს. და ა. ჯ-ეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სააპელაციო პალატამ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ მოსარჩელე მ. და ჯ. კ-ეები არიან მამკვიდრებელ მ. კ-ის შვილები, მოპასუხე ნ. ჯ-ე კი, – მისი მეუღლე, მ. და ჯ. კ-ეების დედინაცვალი. ს. და ა. ჯ-ეები არიან ნ. ჯ-ის ძმის შვილები.

13. სარჩელის, მოსარჩელის, მისი წარმომადგენლისა და მონმეთა განმარტებების, ასევე, მოპასუხე ჯ. კ-ის მიერ წარმოდგენილი შესაგებლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მ. კ-ე დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში, როგორც მ. კ-ის შვილი.

14. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელით, დაზუსტებული სარჩელით, მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი შესაგებლებით, მხარეთა და მონმეთა განმარტებებით, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს მიერ 1984 წლის 21 აპრილს გაცემული ქორწინების №....-- მონაწილეთა დასტურდება, რომ ნ. ჯ-ე და მ. კ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1984 წლის 21 აპრილიდან. სსგს ბათუმის სა-

მოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2012 წლის 13 სექტემბერს განმეორებით გაცემული ალ №..... გარდაცვალების მონობით დგინდება, რომ მ. კ-ე გარდაიცვალა 1995 წლის 26 აპრილს.

15. მამის მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ მ. კ-ე აგრძელებდა ცხოვრებას მამისეულ სახლში, აწარმოებდა სარემონტო სამშენებლო სამუშაოებს უვლიდა და აწესრიგებდა მიმდებარე ტერიტორიას (ტერასებს), ჰქონდა და აქვს ოთახი მის მფლობელობაში, სადაც განთავსებულია მისი კუთვნილი ნივთები და მამის გარდაცვალებისთანავე ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო მემკვიდრეობა, რომელიც განავრცო, აწარმოა სამშენებლო სამუშაოები, მიუმატა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და დღემდე სარგებლობს მამის დანაშთი ქონებით.

16. სარჩელითა და დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელი-სა და მისი წარმომადგენლის, მოპასუხე ჯ. კ-ის, მონშეების – ზ. კ-ის, ქ. ა-ას, ი. კ-ის, ი. ა-ის, თ. ვ-ის განმარტებებით, აგრეთვე, ოქმით ადგილზე დათვალეირების შესახებ სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე მ. კ-ემ მამის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო სამკვიდრო, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ.

17. მ. კ-ის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით დასტურდება, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ე 2012 წლამდე არწმუნებდა სადავო ქონებაზე პრეტენზიის არარსებობასა და მის დამოკიდებულებაზე, რომ მ. კ-ის დანაშთი ქონება მისი შვილების საკუთრება იყო. პირადად მამის სიცოცხლეში ზრუნავდა მამასა და მოპასუხე ნ. ჯ-ეზე, ხოლო შემდგომ ნ. ჯ-ეზე. მამის გარდაცვალების შემდგომ 52 დღე მუდმივად იქ იმყოფებოდა. მამის სიცოცხლესა და მისი გარდაცვალების შემდგომ აკეთებდა ყველაფერს, უვლიდა ბალს, ასუფთავებდა ტერასებს, აგორებდა მორებს. მამის მიერ სიცოცხლეში ნაჩუქარი მიწის ნაკვეთი, ნ. ჯ-ემ მიჰყიდა, რომლის ღირებულება გადაიხადა სადავო სახლში ნ. ჯ-ის მიერ მისი კუთვნილი წილის გაქირავებით. სადავო სახლის მეორე სართულზე აქვს ოთახი, რომლითაც სარგებლობდა მამის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების დღიდან. მანვე ააშენა სამზარეულოს ნახევარი. აქვს მოძრავი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლითაც სარგებლობდა, მათ შორის პირადი და მამის კუთვნილი კარადის ნაწილი. მოსარჩელე მ. კ-ის განმარტება მთლიანად დაადასტურა მოპასუხე ჯ. კ-ემ. მანვე მიუთითა, რომ მ. კ-ემ მის მიერ სადავო ქონებასთან მიმართებით დავის აღძვრასთან დაკავშირებით არაფერი იცოდა.

18. მონშის სახით დაკითხული ზ. კ-ის განმარტებით დადგე-

ნილია, რომ 1987 წლიდან არის მოსარჩელის რძალი. მ-ის სიცოცხლეში მ. კ-ე ეხმარებოდა ნ-ს ფიზიკურად და ეკონომიურად. პირადი ოჯახური კონფლიქტის გამო, ხშირად რჩებოდა. მ. კ-ე გარდაიცვალა 1995 წელს, 52 დღე მ. კ-ე სახლიდან არ გამოსულა. შემდეგ ყოველ პარასკევს ჩამოდიოდა სამი დღით, რჩებოდა, ღამეს ათევდა, ეხმარებოდა ნ. ჯ-ეს, როგორც ფიზიკურად ისე კომუნალური გადასახადების გადახდაში. მამის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ ეზოს შესასვლელში ოთახს მიაშენა სამზარეულო. გადაიხადეს 40 და 52, ჯ. და ის იქ ცხოვრობდნენ ბავშვთან ერთად.

19. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოპასუხეების – ნ., ს. და ა. ჯ-ეების წარმომადგენელმა არასწორი შეფასება მისცა ზ. კ-ის განმარტებას, საპაექრო სიტყვაში წარმოთქვა მხოლოდ მისთვის მისაღები ამონარიდები და გვერდი აუარა მოწმის ისეთ ჩვენებას, სადაც იგი ადასტურებდა მ. კ-ის მხრიდან მამის გარდაცვალების შემდეგ 52 დღის განმავლობაში სადავო სახლთმფლობელობაში მუდმივად ყოფნის ფაქტს, კვირის განმავლობაში სამი დღით მამის სახლში ცხოვრებას, სადავო სახლში მ. კ-ის ოთახის არსებობას.

20. სააპელაციო პალატის მითითებით, მოდავე მხარე ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მოწმე ზ. კ-ის განმარტებები: „მ. ყოველთვის ეხმარებოდა ნ-ს“, „მ-ო ეხმარებოდა ნ-ს იმიტომ, რომ მეორე დედად თვლიდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს“, „სახლის დალაგებაში ლ-ს ნ. უხდიდა ფულს“, „დივანი და სავარძელი ჩვენი შეკითხვის გარეშე მისცა თავის ძმისშვილს, ლ. ასვენებდა თავისი ოჯახის წევრებს, ჩვენ ორ შვილს სახლში ღამის გათევის საშუალება არ ჰქონდა, იმიტომ, რომ ნ-ს ჰქონდა მთელი სახლი დაკავებული და ჩემი შვილები ბიძაშვილებთან ათევდა ღამეს, ლ. ნ-საგან იღებდა დალაგების ფულს – თვეში 300 ლარს, ხშირად დაუნახავს, ფ. ნ-საგან ქირობდა ეზოში ადგილს, სადაც ყიდდა საზღვაო ნივთებს, ლ. ზაფხულში ეხმარებოდა ნ-ს და ალაგებდა ოთახებს“, „მ. შაბათ-კვირას ეხმარებოდა ნ-ს“, „სერფინგი ეკუთვნის მ-ს, მოიტანა 10 წლის წინ“, „მინის ნაკვეთი ეკუთვნოდა მ-ს, მასზე იყო გაფორმებული, ეს იყო სამკვიდრო ქონება, მინა იყო მ-ის, ჰქონდა ნ-ს გაფორმებული, მ-მ იყიდა ნ-საგან მ-ს დატოვებული ქონება“, „ლ-სა და ლ-სათვის დალაგების ფული მ-ს არასდროს გადაუხდიდა“, „ავგისტოს ომამდე შევთანხმდით, რომ გაქირავებით შემოსული თანხის ნაწილს გადაგვიხდიდა“, „მინაში მ-მ ნ-ს ნახევარი გადაუხადა, ესწრებოდა საუბარს“.

21. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებულ

განმარტებაში არის ერთგვარი პროტესტი ნ. ჯ-ის ქმედების მიმართ იმ ნივთების ნებართვის გარეშე გასხვისების გამო, რომელსაც მონმე თავისი მეუღლის სამკვიდროდ მიიჩნევდა. დავა ეხება მ. კ-ეს, ნ., ს. ა. ჯ-ეებს და ჯ. კ-ეს შორის სადავო ქონებას, სადა ათევენენ ღამეს და ათევენენ თუ არა მამის კუთვნის წილში ჯ. კ-ის შვილები, მ. კ-ესთან მიმართებით კავშირი არ აქვს. მონმე ზ. კ-ეს არ უთქვამს, რომ მ. კ-ის სარგებლობაში არსებულ ოთახს, სათანადო საზღაურის სანაცვლოდ, ალაგებდნენ მოპასუხის შუამდგომლობით მონმის სახით დაკითხული ლ. ბ-ე და ლ. ს-ე, შესაბამისად, მ. კ-ე არ გადაუხდიდა მათ გასამრჯელოს, ნ. ჯ-ეს სრული უფლება ჰქონდა, გაექირავებინა ეზოში მისი კუთვნილი წილი. მოსარჩელეს არ გაუჟღერებია, რომ ის არის ერთადერთი 1-ლი რიგის მემკვიდრე და სადავო ქონების ერთპიროვნული მფლობელი, სამკვიდრო სამი 1-ლი რიგის მემკვიდრის თანასაკუთრებაა, და ნ. ჯ-ის მხრივ ეზოს თავისი წილის, პირადი შეხედულების მიხედვით, გამოყენება მოსარჩელის მოთხოვნასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის გაფორმდა მინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავი ქონების ეს ნაწილი სამკვიდრო მასაში არ შედიოდა.

22. სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მოსარჩელე მამის გარდაცვალებიდან 52 დღე და შემდგომში კვირაში სამი დღე სადავო სახლში მხოლოდ მოპასუხე ნ. ჯ-ეზე ზრუნვისთვის არ დადიოდა, მას სურდა, მიეხედა მამის დანაშთი ქონების იმ ნაწილისათვის, რასაც თავისად მიიჩნევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სადავო ქონებას არაფერს არ შეჰმატებდა. მოპასუხე მხარემ სადავოდ ვერ გახადა მ. კ-ის კუთვნილი ქონების სადავო სახლში ყოფნა, არც მანსარდში განთავსებულ ნივთებზე გამოუთქვამს პრეტენზია, შესაბამისად, მოსარჩელე იმიტომ ეხმარებოდა კომუნალური გადასახადების გადახდაში, რომ ამ გადასახადში მისი კომუნალური მომსახურების საზღაურიც შედიოდა.

23. საწოლების და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების მიტანასთან მიმართებაში, რომლის ნაწილი სიცოცხლეში, ხოლო ნაწილი მ. კ-ის გარდაცვალების შემდეგაა მიტანილი, სააპელაციო სასამართლო განმარტა, რომ აღნიშნული გარემოება და მასზე მოპასუხე ნ. ჯ-ის საპირისპირო რეაქციის არარსებობა ადასტურებს მოპასუხის პოზიციის, რომ ის მ. კ-ეს მიიჩნევდა მამის ქონებაზე მემკვიდრედ და უფლებამოსილ პირად, რომელსაც შეეძლო საკუთარი ნივთები ჰქონოდა მამის სახლში და მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ გაეგრძელებინა იმ ქონების



ნებით სარგებლობა, რასაც სიცოცხლეშიც იყენებდა (მის მფლობელობაში არსებული კედლის, ე.წ. „სტენკის“ კარადა). მისი ნივთები გადაადგილა, მაგრამ სახლის დაცლაზე პრეტენზია არ განუცხადებია. ამასთან, მ. კ-ის კუთვნილი მოძრავი ქონების – „კედლის“ ნაწილი არ გაუტანია მ. კ-ის თავისად დაგულებული ოთახიდან და მამის გარდაცვალებიდან დღემდე იგი მოსარჩელის მფლობელობასა და სარგებლობაშია.

24. მონწილის სახით დაკითხული ქ. ა-ას განმარტებით, რომელიც მოსარჩელე მ. კ-ის დიდი ხნის მეგობარია, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მონწილე იცნობდა მ. კ-ეს, რომელიც იყო მ. და ჯ. კ-ეების მამა. სიცოცხლის ბოლო წლებში მასთან ცხოვრობდა მეუღლე ნ. ჯ-ე და შვილი – მ. კ-ე. მათთან ხშირი მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდა. მამის გარდაცვალების შემდეგ მ. 52 დღის განმავლობაში ცხოვრობდა ამ სახლში, სადაც განთავსებულია მისი ნივთები – ლოგინი, მატრასები, მ-ის სერვანდის ნაწილი, მ-მა რომ ოპერაცია გაიკეთა, მ. სულ იქ იყო. გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა და ცხოვრობს. ოთახი ახლაც აქვს. ტერასები მ-მ გააკეთა.

25. მონწილის სახით დაკითხული ი. კ-ის განმარტებით, რომელიც მ. კ-ის რძალაა, სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქმრისაგან მიღებული ინფორმაციით მ. კ-ე მამის, მ. კ-ის გარდაცვალების შემდეგ თითქმის მუდმივად ცხოვრობდა მამის სახლში ორი თვის მანძილზე. შემდგომში, როგორც წესი, პარასკევიდან ორშაბათამდე ყველა თავისუფალ დროს ის დადის მხოლოდ მის ფართში, ყველა საქმეს მ. აკეთებდა, მათ შორის, – მამაკაცისასაც. როცა დაქორწინდნენ 1-ლი თვე გაატარეს ს-ის სახლში, მ-ს ოთახში. დღესაც აქვს ეს ოთახი, ნივთები და ჭურჭელი. ადრეც იდგა სტენკის ნაწილი, მამისეული რბილი ავეჯი. მ-მ სამზარეულოც ააშენა. სახლის ირგვლივ გააკეთა ტერასები, დარგო ნარგავები, ბოსტნეული, საიდანაც ნაწილი სახლში მიჰქონდათ, ნაწილს ჰყიდდნენ. ბადე და ნავი სულ იქ იყო, სერფინგი შემდეგ მიიტანეს და აქირავებდნენ. იცოდა, რომ სახლი მხოლოდ ნ-ს არა, მათი იყო. მისი რძლობის განმავლობაში გადაიტანა ტელევიზორი, ორი სანოლი, ტუმბო დივანი და სხვა ნივთები. მონწილემ სრულად აღწერა სახლის განლაგება, ოთახი, რომელიც მ-ს თავისად აქვს დაგულებული, რაც დადგინდა ადგილის დათვალიერების დროს, ასევე მიუთითა ნივთებზე, რომელიც მ-სგან მიიღო მ. კ-ემ და შემდგომში მიუმატა. მოპასუხეს იმ გარემოების საპირისპიროდ რომ ახლადდაქორწინებულმა წყვილმა მოსარჩელე მ. კ-ის (დედისა და დედამთილის) მფლობელობაში არსებულ ოთახში გაატარა ქორწინების 1-ლი თვე საპი-

რისპირო არ დაუდასტურებია, არც შეკითხვა დაუსვამს აღნიშნულის დასაზუსტებლად ან უარსაყოფად.

26. მოწმის სახით დაკითხული ი. ა-ის განმარტებით დადგენილია, რომ იგი იცნობდა მ. კ-ეს, რომელიც ცხოვრობდა ს-ში, საკუთარ სახლში მოპასუხე ნ. ჯ-ესა და მოსარჩელე მ. კ-ესთან ერთად. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ 52 დღე და შემდეგაც დადიოდა სახლში და მ. კ-ე იქ ხვდებოდა. საშუალო ზომის ოთახი ეჭირა, სტენკის ერთი ნაწილი მისია, დადის კვირაში სამი დღე, მეორე სართულზე მ-ს ოთახში ყავას მიირთმევდნენ. მ. სახლს უვლიდა, როგორც საკუთარს. სამზარეულო პირადად მ-მ მიაშენა. ტერასებიც მან გააკეთა.

27. მოწმის სახით დაკითხული თ. ვ-ის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოწმე არის კ-ეთა ოჯახის ახლო ნათესავი, ან გარდაცვლილი მ. კ-ე იყო მისი ბიძა. თ. ვ-მა დაადასტურა სადავო სახლში მ. კ-ის ცხოვრების, მოსარჩელის ინიციატივითა და ხარჯით მ. კ-ის სარგებლობაში არსებულ ოთახში მის მიერ შპალერის გაკვრის ფაქტი, ასევე, გარემოება, რომ მ. კ-ე მამის გარდაცვალების შემდგომ ყველა რიტუალზე და 90 დღის მანძილზე სულ სადავო სახლში იყო. მოწმის განმარტებით, მ-ს სახლის მეორე სართულზე აქვს ოთახი და არის მასში, დიდი ამაგი აქვს ს-ზე და რაც გააკეთა, მ-მ გააკეთა.

28. სააპელაციო პალატის მითითებით, მოპასუხე ნ., ს. და ა. ჯ-ეების წარმომადგენელი შეეცადა, მოეხდინა სასამართლოზე დაკითხულ მხარეთა და მოწმეთა განმარტებების არასწორი შეფასება, 1-ლი ინსტანციის სასამართლომ კი სწორად მიიჩნია, რომ მამის დანაშთი ქონების ფაქტობრივ მიღებას ადასტურებს მ. კ-ის შემდეგი განმარტებები: „ნ. ჯ-ემ 4 წლის წინ ავეჯი ისე გაასხვისა, რომ ჩვენ არაფერი არ გვკითხა“... „ნ-ს ვეხმარებოდი, ვალაგებდი, მაგრამ კი არ ვაყვედრი“, „... „ორი წლის წინ ჩემი ნივთები აქეთ გადმოალაგა“, „... „მე იქედან არაფერი წამომიღია, მხოლოდ იქეთ მიმქონდა“... „ამ ქალს ჰქონდა გაბატონებული უფლება, მარტო მისი ნათესავები მოდიოდნენ, ყველგან მდგმურები იყო, მხოლოდ მისი ნათესავები“, „... „20 წელი სრულდება და ჩვენ და ჩვენს ნათესავებს იქ დასასვენებელიც არ გვაქვს, მარტო თვითონ თარეშობდა“.. „ქონება, რომელსაც მართავდა ნ. იქედან გამომდინარე გადავიხადე ნასყიდობის თანხა. მე ფული არ მიმიცია მაგრამ გამოვქვითე, ნ. მთლიანად განკარგავდა ქონებას და იქედან შემოსულ ფულს“, „... „სერფინგი მაქვს იქ, რომელიც მინიმუმ 15 წელია იქ დევს“, „... „არასდროს იქედან მატერიალური არაფერი წამომიღია“... მ. კ-ე, როგორც დანაშთი ქონების

ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანი მიიჩნევდა, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ეს არ ჰქონდა სადავო სახლთმფლობელობაში არსებული მისი ნივთების გადაადგილებისა და გასხვისების, მ. კ-ის ქონების თვითნებურად გამოყენების უფლება. მოსარჩელემ იცოდა, რომ არა მარტო თავისი წილი, არამედ ნ. ჯ-ის მიერ შეპირებული მოპასუხის კუთვნილი წილიც მას გადაეცემოდა, შესაბამისად, მისი კუთვნილი სამკვიდრო ქონების სეზონურად გამოყენების უფლებას არ უკრძალავდა, ვინაიდან მიღებული შემოსავლით ახდენდა 2007 წლის 15 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. ჯ-ისათვის 1000 კვადრატული მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ღირებულების კომპენსირებას.

29. სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონული სასამართლოს განმარტებას, რომ ნ., ს. და ა. ჯ-ეების წარმომადგენელმა არასწორი შეფასება მისცა ქეთევან ა-ას განმარტებას, რომ ნ. ჯ-ემ მ. კ-ეს მიჰყიდა სამკვიდრო ქონების ნაწილი და მოსარჩელემ მამისეულ მიწაში გადაუხადა თანხა, ვინაიდან შესყიდული მიწა სამკვიდრო მასაში არ შედიოდა. მოსარჩელის განმარტების მიუხედავად, რომ მამამ აჩუქა მიწის ეს ნაკვეთი, მოპასუხე ნ. ჯ-ემ აღნიშნული გარემოება გამოიყენა და მოსთხოვა საზღაური უძრავი ქონების შემძენს.

30. მოპასუხე ნ. ჯ-ემ ჯ. კ-ის გვერდის ავლით დაირეგისტრირა მ. კ-ის დანაშთი ქონება, როგორც ერთადერთმა მემკვიდრემ. იგი მ. კ-ის კუთვნილი სამკვიდროს სეზონურად გამოყენებით იღებდა მიწის ღირებულებას. ამასთან, მ. კ-ის შვილებთან სიტუაციის გამწვავებამდე, ნორმალური დამოკიდებულების მიუხედავად, ვერ უარყო, რომ მის მიერ ფეხის მოტეხვისას საავადმყოფოში ხელში აყვანილი შეიყვანა მოსარჩელე მ. კ-ის მეუღლემ.

31. მოპასუხე ჯ-ეთა წარმომადგენელის მიერ საპაექრო სიტყვაში გამოყენებული მისი ამონარიდები მოპასუხე ჯ. კ-ის მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტებიდან: „ნ-მ თაღლითური გზით დაისაკუთრა სახლი“, „ნ-მ მთლიანად მიითვისა მამაჩემის ქონება და მერე მოგვყიდა ჩვენ, 2007 წლის შემდეგ ნ-ს ჩვენთვის არაფერი მოუცია“, „სახლში ყველაფერს ვუკეთებდი ნ-ს, 2007 წლამდე ნ. განკარგავდა ყველაფერს, აქირავებდა სახლს და მაძლევდა 300 ლარს“, „ჩემთვის და მ-სთვის 2007 წლის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის დროს ცნობილი იყო, რომ სამკვიდრო მასა, გარდა ნასყიდობისა, კიდევ იყო“, არ ადასტურებს დავის საგნის უსაფუძვლობას, როგორც მოპასუხე მხარის მიერ არის წარმოჩენილი, არამედ მიუთითებს 1-ლი რიგის

მემკვიდრეთა, როგორც სადავო ქონების თანამესაკუთრეთა პრეტენზიაზე ნ. ჯ-ის მიმართ. მოპასუხე ჯ. კ-ის ეს განმარტება თვალნათლივ ადასტურებს, რომ მამის გარდაცვალების დღიდან 1-ლი რიგის მემკვიდრეებს მამისეულ სამკვიდროსთან მუდმივი შეხება ჰქონდათ, ფაქტობრივად დაუფლნენ მას და დღეს განცხადებული პრეტენზია ნ. ჯ-ისაგან მათი ქონებიდან მიზეზული შემოსავლის გაღების ნაწილში მოპასუხის მცდელობითაა განპირობებული, 1-ლი რიგის მემკვიდრეებთან კეთილგანწყობის შენარჩუნებით გამხდარიყო სამკვიდრო ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე, რაც პირველ ეტაპზე განახორციელა კიდეც და ჯ. კ-ის მიერ მასთან დავის საგანი გახდა.

32. 1995 წელს მ. კ-ე გარდაიცვალა. მოსარჩელე მ. კ-ის მოსაზრებით, მის ნივთებთან და მამისეულ ქონებასთან თვითნებური მოქმედების განხორციელების უფლება მოპასუხე ნ. ჯ-ეს არ გააჩნდა.

33. რაც შეეხება მოპასუხე ნ., ს. და ა. ჯ-ეების წარმომადგენლის მიერ მ. კ-ის მხრივ ფაქტობრივი ფლობის გზით სამკვიდრო ქონების მიუღებლობის დასაბუთებას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოსარჩელე მ. კ-ემ და მოპასუხე ჯ. კ-ემ განმარტების მიცემისას გამოიყენეს გამოთქმები ქონებასთან მიმართებით „მართავდა“ და „განკარგავდა“, სააპელაციო პალატამ არ განმარტა, როგორც მოპასუხე ნ. ჯ-ის ერთპიროვნული მესაკუთრის უფლების აღიარებად, რამეთუ მხარეები არ არიან სამართლებრივი სფეროში დასაქმებული იურისტები და შესაბამისად ეს ტერმინები გამოყენებულია როგორც მოპასუხე ნ. ჯ-ის სადავო ქონებასთან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შესატყვისი გამონათქვამი.

34. მონმის სახით დაკითხული ი. კ-ის ჩვენებიდან მოპასუხე ჯ-ეების ინტერესთა დამცველი აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ ი. კ-ე მ. კ-ის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გახდა კ-ეთა ოჯახის რძალი და საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები მისთვის გადმოცემით იყო ცნობილი. მხარემ დავის საგნის საწინააღმდეგოდ განმარტა მისი ჩვენების შემდეგი ნაწილი: „მ. ახლა დადის თავისი ძმის სახლში“, „... მ. ყველაფერს აკეთებდა სახლში ნ-სათვის, რადგან იყო ასაკოვანი, თვითონ არ შეეძლო“, „... „სერფინგი დაახლოებით რვა წლის წინ მიიტანეს“.. „მ-მ ჩემს პერიოდში გადაიტანა ორი „ტუმბო“, ტელევიზორი, სავარძელი, დივანი, ძველი არის მხოლოდ კედლის ნაწილი“, „... მე ვიცი, რომ მ-მ მთლიანად არა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ გადაუხადა თანხა, როგორც მე ვიცი, ყველა დოკუმენტი იყო ნ-ზე გაფორმებული, დედამთილის სიტყვებიდან ვიცი, რომ მინის ნაკვეთი, რომელიც

მ-მ იყიდა, იყო მამისეული“. აღნიშნულ განმარტებაში მიუღებელი და დავის საგნის საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოთქმულა. მ. კ-ის ძმასთან სიარულში არაფერია უჩვეულო, ვინაიდან როგორც ჯ. კ-ეს, ისე მას აქვს საკუთარ სარგებლობაში გარკვეული ფართი, ამასთან, ჯ. კ-ემ დაადასტურა, რომ მ-მ მისი ოთახი დროებით ათხოვა მას, რაც შეეხება ნ-სადმი დახმარებას, ლოგიკურია ერთ სახლში ცხოვრების და კვირაში სამი დღის სადავო სახლში ყოფნის განმავლობაში მორალური მხარდაჭერა გამოეხატა მოპასუხე ნ. ჯ-ისადმი სახლის დალაგებით თუ სხვა სახის დახმარებით, რაც შეეხება სერფინგის სადავო სახლთმფლობელობაში გადატანის დროს და ორი „ტუმბოს“, ტელევიზორის, სავარძლის, დივანის გადატანის დროს, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. კ-ე, რომელიც ფლობდა მამისეულ სახლში სამკვიდროს, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, მათ შორის გაქირავებისათვის გამიზნული სერფინგი მიიტანა მისთვის საკუთრებად მიჩნეულ ობიექტში. აღნიშნული რვა წლის წინ განხორციელდა, თუ უფრო ადრე მნიშვნელობა არ გააჩნია, მნიშვნელოვანია, რომ მ. კ-ე უფლებამოსილი იყო, მიეტანა რაც სურდა.

35. ამასთან, მოწმე ი. კ-ის მიერ დასახელებული ნივთების გარდა, რომელიც მ. კ-ემ მამის სამკვიდრო ქონებას შემატა, იქ არის საწოლები, მატრასები, გაზი, სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრები ნივთები, რომელიც მამის გარდაცვალებამდე ჰქონდა მიტანილი და, ასევე, მამისეული კარადა.

36. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია მოპასუხე ჯ-ეთა წარმომადგენლის მოსაზრება მოწმის სახით დაკითხული თ. ვ-ის მიერ მიცემული განმარტების საწინააღმდეგო დაკავშირებით. ამ უკანასკნელმა დაადასტურა მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ 90 დღის მანძილზე მოსარჩელის მამისეულ სახლში ყოფნის ფაქტი. მანვე დაადასტურა, რომ მისი გაკრულია მ-ს ოთახში შპალერი მ-ის გარდაცვალებამდე და ბიძამისის სიკვდილის შემდეგ იშვიათად მიდის იქ. ამავე განმარტებაში მოწმემ აღნიშნა, რომ შპალერი გაიკრა მ. კ-ის სახსრებითა და თხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ მ. კ-ეს არ ექნებოდა სადავო სახლში გამოყოფილი თავისი ოთახი, თუნდაც მამის სიცოცხლეში, ის დამოუკიდებელ სახსრებს მასში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად არ გაიღებდა. მოწმის განმარტება – „ბიძაჩემის სიკვდილის შემდეგ იშვიათად მივდივარ იქ“ არ ნიშნავს, რომ 1995 წელს იშვიათად დადიოდა ბიძის სახლში. მოწმეს არ განუცხადებია, რომ იშვიათად დადიოდა მ. კ-ის გარდაცვალების პირველ წელს, არამედ განმარტა, რომ იშვიათად სტუმ-

რობდა სადავო სახლს, რაც თავისი შინაარსით ბოლო წლებში მის მიმოსვლას გამოხატავდა.

37. მოპასუხე ნ. ჯ-ის მოწმის ნ-ის განმარტებით, რომელიც, ამავდროულად, მისი ნათესავია, ერთი თვე იმყოფებოდა მათ სახლში. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დავა არ ყოფილა. აღწერა საცხოვრებელი სახლი, დაადასტურა, რომ კედელი მ-ს აჩუქეს თანამშრომლებმა. მ. ხშირად დადიოდა, ცალკე ოთახი თუ ჰქონდა არ იცის. კარები არსად არ იკეტებოდა. მ-ი გაიცნო, როცა ნ. გაჰყვა ცოლად. მ-ს ძალიან ხშირად ნახულობდა როგორც მამის სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ. არ ახსოვს მამის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა თუ არა. 10 წელი რუსეთში იმყოფებოდა და 2005 წლიდან 2015 წლამდე არაფერი არ იცის. 52 რომ იყო, მ-ც ეხმარებოდა. ნ. ყველა ოთახს აქირავებდა და შემოსავალს, როგორც მისგან იცის, ნ. იღებდა. ის კლიენტებს ეძებდა.

38. ამდენად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოწმის სახით დაკითხულმა ნ-ემ, რომელიც არის მოპასუხე ნ. ჯ-ის ნათესავი, დაადასტურა მ. კ-ის ხშირი ურთიერთობა მოპასუხესთან და ოჯახში ხშირი მიმოსვლის ფაქტი, როგორც მ. კ-ის სიცოცხლეში, ისე მის შემდგომ. მოწმემ საკუთრებასთან დაკავშირებით განმარტა – „არ მიკითხავს, ჰქონდა თუ არა ოთახი“. მანვე მიუთითა, რომ კარები არსად არ იკეტებოდა და „52 რომ იყო, მ. ნ-ს ეხმარებოდა“.

39. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მხარეები ენდობოდნენ ერთმანეთს და კარებს არსად არ კეტავდნენ, განსაკუთრებული დაინტერესების გარეშე, მოწმე არ იკითხავდა, სადავო სახლთმფლობელობაში ვის რა ფართი ეკავა, ვინ სად იძინებდა ან რით სარგებლობდა. მართალია, მოწმემ მიუთითა, რომ სახლის გაქირავების შედეგად შემოსავალს მთლიანად ნ. ჯ-ე იღებდა, მოსარჩელე მხარემ ახსნა, რომ სახლის მისი კუთვნილი სამკვიდროს გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლით გაისტუმრა ის თანხა, რაც მინის ნასყიდობის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

40. მოპასუხე ნ. ჯ-ის მოწმის ლ. ს-ის განმარტებით, ნ-ს დაქორწინების შემდეგ დადიოდა მასთან. ოჯახის წევრი იყო. ეხმარებოდა როცა უჭირდა. 2007 წლის შემდეგ ხშირად დადიოდა. დღემდე დადის და ეხმარება. არავის არ უთქვამს და არ შეუმჩნევია, რომ სახლში სხვისი ნივთები იყო. გაქირავებული იყო ორი ოთახი, 2007 წელს ბანკის ვალი აიღო და გააკეთა. აქირავებდა ოთხივეს და საზღაურს იღებდა. არც ჯ-ს და არც მ-ს იქ ოთახები არ ჰქონდათ. საღებავსა და შპალერის გაკვრაშიც ეხ-

მარებოდა. მოდიოდა როცა სეზონი დაიწყებოდა მისი, ივლისი და ულაგებდა ოთახებს, მოსარჩელე და მისი ძმა რომ მოვიდოდნენ ზღვაზე, მადლობას უხდიდნენ. ნ. თუ პატივს სცემდა, როგორც მეგობარი, არავის საქმეა. ეზოში იდო საცურაო დაფა, მაგრამ ვისი იყო არ იცის. ნავი ეზოში არ უნახავს. მ. კ-ის მეუღლე ერთხელ ნახა. მ-ი ალბათ ათი წელია რაც გარდაიცვალა. მის სიცოცხლეში ალბათ ათჯერ იქნება ნამყოფი. ნ. როდის გათხოვდა არ ახსოვს. ზღვაზე მიდიოდა მ. და მაშინ ხედავდა. ჯ-ი მხოლოდ დაბადების დღეზე და სუფრაზე ხვდებოდა, მდგმურებისგან ფულის აღება არ უნახავს, მისი თვალით. არავის უთქვამს, რომ მ-ს ოთახი ჰქონდა. კედლის ნაწილი არის ჯ-ისთან, მ-ი რომ გარდაიცვალა, არ იყო. ვერ გაიგო და იმიტომ. გარდაცვალების შემდეგ დადიოდა, 52 არ იყო გასული. 52-ზე იყო და მ-ც იქ იყო.

41. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მონმე ლ. ს-ის ჩვენება, რომელიც მ. კ-ის ოჯახის წევრად მიიჩნევს თავს, რომ არც ჯ-ი და არც მ. კ-ეებს მამისეულ სახლში ოთახები არ ჰქონდათ, ისინი მხოლოდ ზღვაზე დადიოდნენ და სადავო სახლთან ურთიერთობა არ გააჩნდათ, ნ. ჯ-ემ ბანკისგან აღებული კრედიტით გაარემონტა დამატებით ორი ოთახი და შემდგომ ოთხივეს აქირავებდა, რადგანაც ასეთი მოპასუხეს შესაგებელში არ მიუთითებია, არც საკრედიტო ხელშეკრულება დაურთავს საქმისთვის, არც სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი დეკლარაციები შემოსავლების შესახებ და ხელშეკრულებები ქირავნობის თაობაზე. ამასთან, მონმე ლ. ს-ემ დაადასტურა სადავო ეზოში საცურაო დაფის არსებობა, თუმც არ იცის, ვის ეკუთვნოდა. მისი კუთვნილება კი დადასტურებულია მოსარჩელესა და მოპასუხე ჯ. კ-ის, მონმეების ზ. და ი. კ-ის განმარტებებით.

42. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ჯ-ე და მ. კ-ე 11 წლის განმავლობაში ენეოდნენ თანაცხოვრებას. ზემოაღნიშნული მონმის ჩვენება, რომელმაც არ იცის მეუღლეთა ქორწინების დრო, ადასტურებს, რომ მათი თანაცხოვრების მანძილზე მხოლოდ 10-ჯერ იქნება ნამყოფი. მოპასუხე ნ. ჯ-ის სეზონზე დამხმარე, რომელსაც საზღაურს უხდიდა მოპასუხეს განეული საქმიანობისთვის, რომელმაც კითხვაზე – იღებდა თუ არა საზღაურს, მიუთითა, რომ რომ „ნ. თუ პატივს მცემდა, როგორც მეგობარი, არავის საქმეა“ ვერ შეფასდება, როგორც მ. კ-ის მამის სიცოცხლეში და შემდგომ სადავო სახლთან ურთიერთობის გამომრიცხავი გარემოება.

43. ნ. ჯ-ის მონმის ლ. ბ-ის განმარტებით, მ. კ-ის გარდაცვალების შემდეგ კარგად იყვნენ. ხშირად დადიოდა და ისვენებ-

და. ცალკე ოთახი არ უნახავს, მოსარჩელე მ. კ-ე და მოპასუხე ჯ. კ-ე სტუმრის სტატუსით მიდიოდნენ, ბინას ნ. აქირავებდა და ქირას ნ. იღებდა. როცა 2008 წელს სენაკი იზომებოდა 1,5 თვე იყო. 10-15 წლის მანძილზე ზემოთ არ დაუსვენია, ვინაიდან ნ. აქირავებდა და შემოსავალი არ დაეკარგა. წელიწადში 2-3 ჯერ ჩამოდის. არ უნახავს მ. ქვებს თუ ეზიდებოდა. სავარძლები ძმის-შვილებს მისცა. 1984 წლიდან იცნობდა მ-ს, რომელიც გარდაიცვალა 1995 წელს. გარდაცვალებიდან მესამე დღეს ჩამოვიდა ერთი საათით, მ. იყო ჭირის დღეზე, დაკრძალვას არ დასწრებია, 52-ზე ჩამოვიდა. რომ ჩამოვიდოდა ოთხივე ოთახი ცარიელი იყო. 52 დღის განმავლობაში ერთხელ ჩამოაკითხა, მ-მ უთხრა, რომ მულები და მულიშვილები აკითხავდნენ. ყოველ ზაფხულს 10-15 წელია სტუმრობს. მ. მხოლოდ სტუმრად უნახავს. სამზარეულოს მომდევნო ოთახში იდგა „კედელი“.

44. მონმის სახით დაკითხული ლ. ბ-ე, რომელმაც დაადასტურა, რომ სეზონურად ქალიშვილთან, შვილიშვილთან ქალიშვილის მეგობრებთან და თანამშრომლებთან ერთად 10-15 წლის მანძილზე ისვენებდა ნ. ჯ-ესთან, ეხმარებოდა მას, განმარტების დროს კატეგორიულად გამოირიცხა მ. და ჯ. კ-ეების სადავო ქონებასთან ურთიერთობა, მამის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ მათი სადავო სახლში ცხოვრების და მ. კ-ის სარგებლობაში ოთახის არსებობის ფაქტი, მოიშველია მათი ძმის, ო-ის ქორწილი, სადაც და-ძმა სტუმრად მოვიდნენ და წავიდნენ, მიუთითა, რომ „მ.ი და ნ. ახალგაზრდები, ჯანმრთელები იყვნენ და მოსავლელი არაფერი სჭირდათ“, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან მონმე არის ზედმეტად მოტივირებული, სადავო ქონებასთან მიმართებით მსჯელობდა როგორც საკუთარზე, იყენებდა კატეგორიულ გამონათქვამებს: „ცალკე ოთახი არ მინახავს“, „სტუმრის ამპლუაში მიდიოდნენ“, ჯ. კ-ის საკუთრებასთან მიმართებით აღნიშნა: „ცნობილია, რომ ნ-მ დაუთმო თავისი ნება-სურვილით“.

45. მონმემ ვერ უარყო ფაქტი, რომ 10-15 წლის მანძილზე შენობის მეორე სართულზე არ დაუსვენია, ოთახებს კუთვნილების მიმანიშნებელი რომ არაფერი ჰქონდათ, მ. კ-ის გარდაცვალებიდან მესამე დღეს ჩამოვიდა 1 საათით, მ. კ-ე იყო ჭირის დღეზე, დაკრძალვას არ დასწრებია, 52-ზე ჩამოვიდა და მ. კ-ე იქ იყო. 52 დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჩამოაკითხა ნ. ჯ-ეს, შესაბამისად, მონმე, რომელსაც ყოველდღიური ურთიერთობა არ ჰქონია მოდავე მხარეებთან და არ არის თვითმხილველი მათ მიერ განხორციელებული ქმედებების მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ, ვერც დაადასტურებს და



ვერც უარყოფს სადავო ქონებასთან მოსარჩელის დამოკიდებულებას ფაქტობრივი ფლობის თვალსაზრისით, მას არ შეეძლო, ენახა იყო თუ არა მ. კ-ე მამის გარდაცვალების შემდეგ 52 დღის მანძილზე მამისეულ სახლში, სარგებლობდა თუ არა მისი ნივთებით, ეზიდებოდა თუ არა ქვებს. რაც შეეხება მის განმარტებას, რომ მ. კ-ე აქირავებდა სადავო სახლს, მოწმეს პირადად არ უნახავს ვინ იღებდა ქირას, აძლევდა თუ არა წილს ვინმეს და იცის მხოლოდ გადმოცემით, მოსარჩელისაგან კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღებული ქირით მოხდა მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის კომპენსირება.

46. სააპელაციო პალატამ ს-ის სოფლის საკრებულოს მიერ 1995 წლის დეკემბერში გაცემული ცნობით დაადგინა, რომ გარდაცვალების დღისათვის მ. კ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ორსართულიანი ქვის სახლი 45,1 კვ.მ და 75,7 კვ.მ საცხოვრებელი ფართით და 40,6 კვ.მ დამხმარე ფართით, 1300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით.

47. მოსარჩელე მხარისა და მოწმეთა განმარტებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპს „ა-ის“ 2014 წლის 13 ოქტომბრის დასკვნით დასტურდება, რომ, ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მოპასუხეთა სახელზე რეგისტრირებული სახლთმფლობელობა დღეის მდგომარეობით გაუმჯობესებულია, საცხოვრებელი ფართი შეადგენს 254,52 კვ.მ-ს.

48. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპს „ა-ის“ 2014 წლის 13 ოქტომბრის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით ქონების შეფასებაზე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შესაფასებლად წარდგენილი ს-ის დასახლებაში მდებარე 351 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასების მომენტისათვის 65 000 ლარია, ხოლო 254,51 კვ.მ შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება – 26 000 ლარია, რაც სულ შეადგენს 91 000 ლარს.

49. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის, მოპასუხე ჯ. კ-ისა და მოწმეთა განმარტებები, რომ მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები ნაწარმოებია მ. კ-ის სახსრებით, მამის გარდაცვალების შემდეგ.

50. მ. კ-ეს, როგორც მამის დანაშთი ქონების ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღებს, მოპასუხე ნ. ჯ-ისაგან, რომელიც მოპასუხე ჯ. კ-ისაგან განსხვავებით სარჩელს არ სცნობს, არ შეზღუდვია უფლება, მამის გარდაცვალების შემდგომ აეშენებინა სამზარეულო, ეზოში წლების მანძილზე განეთავსებინა მოცულობითი ნივთი „სერფინგი“, სახლში დარჩენილიყო მისი ნივთები და შეემატებინა ახალი, შესაბამისად, მ. კ-ის მხრივ სამკვიდ-

როს ფაქტობრივად დაუფლებაში ექვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

51. 2015 წლის 25 აპრილის ოქმით ადგილზე დათვალიერების შესახებ დასტურდება, რომ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სახლს აქვს ორი დამოუკიდებელი კიბე, ფაქტობრივად შენობის ერთი ნაწილი იზოლირებულია მეორისაგან. მ. კ-ე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ფლობს და სარგებლობს ოთახით, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი. ოთახში მის კუთვნილ ნივთებთან (სანოლები, ტუმბოები, ტელევიზორი, სავარძელი) ერთად არის მამის – მ. კ-ის კუთვნილი ქონების ნაწილი, კერძოდ, კედლის ნაწილი, რომლითაც მ. კ-ის საკუთრებაშია დღიდან მისი გარდაცვალებისა და მასზე დავა არავის განუცხადებია. შენობის პირველ სართულზე, ჰოლის შესასვლელთან მარცხენა მხარეს განთავსებული ოთახი 2013 წლიდან ეკუთვნის ჯ. კ-ეს, ხოლო მასში მდებარე სანოლი, რომელიც ჩამოტანილია მოსარჩელის მიერ მამის გარდაცვალებამდე და დივანი, რომელიც მიიტანა მამის გარდაცვალების შემდეგ, ეკუთვნის მ. კ-ეს, ოთახთან მდებარე სამზარეულოში განთავსებული ნივთები: გაზქურა, თეფშების ნაწილი, ყავის სერვიზის ჭიქები, ემალის ქვაბი მოსარჩელის განმარტებით ეკუთვნის მას და მიტანილია მ. კ-ის სიცოცხლეში.

52. მითითებულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელე მ. კ-ეს ფაქტობრივი ფლობის გზით მიღებული აქვს სამკვიდრო, სადავო სახლში განთავსებული და მოსარჩელის სარგებლობაში არსებული ნივთების რაოდენობა და სახეობა ადასტურებს, რომ მოსარჩელე მ. კ-ეს მამის, მამკვიდრებელ მ. კ-ის გარდაცვალებამდე სადავო სახლში ჰქონდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ოთახი, რომლითაც პირადად სარგებლობდა და სადაც მამის ქონების ნაწილი იყო განთავსებული, მისი გარდაცვალების შემდგომ ცხოვრობდა სახლში, როგორც საკუთარში, აგრძელებდა სამკვიდროს ფლობას და მართვას, პირადი ფიზიკური და მატერიალური რესურსის გამოყენებით ზრდიდა ფაქტობრივი ფლობის გზით მიღებულ სამკვიდროს და ავითარებდა მას, ცხოვრობდა და იღებდა მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს, ასვენებდა ოჯახის წევრებს (შვილმა და რძალმა ქორწინების 1-ლი თვე სადავო სახლში, მ-ს სარგებლობაში არსებულ ოთახში გაატარეს), მოპასუხისაგან შეუზღუდავად იყენებდა და იყენებს ეზოს ნივთების განსათავსებლად და აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანის ცხოვრებისათვის.

53. მოპასუხებმა – ნ. ჯ-ემ და ჯ. კ-ემ განცხადებით მიმარ-

თეს ნოტარიუსს, რომელმაც მათ სასარგებლოდ გასცა სამკვიდრო მონაწილეობა, რის საფუძველზეც საკუთრებაში გადაეცათ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის დანაშთი ქონება, მამკვიდრებლის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთით.

54. სარჩელით, დაზუსტებული სარჩელით სამოქალაქო საქმეზე, მხარეთა და მონმეთა განმარტებებით, 1996 წლის 6 თებერვლის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონმობით დასტურდება, რომ მოპასუხებმა – მ. კ-ის ქვრივმა ნ. ჯ-ემ და ვაჟიშვილმა ჯ. კ-ემ სამკვიდროს სახით მიიღეს ორსართულიანი ქვის საცხოვრებელი სახლი ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში, მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთით.

55. მოპასუხე ნ. ჯ-ემ, ჯ. კ-ის გვერდის ავლით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო შემდეგ ნ. ჯ-ემ და ჯ. კ-ემ მ. კ-ის გვერდის ავლით, დაირეგისტრირეს სადავო ქონება და მისი წილი მოპასუხე ნ. ჯ-ემ ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა მის ძმიშვილებს, მოპასუხე ს. და ა. ჯ-ეებს, რაც მ. კ-ისათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჯ. კ-ემ და ნ. კ-ემ, ურთიერთშორის გაიყვეს მამკვიდრებელ მ. კ-ის დანაშთი ქონება.

56. სარჩელით, დაზუსტებული სარჩელით, მოპასუხე ჯ. კ-ის, მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის განმარტებებით, 2012 წლის 12 სექტემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაცია №.....) სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ემ პირველ შემთხვევაში სამკვიდრო მონაწილეობის გვერდის ავლით დაირეგისტრირა სადავო ქონება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, როგორც ერთპიროვნულმა მესაკუთრემ, რის თაობაზეც მ. კ-ისათვის ცნობილი არ იყო.

57. 2014 წლის 10 იანვრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებით დასტურდება, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ემ, ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე 127 კვ.მ შენობა №..... საკადასტრო კოდით საჩუქრად გადასცა მის ძმიშვილებს, მოპასუხე ს. და ა. ჯ-ეებს.

58. 2014 წლის 16 ოქტომბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №.....) დასტურდება, რომ მოპასუხე ს. და ა. ჯ-ეების სახელზე ქონება დარეგისტრირდა იმავე დღეს.

59. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-ის გვერდის ავლით სადავო სამკვიდროს ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის გადაწინააღმდეგობა, ასევე, ნ. ჯ-ისაგან მიღებული სამკვიდროს ძმისწულებზე ჩუქების გზით დაუყოვნებლივ გადაცემა და ამ ქმედებების შესახებ მ. კ-ის არაინფორმირებულობა განპირობებული

იყო იმით, რომ მხარეებმა იცოდნენ მ. კ-ის მხრივ სადავო ქონების ფაქტობრივი ფლობის გზით მიღების შესახებ და დროზე ორიენტირებული ცდილობდნენ მემკვიდრის ჩამოცილებას.

60. გარდაცვალების დღისათვის მ. კ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ორსართულიანო 45,1 კვ.მ ქვის სახლი და 40,6 კვ.მ დამხმარე ფართი, სულ – 85,7 კვ.მ.

61. 1996 წლის 6 თებერვლის კანონისმიერი მემკვიდრეობის №..... უფლების მონაშთით დასტურდება, რომ გარდაცვალების დღისათვის მ. კ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ორსართულიანი 45,1 კვ.მ ქვის სახლი და 40,6 კვ.მ დამხმარე ფართით, სულ – 85,7 კვ.მ.

62. ს-ის სოფლის საკრებულოს მიერ 1995 წლის დეკემბერში გაცემული ცნობით დგინდება, რომ გარდაცვალების დღისათვის მ. კ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა 45,1 კვ.მ ორსართულიანო ქვის სახლი 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთით.

63. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შპს „ა-ის“ 2014 წლის 13 ოქტომბრის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით დგინდება, რომ შესაფასებლად წარდგენილი ს-ის დასახლებაში მდებარე 351 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასების მომენტისათვის 65 000 ლარია, ხოლო 254,51 კვ.მ შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება – 26 000 ლარია, რაც სულ შეადგენს 91 000 ლარს. აღნიშნული ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მ. კ-ის სამკვიდრო ქონების მასას და ეს განპირობებულია სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ჯ. კ-ესთან ერთად მოსარჩელე მ. კ-ის ფიზიკური და მატერიალური დანახარჯებით. რაც შეეხება ნ. ჯ-ეს, ადგილზე დათვალეირების დროს მან განმარტა, რომ ალაცაფის ჭიშკრიდან სახლის მარცხენა მხარეს მინაშენი არის მის მიერ გაკეთებული.

64. 2013 წლის 27 თებერვალს მოპასუხეებს ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის ამ უკანასკნელის მიერ აღძრულ სარჩელზე საქმის წარმოება დამთავრდა მორიგებით, სადაც ნ. ჯ-ემ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სამემკვიდრეო ქონებად აღიარა 351 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ორ ნაწილად, საკადასტრო კოდი №..... და №..... და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, საკადასტრო კოდი №..... და ირიცხება მოპასუხე ს. ჯ-ის, ა. ჯ-ისა და ჯ. კ-ის სახელზე.

65. მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ხ-ის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით დასტურდება, რომ მოდავე მხარეებმა – ნ. ჯ-ემ და ჯ. კ-ემ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სამემ-

კვიდრეო ქონებად აღიარეს 351 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული ქონება გაიყო თანაბარწილად, ნ. ჯ-ეს მიეკუთვნა საცხოვრებელი სახლის 1/2 – 127 კვ.მ და 119 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ჯ. კ-ეს საცხოვრებელი სახლის S წილი – 127 კვ.მ ფართი და 114 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

66. 2014 წლის 7 ოქტომბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №.....), 2014 წლის 16 ოქტომბრის ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №....., №.....), ხ-ის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინების საფუძველზე სადავო ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ორ ნაწილად, საკადასტრო კოდი №....., №..... და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი საკადასტრო კოდით №.....

67. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის დანაშთი ქონება, მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ მემკვიდრეობით მიიღო მისმა 1-ლი რიგის სამმა მემკვიდრემ – მეუღლე ნ. ჯ-ემ, შვილებმა – ჯ. კ-ემ და მ. კ-ემ (ფაქტობრივი ფლობის გზით).

68. მოსარჩელე მ. კ-ემ მოპასუხე ნ. ჯ-ისაგან შეიძინა 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღნიშნული ქონება საჩუქრად არ მიუღია. მისი ღირებულება გადაუხდა მ. ჯ-ეს სადავო სახლში კუთვნილი სამკვიდრო წილის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლით.

69. 2007 წლის 15 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით (ხ-ის რაიონის სანოტარო ბიუროს №1-101 სანოტარო აქტი) დასტურდება, რომ მ. კ-ემ ნ. ჯ-ისაგან 20 000 აშშ დოლარად (34 200 ლარი ეკვივალენტი) შეიძინა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

70. 2011 წლის 22 თებერვლის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ 2007 წლის 15 იანვრის №1-91 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. კ-ემ დაირეგისტრირა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

71. მოპასუხე ჯ. კ-ისა და მოწმის სახით დაკითხული ზ. კ-ის განმარტებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხე ჯ. კ-ე, მისი კუთვნილი სამკვიდროს გაქირავების გამო, ნ. ჯ-ისაგან იღებდა საზღაურს, ხოლო მ. კ-ე ქირის თანხას უთვლიდა შესყიდული მიწის ნაკვეთის საზღაურში. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნ. ჯ-ეს ის ოთახი ჰქონდა გაქირავებული, რომელსაც მ. კ-ე ფლობდა მამის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების

შემდგომ. მოსარჩელეს პრეტენზია გააჩნია სამკვიდროს 1/3 ნილზე და, შესაბამისად, ის ერთი ოთახით არ შემოიფარგლება.

72. ნ. ჯ-ეს ერიცხებოდა 0,035 ჰა მიწის ფართი და მიწის რეფორმის შესაბამისად შეევესო 1999 წლის 9 ნოემბერს „მანდრატის“ ციტრუსის ნაკვეთიდან 0,23 ჰა მიწის ფართით.

73. საქმეზე წარმოდგენილი მიწის რეფორმის კომისიის 1999 წლის 9 ნოემბრის №4 სხდომის ოქმიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ნ. ჯ-ეს ერიცხებოდა 0,03 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო მიწის რეფორმის შესაბამისად, შეევესო 1999 წლის 9 ნოემბერს „მანდრატის“ ციტრუსის ნაკვეთიდან 0,23 ჰა მიწის ფართით, მიწის მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაცემულია ს-ის საკრებულოს 1999 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე (ოქმი) დგინდება, რომ ნ. ჯ-ეს მიწის რეფორმამდე ჰქონდა მრავალწლიანი ნარგავებით (ციტრუსით) 0,035 ჰა მიწის ნაკვეთი. დამატებით გამოეყო 0,12 და 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი და ნაკვეთის მიღებასთან დაკავშირებით ხარჯი 17.20 ლარი განეულია ნ. ჯ-ის მიერ.

74. მ. კ-ე გარდაიცვალა 1995 წლის 25 აპრილს, შესაბამისად, 1999 წელს სარეფორმო ფონდის ფარგლებში მიღებული მიწის ნაკვეთი სამკვიდრო მასაში არ შედის.

75. მოპასუხე ნ. ჯ-ემ 2010 წლის 25 მარტს ანდერძი გააფორმა მოსარჩელე მ. კ-ის სასარგებლოდ მ. კ-ისაგან მიღებული მისი კუთვნილი ნილის გადაცემის თაობაზე, ხოლო 2012 წლის 29 აგვისტოს ანდერძი გააუქმა.

76. საქმეზე დართული 2012 წლის 19 აგვისტოს გარიგებით ანდერძის გაუქმების შესახებ დასტურდება, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ემ 2010 წლის 25 მარტის ანდერძით, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება თანაბარწილად უანდერძა დ. ო-ის ძე კ-ეს, გ. ო-ის ძე კ-ეს, მ. კ-ეს და ს. ჯ-ეს, ხოლო დამხმარე სათავსი – ს. ჯ-ეს და გააუქმა 2012 წლის 29 აგვისტოს.

77. 2014 წლის 10 იანვარს კი, ნ. ჯ-ემ ძმისშვილებს – ს. და ა. ჯ-ეებს საჩუქრად გადასცა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო 127 კვ.მ შენობა საკადასტრო კოდით №.....

78. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც მოპასუხე ნ. ჯ-ისათვის, ისე მის მიერ დასაჩუქრებული ძმისწულე-ბისათვის ცნობილი იყო, რომ ნ. ჯ-ე არ წარმოადგენდა მ. კ-ის ერთადერთ 1-ლი რიგის მემკვიდრეს და მასთან ერთად თანაბარი ნილის უფლებით სარგებლობდნენ მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე მამკვიდრებლის შვილები, მ. და ჯ. კ-ეები, რომელთაც ახლო ურთიერთობა გააჩნდათ ს. და ა. ჯ-ეებთან. ნ. ჯ-ისაგან ძმისწულეებზე ქონების დაჩქარებული რეჟიმით გადაცემა,

თუნდაც საჩუქრის სახით, განპირობებული არა მათდამი განსაკუთრებული ნდობის ფაქტორით მამიდასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, არამედ სადავო ქონებაზე 1-ლი რიგის მემკვიდრე მ. კ-ის ჩამოცილების მცდელობით.

79. სააპელაციო პალატამ მთლიანად გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი გარემოებები.

80. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-4 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანა სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონწებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება.

81. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მამის – მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ მ. კ-ე ცხოვრობდა მამისეულ სახლში 52 დღის მანძილზე, მამის ხსოვნის აღსანიშნავად 40 დღე მართლმადიდებელთათვის მიღებული წესის დაცვით, ხოლო 52 დღე მუსულმანური დიასპორის პატივსაცემად გადაიხადა, ფლობდა და სარგებლობდა როგორც პირადი ნივთებით, ისე სახლში მისთვის გამოყოფილ ოთახში განთავსებული მამის მოძრავი ქონების კედლის კარადის ნაწილით, რომელიც დღემდე იქაა განთავსებული და რომლითაც სარგებლობს. მოსარჩელე მამის გარდაცვალების დღიდანვე ფაქტობრივად დაეუფლა მამის დანაშთ ქონებას, მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გამოყოფილი ჰქონდა თავისი ოთახი, სადაც განთავსებულია როგორც პირადი, ისე მამის დანაშთი ქონების ნაწილი კედლის კარადის სახით. მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრემ, განავრცო მიღებული სამკვიდრო, მიაშენა სამზარეულო, შემატა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, იყენებს ეზოს სერფინგის განსათავსებლად და სამკვიდრო მასაში მისი კუთვნილი ბინის ქირით დაფარა ნ. ჯ-ესთან მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, რაც არ

მოიცავს მხოლოდ მამის გარდაცვალებამდე და მამკვიდრების გარდაცვალების შემდგომ სადავო სახლის მეორე სართულზე მოსარჩელის მფლობელობასა და სარგებლობაში დღემდე არსებული ოთახს, არამედ მოპასუხე ნ. ჯ-ისა და ჯ. კ-ის მიერ სამკვიდრო მასად აღიარებული ქონების 1/3-ს.

82. სარჩელითა და დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის, მოპასუხე ჯ. კ-ის, მონმეების ზ. კ-ის, ქ. ა-ას, ი. კ-ის, ი. ა-ის, თ. ვ-ის განმარტებებით, ოქმით ადგილზე დათვალიერების შესახებ სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე მ. კ-ეს სადავო სახლში, მამის სიცოცხლეში გამოყოფილი ჰქონდა თავისი ოთახი, ავადმყოფობის დროს ზრუნავდა მამაზე, მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ 52 დღის განმავლობაში მუდმივად და შემდგომში რეგულარულად, კვირაში სამი დღე იმყოფებოდა მამისეულ სახლში, ზრუნავდა სახლისა და ბაღის გაკეთილშობილებაზე, მიაშენა სამზარეულო, მისი ნივთები არა მარტო მის ოთახში, არამედ სამზარეულოშიც არის განთავსებული. დაოჯახების შემდგომ მისმა რძალმა და შვილმა ქორწინების 1-ლი თვე სადავო სახლში მ-ს სარგებლობაში არსებულ ოთახში გაატარეს. მ. კ-ის კუთვნილი ნივთები დღემდეა განთავსებული არა მარტო მის მფლობელობაში არსებული სახლის მეორე სართულზე მდებარე ოთახში, არამედ სახლის სხვადასხვა ადგილზე (პირველ სართულზე, სამზარეულოში, მანსარდში).

83. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარისა და მისი წარმომადგენლის, მოპასუხე ჯ. კ-ის და მონმეტა განმარტებები, რომ მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები ნაწარმოებია მ. კ-ის სახსრებით, მამის გარდაცვალების შემდეგ. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მ. კ-ეს სადავო სახლში აქვს დამოუკიდებელი ფართი სარგებლობაში, საკუთარი ნივთები, მათ შორის მამისეული „კედლის“ ნაწილი, ასევე, ძველი ნივთები, რომელიც განლაგებულია სხვენში.

84. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ეს პრეტენზია მ. კ-ის მიმართ საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლების, მისი კუთვნილი ნივთების სახლიდან გატანის თაობაზე არ განუცხადებია და მ. კ-ის მხრივ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

85. მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით დასტურდება, რომ მოპასუხეებმა ნ.



ჯ-ემ და ჯ. კ-ემ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სამემკვიდრო ქონებად აღიარეს 351 კვ. მ მიწის ნაკვეთი და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული ქონება გაიყო თანაბარწილად. ნ. ჯ-ეს მიეკუთვნა საცხოვრებელი სახლის S წილი – 127 კვ.მ და 119 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ჯ. კ-ეს საცხოვრებელი სახლის S წილი, 127 კვ.მ და 114 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

86. შესაბამისად, მოსარჩელე მ. კ-ის წილი სადავო ქონებიდან განისაზღვრება მხარეთა მიერ სამკვიდროდ აღიარებული მასიდან, მით უფრო, რომ ასეთი მოცემულობა მოსარჩელის ძალისხმევითაც არის მიღწეული (ფიზიკური შრომა, ფინანსური დანახარჯი, სამშენებლო სამუშაოთა წარმოება).

87. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ნ. ჯ-ე არ იყო გულწრფელი სხვა მემკვიდრეებთან დამოკიდებულებაში, შეიტანა დაბნეულობა მათ ქმედებაში, სამკვიდრო მონაწილის გვერდის ავლით დაირეგისტრირა და გახდა მ. კ-ის დანაშთი ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე, პარალელურად ინარჩუნებდა კეთილგანწყობას გერების მიმართ, სარგებლობდა მათი დამოკიდებულებით, მათ შორის, მ. კ-ის მატერიალური მხარდაჭერით, ანდერძიც კი გააფორმა მათთვის კუთვნილი მ. კ-ის დანაშთი ქონების გადაცემის თაობაზე, მიჰყიდა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შემდგომში ხელწერილი გამოართვა, რომ საჩუქრად გადასცა, ასეთივე ხელწერილს მოითხოვდა მოპასუხე ჯ. კ-ისაგან, მაგრამ ვერ მიიღო, სადავო ქონება სამკვიდრო მონაწილის გვერდის ავლით დაირეგისტრირა მიწის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, როგორც ერთპიროვნულმა მესაკუთრემ, დაჩქარებულ რეჟიმში, რეგისტრაციისთანავე გაასხვისა უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების დადების გზით, რაც მის არაგულწრფელობაზე მიანიშნებს. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მისი და მის მიერ წარმოდგენილი მოტივირებული მონმეების განმარტება, რომ მ. კ-ეს მ. კ-ის გარდაცვალებამდე და მისი გარდაცვალების შემდგომ არ ჰქონია შეხება მამისეულ ქონებასთან, არ მიუღია მონაწილეობა მის გაკეთილშობილებაში, არ სარგებლობდა მამის დანაშთი ქონებით, არ ჰქონია დამოუკიდებელი ოთახი და არც მისი ქონება არსებობს სადავო სახლში.

88. სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონულ სასამართლოს მსჯელობას, რომ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სახლს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელები. მ. კ-ემ მ. კ-ის გარდაცვალებისთანავე მიიღო ზომები მოსარჩელის მიერ საკუთრად დაგულებულ ეზოს ნაწილში სამზარეულოს მიშენებისათვის, რაც განახორციელა კიდევც. იგი შეუფერხებლად იყენებს

ეზოს პირადი ნივთების განთავსებისათვის (სერფინგი, რომლის არსებობა მოდავე მხარეების მოწმეებმა დაადასტურეს), მისი კუთვნილი და ამორტიზირებული ნივთების სახლის სხვადასხვა ადგილას განთავსებისათვის (მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული სახლის მეორე სართულზე მდებარე ოთახში და მანსარდში).

89. ის გარემოება, რომ ადგილზე დათვალიერების დროს არ აღმოჩნდა მოსარჩელის მიერ მითითებული „სერფინგი“, მოსარჩელე მ. კ-ისა და მოპასუხე ჯ. კ-ისაგან აიხსნა სარემონტო სამუშაოებისათვის ნაღების მოტივით, რაც სააპელაციო სასამართლომ მოახლოებული ზღვის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სრულიად ლოგიკურად მიიჩნია, რაც შეეხება მ. კ-ისაგან მითითებულ ყველა ნივთს, ისინი განლაგებულია როგორც მ. კ-ის ოთახში, ისე სახლის სხვადასხვა ადგილზე, სამზარეულოსა და მანსარდში.

90. მოსარჩელე „სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ ცნობაში“ არ გულისხმობს მისთვის დაბადებიდან მინიჭებულ კანონისმიერ უფლებას, მამკვიდრებლის შვილის 1-ლი რიგის მემკვიდრედ ცნობას, არამედ მიუთითებს მისი, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრის უფლების დარღვევაზე და მოითხოვს კუთვნილი უფლების რეალიზაციას მ. კ-ის დანაშთ ქონებაზე.

91. აღნიშნული გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე მ. კ-ეს ფაქტობრივი ფლობის გზით მიღებული აქვს სამკვიდრო. სადავო სახლში განთავსებული და მოსარჩელის სარგებლობაში არსებული ნივთების რაოდენობა და სახეობა ადასტურებს, რომ მოსარჩელე მ. კ-ეს სადავო სახლში ჰქონდა და აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანის ცხოვრებისათვის.

92. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოება, რომ მ. კ-ე არის ან გარდაცვლილი მ. კ-ის 1-ლი რიგის მემკვიდრე – შვილი და მამის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მისთვის გამოყოფილ ოთახში, ხოლო გარდაცვალების შემდგომ გააგრძელა ცხოვრება მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში და მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად მიღებული სამკვიდროს ფლობა დღემდე შეწყვეტილი არ არის.

93. მ. კ-ე გარდაიცვალა 1995 წელს. აღნიშნულ დროს მოქმედი 1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 540-ე მუხლის 1-ლი წინადადების, 544-ე მუხლისა და 556-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდროს დასაუფლებლად მემკვიდრემ უნდა მიიღოს იგი. სამ-

კვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე როცა იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. ამავე მუხლის ბოლო წინადადებით მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან

94. ამავე კოდექსის 557-ე და 556-ე მუხლებით სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მიერ თუ კი იგი ვადის გადაცილების მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს.

95. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ მიუმართავს სანოტარო ორგანიზაციის სამკვიდროს მიღების თაობაზე, მაგრამ დადასტურებულია, რომ მ. კ-ე სამკვიდროს ფლობდა და მართავდა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს სანოტარო ორგანოსათვის არ მიუმართავს, არ წარმოადგენს იმის უარყოფას, რომ მან მამკვიდრებელ მ. კ-ის გარდაცვალებისთანავე ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო სამკვიდრო და შეუდგა მის მართვას. სამკვიდრო გაიხსნა 1995 წელს, მ. კ-ე სამკვიდროს დაეუფლა მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე და დღემდე არ გაუწყვეტია მისი მფლობელობა, სარგებლობა და მართვა. ვინაიდან დადასტურებულია მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი და დადგენილ გარემოებას წარმოადგენს დღემდე ქონების ფაქტობრივი ფლობა, მოსარჩელეს სამკვიდროს მიღების ვადა გაშვებული არ აქვს.

96. ამჟამინდელი სამოქალაქო კოდექსი სადავო საკითხის განწყვეტის არსებითად განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია მოქმედი ნორმების მიხედვითაც.

97. სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონით მემკვიდრეობისას გარდაცვლილის ქონება გადადის კანონში აღნიშნულ პირებზე. განსახილველ შემთხვევაში მ. კ-ეს ანდერძი არ დაუტოვებია, შესაბამისად მამკვიდრებლის ქონება თანაბარწილად გადადის მისი 1-ლი რიგის მემკვიდრეებზე – მოპასუხე ნ. ჯ-ეზე, მოპასუხე ჯ. კ-ესა და მოსარჩელე მ. კ-ეზე. დავის საფუძველია ის გარემოება, რომ მ. კ-ის დანაშთი ქონების ფაქტობრივი მფლობელი მ. კ-ე და მისი როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრის უფლება, იგნორირებულ იქნა მოპასუხე ნ. ჯ-ისა და ჯ. კ-ის მიერ, მათგან სამკვიდროდ აღიარებული ქონების, რომელშიც მ. კ-ის ფიზიკური და ფინანსური რესურსი იყო ჩადებული, ურთიერთშორის

განანილებით.

98. სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1320-ე მუხლების, 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის კუთვნილ ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა 1995 წლის 26 აპრილს, მისი გარდაცვალების დღეს და მისი 1-ლი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მოსარჩელე მ. კ-ე, მოპასუხე ჯ. კ-ე და მოპასუხე ნ. ჯ-ე.

99. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. კანონი არ აწესებს სამკვიდროს მიღების განსხვავებულ წესებს კანონით და ანდერძით მემკვიდრეობის დროს. სამკვიდროს მიღება ცალმხრივი ნების გამოვლენა და მხოლოდ სამკვიდროს მიმღების სურვილს გამოხატავს. სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა და თუ მემკვიდრე შემდგომში არ განახორციელებს სამკვიდროზე თავის უფლებას, გარკვეული დროით გაემგზავრება, არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, ეს ვერაფრითარ გავლენას ვერ მოახდენს უკვე მიღებულ სამკვიდროზე, როგორც ეს მ. კ-ის შემთხვევაში მოხდა.

100. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დადგენილია და საპირისპირო მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ მ. კ-ე მამის გარდაცვალებიდან 52 დღის განმავლობაში მიცვალებული-სათვის გათვალისწინებული ხსოვნის დღეებში (რომლის შემდგომ მოსახსენიებლად მუსულმანური წესით გარდაცვალებიდან 52 დღის აღნიშვნა ხდება), ცხოვრობდა მამისეულ სახლში, ფლობდა და სარგებლობდა მამის ქონებას, როგორც საკუთარს, ურთიერთობა არ გაუწყვეტია და შემდგომში კვირაში სამ დღეს ატარებდა მამისეულ სახლში.

101. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მოსარჩელემ სამკვიდრო მიიღო, რაც დადასტურებულია მ. კ-ის შემთხვევაში.

102. ამავე მუხლის მესამე ნაწილით, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი და ასეთ შემთხვევაში მის მიერ სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის მავალდებულებელ გარემოებას კანონი არ აწესებს.

103. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის შესაბამისად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. უდავოა და მოქმედი კანონმდებ-

ლობით დადგენილია, რომ მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ სხვა მემკვიდრეებთან ერთად მ. კ-ის, როგორც მემკვიდრის ცხოვრება იმავე სახლში ითვლება სამკვიდროს მიღებად.

104. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეულია მოსარჩელე მ. კ-ის, როგორც კანონისმიერი მემკვიდრის უფლება, რაც გასაჩივრებული 1995 წლის 25 დეკემბერს დამონმებული სამკვიდრო მონაწილის 1/3 ნაწილზე ბათილობის საფუძველია.

105. სამკვიდრო მონაწილე არასწორად გაიცა მხოლოდ ნ. ჯ-ისა და ჯ. კ-ის სახელზე, რითაც დაირღვა მოსარჩელე მ. კ-ის, როგორც მ. კ-ის კანონისმიერი, 1-ლი რიგის მემკვიდრის უფლებები.

106. 2014 წლის 10 იანვარს ნ., ს. და ა. ჯ-ეებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლით და მიუთითა, რომ მ. კ-ე წარმოადგენდა ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის დანაშთი ქონების თანამესაკუთრეს ჯ. კ-ესა და ნ. ჯ-ესთან ერთად, შესაბამისად, ნ. ჯ-ე არ იყო უფლებამოსილი, მ. კ-ის კუთვნილი სამკვიდრო მისი ნებართვის გარეშე გაესხვისებინა.

107. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ნ. ჯ-ემ თავის ძმისშვილებს – ს. და ა. ჯ-ეებს უსასყიდლოდ გადასცა (აჩუქა) სადავო ქონება. დასაჩუქრებულებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ ნ. ჯ-ე არ წარმოადგენდა მ. კ-ის ერთადერთ მემკვიდრეს და სადავო ქონებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ 1-ლი რიგის მემკვიდრეები, მ. კ-ის შვილები – ჯ. და მ. კ-ეები. ამდენად, არ არსებობს მათ მიმართ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების მოთხოვნათა გავრცელების საფუძველი, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ეხება. მოპასუხეები ვერ ჩაითვლებიან სადავო ქონების კეთილსინდისიერ შემძენებად.

108. გარიგება პირველ რიგში მართლზომიერი ნების გამოვლენაა და ნ. ჯ-ესა და მის ძმისწულებს შორის დადებული გარიგება უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების სახით იმთავითვე იყო არამართლზომიერი, ვინაიდან ს. და ა. ჯ-ეებისათვის, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მ. კ-ის მემკვიდრეებთან, კარგად იყო ცნობილი მათთვის გადაცემულ ქონებაზე სხვა უფლებამოსილი პირების არსებობა.

109. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დებულება – ბა-

თილია კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით დადებული გარიგებანი, ბათილობის საერთო ცნების გამომხატველი დებულებაა. თვით გამოთქმა „კანონით დადგენილი წესი“, სამოქალაქო ურთიერთობის პოზიტიური მდგომარეობის გამომხატველია. საპირისპიროდ მისი ნეგატიური ვითარების ამსახველი გამოთქმაა – „კანონით დადგენილი აკრძალვები“. განსახილველი შემთხვევა, დავის ყველა იმ საგანთან მიმართებით, რაც ბათილობას ეხება მაუწყებელია, რომ არსებობს კანონის იმპერატიულ დანაწესთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.

110. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებისა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე ნ. ჯ-ე არ იყო უფლებამოსილი, ძმისწულებისთვის ეჩუქებინა ქონება, რომლის ნაწილს ფაქტობრივად ფლობდა მოსარჩელე მ. კ-ე და არ ჩაეყენებინა საქმის კურსში მოდავე მხარე, როგორც მ. კ-ის ერთ-ერთი 1-ლი რიგის მემკვიდრე.

111. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულება მესაკუთრის ნების გამოვლენის გარეშე დადებული გარიგებაა და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 1/3 ნაწილში.

112. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დადასტურებულია მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ფლობა და მართვა, შესაბამისად, საფუძვლიანია მისი მოთხოვნა მ. კ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობისა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

113. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უდავოა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ სხვა მემკვიდრეებთან ერთად მ. კ-ის, როგორც მემკვიდრის ცხოვრება იმავე სახლში ითვლება სამკვიდროს მიღებად და დასაბუთებულია მისი სადავო ქონების ერთ მესამედ ნაწილზე თანამესაკუთრედ ცნობისა.

114. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მესამე ნაწილების მიხედვით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება იმ გარემოების უარსაყოფად, რომ მოსარჩელე მ. კ-ემ ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო მამის – მ. კ-ის დანაშთი ქონება, არის სადავო ქონების 1/3-ის თანამესაკუთრე და, შესაბამისად, ამ

ნაწილზე პრეტენზიის განცხადებაზე უფლებამოსილი პირი.

115. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოპასუხის მითითება მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის ნაწილში. დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მ. კ-ეს მამის – მ. კ-ის დანაშთი ქონების ფაქტობრივი ფლობა არ შეუწყვეტია და მისი დარღვეული უფლების შესახებ შეიტყო მხოლოდ ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის არსებულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.

116. ნ., ს. და ა. ჯ-ებმა ვერ წარადგინეს რაიმე მტკიცებულება, რომ მ. კ-ემ იცოდა ნ. ჯ-ის მიერ საჯარო რეესტრში მ. კ-ის დანაშთი ქონების ერთპიროვნულ მესაკუთრედ დარეგისტრირების, ქონების ძმისწულეებზე გაჩუქების, აღნიშნულის გამო, ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის დავის და ჯ. კ-ის მიერ სასამართლოში საქმის წარმართვის შესახებ. მოპასუხე ჯ. კ-ემ კი დაადასტურა, რომ მოსარჩელემ ამ მოვლენათა თაობაზე არაფერი იცოდა.

117. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მ. კ-ე სადავო ქონების საკუთრებასთან მიმართებით მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირებულობის შემთხვევაში ჯ. კ-ის მიერ სარჩელის აღძვრისთანავე მიმართავდა სასამართლოს დარღვეული უფლებასთან დაკავშირებით, ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ჯ. კ-ემაც მოგვიანებით, 2013 წელს გაიგო მოპასუხე ნ. ჯ-ის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

118. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. ივარაუდება ობიექტური მომენტი (თვით უფლების დარღვევის ფაქტი) და სუბიექტური მომენტი (როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ ფაქტის შესახებ) ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა ეს ორი მომენტი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს მაშინ ხდება, როცა პირი გვიან იგებს ან შეეძლო გაეგო უფლების დარღვევის შესახებ, ვიდრე დარღვევა მოხდა. თუ დადასტურდება, რომ პირმა გვიან გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ დარღვევის გაგებამდე, ბუნებრივია, ვერც უფლების დაცვას მოითხოვს, რაც განხორციელდა მ. კ-ის შემთხვევაში მოპასუხეთა მიერ სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით კონსპირაციული ქმედებების განხორციელების გამო.

119. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა, რომ-

ლის რეალიზაციისათვის უმეტეს შემთხვევაში სარჩელით მიმართავენ სასამართლოს, რასაც მოსარჩელე მ. კ-ემ მიმართა.

120. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებისა და 143-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უფლებამონაცვლეობით პირის მფლობელობაში შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი ნივთი, რომელზეც არსებობს სხვა პირის სანივთო მოთხოვნა, როგორც განსახილველ შემთხვევაში განხორციელდა, კერძოდ, მოპასუხე ნ. ჯ-ისაგან ს. და ა. ჯ-ეებისათვის ჩუქებით გადაცემულ ქონებასთან მიმართებით მოსარჩელე მ. კ-ეს გააჩნია სანივთო მოთხოვნა.

121. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მისი დარღვეული უფლების შესახებ შეიტყო 2014 წელს და 2014 წლის 17 ოქტომბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კი, ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 წელს.

122. მოპასუხეს შესაგებელში არ განუხორციელებია შედაგება, თუ რატომ არ უნდა მოხდეს 1995 წლის 25 დეკემბერს დამონშებული სამკვიდრო მონუმობისა და ნ. ჯ-ეს, ს. ჯ-ესა და ა. ჯ-ებს შორის 2014 წლის 10 იანვარს ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავი ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილის ბათილად ცნობა, მ. კ-ის ცნობა მამის მ. კ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ.

123. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების, მეოთხე, მეხუთე ნაწილების თანახმად, დავის საგანთან მიმართებით მოწინააღმდეგე მხარე შესაგებელში – „მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე“ შემოიფარგლა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სარჩელში მითითებულ არც ერთ ფაქტობრივ გარემოებას არ ეთანხმება, ხოლო შესაგებლის გრაფაში – „მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძველზე“ პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ არ ეთანხმება. სასარჩელო მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი, არასწორი, უსაფუძვლო და არ გამოდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, მეორე სასარჩელო მოთხოვნას არ ეთანხმება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვინაიდან არის უსაფუძვლო, მესამე სასარჩელო მოთხოვნას არ ეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

124. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მოთ-



ხოვნის დარღვევის მიუხედავად, მოპასუხემ სასამართლო სხდომაზეც ვერ შეძლო სარჩელის საწინააღმდეგო არგუმენტაციის დასაბუთება, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი მოწმეები – ქ. ა-ა, ლ. ბ-ე, ნ-ე და ლ. ს-ე არიან მოპასუხე ნ. ჯ-ის ახლობლები, მოტივირებული მოწმეები, არც ერთ მათგანს არ დაუდასტურებია, რომ მ. კ-ის გარდაცვალებამდე ან გარდაცვალების შემდგომ მუდმივად ცხოვრობდა მოპასუხე ნ. ჯ-ესთან, სტუმრის სტატუსით მათი ხშირი ვიზიტები არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ ამომწურავად ერკვეოდნენ მ. კ-ის კუთვნილ სახლში, მის შვილებსა და მეუღლეს რომელი ოთახი ჰქონდათ, რა ნივთებით სარგებლობდნენ და თითოეული მათგანი რომელი ნივთის მესაკუთრე გახლდათ.

125. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ., ს. და ა. ჯ-ეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

126. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 128-129-ე მუხლები, რაც მოცემულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნის შეგნებულად იგნორირებაა, რადგან სასამართლოს მიერ 129-ე მუხლის მესამე ნაწილით ხანდაზმულობის ვადა ცალკეულ შემთხვევაში კანონით შეიძლება იყოს გათვალისწინებული. სწორედ ის ცალკეული შემთხვევაა მოცემულ საქმეზე, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობით სამკვიდროს მიღება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 1421-1451-ე მუხლებით, 1450-ე მუხლი მკაცრად ადგენს სამკვიდროს მიღების შედეგების ვადას და იგი შეადგენს 2 თვეს იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისთვის არსებობს სათანადო საფუძვლები. ანუ არსებობს კანონით დადგენილი სპეციალური ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა.

127. 2007 წლის 15 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ნ. ჯ-ემ მ. კ-ეს მიჰყიდა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც 2000 წლის 7 მარტის სარეგისტრაციო მონობით ნ. ჯ-ისათვის საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის ნაწილია. მართალია, მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ ფაქტობრივად განხორციელდა ჩუქება. რადგან მხარეები გერსა და დედინაცვალს წარმოადგენდნენ, გააფორმეს ნასყიდობა, თუმცა მ. კ-ის ნასყიდობის თანხა არ გადაუხდია, რაც დასტურდება ხელწერილებით. ხელწერილი დაწერილი და ხელმოწერილია თავად მოსარჩელის მიერ,

რომელიც წარმოდგენილია შესაგებელთან ერთად, ანუ ამ ნას-ყიდობის ხელშეკრულებით ცალსახად დასტურდება, რომ 2007 წლის 15 იანვარს მოსარჩელემ უკვე უტყუარად იცოდა, რომ ნ. ჯ-ემ სამკვიდრო მთლიანად მიიღო და თავისი შეხედულებით განკარგავდა მას, რაც ასევე დაადასტურეს სასამართლოს სხდომაზე მოწმეებმა ქეთევან ა-ამ და ი. კ-ემ. მათი მითითებით, მ. კ-ემ იცოდა, რომ მამის მინა იყიდა ნ. ჯ-ისაგან.

128. სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს მიღება შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო, რომ არსებობს ამისათვის სათანადო საფუძველი, ორი თვის გამოთვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაინტერესებული პირისათვის ამის შესახებ ცნობილი გახდა, ანუ ამ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებით დადგენილია გარემოება, რომ ნ. ჯ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი მ. კ-ისთვის ცნობილი იყო. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის მიერ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინება მხარეთა მორიგების შესახებ, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში სადავო სამემკვიდრეო ქონება – 351 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი გაიყო სამკვიდრო მონაწილის თანახმად, თანაბარწილად ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის. ბუნებრივია, მ. კ-ემ ამ დავის შესახებ იცოდა ორივე მხარისაგან.

129. ამავდროულად, ფაქტობრივად სადავო სახლი გაიყო ორად. გამოიყო სხვადასხვა შესასვლელი.

130. კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მ. კ-ეს 2 წელი დასჭირდა იმ ფაქტის შესატყობად, რომ მის მიერ „დაგულებული“ ოთახი მოსარჩელეს აღარ ეკუთვნოდა, არამედ ჯ. კ-ემ ათხოვა.

131. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგ პრაქტიკაზე:

132. საქმე №ას-223-208-2014, დავის საგანი – სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან სსკ 1450-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის ორთვიანი ვადა არის გაშვებული, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო მოპასუხის სახელზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის ფაქტი, როგორც მოცემულ შემთხვევაში.

133. საქმე №ას-1199-1057-2010, დავის საგანი – მემკვიდ-

რედ ცნობა, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, პალატამ მიუთითა, რომ სამკვიდროს მიღება არის ნების ორმხრივი გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, შესაბამისად, სამკვიდროს მიღება არის გარიგება, სამკვიდროს მიღებას, ანუ ამ გარიგებას წარმოშობს მემკვიდრის მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია სამკვიდროს მიღებისკენ. პალატამ ჩათვალა, რომ რაღაც ნივთის დაუფლება არ შეიძლება ჩაითვალოს მოქმედებად, რომელიც მოწმობს სამკვიდროს მიღებას.

134. საქმე №ას-1184-1113-2012, დავის საგანი – მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნება, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და მიუთითა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლების თაობაზე ნების გამოვლენა გამოიხატება დანაშთი ქონების ფაქტობრივად მიღებასა და მართვაში. ამ თვალსაზრისით სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები, როგორიცაა სამკვიდროს მიღება – დაუფლებისაკენ მიმართული ნებელობითი მოქმედება და ამგვარი მოქმედების განხორციელება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან ნ თვის ვადაში, რაც ჩვენს შემთხვევაში ვერ იქნა დადგენილი. მოსარჩელის მიერ სადავო ქონებაში ღამის გათევა არ წარმოშობს სამკვიდროს მიღებას.

135. საქმე №ას1153-1099-2013, დავის საგანი – ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ ქონებასთან მემკვიდრის ზოგადი კავშირით არ იგულისხმებოდა, რომ მას სამკვიდრო ქონება მიღებული ჰქონდა მფლობელობით. სამკვიდრო ქონების მფლობელობით მიღებაში იგულისხმება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი მფლობელობა და პყრობა, ნივთების განკარგვა, მათი ბედის გადანყვეტა. საქმის მასალებით ცალსახადაა დადასტურებული, რომ 2013 წლამდე მხოლოდ ნ. ჯ-ე ფლობდა, განკარგავდა და მართავდა სადავო ქონებას.

136. საქმე №ას-555-526-2014, დავის საგანი – სამკვიდრო მონაშობის ბათილად ცნობა, სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ და მას შემდეგ, რაც პირმა ამის თაობაზე შეიტყო, 2

თვის ვადაში სადავოდ არ გაუხდია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამკვიდრო მოწმობის შესახებ მოსარჩელემ იცოდა მისი გაცემის დღიდან. ასევე დადასტურებული გარემოებაა, რომ ამის შესახებ მან იცოდა 2007 წელს მიწის ნაკვეთის ნასყიდობის გაფორმებისას და ბოლოს, 2013 წლის თებერვლის შემდეგ, როცა იგი დადიოდა თავის ძმასთან სადავო სახლში, რომლის ნახევარი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიეკუთვნა ჯ. კ-ეს და სახლი გაიყო 2 ნაწილად.

137. საქმე №ბს-339-335(2კ-14), ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლებების შელახვას.

138. კასატორმა მიუთითა სასამართლოსათვის მოსარჩელე მ. კ-ისა და მონმე ზ. კ-ის მიერ მიცემულ განმარტებებზე და მიიჩნია, რომ მათი მეშვეობით დასტურდება მ. კ-ის უფლების არა 2014 წლიდან, არამედ 1995 წელს მ. კ-ის გარდაცვალების დღიდან დარღვევის ფაქტი. განვლილი 20 წლის განმავლობაში კი მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის საფუძველზე შედავების ვადა მხოლოდ 2 თვე იყო.

139. კასატორმა ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, შეაფასა და მხედველობაში მიიღო მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებული მტკიცებულებები და 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, გამოკვლევის გარეშე გაიზიარა მ. კ-ის პოზიცია.

140. მხარის მოსაზრებით, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დგინდება, რომ მ. კ-ე მ. კ-ის გარდაცვალების შემდეგ სადავო სახლში ცხოვრობდა. სახლში ღამის გათევა იქ ცხოვრებას არ ნიშნავს, გარდა მოსარჩელის წინასწარ მომზადებული მოწმეების განმარტებებისა, მოსარჩელეს სხვა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ წარმოუდგენია.

141. სააპელაციო სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნებს, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა და უკანონოდ იმსჯელა მ. კ-ის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებაზე, რადგან აღნიშნული მოსარჩელეს არ მოუთხოვია.

142. მხარემ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად უგულებელყო შესაგებებელზე დართული მ. კ-ის მიერ ხელმოწერილი ხელწერილი, რომელიც ადასტურებს, რომ, ფაქტობრივად, მოსარჩელეს მ. კ-ის სამკვიდროდან 1000 კვ.მ ნ. ჯ-ისაგან არ უყიდა, მიწის ნაკვეთის საფასური არ გადაუხდია, არამედ მოპასუხემ უძრავი ნივთი მას აჩუქა.

143. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით ნ., ს. და ა. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

144. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა ნ., ს. და ა. ჯ-ეების საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

145. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1984 წლის 21 აპრილიდან ნ. ჯ-ე და მ. კ-ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.

146. სსგს ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2012 წლის 13 სექტემბერს განმეორებით გაცემული №..... გარდაცვალების მოწმობის თანახმად, 1995 წლის 26 აპრილს მ. კ-ე გარდაიცვალა. მამკვიდრებელს დარჩა 3 1-ლი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – ნ. ჯ-ე და შვილები – ჯ. და მ. კ-ეები.

147. სააპელაციო პალატამ ს-ის სოფლის საკრებულოს მიერ 1995 წლის დეკემბერში გაცემული ცნობით დაადგინა, რომ გარდაცვალების დღისათვის მ. კ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ორსართულიანი ქვის სახლი 45,1 კვ.მ და 75,7 კვ.მ საცხოვრებელი ფართით და 40,6 კვ.მ დამხმარე ფართით, 1300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით.

148. მოპასუხე ნ. ჯ-ემ, ჯ. კ-ის გვერდის ავლით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დაირეგისტრირა სადავო ქონება.

149. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2013 წლის 27 თებერვალს დამტკიცებული მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით დასტურდება, რომ მოდავე მხარეებმა – ნ. ჯ-ემ და ჯ. კ-ემ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე სადავო სამემკვიდრეო ქონებად აღიარეს 351 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 254 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, აღ-

ნიშნული ქონება გაიყო თანაბარწილად, ნ. ჯ-ეს მიეკუთვნა საცხოვრებელი სახლის S – 127 კვ.მ და 119 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ჯ. კ-ეს საცხოვრებელი სახლის S წილი – 127 კვ.მ ფართი და 114 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

150. 2014 წლის 10 იანვრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებით ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე 127 კვ.მ შენობა №..... საკადასტრო კოდით ნ. ჯ-მა საჩუქრად გადასცა მის ძმიშვილებს, მოპასუხე ს. და ა. ჯ-ებს.

151. მამის მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ მისი შვილი – მ. კ-ე აგრძელებდა ცხოვრებას მამისეულ სახლში, აწარმოებდა სარემონტო სამშენებლო-სამუშაოებს, უვლიდა და აწესრიგებდა მიმდებარე ტერიტორიას (ტერასებს), ჰქონდა და აქვს ოთახი მის მფლობელობაში, სადაც განთავსებულია მისი კუთვნილი ნივთები და მამის გარდაცვალებისთანავე ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო მემკვიდრეობა, რომელიც განავრცო, აწარმოა სამშენებლო სამუშაოები, მიუმატა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და დღემდე სარგებლობს მამის დანაშთი ქონებით.

152. მოსარჩელე მხარისა და მონმეთა განმარტებებით, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპს „ა-ის“ 2014 წლის 13 ოქტომბრის დასკვნით დასტურდება, რომ, ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მოპასუხეთა სახელზე რეგისტრირებული სახლთმფლობელობა დღეის მდგომარეობით გაუმჯობესებულია, საცხოვრებელი ფართი შეადგენს 254,52 კვ.მ-ს.

153. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის, მოპასუხე ჯ. კ-ისა და მონმეთა განმარტებები, რომ მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები ნაწარმოებია მ. კ-ის სახსრებით, მამის გარდაცვალების შემდეგ.

154. ამდენად, სარჩელითა და დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის, მოპასუხე ჯ. კ-ის, მონმეების – ზ. კ-ის, ქ. ა-ის, ი. კ-ის, ი. ა-ის, თ. ვ-ის განმარტებებით, აგრეთვე, ოქმით ადგილზე დათვალიერების შესახებ სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე მ. კ-ემ მამის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივი ფლობის გზით მიიღო სამკვიდრო, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ.

155. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხ-ის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე მ. კ-ის დანაშთი ქონება, მ. კ-ის გარდაცვალების შემდგომ მემკვიდრეობით მიიღო მისმა 1-ლი რიგის სამმა მემკვიდრემ – მეუღლე ნ. ჯ-ემ, შვილებმა – ჯ. კ-ემ და მ. კ-ემ (ფაქტობრივი ფლობის გზით).

156. მოსარჩელე მ. კ-ემ მოპასუხე ნ. ჯ-ისაგან შეიძინა 1000

კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღნიშნული ქონება საჩუქრად არ მიუღია. მისი ღირებულება გადაუხადა მ. ჯ-ეს სადავო სახლში კუთვნილი სამკვიდრო წილის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლით.

157. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხე ჯ. კ-ე, მისი კუთვნილი სამკვიდროს გაქირავების გამო, ნ. ჯ-ისაგან იღებდა საზღაურს, ხოლო მ. კ-ე ქირის თანხას უთვლიდა შესყიდული მიწის ნაკვეთის საზღაურში.

158. მხარეთა და მოწმეების მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მ. კ-ის პოზიცია, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ე 2012 წლამდე მოსარჩელეს არწმუნებდა სადავო ქონებაზე პრეტენზიის არარსებობასა და მის დამოკიდებულებაზე, რომ მ. კ-ის დანაშთი ქონება მისი შვილების საკუთრება იყო. მ. კ-ის განმარტება მთლიანად დაადასტურა მოპასუხე ჯ. კ-ემ. მანვე მიუთითა, რომ მ. კ-ემ მის მიერ სადავო ქონებასთან მიმართებით დავის აღძვრასთან დაკავშირებით არაფერი იცოდა.

159. ამავედროულად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე ნ. ჯ-ისა და მის მიერ დასაჩუქრებული ძმისწულებისათვის ცნობილი იყო, მ. კ-ის სხვა 1-ლი რიგის მემკვიდრეთა არსებობის შესახებ, ვინაიდან ნ. ჯ-ესთან ერთად თანაბარი წილის უფლებით სარგებლობდნენ მამკვიდრებლის დანაშთი ქონებაზე მამკვიდრებლის შვილები, მ. და ჯ. კ-ეები, რომელთაც ახლო ურთიერთობა გააჩნდათ ს. და ა. ჯ-ებთან.

160. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე სადავოდ ხდის მ. კ-ის სარჩელის ხანდაზმულობის საკითხს და მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით დასტურდება მ. კ-ის უფლების არა 2014 წლიდან, არამედ 1995 წელს მ. კ-ის გარდაცვალების დღიდან დარღვევის ფაქტი. განვლილი 20 წლის განმავლობაში კი მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის საფუძველზე შედავების ვადა მხოლოდ 2 თვე იყო.

161. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კა-

ტეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

162. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

163. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კასატორის ძირითადი პრეტენზია მიმართულია სასარჩელო ხანდაზმულობისაკენ.

164. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულია სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. სწორედ ასეთ სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას გვთავაზობს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი კონკრეტულად იმ შემთხვევისათვის, როცა პირს სურს შეედავოს სამკვიდრო მონაწილეს. მითითებული ნორმის თანახმად, სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

165. აღნიშნული ნორმით დადგენილია, რომ სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ცალმხრივი გარიგებაა, რომლითაც გამოხატულია მემკვიდრის ნება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. სამკვიდროს მიღებისა და მიღებაზე უარის თქმის წესი დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 1421-1451-ე მუხლებით. თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მონაწილის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას



ნას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მონმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მონმობის გაცემას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა სამემკვიდრეო მონმობის გასაჩივრების ვადას (სუსგ 30.10.2015წ. №ას-111-104-2015, სუსგ 8.04.2013 წ. №ას-72-68-2013).

166. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ნ., ს. და ა. ჯ-ეებმა ვერ წარადგინეს რაიმე მტკიცებულება, რომ მ. კ-ემ იცოდა ნ. ჯ-ის მიერ საჯარო რეესტრში მ. კ-ის დანაშთი ქონების ერთპიროვნულ მესაკუთრედ დარეგისტრირების, ქონების ძმისწულეებზე გაჩუქების, აღნიშნულის გამო, ნ. ჯ-ესა და ჯ. კ-ეს შორის დავისა და ჯ. კ-ის მიერ სასამართლოში საქმის წარმართვის შესახებ. მოპასუხე ჯ. კ-ემ კი დაადასტურა, რომ მოსარჩელემ ამ მოვლენათა თაობაზე არაფერი იცოდა. ამავდროულად, საყურადღებოა უდავოდ დადგენილი ფაქტი, რომ თავად ჯ. კ-ემაც მოგვიანებით, 2013 წელს გაიგო მოპასუხე ნ. ჯ-ის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

167. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას არ ქმნის მხარის მიერ მითითებული არგუმენტი, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებები, ძირითადად მხარეთა და მონმეების განმარტებების სახით, შეაფასა ტენდენციურად, მოსარჩელის სასარგებლოდ, ვინაიდან გასაჩივრებული განჩინება შეიცავს საკმაოდ ვრცელ დასაბუთებას და მიმოიხილავს ორივე მხარისა და მათ მიერ წარმოდგენილი მონმეების ახსნა-განმარტებებს. სამართლებრივი შეფასების ნაწილში კი, სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დეტალურად განმარტა, რა საფუძვლით გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია.

168. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

169. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭირო-

ება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

170. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

171. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ ნ., ს. და ა. ჯ-ებს უნდა დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟის სახით თ. ი-ის მიერ 2016 წლის 5 იანვარს №5 საგადახდო დავალებით გადახდილი 1515 ლარის 70% – 1060,5 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ., ს. და ა. ჯ-ების საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ნ. (პირადი №.....), ს. (პირადი №.....) და ა. ჯ-ებს (პირადი №.....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟის სახით თ. ი-ს მიერ 2016 წლის 5 იანვარს №5 საგადახდო დავალებით გადახდილი 1515 ლარის 70% – 1060,5 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

**სამკვიდრო ქონების მიღების სამართლებრივი  
შედეგების დადგომის დრო**

**ბანჩინება**

№ას-646-613-2014

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალაიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

**დავის საგანი:** ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა, ჩუქე-  
ბის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის მო-  
ნაცემებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

ლ. ზ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში დ. ზ-ისა და მ. ზ-ის (შემდგომში – მოპასუხეები) მიმართ  
და მოითხოვა №... . უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა  
და მ. ზ-ის სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩა-  
ნაწერის S ნაწილში გაუქმება, ასევე, მოპასუხეებს შორის სა-  
დავო ქონების 1/2-ზე 2013 წლის 19 აპრილს დადებული ჩუქე-  
ბის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელის განმარტე-  
ბით, სადავო ქონება წარმოადგენდა მისი ან გარდაცვლილი მე-  
უღლის საკუთრებას, რომლიც მან მემკვიდრეობით მიიღო, მო-  
პასუხე მ. ზ-მა, მიუხედავად სამკვიდროზე უარის თქმისა, მთე-  
ლი ქონება აღირიცხა საკუთრებაში და შემდგომ S ნაწილი აჩუ-  
ქა შვილიშვილს.

**2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოპასუხეებმა სარჩელის წინააღმდეგ წარადგინეს კვალი-  
ფიციური შესაგებელი და განმარტეს, რომ მოსარჩელის მიერ  
წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო ქო-  
ნების მამკვიდრებლისადმი კუთვნილების ფაქტი. მ. ზ-ის სა-  
ხელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამადასტურე-  
ბელი ადმინისტრაციული აქტები მამკვიდრებელს სიცოცხლე-  
ში სადავოდ არ გაუხდია, ამასთანავე, რეგისტრირებული ჩანა-  
წერების ბათილად ცნობა ადმინისტრაციული სამართალწარმო-  
ებით განსახილველ დავას მიეკუთვნება.

**3. 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-**

### **რეზოლუციო ნაწილი:**

თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ან გარდაცვლილი ი. ზ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ს-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, ანუ მთელი ქონების S წილის მესაკუთრედ და გაუქმდა მ. ზ-ის მიმართ განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი მთელი ქონების S წილზე, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის მიერ დამონმებული 2013 წლის 19 აპრილის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება და გაუქმდა მის საფუძველზე დ. ზ-ის სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი.

#### **4. აპელანტების მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი და მე-3 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მოთხოვნა 2013 წლის 19 აპრილის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ან გარდაცვლილი ი. ზ-ის მეუღლეა (მხარეებს შორის ქორწინება რეგისტრირებულია 1989 წლის 25 აგვისტოს), ხოლო მ. ზ-ი ან გარდაცვლილი ი. ზ-ის დედაა. ი. ზ-ი გარდაიცვალა 2011 წლის 4 თებერვალს.

5.1.2. ყვარლის რაიონის სოფელ ს-ის საზოგადო სასამართლოს 1989 წლის 26 თებერვლის გაყრილობის განაჩენით სოფელ ს-ში მცხოვრებ მ. ვ-ს ძე ზ-ის ოჯახი გაიყო სამ კომლად. მ. და თავისი შვილი კ. ზ-ი ცალკე, ვ. მ-ს ძე ზ-ი ცალკე კომლად და

გ. ვ-ს ძე ზ-ი თავისი ცოლ-შვილით ცალკე კომლად. ვ. ზ-ს შებენდა ქონების შემდეგი ნაწილი: დასავლეთის მხარეს მალლა-დაბლა ორი ოთახი მარნით, ერთი მაგიდა, ერთი შკაფი, ორი რკინის სანოლი, ორი ხელი ლოგინი, ორი სკამი, მაცივარი, ქვევრი 50-ჩაფიანი, ერთი სათონე, ერთი 20-ლიტრიანი შტოფი, ნავის ნახევარი, ერთი ტაშტი, ერთი ქვაბი, ერთი ვედრო. 1986-2008 წლების საკომლო წიგნების თანახმად, ი. ზ-ის კომლი შედგება შემდეგი წევრებისაგან: ზ-ი ი. მ-ს ძე, ოჯახის უფროსი; ზ-ი ლ. ა-ს ასული, ცოლი; ზ-ი გ. ი-ს ძე, შვილი; ზ-ი თ. ი-ს ასული, შვილი. საარქივო ცნობის შესაბამისად, 1996-2008 წლებისათვის ი. ზ-ის კომლს არიცხია 1 ჰა მიწა. საქმეში წარმოდგენილი მიწის გადასახადის გადამხდელთა ჩანაწერების თანახმად, ი. ზ-ი რეგისტრირებულია ცალკე კომლად ოთხი წევრის შემადგენლობით და კომლს არიცხია ქონება – 1 ჰა. მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტების თანახმად, 1992 წლის მიწის რეფორმის დროს ი. და მ. ზ-ების კომლები ირიცხებოდა ცალკე კომლებად, რომლებსაც გამოყოფილი ჰქონდათ ერთი საზიარო ეზო და ცალ-ცალკე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

1.5.3. მოსარჩელე მუდმივად ცხოვრობდა ან გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად სოფელ ს-ში, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა და ფლობს მის ქონებას. სოფელ ს-ის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2013 წლის 3 ივნისის გაცემული №... ცნობის შესაბამისად, მოსარჩელე შვილებთან ერთად, მისი დედამთილი და მამული – თ. ზ-ი ცხოვრობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ს-ში ერთ საცხოვრებელ სახლში ცალ-ცალკე კომლებად და მოსარჩელეს სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია. აღნიშნული ცნობის გაცემის საფუძველად მითითებულია №..., №... და №... საკომლო წიგნები. ლ. და მ. ზ-ების ოჯახების ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრების ფაქტი დასტურდებოდა სხდომაზე დაკითხული მონმეების ჩვენებებითაც.

1.5.4. მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ, 2011 წლის 20 აპრილს, მის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე კანონისმიერი 1-ლი რიგის მემკვიდრეებმა: დედამ და შვილებმა სანოტარო წესით დამონმებული განცხადებით უარი თქვეს ი. ზ-ის დანატოვარი ქონებიდან თავიანთ წილზე 1-ლი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის ლ. ზ-ის სასარგებლოდ და თანხმობა განაცხადეს მემკვიდრეობა გაცემულიყო ვადაზე ადრე, 6 თვის გასვლამდე.

5.1.5. 2013 წლის 11 აპრილს მ. ზ-მა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა ყვარლის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავი ქონება (დაზუსტებული ფართობი 932.00

კვ.მ, შენობა-ნაგებობები საერთო ფართი №1-342.4 კვ.მ, №2-36 კვ.მ). 2013 წლის 19 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე იმავე ქონების 1/2 გაასხვისა მოპასუხე დ. ზ-ზე და განხორციელდა ამ უკანასკნელის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია S ნილზე.

5.1.6. სააპელაციო პალატის დასკვნით, უმთავრესი იყო იმის დადგენა, მ. ზ-ის მიერ 2013 წლის 11 აპრილს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირებული უძრავი ქონება (ქონების ნაწილი) წარმოადგენდა თუ არა გარდაცვლილი ი. ზ-ის სამკვიდროში შემავალ უძრავ ქონებას. ეს გარემოება კი, დასტურდებოდა საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, ყვარლის რაიონის სოფელ ს-ის საზოგადო სასამართლოს 1989 წლის 26 თებერვლის გაყრილობის განაჩენის თანახმად, მ. ვ-ს ძე ზ-ის ოჯახი გაიყო სამ კომლად, კომლებს შორის მოხდა უძრავი ქონებისა და მოძრავი ნივთების განაწილება და ვ. ზ-ის კომლს უძრავი ქონებიდან (საცხოვრებელი სახლიდან) გამოეყო დასავლეთის მხარეს მალლა-დაბლა ორი ოთახი, მარნით, გარდა აღნიშნულისა, 1996-2008 წლების პერიოდზე წარმოდგენილი საარქივო ცნობის, მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის წიგნის ჩანაწერებით (1996-1997 წ.) პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ზ-ის სამკვიდრო ქონების აქტივში შედიოდა 1 ჰა მიწა, მათ შორის, 0.02 „ეზო“ მიწის რეფორმამდე არსებულის სტატუსით. აპელანტ მხარეს საპირისპირო მტკიცებულება არ წარუდგენია იმის დასადასტურებლად, რომ ი. ზ-ის ოჯახს გააჩნია (ფლობს) სხვა საცხოვრებელი სახლი, ეზო და ა.შ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა.

5.1.7. სასამართლომ მიუთითა საცხოვრებელი ბინის ტექნიკურ პასპორტსა და ცნობა-დახასიათებაზე, რომელთა შესაბამისადაც, მოსარგებლე მ. ზ-ზე აღრიცხულია მიწა ფაქტიური ფართობით 952 კვ.მ და საცხოვრებელი სახლი 156.50 კვ.მ (მათ შორის საცხოვრებელი 56,4 კვ.მ დამხმარე – 57,4 კვ.მ სხვადასხვა – 42,7 კვ.მ) სწორედ აღნიშნული ცნობა-დახასიათება წარმოადგენდა საჯარო რეესტრში მ. ზ-ზე 2013 წლის 11 აპრილს უძრავი ქონების რეგისტრაციის საფუძველს, ამასთან, მის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა შენობა-ნაგებობები 341.4 კვ.მ და 36 კვ.მ. პალატამ გაიზიარა მოწინააღმდეგე (მოსარჩელე) მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მ. ზ-ის მიერ 2013 წლის 11 აპრილს საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხული საკუთრება მოიცავდა მამკვიდრებელ ი. ზ-ის სამკვიდროს. სარჩელში მითითებული გარემოებების საპირისპირო

მტკიცება მოპასუხემ ვერ უზრუნველყო.

5.1.8. 2013 წლის 19 აპრილის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალია, რადგანაც მოსარჩელე ითხოვდა მესაკუთრედ ცნობას სადავო ქონების 1/2 ნილზე. მ. ზ-მა ჩუქების სადავო ხელშეკრულების საფუძველზე შვილიშვილს აჩუქა ქონების 1/2 ნაწილი, ანუ განკარგა მთელი ქონების S რაც არ წარმოადგენდა სადავო ქონებას. ამდენად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების თაობაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-მა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძველები:**

6.1.1. სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, რადგანაც პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტების თანახმად, მიწის რეფორმის დროს, 1992 წელს ი. და მ. ზ-ების კომლექს, რომლებიც ცალ-ცალკე კომლექს წარმოადგენდნენ, გამოყოფილი ჰქონდათ საზიარო ეზო და ცალ-ცალკე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ამ გარემოების უსწორობას ადასტურებს, როგორც მ. ზ-ის სახელზე გაცემული სახლის ტექნიკური პასპორტი და ცნობა-დახასიათება, რაც არ არის შედავებული, ისე, მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №128 დადგენილების საფუძველზე ყვარლის რაიონის სოფელ ს-ის მიწის რეფორმის კომისიამ მოსარჩელის მეუღლეს გამოუყო 1 ჰა მიწის ნაკვეთი, კასატორს – 0,5 ჰა და მხარეებს ერთად, როგორც საზიარო უფლება, მიაკუთვნა 0,02 ჰა, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. ასეთ შემთხვევაში, ი. ზ-ს უნდა ჰქონოდა 1,00 ჰა+0,02 ჰა მიწა.

6.1.2. ქონების იდენტიფიცირებისათვის სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სოფელ ს-ის ტერიტორიული ორგანოს 2013 წლის 3 ივნისის №... ცნობა, ასევე, მოწმეთა ჩვენებები, რადგანაც მხარეთა ერთ სახლში ცხოვრება არ წარმო-

შობს ამ ქონებაზე მათ საკუთრებას.

6.1.3. კასატორის განმარტებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის დროს მიღება-ჩაბარების აქტები გაიცემოდა თანმიმდევრული ნუმერაციით, რაც მოცემულ შემთხვევაში კასატორისა და ი. ზ-ის მიმართ არ არის დაცული. ორივე მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, როგორც ეზოს ნაკვეთის, ისე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნომრები, რომლებიც განსხვავებულია. ეს გარემოება გამორიცხავს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მხარეებს ჰქონდათ საერთო ეზო. საქმეზე დაკითხულმა ვერც ერთმა მონაწილემ ვერ დაადასტურა, რომ სადავო ქონება ი. ზ-ისათვის საკომლო განაჩენით მიკუთვნებული ქონება იყო.

6.1.4. სააპელაციო სასამართლო, იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენისათვის, სადავო ქონება წარმოადგენდა თუ არა მამკვიდრებლის საკუთრებას, დაეყრდნო სოფელ ს-ის საზოგადო სასამართლოს განაჩენს, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთათვის გადაცემული სახლის ნაწილები, ასევე მოძრავი ქონება, თუმცა სასამართლომ გვერდი აუარა იმას, რომ თავად მ-ს, კ-ს და მ-ს ქალიშვილთან ერთად შეხვდათ ქონების აღმოსავლეთი მხარე, ოთხი ოთახი მაღლა-დაბლა, ხოლო გ. ზ-ს – კაპიტალური კედელი სახლის მშენებლობისათვის. ამდენად, ქონების იდენტიფიკაციის დადგენის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება გამორიცხავდა წილთა თანაფარდობას. უფრო მეტიც, სასამართლომ 1996-2008 წლების საარქივო ცნობის, მიწის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის წიგნის ჩანაწერების საფუძველზე განმარტა, რომ სამკვიდრო აქტივს 1 ჰა მიწის ნაკვეთი და 0,02 ჰა ეზო წარმოადგენდა, თუმცა არ გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ტექსაინვენტარიზაციო ბიუროს მონაცემებით კასატორის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთი 952 კვ. მეტრს, ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემების თანხმად, 932 კვ. მეტრს შეადგენს. ამდენად, ი. ზ-ის კომლის კუთვნილი მიწა – 200 კვ.მ ვერ იქნება 932 კვ. მეტრის 1/2. შესაბამისად, მოსარჩელეს ქვემდგომმა სასამართლოებმა 266 კვ. მეტრით მეტი მიწა მიაკუთვნეს.

6.1.5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კასატორის საკუთრებად ქონების რეგისტრაციის საფუძველი სახლის ტექნიკური პასპორტი და ცნობა-დახასიათება იყო, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი არა თუ მოსარჩელის, არამედ გარდაცვლილი მამკვიდ-



რებლის მხრიდან არც ყოფილა შედავებული. პალატამ არც ის გარემოება შეაფასა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, კასატორის საკუთრებად რიცხული სახლის ფართობი 430 კვ. მეტრია, სარჩელზე დართული გეგმის თანახმად, მოსარჩელე მხოლოდ 103 კვ. მეტრს ითხოვდა, რითაც ასევე დარღვეულია წილთა თანაფარდობა. სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, კასატორს საკუთრებაში გააჩნია 952 კვ.მ მიწა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომელიც გაარემონტა ნ. ზ-თან ერთად და მისი საკუთრება დაცულია კონსტიტუციით, ხოლო სააპელაციო პალატამ მოსარჩელე ისე ცნო კასატორის კუთვნილი უძრავი ქონების თანამესაკუთრედ, რომ მას არც უფლების დამდგენი დოკუმენტები გაუსაჩივრებია და არც სადავო ქონების მესაკუთრედ გარდაცვლილი მეუღლის ცნობა უთხოვია. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ასევე განსხვავდება არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან (საქმე №ას-1133-1064-2012).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო მსჯელობის საგანს ყვარლის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავი ქონების S-ის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის კანონიერება წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. მოსარჩელე ან გარდაცვლილი ი. ზ-ის მეუღლეა (მხარეებს შორის ქორწინება რეგისტრირებულია 1989 წლის 25 აგვისტოს), ხოლო მ. ზ-ი – ან გარდაცვლილი ი. ზ-ის დედაა.

1.1.2. ი. ზ-ი გარდაიცვალა 2011 წლის 4 თებერვალს.

1.1.3. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, 2011 წლის 20 აპრილს სამკვიდრო ქონებაზე კანონისმიერი 1-ლი რიგის მემკვიდრეებმა: დედამ და შვილებმა: გ. და თ. ზ-ებმა, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, უარი თქვეს დანატოვარი ქონებიდან თავიანთ წილზე 1-ლი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის ლ. ზ-ის სასარგებლოდ და თანხმობა განაცხადეს მემკვიდრეობა გაცემულიყო ვადაზე ადრე, 6 თვის გასვლამდე.

1.1.4. 2013 წლის 11 აპრილს მ. ზ-მა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა ყვარლის რაიონის სოფელ ს-ში მდებარე უძრავი ქონება: დაზუსტებული ფართობი 932.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობები საერთო ფართი №1 – 342.4 კვ.მ, №2 – 36 კვ.მ და 2013 წლის 19 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე იმავე ქონების □ გაასხვისა მოპასუხე დ. ზ-ზე.

1.1.5. ყვარლის რაიონის სოფელ ს-ის საზოგადო სასამართლოს 1989 წლის 26 თებერვლის გაყრილობის განაჩენით სოფელ ს-ში მცხოვრებ მ. ვ-ს ძე ზ-ის ოჯახი გაიყო სამ კომლად: მ. და თავისი შვილი კ. ზ-ი ცალკე, ვ. მ-ს ძე ზ-ი ცალკე კომლად და გ. ვ-ს ძე ზ-ი თავისი ცოლშვილით ცალკე კომლად. ვ. ზ-ს შეხვდა ქონების შემდეგი ნაწილი: „დასავლეთის მხარეს მალლა-დაბლა ორი ოთახი მარნით, ერთი მაგიდა, ერთი შკაფი, ორი რკინის საწოლი, ორი ხელი ლოგინი, ორი სკამი, მაცივარი, ქვევრი 50-ჩაფიანი, ერთი სათონე, ერთი 20-ლიტრიანი შტოფი, ნავის ნახევარი, ერთი ტაშტი, ერთი ქვაბი, ერთი ვედრო“.

1.1.6. 1986-2008 წლების საკომლო წიგნების თანახმად, ი. ზ-ის კომლი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ზ-ი ი. მ-ს ძე, ოჯახის უფროსი;

ზ-ი ლ. ა-ს ასული, ცოლი;

ზ-ი გ. ი-ს ძე, შვილი;

ზ-ი თ. ი-ს ასული, შვილი.

1.1.7. საარქივო ცნობის შესაბამისად, 1996-2008 წლების პერიოდისათვის ი. ზ-ის კომლს არიცხია 1ჰა მიწა. გარდა აღნიშნულისა, ი. ზ-ის ცალკე კომლად რეგისტრაციისა და მისთვის 1 ჰა მიწის ნაკვეთის კუთვნილების ფაქტს ადასტურებდა ასევე საქმეში წარმოდგენილი მიწის გადასახადის გადამხდელთა ჩანაწერები; მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტები, რომელთა თანახმადაც, 1992 წლის მიწის რეფორმის დროს ი. ზ-ისა და მ. ზ-ის კომლები ირიცხებოდა ცალ-ცალკე კომლებად, გამოყოფილი ჰქონდათ ერთი საზიარო ეზო და ცალ-ცალკე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

1.1.8. ლ. ზ-ი მუდმივად ცხოვრობდა თავის ან გარდაცვლილ მეუღლესთან სოფელ ს-ში, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე დაეუფლა და ფლობს მის ქონებას.

1.1.9. სოფელ ს-ის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2013 წლის 3 ივნისს გაცემული №... ცნობის შესაბამისად, ლ. ზ-ი შვილებთან ერთად, მისი დედამთილი – მ. ზ-ი და მახლი – თ. ზ-ი ცხოვრობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ს-ში ერთ საცხოვრებელ სახლში ცალ-ცალკე კომლებად და მოსარჩელეს სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია. აღნიშნული ცნობის გაცემის

საფუძვლად მითითებულია საკომლო წიგნები №..., №... და №....

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებების თაობაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, წინამდებარე განჩინების მიმართ ამ გარემოებებს სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

1.3. კასატორის ძირითადი პრეტენზია მიმართულია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების წინააღმდეგ, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ქონება არასწორად ჩათვალა ი. ზ-ის სამკვიდროდ, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია ლ. ზ-ის ქონების მესაკუთრედ. გარდა აღნიშნულისა, მხარე სადავოდ ხდის მიკუთვნებული წილის ოდენობას და განმარტავს, რომ მოსარჩელეს ქონების 1/2-ზე უფლება არ წარმოშობია.

1.4. კასატორის პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე გარემოებაზე: ი. ზ-ის დანაშთ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობებია. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება. დასახელებული ნორმით განსაზღვრულია სამკვიდრო ქონების ცნება და დადგენილია, რომ მემკვიდრეს, რომელიც ცალმხრივი ნების გამოვლენის გზით სამკვიდროს მიღების დამადასტურებელ იურიდიულ მოქმედებებს განახორციელებს, გადაეცემა გარდაცვლილი პირის ის უფ-

ლება-მოვალეობები, რომლებიც მას გარდაცვალების დროისათვის გააჩნდა. ამავე კოდექსის 1306-ე და 1451-ე მუხლების შესაბამისად, მემკვიდრე სამკვიდროს ფარგლებში სრულად ანაცვლებს გარდაცვლილ პირს იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც მას გარდაცვალებამდე გააჩნდა. უფლებამონაცვლეობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი წარმოშობს მემკვიდრის საკუთრების უფლებას პირის გარდაცვალების მომენტიდან და უფლებამონაცვლეს, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (სკ-ის 170-ე მუხლი).

1.4.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სწორედ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მონმეთა ჩვენებების სანდოობის, იურიდიული დამაჯერებლობის შესაბამისად, ინდივიდუალურად და ერთობლიობაში შეფასების შედეგად იზიარებს საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მ. ზ-ის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილი წარმოადგენდა ი. ზ-ის სამკვიდრო ქონებას, კერძოდ:

1.4.2. საქმეში წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №... და №... აქტები, რომლებითაც დადასტურებულია კასატორისა და ი. ზ-ის კომლისათვის 0,02 ჰა ეზოს საზიარო უფლებით გამოყოფა. მხოლოდ ის გარემოება, რომ ნუმერაცია არ არის თანმიმდევრული, არ შეიძლება საფუძველად დაედოს მიღება-ჩაბარების აქტებში არსებული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმას. ამ თვალსაზრისით პალატა ასევე მიუთითებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ სოფელ ს-ის საზოგადო სასამართლოს 1982 წლის 16 თებერვლის გაყრილობის განაჩენზე, რომლითაც მ. ვ-ს ძე ზ-ის კომლის სამ ნაწილად დაყოფაზეა საუბარი და განსაზღვრულია ასევე ახლად ჩამოყალიბებული კომლების მიერ ადრე არსებული კომლის ქონებით სარგებლობის წესი. ანალოგიურ ინფორმაციას შეიცავს საქმეში წარმოდგენი-

ლი საარქივო ცნობაც, სადაც საუბარია გაყრილობის განაჩენზე და ცნობაში აღნიშნულია, რომ ყვარლის არქივში დაცული ყვარლის რაიონის ს-ის სასოფლო საბჭოს 1982 წლის საარქივო დოკუმენტების თანახმად, მ. ვ-ს ძე ზ-ის ქონება გაიყო სამ კომლად.

1.4.3. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1960წ. რედაქციით) 103-ე მუხლის პირველ აბზაცზე, რომლის თანახმადაც პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად, მოქალაქეს პირად საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი). ამდენად, კომლის გაყრის დროისათვის მ. ზ-ის კომლს არ შეიძლებოდა ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი ჰქონოდა საკუთრებაში, შესაბამისად, სწორედ სადავო სახლი წარმოადგენდა სამკვიდრო ქონებას, რომელზე უფლებაც მამკვიდრებელს რეგისტრირებული არ ჰქონდა, თუმცა უფლების წარმომშობი დოკუმენტის გაუქმების ფაქტი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, ამდენად, ის გარემოება, რომ სადავო სახლის ტექნიკური პასპორტი და ცნობა-დახასიათება მ. ზ-ის სახელზეა გაცემული, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გაყრილობის განაჩენში მითითებული ი. ზ-ის უფლების წარმომოებაზე უარის თქმას. გარდა აღნიშნულისა, პალატა მხედველობაში იღებს 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებს: მოწმე მ. ს-ის განმარტებით, ი. ზ-ი ცხოვრობდა სადავო სახლის დასავლეთ მხარეს და დაკავებული ჰქონდა სახლის დასავლეთით 2 ოთახი მაღლა და 2 ოთახი დაბლა, მოწმემ მიუთითა ქონების გაყოფაზეც, ანალოგიური გარემოებები დაადასტურა მოწმედ დაკითხულმა თ. მ-მა. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება ასევე ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ი. ზ-ს გააჩნდა შემოსავალი და მან უძრავ ნივთს გარკვეული რეკონსტრუქცია ჩაუტარა. მოწმეთა ჩვენებების თაობაზე კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია, საკასაციო საჩივარში მიუთითა მხოლოდ ის, რომ მოწმეებმა ქონებათა იდენტიფიკაცია ვერ დაამტკიცეს, რასაც პალატა ვერ გაიზიარებს, ამასთანავე, როგორც ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ იმსჯელებს მხარის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, ნივთზე განუხორციელდა გაყრის ნაწილები ნ. ზ-ის ხარჯებით განხორციელდა.

1.5. კასატორის არგუმენტის თაობაზე, რომ სამკვიდრო ქონების იდენტიფიცირების შემთხვევაშიც კი, ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მხარეთა წილების საკითხი, პალატა კვლავ მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ გაყრილობის განაჩენზე, რომელიც ქონებაზე უფლებადამდგენი დოკუმენტია და ადასტურებს მხარეებს შორის როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების განაწილების ფაქტს. ამავე განაჩენით სახლის გარკვეული ნაწილი მიეკუთვნა მ. ზ-ის კომლსაც (მ. ზ-ის კომლს), თუმცა არც ამ უკანასკნელს აღურიცხავს სადავო ქონებიდან მიკუთვნებული წილი. საზიარო უფლებით გამოყოფილი ეზო კი, მხარეთა მფლობელობაში იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდეც, შესაბამისად, წილთა თანაბრობის კანონიერების კუთხით, მნიშვნელოვანია, შემოწმდეს თუ რა სამართლებრივი რეჟიმი არსებობდა ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე. სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1960წ. რედაქციით) 93-ე მუხლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, ნყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის და ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე (ამავე კოდექსის 103-ე მუხლი).

1.6. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ნორმის მიზანი იმ ურთიერთობებში სამართლებრივი წესრიგის აღდგენაა, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რჩებოდა კვლავ სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, მხარეთა კანონიერ სარგებლობაში (საზიარო ფლობის უფლება) არსებულ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება ტრანსფორმირდა მხარეთა თანასაკუთრებად, რაც გამართლებულს ხდის ქონების თანამესაკუთრედ აღიარების შესახებ სარჩელის იურიდიულ ინტერესს (სსსკ-ის 180-ე მუხლი), ამასთანავე, რად-

განაც გაყრილობის განაჩენი მხარეებს სისრულეში არ მოუყვანიათ, ხოლო, მიწის ნაკვეთი (ეზო) დარჩა თანასაკუთრებაში, ანალოგიური რეჟიმი გავრცელდა ამ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც – სადავო სახლზე, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შენობა ამ მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილია, ხოლო 954-ე მუხლის შესაბამისად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

1.7. რაც შეეხება მიწის მიღება-ჩაბარების აქტსა და საარქივო ცნობაში ასახულ ეზოს ფართის სხვაობას, პირთა წილობრივ მონაცემებზე იგი გავლენას ვერ იქონიებს, რადგანაც ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სწორედ ამ უძრავი ქონების (0,023ა მიწისა და 932 კვ.მ მიწის) იდენტიურად მიჩნევის პრეზუმფციას წარმოშობს, რომელიც კასატორს სარწმუნოდ არ გაუქარწყლებია.

1.8. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისაგან არ განსხვავდება, კასატორის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 11 დეკემბრის №ას-1133-1064-2012 განჩინებაში საუბარია კომლის უკანასკნელი წევრის მიერ ანდერძით განკარგულ ქონებაზე, რომელიც მოპასუხეთა მამკვიდრებელმა შეიძინა და იგი მოსარჩელების მამკვიდრებლის დანაშთ ქონებას არ წარმოადგენდა. ამდენად, მითითებულ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება, თავისი ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავდება წინამდებარე საქმეზე სადავოდ გამხდარი გარემოებებისაგან.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

## **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამი-

სა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს შუამდგომლობის გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მის ავტორს უნდა დაუბრუნდეს სასამართლოს გადანყვეტილებების ასლები 24 ფურცლად.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობები, ამასთანავე, კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 აპრილის გადანყვეტილება.
3. კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები – სასამართლოს გადანყვეტილებების ასლები 24 ფურცლად.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-827-791-2014

13 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თავდაპირველ სარჩელში – სამკვიდრო მონ-  
ობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, მემკვიდრედ და მესაკუთ-  
რედ ცნობა, შეგებებულ სარჩელში – სამკვიდრო ქონების უპი-  
რატესად მიღება, მამკვიდრებლის დაკრძალვის ხარჯების ანაზ-  
ღაურება, მიღებული სამკვიდროს სანაცვლოდ თანხის გადახ-  
დის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

#### 1. სასარჩელო/შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:

1.1. ს. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი  
აღძრა სასამართლოში თ. ს-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებე-  
ბული სარჩელის ავტორი) მიმართ 2013 წლის 8 აპრილს მოპასუ-  
ხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონობის ნაწილობრივ ბა-  
თილად ცნობისა და ქ.ქუთაისში მდებარე №... უძრავი ქონების  
2/6 ნაწილიდან 1/6-ის 1/2 წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ  
ცნობის მოთხოვნით.

1.2. თ. ს-ემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს  
თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ სადავო სამკვიდროს უპი-  
რატესად მიღების, უპირატესი უფლებით მიღებული სამკვიდ-  
როს სანაცვლოდ ს. ს-ისათვის უკვე მიღებული წილის საკომ-  
პენსაციო თანხის – 11 024 ლარის ორი წლის ვადაში გადახდისა  
და მამკვიდრებელთა გასვენებისა და დაკრძალვისათვის განე-  
ული ხარჯიდან 3 226 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

#### 2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. თ. ს-ემ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით სარჩელი არ  
ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს სამკვიდროდან მისი წილი  
უკვე მიღებული ჰქონდა, ამასთანავე, არსებობდა სასამართლოს  
კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ამავე მხარეებს შო-

რის, ამავე საგანზე და ამავე საფუძვლით.

2.2. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის ფარგლებში ს. ს-ემ შეგებებული სარჩელის წინააღმდეგ ხანდაზმულობაზე, ასევე, მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მიუთითა.

**3. 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი არასრულწლოვან თ. ს-ის სახელზე 2013 წლის 8 აპრილს ნოტარიუს ე. გ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა 2/6 ნაწილის 1/6 ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის 2/6 ნაწილიდან 1/6-ის 1/2 ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ამავე გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო.

**4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებებული სარჩელის ავტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

**5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და საპროცესო ხარჯების განაწილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

**6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

6.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ქუთაისში, დ-ის (ყოფილი ნ-ის) ქუჩა №...-ში/გ-ის ქუჩის №...-ში მდებარე უძრავი ქონება ეკუთვნოდა ნ. ს-ეს.

6.2. ნ. ს-ე გარდაიცვალა 2006 წლის 9 აგვისტოს და დარჩა ორი შვილი: გ. და ვ. ს-ეები, რომლებიც ფაქტობრივად დაეუფლნენ მამის დანაშთ ქონებას.

6.3. მეუღლეებს: გ. ს-ესა და ი. გ-ეს 1989 წლის 1 იანვარს

შეეძინათ შვილი – ს. ს-ე. ქორწინება მეუღლეებს შორის ფაქტობრივად 1990 წლიდან შეწყდა. ამის შემდგომ, გ. ს-ეს 2001 წლის 17 სექტემბერს ჯ. ჭ-თან შეეძინა შვილი – თ. ს-ე.

6.4. გ. ს-ე გარდაიცვალა 2007 წლის 26 თებერვალს. მისი სამკვიდრო მიიღეს შვილებმა: თ. და ს. ს-ეებმა.

6.5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ს-ე ცნობილ იქნა ნ. ს-ის სახელზე რიცხული სადავო უძრავი სამკვიდრო ქონების ნახევრიდან 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ. იმავე გადაწყვეტილებით ი. გ-ის მოთხოვნა ნ. ს-ის დანაშთი უძრავი ქონებიდან 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

6.6. ნოტარიუსმა ე. გ-მა 2013 წლის 8 აპრილს გასცა სამკვიდრო მონაწილეობა, რომლითაც თ. ს-ე ცნობილ იქნა 2006 წლის 9 აგვისტოს გარდაცვლილი ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის 2/3-ის მემკვიდრედ.

6.7. სადავო უძრავი ქონების ღირებულებაა 65 000 აშშ დოლარი. ნ. და გ. ს-ეების საფლავის ღირებულება, არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, შეადგენს 7 661 ლარს, საფლავის მოწყობა, საგარაუდოდ, დანეშებულია 1991 წლიდან. თავად გ. ს-ის დაკრძალვის ხარჯების ჯ. ჭ-ის მიერ გაღება საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. ნ. ს-ის დაკრძალვის ხარჯები გაიღო გ. ს-ემ.

6.8. 1990 წლის 20 ივნისს, ერთი მხრივ, ი. გ-ესა და, მეორე მხრივ, ნ. და გ. ს-ეებს შორის შედგა მორიგება, რომლითაც ი. გ-ემ, 16 000 რუსული მანეთის გადახდის პირობით, საკუთარი და არასრულწლოვანი შვილის – ს. ს-ის სახელით, უარი განაცხადა ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1989 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე (აღნიშნული გადაწყვეტილებით, ი. გ-ე შვილთან – ს. ს-ესთან ერთად შესახლებულ იქნა ნ. და გ. ს-ეების სახელზე რიცხული სა-მოთახიანი ბინის ერთ, 20 კვ. მეტრიან ოთახში), აგრეთვე, მომავალში ს-ეებთან ქონებრივ, სამემკვიდრეო ან სხვა სახის დავაზე. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, ი. გ-ემ იმავე დღეს მიიღო 10 000 მანეთი, ხოლო, ამ თანხის მიღების შემდგომ, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1989 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა საქმის მასალებით არ დგინდებოდა. უტყუარი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა არც ი. გ-ის მიერ დარწმუნებული 6 000 მანეთის მიღების ფაქტი.

6.9. პალატის მოსაზრებით, გ. ს-ის სამკვიდროდან ს. ს-ის წი-

ლის ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საკითხის გარკვევას: ა) დასაშვები იყო თუ არა განსახილველი სარჩელი 1990 წლის 20 ივნისს შემდგარი მორიგების, ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების არსებობის პირობებში; ბ) თუ იყო დასაშვები, იყო თუ არა იგი დასაბუთებული. 2012 წლის 19 ივნისის გამოტანილი გადაწყვეტილების პირობებში დავის საგანი არ იყო იდენტური, რის გამოც არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან 272-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და წინამდებარე სარჩელი იყო დასაშვები. მხარეები არ დავობდნენ, რომ ნ. ს-ის გარდაცვალებით 2006 წლის 9 აგვისტოს, სამოქალაქო კოდექსის 1319-1320-ე მუხლების შესაბამისად, გაისხნა მისი სამკვიდრო, რომელიც, ამავე კოდექსის 1306-ე, 1307-ე, 1336-ე, 1421-ე და 1424-ე მუხლების შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით, კანონით დადგენილ ნ-თვიან ვადაში, მიიღეს ნ. ს-ის კანონით მემკვიდრე ორმა შვილმა: ვ. და გ. ს-ეებმა. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, 2006 წლის 9 აგვისტოდან, სამკვიდრო ჩაითვალა მათ საკუთრებად თანაბარი წილებით. გ. ს-ის გარდაცვალების შემდგომ მისი სამკვიდრო, ასევე, კანონით დადგენილი წესით, მიიღეს მისმა შვილებმა: თ. და ს. ს-ეებმა. ი. გ-ემ, როგორც გ. ს-ის მეუღლემ (მემკვიდრემ) და არასრულწლოვანი ს. ს-ის კანონიერმა წარმომადგენელმა, მამკვიდრებლების: ნ. და გ. ს-ეებისაგან მიიღო გარკვეული თანხა, იმ პირობით, რომ არც მას და არც მის შვილს აღარ ექნებოდათ პრეტენზია ნ. და გ. ს-ეების სამკვიდროსთან დაკავშირებით, ამდენად, ი. გ-ემ და ს. ს-ემ, მოთხოვნა ნ. და გ. ს-ეების სამკვიდროსადმი (ანუ – 2/3 ნაწილისადმი) შეაფასეს 16 000 რუსულ მანეთად, საიდანაც მიიღეს 10 000 რუსული მანეთი, ანუ – ამ თანხის ნახევარზე მეტი, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე – ს. ს-ემ გ. ს-ის დანაშთი სამკვიდროს 1/3 ნაწილიც მიიღო დამატებით. ასეთ პირობებში, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის გათვალისწინებით, ს. ს-ის პრეტენზია გ. ს-ის სამკვიდროდან რაიმე დამატებითი წილის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც მისი სარჩელი ვერ დაკმაყოფილდებოდა.

6.10. ჯ. ჭ-მა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ვერ დაამტკიცა გ. ს-ის დაკრძალვის ხარჯების გაწევის გარემოება, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელი არსებითად სწორად

არ დაკმაყოფილდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1481-ე მუხლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში მართლაც ვერ მოხდებოდა, რადგან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სამკვიდრო ქონება ფაქტიურად გაყოფილი და გადაცემული იყო შესაბამისი წილების განსაზღვრით მემკვიდრეთა საკუთრებაში. მესაკუთრეს კი, ამავე კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს კუთვნილი ნივთი; ამ უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა დაიშვება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა.

## **7. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ (სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი, მე-2, მე-4 პუნქტები), ასევე, მტკიცებულებების მიღების შესახებ განჩინების გაუქმება და თ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **7.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ ძალაში ნაწილობრივ უნდა დარჩეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, წინამდებარე საქმეზე არ მიღებულა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობაზე მიუთითებს ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ სხვაგვარად შეაფასა მტკიცებულებები, რომლებიც 1-ლი ინსტანციის სასამართლოში არსებითად იყო გამოკვლეული, ხოლო მათ თაობაზე დასაბუთებული პრეტენზია სააპელაციო საჩივარში არ ყოფილა მითითებული. სასამართლო, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა სამკვიდროს გათანაბრების საკითხზე, შესაბამისად, მხედველობაში არ იქნა მიღებული კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, კასატორის მიერ მამის სამკვიდროს მიღების, ასევე, იმის თაობაზე, რომ ი. გ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ამ საქმეზე ვერ გასცდა მოსარჩელის მოთხოვნას და მხოლოდ 1/3 მიაკუთვნა ს. ს-ეს. ამ გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე ნამსჯელია ზემდგომი სასამართლოების მიერ, რა დროსაც შეფასდა კასატორის არასრულწლოვანებისას მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაფორმებუ-

ლი მორიგება, რომელიც არ შესრულებულა და საფუძვლად არ დადებია ს. ს-ისათვის სამკვიდროდან წილის მიკუთვნებაზე უარის თქმას. არც ერთი სასამართლოს მიერ არ დადგენილა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ნ. ს-ის სამკვიდრო შეფასდა 16 000 რუსულ მანეთად, როგორც ეს სააპელაციო პალატამ დაადგინა, ამასთანავე, მორიგების გაფორმების დროისათვის ეს შეუძლებელიც იყო. აღნიშნულით პალატამ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე და სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლები. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ მხარეები ერთი რიგის მემკვიდრეები არიან და მოსარჩელე არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

7.1.2. სააპელაციო პალატამ მხედველობაში არ მიიღო საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ს. ს-ე სადავო ქონების 1/3-ის მესაკუთრედ მხოლოდ იმ საფუძვლით იქნა ცნობილი, რომ მას მეტი მოთხოვნა არ ჰქონია. პალატამ არ გამოიკვლია საქმის მასალები, არ დაეყრდნო მათ და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

7.1.3. სააპელაციო სასამართლომ 1990 წელს შემდგარი მორიგების აქტის შეფასებით დაარღვია კანონის მოთხოვნები და არასწორად მიიჩნია, რომ იგი გამორიცხავდა სამკვიდროზე კასატორის პრეტენზიას, ამასთანავე, უსაფუძვლოდ განსაზღვრა მორიგების აქტის შესაბამისად სამკვიდროს ღირებულება, რის შედეგადაც დაირღვა მემკვიდრის კონსტიტუციით აღიარებული უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს კანონისმიერი მემკვიდრეობითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ერთი რიგის მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების კანონიერება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით კი, სააპელაციო პალატამ დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. ქ.ქუთაისში, დ-ის (ყოფილი ნ-ის) ქუჩა №..-ში/გ-ის ქუჩის №..-ში მდებარე უძრავი ქონება ეკუთვნოდა ნ. ს-ეს, რომე-

ლიც 2006 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა და დარჩა ორი შვილი: გ. და ვ. ს-ეები. მემკვიდრეები ფაქტობრივად დაეუფლნენ მამის სამკვიდროს.

1.1.2. გ. ს-ესა და ი. გ-ეს 1989 წლის 1 იანვარს შეეძინათ შვილი – ს. ს-ე. ქორწინება მეუღლეებს შორის ფაქტობრივად 1990 წლიდან შეწყდა. ამის შემდგომ, გ. ს-ეს 2001 წლის 17 სექტემბერს ჯ. ჭ-თან შეეძინა შვილი – თ. ს-ე.

1.1.3. გ. ს-ე გარდაიცვალა 2007 წლის 26 თებერვალს. მისი სამკვიდრო მიიღეს შვილებმა: თ. და ს. ს-ეებმა, რაც შეადგენდა ნ. ს-ის დანაშთი ქონების 1/2-ს.

1.1.4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ს-ე ცნობილ იქნა ნ. ს-ის სახელზე რიცხული სადავო უძრავი სამკვიდრო ქონების ნახევრიდან 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ. იმავე გადაწყვეტილებით ი. გ-ის მოთხოვნა ნ. ს-ის დანაშთი უძრავი ქონებიდან 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, განწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

1.1.5. ნოტარიუსმა ე. გ-მა 2013 წლის 8 აპრილს გასცა სამკვიდრო მონშობა, რომლითაც თ. ს-ე ცნობილ იქნა 2006 წლის 9 აგვისტოს გარდაცვლილი ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის 2/3-ის მემკვიდრედ.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სააპელაციო სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1990 წლის 20 ივნისს, ერთი მხრივ, ი. გ-ესა და, მეორე მხრივ, ნ. და გ. ს-ეებს შორის შედგა მორიგება, რომლითაც ი. გ-ემ, 16 000 რუსული მანეთის გადახდის პირობით, საკუთარი და არასრულწლოვანი შვილის – ს. ს-ის სახელით, უარი განაცხადა ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1989 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე (აღნიშნული გადაწყვეტილებით, ი. გ-ე შვილთან – ს. ს-

ესთან ერთად შესახლებულ იქნა ნ. და გ. ს-ეების სახელზე რიცხული სამოთახიანი ბინის ერთ, 20 კვ. მეტრიან ოთახში), აგრეთვე, მომავალში ს-ეებთან ქონებრივ, სამემკვიდრეო ან სხვა სახის დავაზე. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, ი. გ-ემ იმავე დღეს მიიღო 10 000 მანეთი, ამ თანხის მიღების შემდგომ, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1989 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა საქმის მასალებით არ დადგინდა, ასევე, არ დადგინდა ი. გ-ის მიერ მორიგებით განსაზღვრული თანხის დარჩენილი 6 000 მანეთის მიღების ფაქტი. ამ გარემოებათა შეფასებით პალატამ ჩათვალა, რომ სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით განსაზღვრული სამკვიდროს გათანაბრება, რამდენადაც ს. ს-ის კანონიერი წარმომადგენლის მიერ 10 000 რუსული მანეთის მიღება, ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ს. ს-ისათვის მიკუთვნებული სამკვიდროს 1/3 გამორიცხავდა სამკვიდროს თაობაზე მოსარჩელის პრეტენზიის საფუძვლიანობას.

1.4. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე სადავოდ ხდის ქვემდგომი სასამართლოს დასკვნებს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, ამასთანავე, მიიჩნევს, რომ პალატამ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

1.5. კასატორის პრეტენზიათა შემოწმების მიზნით საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სამკვიდროს მიღების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებზე. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა და მას შესაბამისი იურიდიული შედეგი იმ შემთხვევაში მოჰყვება, თუ მემკვიდრე კანონით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების გზით გამოხატავს ნამდვილ ნებას, რაც მოწმობს მის მიერ სამკვიდროს მიღებას. სამოქალაქო კოდექსი იცნობს მემკვიდრე-



თა ორ კატეგორიას: კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეებს. მოცემულ შემთხვევაში ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ და არც მხარეებს გაუხდიათ სადავო გ. ს-ის მიერ ანდერძის დატოვების ფაქტი, შესაბამისად, სახეზეა კანონისმიერი მემკვიდრეობა და მოდავე სუბიექტები წარმოადგენენ მამკვიდრებლის შვილებს ფაქტობრივი და რეგისტრირებული ქორწინებიდან. სამოქალაქო კოდექსის 1136-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობითი ურთიერთობისას თანასწორი უფლების მქონე მემკვიდრეთა წილი თანაბარია.

1.6. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გ. ს-ის სამკვიდროს ნ. ს-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული №.... უძრავი ქონების 1/2 წარმოადგენდა, საიდანაც 1/3 კასატორმა მიიღო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ხოლო დარჩენილი წილი (2/3) ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მონმოზის საფუძველზე აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად.

1.7. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს სამკვიდროს გაყოფისას წილთა გათანაბრების პრინციპს, თუმცა, მიიჩნევს, რომ, განსახილველი შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით, ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს არასწორი შეფასება მისცა, რაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ:

1.7.1. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე, მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებას ცდილობს, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეებს შორის, შესაბამისად, შეფასება უნდა მიეცეს თავად იმ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ სა-

ჭიროებს დამტკიცებას. საპროცესო სამართალში ისინი პრეიუდიციულ ფაქტებად მოიხსენება, რომელთა მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას, ანუ სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნევა არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უკლებლივ ყველა გარემოება, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ემყარება. ამდენად, ფაქტების პრეიუდიციულობის შემომწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელიც ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება).

1.7.2. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელიც გ. ს-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მიღებას შეეხებოდა, დადგენილია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში ს. და თ. ს-ების წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს ნოტარიუსს გ. ს-ის ქონების მემკვიდრეობით მიღების თაობაზე და ს. ს-ის წარმომადგენელს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი იმ საფუძველით ეთქვა, რომ სამკვიდროს მთლიანი განაწილება, მემკვიდრეთა ზუსტი წრის დადგენა და მათი შესაბამისი წილების განსაზღვრა უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ. თ. ს-ის შესაგებელს, მსგავსად წინამდებარე დავისა, წარმოადგენდა 1990 წლის 20 ივნისის მორიგების აქტით ი. გ-ის მიერ ს-ების სამკვიდროზე უარის გაცხადება. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მართალია, სასამართლომ დაადგინა 1990 წელს მხარეთა მორიგების ფაქტი, თუმცა მას გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ მოუხდენია, უფრო მეტიც, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ს. ს-ის, ი. გ-ისა და თ. ს-ის მიერ სამკვიდროს 1/3-1/3 წილის მიღება, ამას-

თანავე დადგინდა ი. გ-ისათვის ქონების მიკუთვნებაზე უარის თქმის საფუძვლები, სასამართლომ ს. ს-ის სამკვიდროს 1/3 მხოლოდ იმ საფუძვლით მიანიჭა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, ვერ გაცდებოდა სასარჩელო მოთხოვნას. ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი, შესაბამისად, წინამდებარე დავაში წარმოდგენილი შესაგებლის ფარგლებში 1990 წელს ს. ს-ის კანონიერ წარმომადგენელსა და ნ. და გ. ს-ეებს შორის შემდგარი მორიგება ერთი რიგის მემკვიდრეების წილთა თანაბრობაზე გავლენას ვერ იქონიებს და ვერც სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით გათვალისწინებულ გათანაბრებას დაედება საფუძვლად.

1.8. როგორც აღინიშნა, კანონით მემკვიდრეობისას სამოქალაქო კოდექსი ერთი რიგის მემკვიდრეთა შორის წილთა თანაბრობის პრინციპს ემყარება, რაც საფუძვლიანს ხდის კასატორის მოთხოვნას. რაც შეეხება თ. ს-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო მონუმობა უფლებადამდგენი დოკუმენტია და წარმოადგენს როგორც მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნების დადგენილი წესით გამოვლენას, ისე სამკვიდროს მიღებას. მისი უფლებადამდგენი ხასიათი ვლინდება რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ნივთებთან/უფლებებთან მიმართებაში და სწორედ ამგვარ შემთხვევას შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში, სამკვიდროდან ს. ს-ის კუთვნილი წილის ნაწილში მოპასუხემ ნოტარიუსის წინაშე გამოხატა რა მართლსაწინააღმდეგო ნება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, იგი ბათილად მიიჩნევა, რასაც შედეგად შესაბამის ნაწილში სამკვიდრო მონუმობის, როგორც თანმდევი შედეგის ბათილობა უნდა მოჰყვეს.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, პალატა თვლის, რომ უფლებამოსილია, თავად გადანყვი-

ტოს დავა. ამავე მხარეებს შორის კანონიერ ძალაში შესული განაცხადებით დადგენილი გარემოება – 1-ლი რიგის მემკვიდრეების მიერ გ. ს-ის სამკვიდროს მიღების ფაქტი საკმარის საფუძველს წარმოადგენს ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

1.10. საკასაციო პრეტენზიის დაუსაბუთებლობის გამო პალატის შეფასების საგანი ვერ გახდება კასატორის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაცხადების წინმსწრები განჩინებები შესაძლოა გახდეს საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, კასატორს არც კონკრეტული განჩინება მიუთითებია, არც მისი გაუქმების საფუძველები და არც ის გარემოება, თუ რა უარყოფითი შედეგი დადგა ამ განჩინების მიღებით, ამდენად, მხარის მითითება ენიშნა აღმდგეგმა ზემოხსენებული ნორმის მიზნებს.

## **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა განაცხადებით ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმისათვის დართვის წინაპირობები, შესაბამისად, ისინი საქმიდან უნდა იქნას ამოღებული და დაუბრუნდეს მხარეს 24 ფურცლად.

## **3. სასამართლო ხარჯები:**

3.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ს-ემ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1-ლი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 258,85 ლა-

რი, ხოლო საკასაციო წესით განხილვისას – 376 ლარი.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლო ხარჯის ანაზღაურება.

3.3. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათვის ხარჯების დაკისრების წინაპირობები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ს. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ს. ს-ის სარჩელი თ. ს-ის მიმართ დაკმაყოფილდეს.
4. ს. ს-ე (პ/№...) ცნობილ იქნას ქ.ქუთაისიში, ნ. დ-ის (ყოფილი ნ-ის) ქ№.../გ-ის ქ№...-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №...) უძრავი ქონებიდან თ. ს-ის (პ/№...) საკუთრებად რეგისტრირებული 2/6 წილიდან 1/6-ის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ, შესაბამის

ნაწილში ბათილად იქნას ცნობილი ნოტარიუს ე. გ-ის მიერ 2013 წლის 8 აპრილს არასრულწლოვან თ. ს-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

5. თ. ს-ეს (კანონიერი წარმომადგენელი – დედა, ჯ. ჭ-ი (პ/№6...) ს. ს-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული სასამართლო ხარჯის – 634,85 ლარის გადახდა.

6. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები 24 ფურცლად.

7. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიეპელი

<b>1. უღირს მემკვიდრედ ცნობა .....</b>	<b>3</b>
<b>2. კანონით მემკვიდრეობა</b>	
კანონით მემკვიდრეები და რიგითობა კანონით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მიღება .....	21
პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები .....	31
მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა .....	53
<b>3. ანდერძის ფორმა</b>	
ანდერძის ნამდვილობის აღიარება .....	70
შინაურული ანდერძი .....	84
<b>4. სავალდებულო წილი</b>	
სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტი; თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრა	103
<b>5. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე</b>	
სამკვიდროს მიღება; კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა სამკვიდროს მიღება .....	115
სამკვიდროს მიღებულად აღიარება საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე .....	136
სამკვიდროს მიღება; მემკვიდრედ ცნობა .....	152
სამკვიდროს მიღების ვადა .....	157
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება .....	171
სამკვიდროს მიღებაზე შედაგების ვადა .....	179
სამკვიდრო ქონების მიღების სამართლებრივი შედეგების დადგომის დრო .....	219
მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა .....	233

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)